

მანუჩარ ლუჟავა
პოეზია

თბილისი
2012

udc (უაკ) 821.353.1–1
ლ - 466

რედაქტორი: თინათინ ცისკარიშვილი.

მხატვარი: ეკატერინე თაბაგარი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნიკა ჯეირანაშვილი.

გამომცემლობა პრინტ ექსპრესი
მის: პოლიტკოვსკაია ქ. №9ა
E-mail: info@printexpress.ge

ISBN 978-9941-0-5059-6

ღვთის შენეწვნიტა და კეთილი ადამიანების დახმარებით, მოვახერხე სხვადასხვა დროს დაბეჭდილი ჩემი ლექსების კრებულთა პირველ ტომად გამოცემა. ამ მცირე შემოქმედებას ვუძღვნი ქართველი ხალხისათვის საყვარელ მსახიობს - ბატონ მურმან ჯინორიას.

თეთრი ცხელება

2011

ქებათა ქება

როგორც კალმახი წყალში დებს ქვირითს,
მეც ისე მოვფენ ლექსებს მთა-გორებს,
და მზის სიყვარულს სიცოცხლის გვირისტს
მარადისობას თან გავაყოლებ.

მე დავთმობ იმას, ვინც ძლიერ მიყვარს,
მე დავთმობ, თუნდაც, საყვარლის თვალებს,
მაგრამ რა ვუყო სიტყვის სიყვარულს,
ყრმის ცრემლთანაც კი ვერ შესადარებს.

გრაალის თასის გავხდები მცველი,
როცა სისხლში დულს ანი და ჰოე.
სხვა გზა არ არის თუ, არა ძელი,
რაც შეუცნობთან მიმახლოებს.

პლანეტის გუგუნს სამყაროს მტვერში
ვგრძნობ, როგორ უსმენს ცხოველთა რემა
და უცურდება ვარსკვლავთა ტევრში
მთვარეს სპეკალი ზღვის დიადემა.

ხანდახან ისე მორცხვია ქარი,
ყვავილებს ველზე ფრთხილად ჩაუვლის,
საოცრებაა ყოველი წამი
და სილამაზის დღესასწაული.

ბავშვივით მხიბლავს ორი რამ დღემდე:
ფუტკრის შრომა და მოფრენა მერცხლის;
ეს გაზაფხული, სიცოცხლეს რომ ჰგავს
ის სიკვდილი კი ზამთარს შევერცხლილს.

კიდევ რამდენი რამ არის ქვეყნად,
რისთვისაც ღირდა მოსვლა, დარჩენა.
თავისუფლება, ყიჟინა ბრძოლის,
რწმენა, იმედი და გამარჯვება.

მე ვხედავ დაისს, თუ როგორ ხატავს
უცნობი მხატვრის მსუბუქი ფუნჯი,
და როგორ აღებს სიზმრების კარებს
ოცნება მშვიდი სულის საუნჯე

მე ვგრძნობ განთიადს ჯერ კიდევ ბინდზე,
როცა ფრთოსნების გალობა ისმის,
და როგორ შვენის მაღალ მწვერვალებს
მარადი სევდა ძაძები ნისლის.

კლდის ნაპრალებზე უფსკრულის პირად
ხშირად მინახავს ყვავილის ღერი,
ვხედავ სამყაროს ამ გულში მთლიანს,
დაუსრულებელ ჰანგად რომ მღერის.

ხელით გავლებულს მინაზე ხნულებს,
ფეხით გაკვალულ ბილიკს თუ ახოს,
მე ვკოცნი ყველა ქალაქს და სოფელს,
ადამიანი სადაც კი სახლობს.

და როგორც თევზი წყალში დებს ქვირითს,
მეც ისე მოვფენ ლექსებს მთა-გორებს,
და მზის სიყვარულს სიცოცხლის გვირისტს,
მარადისობას თან გავაყოლებ.

თუ

თუკი იჩემებ, რომ ბრძენი ხარ,
არ გაგიკვირდეს ხარხარი ხალხის,
და თუ ბრძენი ხარ ჭეშმარიტად,
არრად ჩააგდო მათი გაკილვა,
შენ გზას მიჰყევი.

თუ კი იჩემებ, რომ მეფე ხარ,
ნუ განგარისხებს შენ შური ხალხის,
და თუ მეფე ხარ ჭეშმარიტად,
დიდსულოვნად შეუნდე ყოველთ.

თუ კი იჩემებ, რომ ხარ პოეტი,
ნუ შეგაკრთობს ქილიკი ხალხის,
და თუ მართლა ხარ შენ პოეტი,
მუზათა მპყრობი,
დანერე ლექსი,
ხანჯალივით გულის გამპობი,
გაყინულ გულის.

თუ კი იჩემებ, რომ გიჟი ხარ,
მაშინ შენ მიმართ
არ დაიშურებს ხალხი სიბრალულს,
და თუ გიჟი ხარ ჭეშმარიტად,
ბრძენსა და მეფეს
და თვით პოეტს აღემატები.

მინიატურები

გაზაფხული

აღუბალს აკოცა ტუჩებში ატამმა,
ლურჯი ცა კუდებით დასერეს მერცხლებმა,
ტყემალი შურისგან გათეთრდა გადაღმა,
სიო კი ჭადართან ალერსით ვერ ცხრება.

ზაფხული

ველებზე თავდახრილ ქარვისფერ თავთუხებს
ხანდახან ეწვევა ყრანტალით ყორანი,
ჭრიჭინას ჭრიჭინში მზე ისე გახელდა!
მდინარეს გულში აქვს გაჩრილი ბორანი.

შემოდგომა

სიმინდებს სიცილში დასცვივდათ კბილები,
ნისქვილთან ურემი მივიდა ჭრიალით,
საწნახელს ცხვირიდან წამოსკდა სისხლი და
ჭურში გადაეშვა ზათქით და ზრიალით.

ზამთარი

მთებს დაეფინა თოვლი ჭალარად,
ბებერი მთვარე ჩავარდა ჭაში,
ქარმა კი ცაცხვი ისე დალალა,
ლობედან ყვირის – შემოვალ სახლში...

ალბათ

ხასხასა მოღზე
ცაცხვს მიყრდნობილი
ლურჯ ცას გავყურებ,
მსხალს გეახლები.
მაგრამ ამ ნაყოფს
აღარ აქვს
ის გემო,
როგორიც ჰქონდა
ჩემს ბავშვობაში.
ალბათ, ბავშვობას
თავისი გემო აქვს,
გემოს, თავის მხრივ, —
თავისი ფერი,
ფერს კი — სურნელი,
ანდა პირიქით...

* *

მომენატრა,
მომე ნატვრა,
ანგელოზო,
რომ ქვეყანა
მოვიარო
სიმღერებით;
თუ მაგ ღიმილს
გამაყოლებ ავგაროზად,
სიკვდილამდე
შენს სიყვარულს
ვუმღერებდი.
შენი თმები,
ანთებული მზის სხივებით,
ვინრო ყელზე
ბილიკებით ჩამოდიან,
მაღალ მკერდზე
შეფენილი ყვავილები
დალალებთან
შესახვედრად გამორბიან.
მოვა წვიმა,
აივნები ატირდება,
ვინრო ქუჩებს
ჩამოუვლის მთვრალი ქარი,
აივსება ვნება
ცრემლით ნაოხარით...
ეგ ღიმილი
გამაყოლე ავგაროზად,
ანგელოზო,
მივდივარ და გამახარე.

ნარიყალაზე

ნარიყალაზე ერთი ხეა,
სულ პატარა ხე...
და ზედ ტოტებზე
ნაჭრები აქვს სხვადასხვა ფერის,
ამ უამრავი სურვილიდან –
ერთი ჩემია,
რომელიც ქარში ფრიალებს და
ცრემლებით მღერის.
მინდა, შევიგრძნო სიყვარული
მაღალ მთასავით,
ნათელ ოცნებით
ზღვას აპობდეს ვნებათა გემი,
მერე, თუ გინდა,
ვირზე შემსვან, მარიტასავით,
და ბრბომ, ტალახით,
შეურაცხყოს სიცოცხლე ჩემი...

სალომეა

იცეკვე ისე, რომ დედამინა შეჩერდეს წუთით.
ისე იცეკვე, არ ვინატრო დადგომა დილის.
ხენდროსფერ თმების გასაშლელად მოუხმე ქარებს
და მაგ ლილისფერ სურებიდან ზღვის სუნთქვას ვიგრძნობ.

იზრდება შიში, ვით უეცრად მოქნევა დანის,
თრთოლვა ემჩნევათ ჰორიზონტზე ღრუბლების ბელტებს,
გაზის პერანგმა გამოკვართა სისველე ტანის,
დგახარ და ვხედავ ჩახსნილ ლილთან ასკილის კერტებს.

არ ჩაიმუხლო აქლემივით ამ უდაბნოში,
ნუ ჩამოინწყვეტ წყურვილისგან მაგ ვერცხლის ზარებს,
შენ გისახსოვრა ზურმუხტები მედინმა გველმა,
ნუ შეატოვებ შხამს გათანგულ უსაზღვროებას.

დროა იცეკვო, ხედავ, უკვე გაფითრდა მთვარეც
და თეთრ ღრუბლებზე გაგორდება მოჭრილი თავით,
სისხლიან ფეხებს შეგიმშრალებს მხურვალე ქვიშა,
გამომაფხიზლე ავ სიზმრიდან, ნდომით ვარ ავად.

იცეკვე, მხოლოდ შენი ნებით, გთხოვ, სალომეა,
რომ მაგ ლილისფერ სურებიდან ზღვის ღელვა ვიგრძნო.

* *

ჯვარს რომ უყურებს
ყოველ დილით სვეტიცხოველი,
მჯერა თვით დემონს ავინყდება
ზაკვა ყოველი.

ისე უსაყვარლესო

კარგო, უსაყვარლესი
მინდა, შენთან ალერსი,
დაგინერე, ა, ლექსი,
გრძნობით უმხურვალესი.
გულის ყდაში ჩაკრული,
სევდა არის რა კრული,
ენმატკბილოს ჩანგური,
ვინც ჩემებრ არს ჩაგრული.
სიყვარულით ნაწამებს,
ძირს რომ მიხრი წამწამებს,
ველარ ვუძღვებ ამ წამებს,
როცა ასე მანამებს.
ღანვნი - ხორბლის ველები,
დაღალები - გველები,
დაკიდული მტევნები,
ვენამები, ვევნები...
აივსება თასები
ასიათას ასები,
შენთვის ფიანდაზებად
გამიშლია ვაზები.
დამიშრება მელანი,
თუ ბეღია ვერანი,
ასე ღამაზთვალებას
შემოგევლოს ყველანი.
ისევ, უსაყვარლესო,
შენთან მინდა ალერსი,
დაგინერე, ა ლექსი,
გრძნობით უმხურვალესი.

21ე საუკუნის მთაწმინდის მთვარე

მთვარემ დაახველა და
ვარსკვლავები ამოაფრქვია,
ოზონის ხერეღმა
ცას ფილტვი გაუხვრიტა,
ჭლექი აქვს ამ უბედურს,
დააკვირდი,
სუნთქვაც როგორ უჭირს.

დიდუბის პანთეონი ტრიოლეტი

მე შემოდგომას მივყავარ ბალში,
ხმელი ფოთლები ფეხქვეშ კვნესიან,
ცრემლიან ფიქრებს გავშლი ამ ქარში.
მე შემოდგომას მივყავარ ბალში.

ზარების ხმაში კივილი ბავშვის
გაფითრდა ისე, ვით ეკლესია.
მე შემოდგომას მივყავარ ბალში
და ყრუ ფოთლები ფეხქვეშ კვნესიან.

შემოდგომის კახეთი

გახედე, კახეთში რა ხვავი მოსულა,
ლოყები - ატამი, თვალეები - ქლიავი,
ყურძნის კუმპალში მზე დგება ბათმანი,
წინანდალს აჟრჟოლებს იყალთოს ნიავეით.

რა ფერი იღვრება ამ მთათა კალთებზე,
დავწყველე სიკვდილი: სად არის ნიკალა?!
ძარღვივით გადახსნილ ალაზანს გახედე,
ზვარეში ასი წლის ვენახმა იხარა.

პირღია ჭურები ვერ ძღება სისხლებით,
დევეების მუცლები, რა გაუმაძღარი,
ყვარლის გულიდან დაძრული ნისლეები,
სიღნაღის ტყეებთან ავარდნილ ხანძართ.

ალავერდს, შუამთას ცხენების ჭენებით
მოივლის ბახუსი, მთვრალი და აშარი,
ნაწნავეებს დაიშლის მაყვალა ღობესთან
რომ სატრფოს გულმკერდში გრძნობების ლაშქარი
მოვარდეს ნიაღვრად, აქაფდეს ნაჟურად,
და თუ ვერ მოასწრო მან მკლავის განვდენა
გზაშარა ჩაიხვევს ბინდებად ჟრუანტელს,
არ ღირსო მთვარესთან სურვილის გამხელა.

შემდეგ კი ჭანჭურის ჭორებზე ხორხოცი
ატყდება, მაყვალა ყოფილა ორსულად,
წინანდალს აჟრჟოლებს იყალთოს ნიავეით,
თვალეები - ქლიავი, ატამი - ლოყები,
გახედე, კახეთში რა ხვავი მოსულა.

მინიმა

2

მე მწვანე ბალახით დაფარული მოედანი ვარ,
მაქვს ორი კარი, ერთი გული, ერთი გონება.
თამაშობენ თეთრები და შავები, მსაჯი ღმერთია.
შენ კი, შენ ვინ ხარ?!

მამა

ზამთარი იდგა,
ციოდა მეტად,
მთვარე იყო
თეთრი, კაშკაშა,
აივნის მოაჯირზე
დაყრდნობილნი
ფილტვებში ნისლით,
გულში სევდით,
თვალეებში ცრემლით,
ოლონდ ფარულით,
სიგარეტს ვნევედით
ლერს ღერზე
მამა და შვილი,
შვილი და მამა
და გამეფებულ მდუმარებას
ვერვინ ვარღვევდით,
ძნელი იყო წარმოთქმა სიტყვის,
თუმცა, დუმილიც თანდათანობით
იყო ძალზე აუტანელი...
აივნის ბოლოს,
კარებში, მარცხნივ,
მცირე ოთახში
კიაფობდა სანთელი თაფლის...
იქ იწვა ბაბუ,
დაკრეფილი გულზე ხელებით,
75 მეტე ზამთართან მდგარი
და მარადიულ გაზაფხულში დავანებული.
იქ იწვა ბაბუ...
ნაჯაფარ ხელებს
ამოსვლოდათ თითებში ვაზი,
ტუჩის კუთხეში

იდუმალ ღიმილს, დროში გაყინულს,
ელანდებოდა ათროლოება
ვაზის ყლორტების, სასხლავის ხმაზე,
და ვგრძნობდი სურნელს
ყამირებზე გადახსნილ მინის.
ფილტვებში ნისლით,
გულში სევდით,
თვალეებში ცრემლით,
ოღონდ ფარულით,
სიგარეტს ვწევდით
ღერს ღერზე
მამა და შვილი...
მეტად ციოდა,
მთვარე იყო
თეთრი კაშკაშა,
იქ იწვა ბაბუ
გათენების უცნობი მგზავრი
და იდგა მამა გახიდული
სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის...

თეთრი ცხელება

ღია ფანჯრიდან ციროზიან ღრუბლებს ვუყურებ,
ქვემოთ წყალია, მდინარეა,
ოთახში კი სუნთქვა დამძიმდა;
ჭიქაც სავსეა წითელთვალეა ჭიანჭველებით.
მე ლაზარე ვარ. სხვისგან ფეხმძიმე დედამინავ,
გაპატიებ ლალატს,
შენთან მოვდივარ, მოვეფერო მინდა ნაბიჭვარს,
ანდა იქნებ ყელი გამოვჭრა პურისმცხობელს
ტატუ რომ აქვს მხარზე “ლენორა.”
ჭიქა სავსეა სიცარიელით, შენთან მოვდივარ.
ციროზიან ღრუბლებს ვუყურებ, ვილაც მეძახის –
ხანდაზმულებს ყელზე ყულფის კოლიო ხიბლავთ,
ახალგაზრდებს კი ძლიერ უყვართ თავის მოწამვლა.
სარკის ნატეხი დაიტოვებს წვერის გაპარსვას,
უკანასკნელს, როგორც ჩანანერს.
უკანასკნელს, როგორც ღიმილს შეშლილისას, გე პატიება.
მე ლაზარე ვარ. ვილაც მეძახის
– ქვემოთ წყალია, მდინარეა, ზემოთ - ღრუბლები.

სოფლის ღამე

მორჩა, კალოზე გაღენეს ოქრო,
ხორბლით აივსო ძველი ნალია,
მთვარე ღრუბლიდან
ლურჯ ზღაპარს მოქსოვს,
სოფელში ღამე იღუმალია.

თავთავის სურნელს ვერ იტევს სივრცე,
მთებთან, ტყეებთან სიო ჩერდება,
ერთ სიცოცხლედ ღირს მოსმენა გლეხის,
ურმის ქრიალზე რომ ამღერდება.

მწვანეში ჩაფლულ ნაძვის ძველ ოდას,
გვიანი მგზავრის უყვარს სტუმრობა,
ტაბლაზე პური, ყველი და ღვინო
და უწყინარი გულით ხუმრობა.

ეზოში, ჭასთან ბებერი ცაცხვი,
ტოტებს რომ დახრის ძილისპირულად,
სიცვიით ჩამქრალ ბუხართან გლეხი,
ჩითის საბანში თვალს რომ მილულავს,

მაშინ გამოვა ღრუბლიდან მთვარე,
ტკბილი სიზმრებით სულში მთოველი,
შეჰყეფს ცუგრია, დარაჯი კერის:
ძილს მიეცაო ირგვლივ ყოველი.

დილა ნათელი

ფანჯარა გამოვალე,
ჩემი ჩაყვითლებული
თვალების მზერა
ცაცხვის ტოტებში
გაიხლართა,
როგორც ბებერი მთვარე.
ცა ისე ღრმაა და
ჰაერი ისეთი თბილი,
მომინდა, თვალებში ჩაგხედო,
გულში ჩაგიკრა და
პატარა ბავშვივით
დაგიკოცნო ბაგე და ყელი.
ეჰ, ლოდინი მომკლავს.
მივლასლასდები
ახლა ოთახის კუთხეში
და სანოლზე მოწყვეტით დავეცემი,
როგორც ტყეში უფოთლო რთხმელა.
ერთს კიდევ გავაბოლებ და
ალბათ, ფიქრში ჩამეძინება.
მამალი ყივის,
შემის ტკაცუნმა გამაღვიძა,
თურმე მოსულხარ,
შენი ხელები
უკვე ეტყობა ჩემ აშლილ ოთახს,
ბუხარი გიზგიზებს, ჩაიდანს დულს,
მელანით დათხვრილი
მაგიდის განმენდაც მოგისწრია
და ჩემი ბოდვებით
მომოფანტული
ყვითელი ფურცლებიც
ერთად შეგიკრავს.
თბილი რძის სუნი მათრობს,

აღბათ, პურზე გახვედი.
ვიცი, მალე შემოაღებ კარს
და ოთახში ხორბლის მარცვლებივით
გაიბნევა შენი ღიმილი.
ბედნიერი ვარ და მიხარია,
თურმე ღამით თოვლიც მოსულა...

მრავალჯამიერ

მრავალჯამიერ
ბევრგზის მტრისგან
აოხრებულო,
ჯიშძარღვიანო,
მოსაუბრევ მაინც
ღმერთთანა,
მრავალჯამიერ,
საქართველოვ,
მრავალჯამიერ
იმერამიერ,
დე, მშვიდობა
იყოს შენთანა!!!

ქურა

საშინელია ქურა,
ტანჯვას ბოლო არ უჩანს,
შეხედეთ, დალილ თვალებს,
ცრემლებით ნავალალებს;
სისხლი სდით ხელებს, ტუჩებს,
შიმშილით ნაჩაქუჩებს;
შეხედეთ, აგერ საპყარს,
ძმას ჩემსას, ითხოვს ხურდას,
ქურა აბერებს ბავშვებს,
ქურა ოცნებებს ქურდავს.
ვაი, თქვენ, ბოზო დებო,
მე მტკივა თქვენი გული,
მე მტკივა, რადგან ბედმა
არ გარგოთ სიყვარული.
აქ ძალლიც კია ცოდო,
ამ ღამით ნვიმა-ქარში,
შიმშილმა იცის ბოდვა,
დარდმა - ჭალარა თმაში.
მხოლოდ სიზმრები გიყვართ
იქ ვარდისფერად ცხოვრობთ,
ტუჩზე გაყინულ ღიმით
ტანჯვას იქ არ გრძნობთ მხოლოდ.
და მეც პოეტი ქურჩის,
თქვენთან ვარ წილნაყარი,
თითებს დღეს წერა უჭირთ,
დავლიოთ ისევ ვალით.
ხალხნო! თქვენ ხომ არ ითხოვთ,
დატკბით, თქვენ გთხოვენ ხურდას,
ქურა არ სწყალობს ცრემლებს,
ქურა ოცნებებს ქურდავს.

სახედარი

მოძველებულ ბადესავით
გამერღვა სული
და თევზებივით მოზიდული ვნებები
სინანულის მდინარეში გაუჩინარდნენ.
ფრთები აირეკლა ცამ,
დავაკვირდი და არ მიხდებოდა.
ვდგავარ ახლა და გელოდები შენ,
როდის ჩამოივლი ვირზე ამხედრებული
და მეტყვი :
- აჰა, შენთან სიყვარული.
მე გავიმეორებ :
- უმწეოა ბებერ სიძულვილთან
ეგ თოთო ბავშვი.
- აჰა, შენთან რწმენა.
მე გეტყვი ჩემს ნაძვის ხეს
არასოდეს სტუმრობდა ნიკოლაოზი.
- აჰა, შენთან ქალი და ოქრო.
მე გავიცინებ,
მინახავს, როგორ იშლება უდაბნოში
ქარის ნაკვალევი.
- აჰა, შენთან დაფნის გვირგვინი
მე გაგახედებ,
- შეხედე, მზე როგორ ჩადის.
- აჰა, შენთან სიკვდილი.
მე უფრო მეტად გავიცინებ,
არც კოლტია და ახლო-მახლო
ზღვაც არსად მოჩანს.
და ბოლოს მე გეტყვი -
მათხოვე, კეთილო კაცო, სახედარი
გათენებამდე.

დარდიმანდული

შენი თვალების ფანდებით
გავბმულვარ, ჩიტო, მახეში,
იღება შუშაბანდები
დილით ქუჩას რომ ჩაივლი,
ყვავილებს ხის აივნებზე
სიოც კი არხევს მაგ ეშხის,
გულში ათასს ფიქრს გავივლებ.
ჩიტო, გავბმულვარ მახეში.

გული აინია

გული აინია ფეხის წვერებზე
და იხედება შენს თვალებში იმ ბავშვივით,
რომელიც ღობიდან
აღუბლის ტოტის მოტეხას ღამობს.

გამგზავრების წინ

დგას შემოდგომა,
დასცვენიათ ხეებს ფოთლები,
ნათელ სივრცეებს მოუხმიათ
წეროთ გუნდები,
მე მეშინია,
მეშინია იმ გამგზავრების,
როცა შენ სახლში
სამუდამოდ ვერ დაბრუნდები.
გავლენ დღეები,
დაზამთრდება, სულში ჩამოთოვს,
გაიყინება სიყვარულად
ცრემლი გუგებში,
მძიმე ლოდინი
საფეთქლებთან თმებს გამითეთრებს,
და მოგონებით ატირდება
შენზე ნუგეში.
მე მოვიგონებ
იმ გაზაფხულს, მინდვრის ყვავილებს,
სასიხარულოდ რომ ჰყვავდა
ტბასთან ჟასმინი,
გამგზავრების წინ შემომხედე,
ცრემლებს ნუ მალავ,
გამგზავრების წინ
ეგ ხმა, ტკბილი, მომასმენინე.

კუბი

არ იფიქროთ, რომ პედანტი ვარ,
უბრალოდ, ფარდა გავასწორე,
ქოთნის ყვავილსაც დავეუსხი წყალი და
ლოგინი სიზმრებითურთ ავალაგე.

ნიგნები, საფერფლე, თამბაქო, კალამი,
თაროზე დავდე და
მტვრიანი მაგიდა
ჩვრითა და ღიმილით
მშვიდად გადავწმინდე.

ვუყურებ სარკეში, მიხდება პიჯაკი,
ეს თეთრი პერანგიც უთუოდ მიხდება,
ვუყურებ სარკეში და ვხედავ, იატაკზე
ხის ცხენი ქანაობს, ოთახის ჰაერზე,
და კედლის საათმაც გონგის ხმით დარეკა.

დავიღალე,
ცა, მეტჯერ
და ვ ი ლ ა ლ ე.

რომ არა შენი თვალები,
რომელიც ყოველ დილით
მზეზე ადრე იხილება,
მე წავიდოდი.

რომ არა მისი ჩუმი ლოცვა
სანთლისგან დამწვარ ხატთან,
მე წავიდოდი.

ღრმად ჩავისუნთქე,
არ იფიქროთ, რომ პედანტი ვარ,
უბრალოდ, ფარდა გავასწორე.

სანამ მეტყვიო

თავს იწონებს ქართლი ვაშლით
და გურია გულაბ მსხლითა,
სამეგრელო - უღვაშიან
სიმინდების ყანებითა.

რქანითელი შვენის კახეთს,
რაჭას - გვიან ბრონეული,
ზაფხულამდე ჰყოფნით სვანებს
შემოდგომა მონეული.

კიდევ არის ერთი კუთხე
აკაკის რომ უთხრა „ნანა“
სანამ მეტყვიო, ჯერ მე გკითხავთ,
რაა იმერეთისთანა?!

შესაქმე

აი, ახლა დავწერე ლექსი,
ისეთი ნაზი, როგორც პეპელა
და ისე მწველი, როგორც ყაყაჩო.
ვეფერები ყოველ სტრიქონს
და თრთოლვით ვკოცნი.
გაგიჟებით შემიყვანა
და ვფიქრობ - ეს ჩემია
უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.
ყოველ ასოს კრძალვით შევცქერნი
და ყოველ ტაეპს
ვიმეორებ გულში სათუთად.
ვარ ბედნიერი, მიხარია,
მწამს სიყვარული.
მიკვირს, ვით ვძლებდი აქამომდე
მე მის გარეშე.
წუხელ ჩამთვლიმა
და სიზმარშიც კი ვნახე იგი,
თითქოს ზღვის პირას ირწეოდა
ლერწმების დარად.
ჩამავალი მზის სხივები
მენამულად უნათებდა
ძონის თვლებით განყობილ
სპილოსძვლის გვირგვინს
და თეთრი კაბა უელვარებდა
საყდრის სიღრმეში.
მიზნედილი თვალებით
ის ჯვარს იწერდა ჩემზე
და ვივსებოდი,
ვით უკვდავება მარადისობით.
მე მწამდა იგი.
მაგრამ გავიდა დრო...
დრო გავიდა არც ისე დიდი

და კვლავ დავწერე ლექსი სისხლსავსე
და ახლა მივხვდი,
მცდარი იყო ის სიყვარული.
ნუთუ ბრმა ვიყავ,
ვერ ვხედავდი ყალბ ათინათებს,
რად ავყევი აღტყინების
უოკველ წამებს,
გაქრა ვნება და ხელში შემრჩა
სიმახინჯე შესაზარები.
ეს კი სულ სხვაა,
სულაც არ აქვს კდემა, სინაზე,
პირიქით, უხეშიც არის,
მძლავრი მდინარის ყოვლისწამლვე
შფოთვას მაგონებს,
ვით პირველყოფილ სილამაზეს
შიშით შევყურებ
და ვხედავ, სული როგორ ნებდება
ჯერ ხელუხლებ მშვენიერებას.
მე ახლა ვგრძნობ ველურ სიყვარულს,
სადაც შეხება უდრის სიკვდილს,
მაგრამ ძალუმად მიმაქანებს
ბრმა ვნებათელევა.
ვგრძნობ, როგორ იღვრება
გულიდან ბგერები
კლდის ქიმიდან გადმოვარდნილ
ჩანჩქერის მსგავსად
და ვილტვი შერწყმად
დედამინის ბნელი საშოსკენ,
სადაც სიტყვები აღმოცენდა დასაბამიდან.
ვგრძნობ ამ სტიქიის წკვარამ თმებიდან
მძაფრ სურნელებას,
რომელიც მოაქვს ქარს ჩემამდე
ძარღვებში გავლით.
ადუღდა სისხლი.
დაე, წამლუკოს მენწყერივით

მძლავრმა სრტიქონმა,
დაე, შთამნთქას ბრგე ბგერათა ქარიშხალმა,
უდაბნოების ცხელი ქვიშით აბორგებულმა.
სიცოცხლე მაინც განაგრძობს სვლას,
როცა ისმის აქლემების ზართა ჟღარუნი
აღისფერ კოცონთან მთვარის ლანდებზე.
ვიცი, უსაზღვროდ შემიყვარებს ეს მწვანე ხვლიკი,
მაგრამ გზები მომიხმობენ შეუცნობისკენ
და მოგვივით ავხედავ ზეცას.
არ ვცვლი განაჩენს.
წუთისოფელში ასე ცვლიან ლექსებს ქალები,
ქალებს — ლექსები,
რადგან მათში განსხვავებას მე ვერ ვხედავდი.
მუზავ, შუცნობო სულო, გამამართლე გველის წინაშე,
სიტყვის წინაშე,
რადგან ახლა დავწერე ლექსი.

ვინა ხარ შენ

ვინა ხარ შენ,
ასე სუსტი
და ასე ძლიერი...
ვინა ხარ შენ?!
ღმერთს რომ ეტოლები
და მუდამ მატლივით
დაცოცავ მიწაზე.
ვინა ხარ შენ?!
ვინ?!
– ა დ ა მ ი ა ნ ი.

დედა

მზე ამოდის ვებერთელა
შენ მგონიხარ, დედა,
მთვარე ზღაპარს მომიყვება
შენი ლოცვით, დედა,
ვარსკვლავები და და ძმები,
შენ მაჩუქე, დედა,
ციდან წვიმა წამოვიდა,
მე შენს ცრემლებს ვხედავ.
გაზაფხული მობრძანდება,
მომაგონდი, დედა,
გადამწვანდა მთა და მდელო,
გული ხარობს, დედა,
ხეებს კვირტი გამოუსხამთ,
გეფერები, დედა.
თავს იწონებს ყვავილები,
გულში გიკრავ, დედა,
ზაფხულია, მზე ეღვრება
ოქროს თაველს, დედა,
შენი გულის სითბო არის
ეს სხივები, დედა.
მთიდან წყარო მოჩუხჩუხებს,
წყურვილს ვიკლავ, დედა,
ეს ხომ, შენი ნუგეშია,
ხმადამტკბარო, დედა.
ჩითის კალთით შემოდგომა
შენ მომმადლე, დედა,
უხვ ფერებით მოფერებით
ჩამაფიქრე, დედა.
თონის პურის სუნი ვიგრძენ,
მომაგონდი, დედა,
ოდის ბანზე ჩურჩხელებით
მომენატრე, დედა,

ჭური ბადაგს აუვსია
ასე ტკბილი, დედა.
მატყლის წინდა მომიქსოვე,
შემამცივნა, დედა,
ომი! მიხმობს მე სამშობლო,
შენ მაკურთხე, დედა.
მაგ შავ ლეჩაქს გახუნება
შესტყობია, დედა.
ვაჰ, ზამთარი დგება ცივი,
თეთრი თოვლი კრთება,
თეთრი, როგორც შენი სახე,
თმაჭალარა დედა.
ყინვა შენი ცრემლებია,
ასე ცივი, დედა.
სიზმრებს ვხედავ, სანთლებს ვანთებ,
ლოცვებს ვამბობ, ვბნედავ.
მზე ამოდის ვებერთელა,
შენ მგონიხარ, დედა.
თვალზე ცრემლი გამეყინა,
მზეს მთებს მიღმა ვხედავ,
ენით უთქმელ სიყვარულით
გაგაღმერთებ, დედა,
სულზე ტკბილო, საესავო,
შენ, ქართველო დედა.

ცხვარიჭამია. ამაღლების მონასტერი.

ფრაგმენტი აივნიდან

მართობს აივნიდან ცქერა გოგონების,
ქუჩას რომ გადაკვეთს მზერა მოგონების,

უხვი ნაკადია მდელოს ყვავილების,
ხშირად აპათია მთრგუნავს გორგონების,

სტკივათ აივნები ჭადრებს, ჩადრიანებს,
გოგო კაფეშია, ბიჭი აგვიანებს,

წამებს წუთი მისდევს დროის დაქანებით,
ქუჩა სავსე არის უქმი მანქანებით,

ღრუბლის მაქმანებით მზე თვალს მიეფარა,
ქარმა დაუბარა ფოთლებს - მე აქ არ ვარ,

მზერამ მიაქარვა ქუჩას მოგონება,
მიყვარს აივნიდან ცქერა გოგონების.

ოდა
ლაზარეს მე13 ფსალმუნიდან
გიორგი კეკელიძეს.

ისლით დახურულ ოდას დაანვიმსო -
უთქვამს იოანეს,
და ღვარცოფით მოაშთობს ნაკვერჩხლებს
კერიაზე ნაცარში მინავლულსო
და გრიგალის ღრიალში შთაინთქმება
ურვა ცხოველთა.
მზე გაარღვევსო წკვარამ ღრუბლებს -
მითხრა მარკოზმა,
და შემდგომ ყინვისა აყვავდებიან
კედრები ლიბანისანი და კიპარისები ქანანელთა.
თივას დავუყრი მგელს და თხასო -
თქვა ლუკამ და გავიდა სათიბად
მდელიოზე ამბროზიისა.
სოფლის საძლომად თავთუხიდან პურს დავაცხოზო -
უთქვამს მათეს და ელოდება
ლაზარე სიტყვას.
მამალს კი გათენება არ უმცნია ქვეყნისათვის,
სიტყვა გამქრალა, ქვად ქცეულა ზღვაში ვეშაპი
და გველეშაპს მზე გადაუყლაპავს,
ჭეშმარიტება დამკარგვია ლაბირინთში და
წავსულვარ გამოსახსნელად,
გზაზე კი ყველი ვერ გამინურავს და
დევს მოვუკლივარ.
მას შემდეგ ვწევარ ხის კუბოში,
დღე მკვდარი ვარ და ღამე ვიღვიძებ,
ვიღვიძებ და ველოდები მზეთუნახავის მოსვლას,
მაგრამ ის არ ჩანს,
მხოლოდ ჭოტის ხმა აღწევს ჩემამდე:
იპოვე? — ვერაააა.

იქნებ ვინმემ წამიკითხოს ცისკარზე ლოცვა
უოლტ უიტმენის,
იქნებ ვინმემ მიგალობოთ მწუხრზე ფსალმუნი
თაგორის გიტანჯალიდან.

იქნებ

ღამემ ჩაიცვა შავი ძაძები,
სწუხს უმთვარობას და ცა ვალალებს,
მტანჯველი ფიქრით გონი ვერანი,
სულს ჯოჯოხეთში მიაქარავენებს.

ეძიე მანამ, ვიდრე გათავდე,
რომ სულით სისხლი გადაარჩინო,
იქნებ, იპოვო ფიქრის სათავე,
და იქნებ ღმერთი აღმოაჩინო.

საგაზაფხულო

სულს სწყურია წალკოტი,
თვალს ახარებს ბუნება,
მიყვარს ხოდაბუნების
ორჯერ გადაბრუნება.
ცაო, ცვარი ციური
ციდან გადმოაპკურე,
დილა მომეც მზიური,
დამლოცე, დამაპურე.
ხარო, მოხან სახნავი,
სიხარული ხურდება,
მიყვარს, როცა შრომაში
სიჭაბუკე ბრუნდება.
გასწი, ლაბავ, გუთანი,
გულს გიხსნიან ველები,
ღირღიტ, ბანი უთხარი,
მეც თქვენ მოგეშველებით.
სულს სწყურია წალკოტი,
თვალს ახარებს ბუნება,
მიყვარს ხოდაბუნების,
ორჯერ გადაბრუნება.

ჯერ საკეს გადავკრავ

შენ მეუბნები, რომ ჩავიხედო სარკეში,
რომელსაც აგერ უკვე თხუთმეტი წელია თვალს ვარიდებ.
კარგი, თუ სხვა გზა არ არის, ჯერ საკეს გადავკრავ
და მერე გავაპარებ თვალს ამ სიმახინჯისკენ.
ფუ, რა ამაზრზენია სამზერად სულის უფსკრულზე ტორტმანი მტ-
ვერის,
დაუჯერებელია, ნუთუ ეს ნიღბები მე მეკუთვნოდა.
ყველა კუნჭულში ყდაგადაშლილი წიგნები ყრია,
რომელთა ფურცლებიდან ობის სიმყრალე შხამად ეწვეთება წამებს,
რომლებიც სხვა სიხარულისთვის უნდა მიმეძღვნა,
უნდა შემეცნო სიცოცხლის სიყვარული და ერთგულება.
ნაცვლად კი ჩავიკეტე საკუთარ თავში და ადამიანში ვერ დავიხარჯე.
გზაზე დამრჩენია ტალახიანი ნაკვალევი
და ახლა ვანთხევ შხამს წყვედიადიდან, როგორც ასპიტი
და მეშინია მზეზე საკუთარი უმწეობის
და დავცინი შეშლილობამდე ჩემსავე თავის თვალებს,
რომლებმაც დაივიწყეს ცრემლი. ნუთუ ეს მე ვარ,
თუ შენ ხარ, მე ვარ თუ, შენ ხარ,
სიბერისაგან გაყვითლებულო და ღრმა ნაოჭებით დაღარულო,
ჩემში მყოფო მარადის ბავშვო?
ხმა ჩამიწყდება უეცარი დაკვივლებით, რომ სისხლი მინდა,
სისხლი მინდა, რომ ბუნდოვანი ზედაპირი
ათრთოლებული თითებით მოვწმინდო
ამ თხუთმეტი წლის ჩაუხედავ სარკეს, ან დავამსხვრიო.

მწუხრი გრანელის სავენეში

ოქტომბრის დღეა, ცაა ღრუბლიანი,
მწუხრი ახლოვდება, მზე ქარვად იღვრება,
ხის სკამზე ვზივარ და მძიმე ნალველი
გულში ისადგურებს, გაფრენა მინდება.

თეთრი ეკლესია ვერცხლისფერ გუმბათით
დგას მზით ანთებული, როგორც კელაპტარი,
მნათემ ზარს შემოჰკრა და გუნდი მტრედების
ეზოს მოეფინა, ფერთა ნიაღვარად.

თითქოს, ვილაც უკრავს, მძიმედ, როიალზე,
ვიგრძენ სურნელება ბგერების თანაბარის,
ვიცი, მომინდება, ქარში ხეტიალი
მტრედი სხივებს კენკავს - ბარათს დანაბარებს.

ქარიც აიშალა, ფრთებიც გაიშალა,
ფიქრებმა დაარღვია საფლავთა მდუმარება,
მზით გამთბარ მარმარილოს შევეხე,
მთრთოლვარებით,
და სულში გაიზარდა ტერენტი გრანელი...

როგორ დამავინწყდა მისი მისამართი
მწუხრი ახლო არის, მზე ქარვად იღვრება,
ზარი აგუგუნდა და გუნდი მტრედების
ქარში აიშალა, გაფრენა მინდება.

ღამე მეტეხთან

ფოთლები სტკივათ ხეებს,
არ ჩანს ექიმი ქარი,
ითვლის მტკივნეულ დღეებს
მეტეხთან რისხვით მტკვარი.

მოდის ბარბაცით წვიმა,
ტანზე დაეცა მეხი,
უცებ შეჰკივლა მთვარემ
და მთას წამოჰკრა ფეხი.

თბილისს კი მშვიდად სძინავს
ლურჯი სიზმრების რკალში,
მაკვირვებს, როგორც წინათ
ეს უზრუნველი ბავშვი.

ზარი რატომ დუმს, ნეტავ,
ალბათ, მთვრალია მნათე,
თურმე ღმერთებსაც სძინავთ,
მაშ, ღამეს ვინღა ათევს?!

ვდგავარ, ღრუბლების იქით
ვხედავ ანგელოზს შეშლილს
და ამ სურათის მნახველს
ვიღაც მიწოდებს შეშლილს.

მოდის ბარბაცით წვიმა,
ტანზე დაცემულ მეხით,
ისევ შეჰკივლა მთვარემ
კვლავ მთას წამოჰკრა ფეხი.

და ეს ტკივილი მთვარეს
შენ დაუამე, თარო,
გჩუქნი სიცოცხლეს ჩემსას,
ოღონდ დამშვიდდი, მტკვარო.

არ შემიშინდე, მთვარევ,
დამშვიდდი, ჩემო მტკვარო.

მიყვარხარ

იცო,
მე შენ მძულხარ
და მაინც მიყვარხარ...

იცო,
მე შენ მეზიზღები
და მაინც მიყვარხარ...

იცო,
მე შენ ვერ გიტან
და მაინც მიყვარხარ...

ყოველდღე ვამბობ,
დავშორდები-მეთქი და
კვლავ შენთან ვარ.

იცო,
შენ ბოროტი ხარ,
შენ სატანა ხარ,
შენ დემონი ხარ,
შენ გველი ხარ,
გველი ხარ, გველი!

ყველაფერი შენ
შემოგწირე,
რაც კი გამაჩნდა,
მე ეს ვიცი, ვიცი,
და მაინც –

რომ შემომხედავ,
რომ გამიღიმებ,
რომ ჩამიხუტებ,
მე მავინყდება ყოველივე,
რადგან მიყვარხარ!!!

თვლემდა ღამე

ღამე თვლემდა თბილ ბუხართან კაცივით,
შავ ღრუბლეზე მთვარე ეგდო ცარცივით,

რაც მე ვნახე ცხოვრებაში აფთარი,
არ გინახავს შენ იმდენი ზამთარი.

ვითომ ძმების, სად გამქრალან ლანდები?!
გადი, ოხვრავ, ფიქრში ნუ მეზღანდები.

გვიანია ახლა სევდა ამაზე,
არვინ მოვა, ადე, კარი ჩარაზე.

დარჩი მარტო ველზე მდგარი ცაცხვივით,
ჩათვლემს ღამე თბილ ბუხართან კაცივით.

სიგარეტის კვამლით, როგორც ნისლები,
ჩავლილია მოგონების ის წლები.

გარეთ ბარდნის, ყრანტალებენ ყვავები,
ოთახში კი იები აგიყვავდა.

შავ ღრუბელზე მთვარე ეგდო ცარცივით,
თვლემდა ღამე თბილ ბუხართან კაცივით.

დახილი

ჩემი სიგიჟე გაოცებს ახლა,
რადგან შემეხე სულით ხორცამდის,
მე შევიგრძენი ღამით მზის დახრა,
ხედავ? აღვაპყარ ხელები ცამდის.

სადა ხარ, ღმერთო! შენ გქონდეს ფრთები,
მო, გვირგვინები უნდა დაგიწნა,
სულს ჩავუშენე ცივი კედლები,
რომ საგიჟეთია დედამინა.

მინიმები

საათის ისრები ორი მეზრძოლი,
ერთი მხედარი, ერთი ქვეითი,
წამებშემორტყმულ ალყაში დგანან.

*

საათი - ჩემი უტყუარი მეგობარი
საგულდაგულოდ მინახავს
წუთისოფლიდან გასვლის საათს.

*

დაუნკეპია უღვაშები საათს,
სამს აკლია თხუთმეტი წუთი.

*

საათები დაფაზე დახატული იესოთი,
შარშანდელს აქეთ აღარ არის მოდაში.

საყვარელო ჩემო

მაგ ტუჩების გემო
ალუბლების მსგავსი,
საყვარელო ჩემო,
მაგიჟებენ ყმანვილს.
ეგ ღიმილი მანვიმს
ამ აპრილის თვეში
და ფერმკრთალი ღანვის
გულს მიტოკებს ეშხი.
მე მიჭირავს ხელში
შენი კაბა ჩითის,
ნახატებით ტყეში
ბუდეები ჩიტის.
აფეთქებულ კვირტის
დგას სურნელი ამო,
ვსუნთქავ ხარბად ჰაერს
შენი თმების გამო.
მაგ ტუჩების გემო
ალუბლების მსგავსი,
საყვარელო ჩემო,
სიკვდილამდე მასვი.

* *

ბათუმში მაინც
ზღვა სულ სხვა ფერია,
ბულვარში დადის
ათასი ფერია,
ქერათმიანი, შავთმიანი,
ცისფერთვალეზა,
კაცს ლამაზისთვის
არაფერი დაგენანება.
პალმების ჩრდილქვეშ
გამხელილი გრძნობა მზისფერი,
პირველი კოცნა,
მოლოდინი სანატრელ სიტყვის,
რომ ათრთოლებულ
გულს ავსებდეს ცა იისფერი,
და სიხარულის
ცრემლმა ცხელი ბაგე დასეტყვოს.
ვინ იცის, რამდენი
ახსოვს ბათუმს ასეთი ღამე,
შეყვარებულის თვალზე ცრემლი
ზღვით მოკამკამე,
ვინ თქვას,
რამდენი ნაზი გული ცივმა ღიმილმა
სამარადისო ტანჯვისათვის
ვით გაიმეტა
და რაოდენმა თავმოყვარე უარყოფილმა,
როგორ იპოვა
ზღვის ტალღებში ხსნა და იმედი...
ეჰ, ალბათ ბათუმს
ბევრი ახსოვს ასეთი ღამე,
შეყვარებულის თვალზე ცრემლი,
ზღვით მოკამკამე

და კიდევ მეტი...
ზღვის ნაპირზე ტრფობა, ალერსი,
ახლაც ემჩნევა ქვიშას
კოცნა უმხურვალესი.
მე ვზივარ ზღვასთან,
იძირება მზე ლურჯ ტალღებში
და ველოდები
გემს, რომელსაც ჰქვია ოცნება.
შორს, განითლებულ ჰორიზონტზე,
მოჩანს თოლია
და ვგრძნობ ქარიშხალს,
აღარ მრჩება დრო საოცნებო.

სოფლის გზებზე

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
გალაკტიონი.

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები შემშლიან,
ქარი ჰქრის,
ქარი ჰქრის,
ქარი ჰქრის,
ქარი ჰქრის.
ეს გზები ნაცნობი, მე უკვე შემშლია,
და მაინც,
მეეტლევ, ცხენები გარეკე!

გული ხურს,
მახარებს
ამ გზებზე დაკარგვა,
უცნობი,
ნაცნობი, გაშლილან ქალები.
არ ვიცი, სიცოცხლევ,
მე შენ რა დაგარქვა,
სიხარულს ვერ ვმაღავ,
ცრემლის მდის ღვარები.

ეს გზები ნაცნობი, მე უკვე შემშლია
და მაინც,
მეეტლევ, ცხენები გარეკე;
ფიქრები, ფიქრები, ფიქრები შემშლიან,
ქარი ჰქრის,
ქარი ჰქრის,
ქარი ჰქრის,
ქარი ჰქრის...

დედა

ვუმზერ წლებია,
არ იცვლება შენი თვალები,
ვუსმენ წლებია,
არ იცვლება ეგ ხმა ნარნარი.
ოდესღაც ქორფას,
მე ვეხები შენს დამჭკნარ ხელებს
და თვალზე მომდის
ცრემლი ღვარღვართ.

საქართველოს

შემოვიარე მთები და ზვრები,
მდინარეები, ტბები, ჭალები,
მაგრამ რა არის სხვისი სამშობლო,
მე საქართველოს ვეთაყვანები.
როცა გავხედავ კრწანისს და დიდგორს,
როცა მევსება ცრემლით თვალები,
მე საქართველოს სისხლიან წარსულს
ვემონები და ვეთაყვანები.
ვისაც ხმალი და თასი უჭირავს
ხელში მედგრად და თან მოკრძალებით,
მე სხვისი დედა რად მინდა ქართველს,
მე ქართლის დედას ვეთაყვანები.
ლონდონი, რომი, პარიზი, ვენა,
მთელი ევროპა მბორგავ ალებით,
იქნებ სჯობია, მაგრამ მე მაინც
ჩემს თბილის ქალაქს ვეთაყვანები.
შევდივარ ეშხში, დაასხით ღვინო,
დე, ველურ ფაშატს დასცვდეს ნალები,
ქალი ქალია, თუ გინდ ჩინელი,
მაგრამ მე ქართველს ვეთაყვანები.
მტერმა რომ მომცეს ულევი ოქრო,
ან რწმენის შეცვლა სურდეს წამებით,
მე მაინც სიონს, ალავერდს, ბაგრატს
და სვეტიცხოველს ვეთაყვანები.
როცა გავხედავ მარაბდას, მარტყოფს,
ომი! გასძახებს მთა მთას ბრძანებით,
ჩემი წარსულის სისხლიან ფურცლებს
ვემონები და ვეთაყვანები.
შემოვიარე მთები და ზვრები,
მდინარეები, ტბები, ჭალები,
მაგრამ რა არის სხვისი სამშობლო?
მე საქართველოს ვეთაყვანები!

მომავალი ცხოვრება თქვენ პროგრესულ ელემენტებად ვერ ჩაგ-
სთვლით. დიად, ვერ ჩაგსთვლით, ვიდრე სამღვთო წერილის მცნე-
ბათა თავისებურად გამოყენებაზე ხელს არ აიღებთ და არ მოიშლით
მეჭურჭლის ხელობას, რომელიც ქოთანს საითაც ჰნებავს, ყურს იქ
გამოაბამს..... ვსტყუი?

ვაჟა - ფშაველა.

სისხლით შეღებილი კვართიც მიხდება და
ოცდაათ ვერცხლად დაწნული თოკიც, მე ადამიანს
და რატომ ცდილობთ, რომ გულიდან ამომგლიჯოთ ისკარიოტელი?!
და რატომ გინდათ, რომ შეურაცხყოთ ჩემში იესო?!
ნუ გახლერთ შუაზე ვაშლივით ჩემს სულს!
მინდა, ვსუნთქავდე ხელოვანში მთლიანი და განუყოფელი.
თქვენ არ ხართ ხიდი მუცელზე დასვენებული ჯვრებით,
ის ჩვენთან არის სიხარულით,
როცა სარეცელზე სიყვარული გაზაფხულდება.
შიშია თქვენი იარაღი, სიცრუის მქადაგებელნო,
მძიმე ლოდებით გსურთ, ამოქოლოთ ჩვენში ჭა ვნებით სავსე,
რომ თავი უფრო ცოდვილად ვიგრძნოთ
და ჩვენც, ადამის მეორე ცოლის
ცნობისმოყვარეობაში დარწმუნებულნი,
ცხვრებივით, მოვდივართ და გიყვებით
ძილში ნამოცდენილ სიზმრებს.
ვინ მოგცათ უფლება, ღვთის სახელით ილაპარაკოთ?!
თავად ურწმუნონო, აგისხამთ ოქრო-ვერცხლი და
მშიერთ და მწყურვალთ, ნახირივით მორეკილვებს,
გვაცოხნივით რძედამშრალ სიტყვებს
თქვენ მიერვე ჩამატებულს ზღაპრების ნიგნში.
რად უნდა უფალს ჩემი სანთელი, თავად ელვარეს?!
რად უნდა უფალს მოლულლულე ჩემი ლოცვები?!
მის ჰანგებზეა აგებული მთელი სამყარო.

მოვა დღე, როდესაც დავძლევთ შიშს
თქვენგან ჩანერგილს და დაგემხოვით ტაძრები თავზე.
მე შემოქმედმა შემოსა კვართით და შემოქმედმა შემაბა თოკიც
და ასე ვივლი მზის ირგვლივ აღსასრულამდე. ვსტყუი? — ჩამქოლეთ!

თეჯნისი

უთქვამთ ქვეყნად, სიყვარული მწარეა.
ეძებ ვარდს და ჰპოვებ ეკალს, მწარეა,
ედემს ხილი ხან ტკბილი, ხან მწარეა,
აღგიტაცებს წამ, წამ იყო დაგული.

ყურს თუ უგდებ, რა ტკბილია ზარები,
შორს გეგულვის მაშინ გახლავს, ზარები.
სად არ ჟღერენ ძველი საყდრის ზარები,
მუნ კელაპტრის ალი არის, დაგული.

ია, ხარობს, ველზე რამდი დარია,
მზე რა შთახდა, ღამემ ფიქრი დარია.
ვინც შარბათად შესვა, რა მდიდარია,
შენ შხამად სვი, მით ხარ გულო, დაგული.

მდულარე ცრემლებით
 ვიგონებ რეპრესიებს,
 იმ სისხლით უძღებ წლებს,
 პაოლოს ჩახმახის შეყენებას,
 ტიცციანის მწარე ლექსს,
 მწარეს, წინასწარმეტყველურს,
 პოეტი ეთხოვება მზეს.
 „თუ ჩვენი თავები
 დაგორდეს ლელესთან
 იცოდეს ყველამ,
 ესენინ ჰყავდა
 ძმად ცისფერ ორდენს.“
 უბრალოდ განსჯილთა
 საკნებს, ჯოჯოხეთს,
 ღამით წამებულთ,
 ტანჯულთა ცრემლთ,
 ცისკენ გახიზვნას
 ჯავახიშვილისას,
 სიმწრით, კბილებით
 დანყვეტილ ჯაჭვებს.
 დაჩეჩქვილ თითებს,
 დაძრობილ ფრჩხილებს,
 ტვინში აზელილ
 ჭაღარა თმას,
 გადასახლებულ
 ცოლსა და შვილებს,
 სამსხვერპლოზე ზვარაკის
 შემზარავ ხმას.
 შეშლილის თვალებს
 ზეცისკენ მზირალთ:
 რისთვის, უფალო?!
 – მდუმარებს ცა,

მთვრალს სისხლისაგან
კაენის ხარხარს.
ჯვარს ეცვი,
საშველი არ არის სხვა.
სისხლით დაფერილ
დროშას ეამბორე,
როგორც კვართს უფლისას
თაყვანი ეც.
მამალი ყივის და
გაეცი თაბორი,
ყვიროდა ჯალათი:
თქვენც გარგებთ ვერცხლს!
იმედი არ ჩანდა,
ხსნა იყო სიკვდილი,
სასხლეტი სიჩუმეს
არღვევდა ხანდახან.
ხითხითი:
ვაზნაში ტყვიები არ არის.
შიშისგან შეშლილის
ცრემლი და სიცილი
კვნესად იქცეოდა
გოდებად... თანდათან
სისხლით შეიღება
მთვარე და ცარგვალი,
ჭინკა მზის ასულთან
ინერდა ჯვარს,
სასტიკ ოცდაჩვიდმეტს
როგორ გადაურჩა -
ვიგონებ გალაკტიონს
და ფიქრი მკლავს.
ტკბილია სიცოცხლე,
სიცოცხლე მწარეა,
ქარცეცხლში გამოვლილ
სულს ვაპყრობ თვალს,

მხოლოდ ის ერთი
გადარჩა მგზავრი,
ვიგონებ გალაკტიონს
და ფიქრი მკლავს.

მინიატურები

მიჯნურთათვის
წელიწადის ოთხივე დროზე.

*

გაიფურჩქნება ეს გული ახლა,
როგორც კვირტები ამ გაზაფხულზე,
ცისფერ თვალეში ჩაგხედავ, კარგო,
და მოგიყვები ლექსებს წარსულზე.

*

მზემ მიაღწია პიკს და გახელდა,
ქარვად დაადნა მიდამოს ყოვლით,
მოვა სალამო და შავ დალალებს
ოქროს თავთუხებს ჩავანწავ თრთოლვით.

*

ვენებს გადავხსნი ბებერ საწნახელს,
ქვევრებს დავხეთქავ სისხლისფერ ღვინით,
შენი კისკისით ავაჯსებ ბელლებს
და გრილ ღამეებს მოვშირმავ ღვინით.

*

დადგა ზამთარი, მთებს თეთრად ბარდნის,
გადის ბუხართან მდორედ ცხოვრება,
შენ რომ პირველად მაკოცე თოვლში-
მე სიკვდილამდე მემახსოვრება.

ჰეი შენ ასე იტყოდა ზარათუშტრა

ჰეი შენ,
წინაპარო ჩემო, ათას წლის წინათ
შიშით რომ წარმოთქვი და რომ დანერე
ქრისტე მოდისო,
ჩემო წინაპარო, ათას წლის შემდეგ
კარძალვით გაუწყებ: ჯერ არ მოსულა,
ჰეი შენ,
შემდგომ ათას წლის შთამომავალო ჩემო,
გეტყვი, გახარებ, რომ ის არ მოვა.

მზე კაშკაშებდა

მეტროს ვაგონში
ვიჯექი და
ალარც კი მახსოვს,
რაზე ვფიქრობდი,
მხოლოდ ის მახსოვს,
ქალი და კაცი
იდგნენ კარებთან
და საუბრობდნენ
მათთვის რაღაც
მნიშვნელოვანზე.
ბორბლების ხმაურს
დაძაბული ვტაცებდი სიტყვებს
– ნუთუ არ გესმის
ლელავ ჩემო, კვნესა ამ გულის,
არგალიმებაც შენი ახლა
ტოლფასია მძიმე ლალატის.
დარჩი კვლავ ჩემთან,
იქნებ, ღმერთმა შვილიც გვაჩუქოს...
ლელავ, ძვირფასო,
არ დაუჯერო ახლა დედაშენს,
ცივი გონებით ნუ იმსჯელებ,
გულით განსაჯე.
ქალს კი ლოყაზე
დაუცურდა ყინულის ცრემლი,
შუბლზე აკოცა მამაკაცს და
რუსთაველის გაჩერებაზე
უხმოდ ჩავიდა.
მარჯანიშვილზე ამოვედი
მძიმე ნაბიჯით,
მზე კაშკაშებდა...
მაკდონალდსთან ფერად ბუშტებით
წაიქცა ბავშვი,
მაგრამ ღიმილით წამოდგა და
მზისკენ მოკურცხლა,

დედის თვალეებში აჩქარდა გული,
მზე კაშკაშებდა...
ჭადართან ვნახე
ცარიელი არყის ბოთლები,
ნეტავ, რა სევდა ჩაკლა სულში,
რა ანუხებდა.
ვინ იცის, როგორ დასრულდება
ცხოვრების დრამა.
მზე კაშკაშებდა..
გაჩერებაზე ჩამოვფექი,
ფიქრში მოვხუცდი,
წინ შავი ძალღი ამეტუზა,
ღრმა სველ თვალეებით,
მის მზერაში დავინახე
ჩემი იმედის
დათრგუნული უნუგეშობა,
მე იქ ჩავსახლდი.
უცებ მოვიდა სუსტი ყმანვილი,
ყურმას ფუნთუშა გადაუგდო,
და მონყალეზას მიაყოლა
გულცივი წიხლი.
მე ყველგან მოვკვდი...
მზე კაშკაშებდა...

დამალობანა

როცა გითხრა - ი
მზეო, ამოდი,
როცა გითხრა — ე
გამოჩნდი მთვარე,
ვიხილები და
მოვდივარ.
ჭია-ჭია, მაპოვნინე,
მე შენ დედას
გაპოვნინებ.
ტყეში არა ხარ,
წყაროსთან არ ხარ,
მინდვრებში არ ხარ,
ალუბლის ტოტთან,
მაყვლის ბუჩქთან,
თხილთან, ყურძენთან,
ყველგან მოვედი,
მაგრამ მაინც
ვერსად გიპოვე.
იიიიიიიიიიიი!
გამარჯვებულო,
ბავშვობავ ჩემო,
გა-მო-ჩნდი!

Marlboro

დამზადებულია დედამიწაზე.

ბედის 20 ფიქრიანი გარდაუვალობა
ან შემთხვევითობა.

არასრულწლოვანთათვის აკრძალულია სამოთხე,
ასევე ჯოჯოხეთიც, ოცნება და იმედგაცრუება,
პესიმიზმი და ოპტიმიზმი, სექსი და ქორწინება.
სიყვარული იწვევს ნაადრევ დაბერებას.

კუპრი — 12 მგ წარსული. ნიკოტინი – 6 მგ ანწყო.
მხუთავი აირი – 9 მგ მომავალი.

გრძნობების გაცვეთის სამინისტრო გაფრთხილებთ, რომ
ლექსების წერა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.
მთანმინდა კლავს.

შტრიხკოდი 29.04.2010.11,30

წინამურისთვის

გულმა გული, ხელი ხელმა
ვთქვით ცოტა და ვწერეთ ბევრმა.
როს ჯვარცმული დავიტირეთ ბრიყვმა ერმა,
ფურთხის ღისრი ხარ, საქართველოო,- თქვა წერეთელმა.

მეტროს სიზმარი

ისევ მეტრო, ისევ ბორბლის ხმაური
მესმის, ღმერთო, ხმები არაქაური,
აქ ღიმილი, გაყინული ბაგეზე,
ვხედავ თვითმკვლელს ცდუნებისკენ აქეზებს.
გათენდება ხვალ დღე ისევ მოწყენის,
ბედი ავი ხაფანგს ისევ დამიგებს,
გვირაბში ვარ, ცას ვერ ვხედავ მოწმენდილს,
დავიღალე, ვუხმობ არსთა გამრიგეს.
ფეთქავს გული, მძიმე ბორბლის არის ხმა,
დუდუნ, დუდუნ,
დადან, დადან,
დადანი,
სარკმლის სხივზე სევდა უფრო არის ხსნა,
ვიდრე ერთად ყველა დიდი ტაძარი.
სამ კარებში დგას სამი ანგელოზი,
“ელი ელი ლამა საბაქტანი”
დახეულ ქუდს იხდენს, როგორც ავგაროზს
არყით მთვრალი წმინდა კეთროვანი,
ჯვარს ეცმება 13ვე სადგურზე,
რომ ამაღლდეს ზიზღნარევი მზერით,
აზიარებს ყურშა ქერუბიმასაც
ნაგვის ყუთში გადანახულ კვერით.
ფიქრით მინას მიეყინა გუგები,
მემანქანევ, რონოდები დაძარი,
არ ადარდებს ბორბლებს რელსზე სისხლები
დუდუნ, დუდუნ,
დადან, დადან,
დადანი,
ისევ მეტრო, ისევ ბორბლის ხმაური,
მესმის, ღმერთო, ხმები არაქაური,
- აქ ღიმილი გაყინული ბაგეზე
ხსნას ვერ პოვებს მდუმარების ბაგასთან,

თქვა მოხუცმა გულში დაგვიანებულ
თეთრებს როცა ხმელი ხელით ითვლიდა
სინანულით ამავალმა მაღლობზე.
ფერად-ფერად ქიმერებში მიქრის დრო,
ქვიშის საათს აკლდებიან ნუთები,
ვილაც გოგო სკამზე ვნებით ირწევა
წამწამებზე აყვავებულ თუთებით,
ბავშვს შესცინა მიბნედილი თვალებით,
სურვილისგან ბაგე სისხლით აევსო,
ეტყვის არტისტს - ძუძუ ბროწეულები
შენთვის ყვავის, ჩემო უზემთაესო,
თუმც არ უწყის: სიყვარულის პეპელა
მაღე კვდება, სურნელებით დამთვრალი,
დრო ყვავილებს თელავს მძიმე ბორბლებით,
დუდუნ, დუდუნ,
დადან, დადან,
დადანი,
შუშამ სახის აირეკლა ხატება,
ან მე ვინ ვარ, ან საიდან მოვედი,
სიზმრის მდედარს, მაფრთხობს ლანდი ჩემივე,
მკვდრებს დავჩხავი საზარი კაპოეტი.
შორს დიდება, დაე, თოვლი გაშავდეს,
ცეცხლს მიეცით ჩემი ლექსი ნაცარი,
თუნდაც ქვესკნელს ლუციფერი აშარდეს,
მემანქანე, გააქანე, დაძარი!
აჭრიალდა თოვლზე მძიმედ ბორბლები,
დუდუნ, დუდუნ,
დადან, დადან,
დადანი,
გვიან ვხედავ, ვხედავ სკამზე, მონყენილს,
ცრემლებს, მდელოს ყვავილებად არიგებს,
მაგრამ ბნელში ცას ვერ ხედავს მონმენდილს,
სუნთქვა უჭირს კვამლში ყოვლთა გამრიგეს.

კაპრიჩოები

გუშინ იყო მენაგვე,
დღეს გახადეს მინისტრი,
ძნელია დიდკაცობა,
თავი სტკივა ღვინის სმით.
რომ ისწავლა ჰალსტუხის
მორგება და განასკვა,
კაცი ვარო იფიქრა,
ბრძენი ვარო დაასკვნა.
რალა ბევრი მოგიყვით,
ახლა არის კანცლერი,
მაგრამ ოთხ წელიწადში
კანცლერს ელის კარცერი.
რადგან მოვა მთავრობა,
ფიქრებსაც რომ გაუცრის,
მერე იმ მთავრობას კი
სხვა მთავრობა აუცრის...

*

ისე უჭირდა,
სიბეჩავემ ცრემლი ადინა,
ახლა გამდიდრდა,
მოილოცა მექაც, მედინაც,
მაგრამ, თავხედი, არ უბრუნებს მაინც
ერთ დინარს.

*

ხიზილალა და დილით ჩაის სმა -
ფული იშოვა ვილაც მურდალმა,
მერსედესში რომ ქალი ჩაისვა,
მაშინ უმტყუნა გულმა მუხთალმა.

*

სიჭაბუკეში ექიმმა შეცდომით
სიბრძნის კბილი ამოუღო,
მას შემდეგ კი იმდენი ტყუილი თქვა,
დღეს მისი სიმართლის არავის ჯერა,
მას კი - მათი.

სტუდენტი და ბუკინისტი

რაის ბოდლერი,
რისი ბერნსი,
ან რა ფეტეფი,
პოეტი გინდათ
ა, ბატონო გალაკტიონი!
ღმერთი ახსენეთ?
გეთქვათ ეგრე, აი, რუსთველი...

ბოროტების ნანინა

სისაო ტურა, სისაო,
ვერ ნახო ნათელი ცისაო,
ნანინას ნაცვლად გესმოდეს
ყმუილი შავი მგლისაო.

სისაო ტურა, სისაო,
ჭამე გულ-ღვიძლი მკვდირიასო,
ლოცვების ნაცმდალ გესმოდეს
ხმა მეხის და მენყრისაო.

სისაო ტურა, სისაო,
რისახვა დაგატყდეს ღვთისაო,
პურს სთესდე, ნაცვლად იმკიდე
მორიელსა და რწყილსაო.

სისაო ტურა, სისაო,
ნუ მოესწრები შვილსაო,
გციოდეს მზე არ გათბობდეს,
ბოლო ვერ ნახო გზისაო.

სისაო ტურა, სისაო,
კერძო შენ ეშმაკისაო,
ნანინას ნაცვლად გესმოდეს
ყმუილი შავი მგლისაო.

ვით თავის თავი

“მკვდრები არიან ყველა ღმერთები”
ნიცშე.

სულის უფსკრულებს ჩააცქერდა, როგორც არწივი,
მღვრიე თვალები მიაჩვია შიგნიდან მზერას,
ვით თავის თავი, შენც ისე, ღმერთო,
ვერ შეგიცნო, ვერა და ვერა.

და თუ მაინც სთხოვ, შენს ხატს და სახეს
ბრიყვს და უმეცარს, მეტი იცოდეს,
შენც ისეთივე არარა ჩანხარ,
როგორც ამაო არის სიცოცხლე.

გაიხედე გარეთ

გაიხედე გარეთ,
რა ლამაზად თოვს,
თოვლის თეთრი ჩოხა
ჩაუცვიათ მთებს.
იშლი წითელ თმებს
და თამბაქოს ბოლს,
უდარდელად ატან
წარსულ მიძიმე წლებს.
არ ანათებს მზე
და შიშველი შენ,
როგორც ამორძალი
დგახარ სარკის წინ.
გრძნობ აგზნებას თბილს,
და საოცრად ნელს,
მხოლოდ უდარდელად
წლები ასე დის.
ელოდები ცოლის
მოლალატე ქმარს,
ვერ თმობ ფაფუკ სანოლს,
ოქროს ჭაღებს, ბროლს,
წლები ასე ვლის,
შენ კი ცეკვავ ვალსს,
გაიხედე გარეთ,
რა ლამაზად თოვს.

ზღაპარდ თქმული

შენ არ გჯერა, რომ
ხუთკუნჭულა ოქროსქორიანი
ყმანვილი იყო;
შენ ვერ იჯერებ, რომ
დევების დედამ ღრუბელი მონველა და
ირემმა რქებით მზე დაიჭირა;
შენ არ გინდა, დაიჯერო, რომ
მზეთუნახავი ქვად იქცა,
ქვაზე ლერწამი ამოვიდა,
ლერწმიდან კი მწყემსმა
სალამური გამოთალა და იმ
სალამურიდან შაში ამოფრინდა.
აბა, როგორ დაგაჯერო, რომ
ჩემმა ბაბუამ ჭინკა ნახა,
როცა ტყეში მიდიოდა,
ხის მოსაჭრელად,
ჭინკას უთქვამს - სიკეთე მიყავ,
ზურგზე შემისვი და
ღელეზე გამიყვანეო.
ბაბუას კი მოუქნევია ნაჯახი
რაც ძალი ჰქონდა და
შეუკურთხებია -
დაიკარგე აქედან, ეშმაკის ნაშიეროო.
უცებ ნისლი ჩამონოლილა,
ნისლს თავსხმა მოჰყოლია
ბაბუა კი სახლში ბეჭმტკივანი დაბრუნებულა,
ბუხართან დაწოლილა და
დაღამებას დალოდებია.
ღამე ბებიას ობლის კვერი გამოუცხვია,
კვერზე ნაცარი მოუყრია და
შავტარიანი დანით ჯვარი დაუსვამს,
შემდეგ ლოცვაც უთქვამს გამოსალოცი:
აღისასა, მალისასა, შეგილოცავ თვალისასა,
შინაურისა, გარეულისა ავ თვალისა, ავ გულისა,

ძალმა შეგაშინა - მგელმა დაგლიჯოსო,
თავმა შეგაშინა - კატამ შეჭამოსო,
ანგელოზმა შეგაშინა - ეშმაკმა დააფრთხოსო.
შიშო, შიშო, მშიშარაო, თუ ბიჭი ხარ,
ცხრა მთას იქით რომ შავი ხარი კალოს ლენავს,
ბეჭი იმას აატკივეო.
მერე კვერი და ნაცარი გარეთ გაუტანია,
კვერი მინაში დაუმარხავს, ნაცარი კი
ჩალურჯებული მთვარისთვის თვალელებში შეუყრია,
ვარსკვლავებმა ბატონებად გამოგაყაროსო.
მერე ბაბუას ხარის რქა არყით გაუვსია,
გადაუკრავს და ჩითის საბნის ქვეშ
ტკბილი სიზმრები დასიზმრებია.
აბა, როგორ დაგაჯერო ეს ყველაფერი,
როცა ვერ იჯერებ,
დევების დედამ ღრუბელი მონველა და
ირემმა რქებით მზე დაიჭირაო.
შენ არც ის გჯერა, რომ ის ჭინკა
მას შემდგომ ბაბუას ყმადნაფიცი გამხდარა,
ყოველ წელს ესტუმრებოდა შემოდგომაზე და
ყურძნის დანურვაში ეხმარებოდა თურმე.
მე კი მჯერა ეს ყველაფერი, რადგან ჭინკა
ყმანვილბიჭობაში მარანში ვნახე.
ჭურიდან ორშიმოთი ღვინოს იღებდა და
რომ დამინახა, მიმიპატიჟა.
გამთენიამდე ჭინჭილებით ვსვით.
მას შემდეგ დავინწყე ლექსების წერა.
შენ კი არ გჯერა,
მზეთუნახავი ქვად რომ იქცა,
იმ ქვაზე კი ლერწამი რომ ამოვიდა,
იმ ლერწმიდან რომ მწყემსმა სალამური გამოთალა,
იმ სალამურიდან რომ შაშვი ამოფრინდა.

თავდავინცება

შენი თვალეები როცა ცეცხლს აფრქვევს,
მე უფრო მინდა აგინთო ვნება,
შენი ხელეები ჩემს ღელვას ამხელს,
ჩემი ტუჩეები – შენს სათნოებას.

მაინც რა არის ვნება შლეგური,
როცა ცახცახი აიტანს სხეულს,
გაგზნებს პერანგი ძირს დაგდებული,
და შენ გიყურებ მუხლზე დაცემულს...

და შენ გიყურებ და მეც ვეცემი,
და გეტმასნები, ვით ალვას სურო,
მე ვიჭერ სულით შენს ფაქიზ სურნელს,
შორს განდევნილსაც რომ მომესურვო.

როცა გაივლის დრო - მდორე წყალი,
მე ვიგრძნობ წყურვილს, სურვილს შენ გამო,
იქაც მომიტანს შენს სურნელს ქარი
და კვლავ აღმართავს ამ ლურჯ საღამოს.

მაგრამ ახლა კი, როცა ცეცხლს აფრქვევ,
მე უფრო მინდა დაგიცხრო ვნება,
ჩემი ხელეები შენს ღელვას ამხელს,
შენი ტუჩეები — ჩემს სათნოებას.

პოეტებს ჯილდო რად გვინდა,
პოეტებს გვინდა კალამი,
ავაფრიალოთ, მგოსნებო,
მარადისობის ალამი!

პოეტს მთვარეც კი მეყოფა,
ვარსკვლავები და მზენვია,
რად მინდა ოქრო, როცა დღეს
ლექსი სიცოცხლის მეწვია.

მამულის მთებიც მეყოფა
და ჩანჩქერები მჩქეფარე,
განა მოითხოვს ბაჯალლოს,
ბუჩქში ბულბული მყეფარე?!

მე გალიმებაც მეყოფა,
ეშხით დამთვრალი ქალისა;
შემოგებება ვაზების,
გათქვირულ წინანდალისა.

მე უფლისციხეც მეოფა,
ყაყაროსფერი ყვავილი,
ნუგეშად ისიც მეყოფა
რუსთაველზე რომ გავივლი.

თვითონ სიცოცხლე მეყოფა,
სიკვდილთან შეურიგალი,
ვით თეთნულდიდან მომსკდარი
წარღვნად წამლეკი გრიგალი.

მტკვარიც მეყოფა, არაგვიც,
ენგურიც, ფრონეც, რიონიც,
შოთაც, ილიაც, აკაკიც,
ვაჟაც და გალაკტიონიც.

ხელადა ღვინო მეყოფა,
მეგობრის ტკბილი ალერსი,
დედის ცრემლები, დაღვრილი,
სულისთვის უმხურვალესი.

მე საქართველო მეყოფა,
მტრისაგან დაუძლეველი
და ანგელოზი ყინწვისის,
გელათის საკურთხეველი.

პოეტს მთვარეც კი მეყოფა,
ვარსკვლავები და მზენვია,
რად მინდა ოქრო, როცა დღეს
ლექსი სიცოცხლის მენვია.

პოეტებს ჯილდო რად გვინდა,
პოეტებს გვინდა კალამი,
ააფრიალეთ, მგოსნებო,
მარადისობის ალამი!

შავი და წითელი

თარაშს (შვილს)

დაიგვიანა ქარმა ნისლებით
დაკორძილ მთასთან ზღაპრის საამბოდ,
გეძახი, თარაშ და თეთრი მთვარე
თეთრ ცხენთან ერთად თეთრ ენგურს აპობს.

დრო ვერ ისიზმრებს გადამქრალ დღეებს,
მხრებით, სურნელით, თვალებით, თმებით,
მზე ყაჩაღივით ცეცხლში ხვევს ტყეებს
და მიაქვთ სევდა შავ ყორნებს ფრთებით.

* *

იღრინება სტამბოლი,
როგორც ძალლი დაბმული,
მოლა გოდებს, თენდება,
თითქოს გული ჩერდება,
თითქოს სულიც ჩერდება
და ფიქრებით ვბერდება.
დღეო, ნუ დაღამდება!
ღამეო, ნუ გათენდება!
დგას სივრცეში გაჩრილი
ცივი მინარეთები,
რალაც მძიმე აჩრდილით
მიმოიძვრის ეთერი.
ძარღვში სისხლი ადულდა,
სისხლი წინაპართანი,
სდის ცრემლები სოფიას,
ცრემლი ცამდე მართალი.
თუმცა ზღვა ცისფერია
და ცა უფრო კრიალა,
მწარე ფიქრთა სერიამ
გულში დაიგრიალა.
იღრინება სტამბოლი,
როგორც ძალლი დაბმული,
მოლა კივის, თენდება,
თითქოს გული ჩერდება,
თითქოს სულიც ჩერდება
და ფიქრებით ვბერდება.

კადრი სოფლიდან ეროტიკა

ახლად მოხდილი
ჭურის სურნელით
დულდა ძარღვებში
სისხლი, მაჭარი,
და როგორც მახსოვს
სადღვებელას
ქარი არწევდა
თუ არ ვაჭარბებ,
კი, ასე იყო,
რძე დაენვეთა
ჭყინტი ყველის
თონიდან ამოგდებულ
ლავამის ყუას,
და ლობესთან შრიალებდა
მორცხვად ჭინჭარი.

ბარათი ზეცას

ვინ ჩასწვდება გონებას
შენსას, ჩემო უფალო,
ვფლობ უთვალავ ქონებას
და მაინც ვარ უფულო.

ვნერო, ვნერო, ვნერო, მე
მეტი არა მინდა რა,
შორს გაფრენილ წეროებს
ოღონდ გამოუდარე.

ხილვა შორეული

დულს ცხელ ქვიშაზე ყავა,
გემი შვიდ წუთში გავა,
შამბნარის სურნელებით
გაჟღენთილია ჰავა.

მზე მოეფარა პალმას,
ვიღაც აბოლებს „პალმალს.“
ჰორიზონტების ქარვით
ქარი დაიწყებს მალვას.

მთებზე გამეფდა ბინდი,
თითქოს ზღვა არის მშვიდი,
– გემი სამ წუთში გადის!
– გმადლობთ. სად არის ხიდი?

დღეს

პოეტი მაინც ახერხებს სუნთქვას,
პოეტი გმირულს რაიმეს სჩადის,
ეს გალაკტიონს ოდესღაც უთქვამს,
დღეს კი პოეტებს ფასი აქვთ ჩალის.

დღეს პოეზიის მზე ესვენება,
ლექსი ირღვევა, როგორც ტაძარი,
დავკარგე სულის მე მოსვენება,
რომ მწვავს უბრალო თქმათა ხანძარი.

მოგონება თებერვალი ტრიოლეტი

თებერვალია. ჩაულურჯდა ზეცას თვალები,
ლამენათევი აცახცახდა ცაცხვი გზის პირას,
მწველი კისკისით ჩაიარეს ქუჩა ქალებმა,
თებერვალია. ჩაულურჯდა ზეცას თვალები.

მე მომაგონა გარდასული დღეთა ალები
და ერთი გოგო, თავდახრილი, მდგარი წყლის პირას,
თებერვალია. ჩაულურჯდა ზეცას თვალები,
ლამენათევი აცახცახდა ცაცხვი გზის პირას.

უსათაურო

- ნუ გატეხავ კვერცხს,
ნუ მოუკლავ სიცოცხლეს
ჯერ არჩასახულ წინილას.
- სასაცილოა ეგ სიტყვები,
ძმაო, ომია,
სადაც ორსულ ქალს
მუცელს უფატრავენ,
და სადაც ბავშვებს,
როგორც კამფეტებს
ჯიბებში ტროტილს ტენიან,
სადაც ასომოჭრილ
მამის ცხედართან
დედას ნამუსს ხდიან,
ბუდას სად ნახავ?!
იქ ღმერთები მკვდრები არიან,
ძმაო, ომია.
- ჰო, მართალი ხარ,
ალბათ, მე ბრმა ვარ,
მაგრამ თუ ამჩნევ
ტანკის ლულაზე
როგორ დაჯდა
თეთრი პეპელა...

ნუ ეჭვიანობ

ველის ყაყაჩოს დაემსგავსა შენი სინითლე,
ნუ ეჭვიანობ,
მზეს გეფიცები,
თუ მთვარესთან მე გიღალატო!
უბრალოდ, დაღლილს, თეთრ ღრუბელზე
წამოწოლილს, ჩამძინებია.

კბილთა ღრჭენა

არის წამების ერთგვარი სახე
სრულ სიჩუმეში ონკანიდან
წყლის წვეთის ვარდნა...

კიდევ — ჭრიჭინი ჭრიჭინების
ივლისის ღამეს
სოფლის ხის სახლში,
წამწამებზე როს წვება ძილი...

მაგრამ არ ვიცი
უფრო მეტი საშინელება
და ამაზრზენი,
რასაც ვახშობის დროს
გამოსცემს პირი მოხუცის...

- და მახსენდება იესოს სიტყვა:
ოხ, კბილთა ღრჭენავ,
ერთი წამილა მაშორებს მხოლოდ
შემლას ჭკუიდან.

რა გულუხვი ხარ

ქართლში – თურქი და
კახეთში – ჩინელი,
აჭარაში – არაბი და
რაჭაში – ინდოელი.

მე უკვე ვიცი,
თუ რას ნიშნავს
ტოლერანტობა,
რა გულუხვი ხარ
შენ, საქართველოვ...

მედეას მხევალს ვუძღვნი დადიანის ასულს

შენს გამოხედვას ვუნოდებდი ხორცშესხმულ ვნებას,
ალბათ, დალია ჩასახული მაგ ველურ ტანში,
დაგმშვენებოდა ყვავილები, თმებში ჩანნული,
და გაქროლება ტრამალებზე უბელო რაშით.

კოლხური სისხლი აყივლდება, ვიცი, ძარღვებში,
დაიმორჩილებ როცა მერანს სათიბ მდელოზე
და ამორძალო, ატირდები ჩუმად ღამეში,
მითებად ქცეულ იმ უშორეს საქართველოზე.

მედეას მხევალს აგიტაცებს რისხვა საზარი,
როს შურის ცეცხლით აინთება ნუშის თვალები,
მოწყდება რაში ადგილიდან და მხურვალ ვნებებს
გაგიგრილებენ სივრცეები შენ ტრამალების.

ჰეტერას ენით

ქალი ლამაზი თუა,
რა საჭიროა ჭკუა?!
ფონს ხომ ისედაც გავა,
თუ ლამაზი აქვს გავა.

* *

ქობი გლეს და
თოხი ყანას,
ქარი სეტყვით
ნთქავს ქვეყანას.
ყოფა გლესის,
ლუკმა პური,
ციდან მეხი,
წყრომა გულის,
წყრომა ზეცის
ვერან ყანას,
ჯაფა კაცის
ამ ქვეყანას.
უძღურია ძალა
გლესის,
ოდეს ზეცა
შფოთავს მეხით,
მაინც, ღმერთო,
გულმონყალევ,
გამრჯე კაცი
შეიბრაღე.
როცა მომკის
პურის თავთავს,
ნელში ოჯახსაც
გამართავს.
შემდეგ დაესწრება
წირვას,
და ხატს ცხვარსაც
შემოსწირავს.
ქობი გლეს და
თოხი ყანას
და მშვიდობა
ამ ქვეყანას.

გუშინ მესიზმრა მარის (მეუღლეს)

გუშინ მესიზმრა —
ვარსკვლავების მოსაკრეფად გავედი ცაზე,
მაგრამ ყველა მკვახე იყო,
მხოლოდ მთვარე დამხვდა გადამნიფებული
და ფრთხილად მოვწყვიტე.
შენ კლასობანას თამაშობდი
ღრუბლებზე ამ დროს
ანგელოზთან ერთად.
რომ დაგიძახე, ცრემლიანი თვალებით
მუხლნატკენმა მოირბინე ჩემთან,
მაკოცე,
მთვარე გადაყლაპე, გაიღიმე
და კვლავ გაიქეცი.
დღეს ორსულად ხარ,
მოგვმა მითხრა მზეს გააჩენსო,
აღბათ მალე ვარსკვლავებიც დამნიფდებიან
და კვლავ გაგახარებ.

წინათგრძნობა

„ვამი თუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,
ვამი თუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს.“
მურმან ლებანიძე.

მურმან, ახდა შენი შიში,
გაიყიდა ეს სოფლები,
ჩინელი და ინდოელი
კახეთში გვყავს მეზობლები.

ვაზის ლოცვა

ვუმღერი ვაზს,
ტანდახეთეილსა და წელში მოხრილს,
მინიდან ამოხეთეილ წითელ კოჭრიან ფესვებზე
თავისივე ცრემლები რომ ეღვენთება
საუკუნოვანი იარების მოსამუშებლად.
ვუმღერი ვაზს,
მოხუცივით ჭიგო რომ უჭირავს ხელში
და წუთისოფლის გზაზე მიმავალი
მზეს რომ უბარებს:
დამილოცეო საქართველო მრავალჟამიერ.

* *

გაჭალარავდა გული,
თუმცა შავი მაქვს თმები,
ვფიცავ, არ ვამბობ ტყუილს:
მებრალეებიან მტრები.

მათ არ იციან რაა
მგოსნის სპეტაკი გული,
მხოლოდ მაკვირვებს ერთი:
რისთვის - ამდენი შური?!

ჰეი, - შევძახებ მარად,
ჰეი, - ძახილის ნიშნით, -
ლმერთო, აფთრებთან ლომის
ვის გაუგია შიში?!

სერენადა

კოცნა შენი კოცონია,
ბაგენითელ ვარდო,
ვერ დავიცდი, არ ღირს მოცდა,
რომ არ დამეკარგო.
მე მსურს, გვერდით რომ დაგისვა,
ჩემი იყო მარად,
მოდო ჩემთან, ლერწმისტანავ,
ქალო, ნიავექარად.
ჩქარა, რაშიც ფლოქეებსა სცემს,
ცეცხლის მფრქვევი, მალი,
გაგიტაცებ და ჯვარს დაგვწერს
ველის ნიავექარი.
შორს, შორს, შორს, შორს გაგიტაცებ,
თვალხატულა ბოშავ,
რაო, საქმრო?! — ეგ ვინლაა,
სისულელეს როშავ!
მე ვარ საქმრო და ალქაჯი,
გრძნებით შეგკრავ მტკიცით,
შენ ჩემი ხარ სიკვდილამდე,
დამიდვია ფიცი.
აი, ზეცა, აი, მთები,
დაკლაკნილი გზები,
ჰა, გიტარა და იცეკვე
და შეისხი ფრთები.
კოცნა შენი კოცონია,
ბაგენითელ ვარდო,
ვერ დავიცდი, არ ღირს მოცდა,
რომ არ დამეკარგო.

მე მსურს, გვერდით რომ დაგისვა,
ჩემი იყო მარად,
მოდო ჩემთან, ლერწმისტანავ,
ქალო, ნიავექარად.
ჩქარა, რაშიც ფლოქვებსა სცემს,
ცეცხლის მფრქვევი, მალი,
გაგიტაცებ და ჯვარს დაგვწერს
ველის ნიავექარი.

უღელტეხილი

დაბადება. თავი მეოთხე

უთხრა უფალმა კაენს:

სად არის შენი ძმა აბელი?

აღმართზე მუხლმოყრილი გოდებდა:

შვილო, შვილო, შვილო, შვილო,

ძალაც არ მაქვს,

რომ საფლავი გაგიტხარო,

შვილო, შვილო,

რომ ეს მიწა, ცივი მიწა, მოგაყარო,

შვილო, შვილო,

ცრემლიც არ მაქვს,

რომ ცრემლები დაგაყარო,

შვილო, შვილო,

არ შეგცივდეს, ჩემო გოგოვ,

ჩემს ფარაჯას დაგაფარებ,

შვილო, შვილო,

ნუ გეშინის, ჩემო გოგო,

მალე მოვა შენი მამა,

გადაივლის ცხრა მთას, წავა,

მზესთან მივა,

მზეს წყალს მოთხოვს პირის ნაბანს,

შვილო, შვილო,

არ იტირო, ჩემო გოგოვ,

მალე მოვა შენი მამა,

მზეჭაბუკი წამოიყვანს თეთრი ცხენით,

მალე მოვა, წყალს გასხურებს

თეთრ სახეზე, გაგაცოცხლებს.

ვაჰმე, შვილო, ავაჰ, ავაჰ,

შვილო, შვილო.

- - -

მოსახვევთან წამით შედგა
უკვე ჭალარა მამაკაცი და
შეშლილი თვალებით შორს სივრცეში
სანუკვარ აფხაზეთს გახედა.

- ვაჰმე, ღმერთო, ავაჰ, ავაჰ!

წინ კი დაღმართი ელოდა
აღმართივით მძიმე და ძნელი.
დაიწყო თოვაც, სიკვდილივით
თეთრი და ჩუმი.

გემოვნებაზე

გემოვნებაზე არ დაობენ, ჩემო ძამიკო,
ზოგს ნიყვი უყვარს, ზოგს მიქლიო,
ზოგსაც მანჭკვალა;
შენ ალბათ მწვადთან ამჯობინებ
ბორდოს და ხერესს,
მე კი მჭადთან და ლობიოსთან
მიყვარს ხვანჭკარა.

შეგონება საკუთარ თავს და არა მარტო...

როცა არა გაქვს იმედი არაფრის და არავისი,
როცა ღამის გათენების გეშინია,
როცა სიცოცხლე გაუსაძლისი გახდება
და სიკვდილს ინატრებ, ათასი მიზეზის გამო,
გამო წუთისოფლის, რომლის დამტვრეულ ურმის უღელს
სუსტი მხრებით მიათრევ ცხოვრების ტალახიან შარაზე,
მაშინ მიდი შენს მძინარე პირმშოსთან,
აკოცე ფრთხილად ბულულებგადმოშლილ შუბლზე
და შენს თავს უთხარი, რომ არ გაქვს უფლება
თუნდაც წამითაც კი შეწყვიტო არსებობა,
რადგან შენ მას ეკუთვნი.

იუმორესკა

გადაუხრავს ჭიას, თუ რამ
თუთას ჰქონდა რტოები,
დახრულ კბილს ჰგავს ჭიათურა
შავი მალაროებით.

დამრა ნყალი, დარჩა ქვიშა,
ოჯახს ნელს სწყვეტს ვალები,
უფულობას გლოვობს გრიშა,
უყ--ობას - ქალები.

ძველი ალბომი

ვუცქერ შავ-თეთრ ფოტოებს და
წარსულზე ფიქრი
თავისთავად ცოცხლდება ჩემში
და სევდით მევსება გული
დროში გაყინულ წამზე.
შავ-თეთრმა ფოტომ
ფერად-ფერადი
მომაგონა ბავშვობა ჩემი;
შავ-თეთრმა ფოტომ
გამახსენა კოცნა პირველი,
აბრეშუმის პერანგით
ამაყად რომ მეჭირა თავი
ერთ პაემანზე;
შავ-თეთრმა ფოტომ
გააცოცხლა
ბაბუას და ბებიის სახე;
შავ-თეთრმა ფოტომ
გააგრძელა შეწყვეტილი მელოდია
ძველი პატეფონის;
დიდი ხნის უკან რომ გახმა,
ის მაგნოლია
ისევ ყვავის შავ-თეთრ ფოტოში;
შავ-თეთრ ფოტოდან
დათოვლილი ქალაქი მიმზერს
და გაჩერებაზე ჩამომჯდარი
ვეება ყვავი...
და ვხურავ ალბომს,
და ვხუჭავ თვალებს,
და ჰა, სულში შემომიძვრა
მუნკის კვილი.

მინიმა

ვერ დაჯდა სიზმარი
წამნამების აეროდრომზე,
უძილო ნისლის გამო.

რარიგ შეცვლილხარ

იმ ღამით მწარედ ოხრავდა ვერხვი,
ვერხვის ფოთლები ტიროდნენ ქარში,
სოფლის შარაზე როდესაც შეგხვდი,
დაქვრივებული იყავი მაშინ.

რარიგ შეცვლილხარ, გაშლილხარ ვარდად,
ღანვებზე ცრემლთა ნაშლილა კვალი,
სევდას, რაც უნინ ასე გტანჯავდა,
ალბათ, დღეს კოცნით გიქარვებს ქმარი.

სად არის დედა, მოხუცი დედა,
მგლოველი შვილზე, სახლზე ერთობლივ,
შენ მიატოვე სოფელი, კერა,
და ცრუ ქალაქის რიტმით ერთობი.

დრო სიხარულათ გარდაქმნის გლოვას,
გამხმარ ხეებსაც კვლავ ააყვავებს,
ასეა თურმე: ცა ინყებს თოვას,
ათოვს, აბარდნის მდუმარ საფლავებს.

იმერული სუფრული

იყო ერთი მაჭანკალი
გამირიგა ერთი ქალი,
დალოცვილმა, კუდიანმა,
არ იცოდა სიტყვა “ვარი” და,
ოუდილა ოდელია და.

მეზობელმა დოუძახა:
დალოცვილო ჩემო მზეო,
ჩამასესხე ნველა ყველი,
ან ჩარექა მომე რძეო და,
ოუდილა ოდელია და.

ჩემმა ცოლმა ჩასჩურჩულა,
სალამოთი მოდი, პლატონ,
ვნახავ, რძე თუ მაქ ძუძუში,
და მომწველე ოლონდ მარტომ და,
ოუდილა ოდელია და.

ეს ამბავი რო გევიგე,
სახლიდან გავაგდე ქალი,
და მას შემდეგ ჯოხი დამაქ,
რომ გავლახო მაჭანკალი და,
ოუდილა ოდელია და.

უაზრო მსხვერპლი

ზღვა მოგიტანე, აი ნიჟარა,
ცა მოგიტანე, აი თვალეზი,
მზე გვიყურებდა როგორც ჟირაფი,
მე შენ გაკოცე, შენ მე დამნებდი.

ქარმა სილიდან მოგვპარა ვარდი,
დაისიც რადგან აღმოჩნდა მოკლე,
შენ მხოლოდ დილით დაბრუნდი, ჟანა,
მე კი იმ ღამით ღუელში მომკლეს.

საქართველო ისევ დგას

შაჰ-აბასი უღვაშით,
ლანგი, - კოჭლი ფეხით,
ყველა საფლავს ჩავიდა
და ქართველი მეხრის,
ისმის ისევ ურმული,
ლილე, ჰოი ნანა,
გაქრა ხეთი, შუმერი,
ტროა, თებე, კანნა.
საქართველო ისევ დგას
ხელში ხმლით და ჯვრითა,
ციდან არის ნაკურთხი
მისი ლიბოს დვრიტა.
თუ ლოცვაა გელათი,
გალობაა რკონი,
ნინოს დარგულ უსურვავს
ცამდე უწევს რტონი.
ცეცხლში გამონრთობილი
ჩაკირული სისხლი,
ჩქეფს ვითარცა არაგვი
გავეშებულ რისხვად
სული იბერიის და
სული ძველი კოლხის,
მოდის უკვდავებიდან,
უკვდავებად მოდის.
მოდის ქრისტეს ტანიდან
საქართველოს სისხლი,
მთები - გოლიათები
ანონილი მისხლით,
არის ჩემი მხრები და
ფრთები მზესთან ახლო,
ზარის მზარავ ხმებიდან
ჩუქურთმების მალლა,
აენვე არსაკიდის მკლავს

სვეტიცხოვლის ბჭესთან
და მოვუთხოვ არაკად
ჩემთა მძლეველ მტერთა.
შაჰ-აბასი უღვაშით,
ლანგი,-კოჭლი ფეხით,
ყველა საფლავს ჩავიდა
და ქართველი მეხრის
ისმის ისევ ურმული,
ლილე, ჰოი ნანა,
ისევ მღერის ქართველი,
მტრები საფლავს წვანან.

დევის ტუჩები

დევის ტუჩებს, დაისზე,
აკოცებს ნარიყალა
და მეტეხის ესკიზებს
დახატავს, ვით ნიკალა.

მთვარე - თეთრი ასული,
გაჰყვება მტკვრის ნაპირებს
და თბილისის წარსული
გორგასალს აატირებს.

ისევ მისი მიმინო
ხოხობს დაედევნება,
მზე, აისზე ლივლივა
სკდება ქარვის მტევნებად.

ღრუბლებს ცრემლი დასცვივდა,
ფერხულია გამების,
ბარათაშვილს მთანმინდა
უყვარს შემოღამების.

ორბელიანს ყაბახი,
კოჯრის სიოს ქროლება,
გალაკტიონს ლურჯათი
ციდან გამოქროლება.

მე კი დევის ტუჩები,
დაორთქლილი თბილ ნისლით,
მეიდანის ქუჩები
აბრით, ძველი ტიფლისით.

* *

და რომ სხვასთან ვარ
რა გგონია, განა გლალატობ?!
არა, ძვირფასო,
მე, უბრალოდ, ვნებებს ვიცხრობ
სხეულში მხეცურს.
შენ ჰგავხარ ყვავილს,
ცისკარზე რომ იშლება მორცხვად;
ჰგავხარ პეპელას –
ანგელოზის ფრთით მოფარფატეს;
ჰგავხარ ნაკადულს –
უანკარესს, მთებში ჩაკარგულს;
ჰგავხარ მზეს –
მწუხრზე ოცნებებს რომ აშლის ზღვის პირად;
ჰგავხარ პირველ თოვლს –
ტუჩებზე რომ ადნება მიჯნურს;
ჰგავხარ ღამეში,
მთვარის შუქზე, ჭადრების შრიალს;
ჰგავხარ აპრილში
წვიმის ვარდნას, მერცხლის ცად აჭრას;
ჰგავხარ ბავშვობის
ფერად სიზმრებს, სოფელში ნანახს,
უმანკო ნატვრას,
ცისარტყელას ხელით შეხებას
და გაღიმებას იმ ჩვილისას,
პირველ ნაბიჯს რაიც თან ახლავს;
ჰგავხარ იმ წერილს,
სიკვდილამდე რომ ინახავენ;
ჰგავხარ ნაკადულს,
უანკარესს, მთებში ჩაკარგულს;
ჰგავხარ პირველ თოვლს,
ტუჩებზე რომ ადნება მიჯნურს.

და ასე სათუთს
მითხარ, სუნთქვავ, როგორ მოგეპყრო?!
როცა სხვასთან ვარ,
რა გგონია, განა გლაღატობ?!
არა, ძვირფასო,
მე, უბრალოდ, ვნებებს ვიცხრობ
სხეულში მხეცურს.

* *

მტკვარი არაგვს ელოდება
ვით ხევსური წანალსაო,
მცხეთას შევხვდეთ, ჩემო ყველავ,
დალამდება რანამსაო.

ჯვარზე, ჯვარი დავიწეროთ
მთვარე გვესალდიშება,
ღრუბლის ფატას დაგაფარებ
ჩემო თვალეზგიშერავ.

როცა მოგეძალება

ატეხილი ჭალები
და კაშკაშა მზე,
როცა მოგეძალება
სიყვარული შენ,
მაშინ მიხმე, ძვირფასო,
მაშინ, ჩემო ყველავ
და მეც შენთან გავჩნდები,
როგორც ნვიმის შემდეგ
ცაზე ცისარტყელა.
მაშინ, ჩემო ლამაზო,
მაშინ, ჩემო ყველავ,
ისე მოგიალერსებ,
ვით ყვავილს პეპელა.
ატეხილი ჭალები
და კაშკაშა მზე,
როცა მოგეძალება
სიყვარული შენ,
მაშინ მიხმე, ძვირფასო,
მაშინ, ჩემო ყველავ...

აკროსტიქი

სიტყვითა ღმრთისა
იყო ნება სულის,
კვალად ცად ასვლა და
ვალად ხორცის
დაბრუნება მიწისა წიაღ,
იტვირთა ესე საქმე
ლიუციფერმან, რადგან
ილტვოდა ჯოჯოხეთისკენ.

მოგონება

მასსოვს, ეზოში ვთამაშობდი,
თან რალაც ბგერებს ვლილინებდი
ავყია ბავშვი.
ანაზღად შევამჩნიე, ბაბუა მიმზერდა,
ხის სკამზე იჯდა სახლის კუთხესთან
და მილიმოდა.
თვალეში ჩამდგარმა
ზღვასავით უძირო ნაღველმა
შთანთქა ჩემი უდარდებობა.

ჩიტო-ჩიტუნიავ

პატარა ხარ, მაგრამ კარგი,
ჩიტო-ჩიტუნიავ,
შემოფრინდი ჩემს ბუდეში,
გული გამიღია.

ეგ ფაფუკი ბულულები,
ისე გშვენის, კარგო,
ჩემი გულის ბაღში მინდა,
ყვავილებად დავრგო.

შემოფრინდი, იგალობე,
ბალი ამიყვავე,
ჩაგახუტებ, გიალერსებ,
ციცქნავ, დაგიყვავებ.

გული მითრთის, ანგელოზო,
რომ გასხია ფრთები,
ვიცი, როცა გაიზრდები,
სხვაგან გაფრინდები.

და ამიტომ, პანანინავ,
ჩიტო-ჩიტუნიავ,
შემოფრინდი ჩემს ბუდეში,
გული გამიღია.

შენი და ჩემი

შენი თვალი,
ჩემი ცრემლი,
შენი კბილი,
ჩემი ბაგე,
შევაერთე
სიხარულით,
შენი ვერა,
ჩემი ვაკე.
შენი დილა,
ჩემი მწუხრი,
შენი მზე და
ჩემი მთვარე,
განვიცდიდი
ოდეს წუხილს,
რად არ მითხარ:
გაიხარე;
შენი ქრისტე,
ჩემი ეშმა,
მძიმე ფიქრებით
ავაგე,
სიძულველთან
სიყვარულის
ყვავილები მიმოვქარგე.
შენი პროზა,
ჩემი ლექსით,
გავაუკვდავ-გავამყარე,
ოდეს ტანჯვა
თასით შევსვი,
რად არ მითხარ,
გამახარე;

შენი ვარდი,
ჩემი ია,
საქართველოს
სხვა სუნს აკმევს,
რჩება მარად პოეზიას
ჩემი ლილი,
შენი ლაკმე.
ჩემი ნვიმა,
შენი ქარი,
ჩემი მზე და
შენი მთვარე,
სიხარული
შენთვის მინდა,
მე კი ვიყო
მგლოვიარე.
შენი თვალი,
ჩემი ცრემლი,
შენი კბილი,
ჩემი ბაგე,
შევაერთე
სიხარულით,
შენი ვერა,
ჩემი ვაკე.

ზიზლი

ჩემი ტვინის ყველა ოთახი მტვრიანია,
მიტოვებული, უპარტონო ძველი სახლივით,
ფიქრის მატლებით დაღრღნილია გული — განჯინა,
მხოლოდ მას ახსოვს, ნანკინელმა ქრისტემ
როგორ გაიჯახუნა თვალების კარები
და როგორ აშრიალდა ნამნამის ფარდები
ღია ცრემლებთან. შორს კი, მინდვრებში,
ხორბალს სცვიოდა მწიფე ქალები,
რასაც გაექცა აკუთაგაფა. მეც გადავწყვიტე:
ჩემი ტვინის ყველა ოთახი მტვრიანია, უნდა დავგავო.

ღამე და ცრემლი

ღამე ღანვებზე დაგორდა ცრემლი,
როს სასთუმალთან შეკრთნენ დარდები,
ნუ მიეცემი უიმედობას,
შეგიყვარდება – შეუყვარდები.

შენ არც კი იცი, ის რა სუსტია,
თასი დაცალა და იგრძნო მარცხი.
ვიდრე შენ ფიქრობ, უყვარხარ მეტად
შენი ხალისით და შენი ჯვარცმით.

ციკლიდან აჭარის გზაზე

მივდიოდით იმერეთიდან სხალთაში
მე და მაჭავარიანი,
პოეტზე მოგახსენებთ, მალხაზზე,
კაცია გვარიანი.
მიყვარს საუბარი მასთან
რელიგიაზე
და კიდევ ათას რამეზე,
მაგალითად, ქალის კდემაზე –
ქალი უნდა იყოს
გონიერი და არა ლამაზიო,
ერთგული და მეოჯახე,
არ უნდა იხედებოდეს მუდამ გავაზეო.
მოვიგონეთ წარსული
და რა არ გაგვახსენდა,
ბათუმს რომ მივუახლოვდით,
თავზეც დაგვათენდა.
ცოტა წავთვლიმეთ და
კვლავ გზას გავუყევით,
მთა მთას გადაეჭდო,
მთას მთით ავუყევით.
პირღია უფსკრულებს
შიშით არ ვუცქერდი,
თვალწინ იშლებოდა
სივრცეში აჭარა,
შემკრთალს აღტაცებით
გული ამიტოკდა,
ნანახმა მოლოდინს
რომ გადააჭარბა.
მერე რაც იხილეს
ჩემმა თვალებმა,

არავის ეგონოს
ეს ხილვა ზღაპარი.
დროშა საქართველოს
გამალეს ქარებმა,
სალოცავად მოსულიყო
თვით მეფე თამარი.
ექესი მეუფე
ერთად წირავდა,
და იყო დიდება
ერის და ეპოქის.
ტაძარში ხატები
სანთლებით ბრჭყვინავდა,
ეს ხილვა სულს ჩემსას
ცხონებად ეყოფა.
და, როცა დამთავრდა
ლოცვა და ვედრება,
და სული ლოცვისგან
როს გახდა მჭვირვალი,
ვინდომეთ სახმევი,
დავტოვეთ სხალთა და
შევჩერდით სოფელში,
რომ ჰქვია თხილნარი.
დახავსულ ქვებზე ხტის
მდინარე გიჟმაჟი,
ბილიკებს ჩრდილებად
მიჰყვება ატამი,
მგონია ეს ბალი ის არის,
ღმერთმა რომ
განასხნა ცოდვილი
ევა და ადამი.
მთებს დაჰკრავთ სილურჯე,
აღბათ, ზღვა ახლოა,
ნალკოტში აქა-იქ
ოდაა ჩაფლული,

მერწმუნეთ, ვერ ნახავთ
 სალხენად უკეთესს,
 ედემის ბაღია
 თხილნარი ზღაპრული.
 სუფრა გავშალეთ და
 დავსხედით ამქარი,
 თამადას რქანიტლით
 შევუვსე ფიალა.
 დაიწყო მშვიდობით და
 სამებით დაამთავრა,
 ღვინომ გაგვახელა და
 მამულის ტრფიალმა.
 უცებ წამოიჭრა
 ყმანვილი დევისტანა,
 დასჭეჯა ლექსი და,
 ჰოი, რა დასჭეჯა.
 „ჟამია მიმწუხრის
 მზე ჩაინვერა
 ისე წითელი,
 როგორც ყაყაჩო,
 აბრდღვიალა ჩირაღდანი
 ჩოხით წითელმა,
 დანკეპილ უღვაშებით
 მზეჭაბუკ ორბელიანმა.
 დიდი მუხის ქვეშ
 როცა სუფრას დაეცა შუქი
 თათრულ ხმლებივით
 გაიღვეს ვერცხლის ყანწებმა”
 ჰეი, შეჩერდი, ვაჟკაცო დევისტანავ!
 რა დროს ლექსია, სხვა სევდა მანვება.
 – მოდი, ამ დღეს გაუმარჯოს,
 ეს დღე მოგონებად სივრცეებს გასწვდება.
 აგერ, კალმახის ტანზე
 ასხლეტილ მზის სხივს გაუმარჯოს,

ეს წამი სიცოცხლით უკვდავებას გაეჯიბრება.
აბა, ვაჟკაცებო, იელვოს ყანწებმა.
მერე, რაც იხილეს ჩემმა თვალებმა,
არავის ეგონოს ეს ხილვა ზღაპარი,
დროშა საქართველოს დაკეცეს ქარებმა
და ზეცის დარბაზებში მიაბიჯებდა
თვით მეფე თამარი.

კადრი
ზაფხულის წვიმიდან

მაშინ ქუჩაში მომისწრო თავსხმამ
და ტროტუართან სულ
გამლურთხა ყვითელმა “ვოლგამ”.
თავხედმა ქარმა სარაფანი ამიფრიალა,
ვინატრე ქოლგა.
მუხრუჭ-საყვირის ხმაზე მხდიდნენ
ბეცი თვალეზი, დამენყო ბორგვა.

დედა

იეჰოვას შემდეგ პირველი შენ ხარ,
შენს ირგვლივ ტრიალებს მთელი სამყარო.
მზეს შეგადარებ, ცეცხლოვანო,
თუმც მოკვდავი ხარ,
მაგრამ ჩემში მარადიულს შენ ეტოლები.

მინდვრის ყვავილო

ჩემო მინდვრის ყვავილო,
მომეწონე ძალიან,
შენი ნუშის თვალები
ჩემთვის ნატვრისთვალაია.

შენ ისეთ ნაზი ხარ,
დაუჭკნობო მარადის,
ასჯერ მოგიტაცებდი,
ასჯერ მოგიპარავდი.

გულის ყდაში მომინდა
თრთოლვით რომ ჩაგასვენო,
თოვლმა რომ არ გაგყინოს,
ნვიმამ არ დაგასველოს.

ყვავილებში შენახარ
ჩემთვის უპირველესი,
როგორც პოეზიაში
ვინმე მესხი მეღეჟსე.

შოთას რაიც უქია,
მას ჩაენვდი და გავიგე,
ახლა რა მსუბუქია,
თუნდაც საფლავს ჩავიდე.

ჩემო მინდვრის ყვავილო,
შემიყვარდი ძალიან,
შენი ნუშის თვალები
ჩემთვის ნატვრისთვალაია.

მხოლოდ ამას გენუკვი,
„შუშპარავ და მჩქეფარევი,“
როცა მოვკვდე, ლამაზო,
ძეგლად გადამეფარე.

უჭკუო მამობილის ლექსი იუმორესკა

გუშინ
მთვარესთან შეგისწარი,
დღეს,
მდელოს ყვავილი გეფერება.
ხვალ, ალბათ
დაგიუფლებს შენ მთის წყარო,
ზეგ,
გაგიმიჯნურდება ეფემერა.
ვიცი
მე ასეთ მგრძნობიარეს
ხალხი
გამლანძღავს და გამაშავებს,
და ხელს გთხოვ
ცისარტყელით მშობიარეს
თავი რომ არ ვიგრძნო
დამნაშავედ.

თოვს

თოვს და ათოვს
ახალ ათონს;
ბებო კეცზე
კოკორს ათბობს,
ბაბუა კი
ბუხრის თავზე
ყვითელ თუთუნს
უხმოდ ახმობს,
და გაურბის
გზისკენ თვალი,
იქნებ,
სტუმარი ეახლოს.
თოვს და
მხოლოდ ყეფა ძაღლის
ცაცხვზე შემომჯდარ
ყვავს აფრთხობს,
თოვს და ათოვს
ახალ ათონს, თოვს...

თბილისის ლალები

დალალები ლილისი
ისევ მიხმობს, მგონია
და ლალები თბილისის
მზემ ღრუბლებს მიაქარვა.
მტკვარს მიჰყვება თოლია,
ქალს სდის ცრემლის ღვარები,
ქარი მღერს, მე აქ არ ვარ,
დაშლილი დალალებით.
მე მთანმინდას ვესტუმრე,
გული ასე მღეროდა,
ჩემო ტკბილო მესტვირევ,
შენც მთანმინდა გელოდა.
ვარდს ადნება ცისკარი
ნამად წითელ ბაგეზე,
გაიხსნება ცის კარი
სულის ცისფერ ჰანგებზე.
დალალები ლილისი
ისევ გიხმობს მგონია,
და ლალები თბილისის
მზემ ღრუბლებს მიაქარვა.
მტკვარს მიჰყვება თოლია,
ქალს სდის ცრემლის ღვარები,
სტვირი მღერს, მე აქ არ ვარ,
სევდით და მწუხარებით.

ჯონი ჯეიმსის დღიურიდან

მე მინდა მქონდეს
თეთრი სასახლე,
ირგვლივ ბაღებით,
შადრევნებით,
დეკორატიული ყვავილებით
და ლურჯი ავზებით.
ეზოში დარბოდეს
ორი დოგი
და ერთი ც დალმატინი.
პალმების ჩრდილქვეშ
საქანელაზე ქანაობდეს
ჩემი შვილი
პირველი ცოლისგან,
და იქვე ახლოს
იჯდეს ბავშვთან მეოთხე ცოლი.
მე კი, მოკალათებული სავარძელში
ხელში სიგარით ვფიქრობდე კანონზე,
რომელიც სილარიზის მიღმა მყოფ ხალხისთვის
დიდი ნვალებით დავამტკიცე სენატში.
და საკუთარი თავით კმაყოფილი
ვსვამდე „ჯონი უოკერს.“
მე მინდა მქონდეს
ძვირადღირებული მანქანა
და თვითმფრინავი,
რომელიც გადამაფრენს საყვარელთან,
რომელსაც შევუძინე ვილა
ჰავაის კუნძულზე.
მაგრამ ეს ყველაფერი რომ მქონდეს,
მე ხომ თქვენ დაგემგვანებით სერ,
რომელსაც აწუხებს ღვიძლი,

სტკივა თავი,
ჰკლავს უძილობა,
იპყრობს შიში და ელანდება მუდამ
მჩხავანა კატები.
არა, არ მინდა...

იესოს სასძლო

ედღვნება მთანმინდაზე ნანახ უცნობ მონაზონს.

ყორანა თმები, დედაო,
რად შეიკვეცე, ლამაზმა,
გიცქერ და გული მიკვდება,
გრძნობამ ცრემლები დარაზმა.

რა ცოდვა გქონდა ასეთი,
ანდა რა ღმერთის წყალობა,
მომასმენინა ნეტავი,
ცისკრისას შენი გალობა.

ცისფერთვალეა ციურო,
ცისათვისა ხარ სალოსი,
თუმც კენარ სხეულს ვერ მალავს
გახუნებული სამოსი.

აღბათ, რომ უწყი, ვით ჭკნება
ვარდი სურნელის მფრქვეველი,
მით დაუტევე სოფელი
და გნადის სასუფეველი.

ხელვექმნილვარ, გონი დავკარგე,
ვახ, სტრიქონს როგორ გავრითმავ,
იესოს სასძლოვ, გაკურთხოს,
ზენამ და მამადავითმა.

ქალი უცნაური

გაოფლილი და ძალა დაცლილი
დავრჩი სანოლზე...
შენ ნახვედი და
მძიმე ფიქრები დავდე სასწორზე.
აღარ ვიცოდი, დაბრუნდებოდი მაშინ თუ არა,
რადგან თვალებში შუქი კრთოდა ცივი უარის.
უცნაურია, ქალო, შენი გულის ნადილი,
ვიცი, გიყვარვარ, ამხელს შენი ალერსი უხმო,
გტანჯავს ცხოვრება მდუმარებით გზაზე ჩავლილი
და მეტ ვნებისთვის
ყოვლისნამლეკ ქარიშხალს უხმობ.
მაგრამ სად არის შენი ძალა, ასე ნაქები,
ვით მინდვრის ყვავილს, გაცახცახებს
უბრალო სიო,
გახრჩობს სიბრაზე, უმწეობის გაზის ლაქები
და გავხარ საფლავს, მიტოვებულს, უეკლესიოს.
რამდენი ცრემლი დაეცემა ღამეში ბალიშს,
მაგრამ ამაყი, როგორც პერანგს, ისვრი სინანულს
და სწორედ შენში მიყვარს შენი ეგ სიჯიუტე,
თუმცა უმწეო ემონები მაინც სიყვარულს.
აღარ ვფიქრობდი, დაბრუნდებოდი მაშინ, თუ არა,
რადგან თვალებში შუქი კრთოდა ზიზღის, უარის,
დრომ, ვით ავდარმა, როცა გულში გადაგიარა,
ველოდებოდი გაგიყებას შენგან უარესს.
უცნაურია, ქალო, შენი გულის ნადილი,
ვიცი, გიყვარვარ, ამხელს შენი ალერსი უხმო,
გტანჯავს ცხოვრება მდუმარებით გზაზე ჩავლილი
და მეტ ვნებისთვის
ყოვლისნამლეკ ქარიშხალს უხმობ.

ანარეკლის სიღრმე

ვნახე ხე,
რომელიც უწყლობისაგან ხმებოდა,
ვნახე წყალი,
რომელიც ფრინველს ასრჩობდა,
ვნახე ფრინველი,
რომელიც ყვავილს კორტნიდა.
მამაო ჩვენო,
შეუნდე ჩემში პილატე პონტოელს.

ვნახე თვალები ზღვასავით ლურჯი,
ცრემლებით სავსე,
დედას ეძახდა, დედა ცას ჰყავდა.
ვნახე ხეიბარი მამა,
რომელიც შვილისთვის
პურის ფულს მთხოვდა,
ფული არ მქონდა, თავად მშოიდა.
მამაო ჩვენო, შეუნდე ჩემში
ნაზარეველს, ქრისტედ ნოდებულს.

მუნასიბი

ბერ ი ს.

ათ ქუთაისს
გინდაც ათ ონს,
შენ არჩევდი
მანც ათონს.

მაისის ბოლოს

გაზაფხულის მზე დაეტაკა ჩემს ცოლს კაბაზე
და აანყვიტა ალუბლების მწიფე ღილები,
ქარიც კი ჩადგა უსირცხვილო ჭადრის ხარხარზე,
თვალში რომ მოხვდა ძუძუები ნაგვირილები.

უცებ ვარდები აილენა, ვაშლი გაფითრდა,
და ქალს სხეულზე დააფრქვია თეთრი ყვავილი,
ჭორის სათქმელად მერცხლები კი ცისკენ გაფრინდნენ,
მე ამ მაისში, შერცხვენილი ველარ გავივლი.

ო როგორ მომინდა

სოფელი, ნიავი და სალამოები,
თვალები ქლიავი წამწამებს მოება.

ღელე და მინდორი, მთები და ჭალები,
ო, როგორ მინდოდა მე შენი თვალების
წყაროდან შემესვა სიცოცხლე ანკარა.

დამდგარა გვალვები და ქარი თაკარა,
გამხმარა ცხრა მუხა, ცხრა წყარო დამშრალა,
და მაინც გრძელდება მთვარეთა პოემა.
ო, როგორ მომინდა თვალები ქლიავი,
სოფელი, ნიავი და სალამოები.

შელამებისას

მოგნატრებიან შეილი მაშინ,
როცა გვერდით გყავთ!?
მოგწყურებიან წყალი მაშინ,
როცა წყალს სვამდით!?
ალისფერ ცრემლებს ეთხოვება
მზის ბოლო სხივი,
გნახე, ნახვამდის.

ახლა ღამეა,
წამნამებზე ქანაობს მთვარე,
შემოამტვრევენ გულს სიზმრები
ვთქვათ რომ შემთხვევით,
გზაგასაყართან ატირდება
ქარი ლეკვივით
და ღვთისმშობლის ხატს
წყენით ვემთხვევი.

თუშეთი ინტეგრალი

დიკლო,
ომალო,
მდელო და კორდი,
თქეშში ომბალო გინდა? - დაგორდი
მონათიბ ველზე.
სიოს აკორდით შრიალებს ვერხვი,
შემომახვიე მკლავები, მთაო,
ფიჭვების წელზე.
უფსკრულებს შიში შებოჭავს ვერთქმის
და ალაზანი ჩემს ნაცვლად გეტყვის:
წყაროზე ნასულ ქალწულის ნანწავს
მოჰგაეხარ, ჩემო თუშეთის გზაო, მზეზე.
ამ ღამით შენთან დავწვები ფერხთით
ვიცი ოცნებას გამანდობ, ცაო,
მოღრუბლულ წლებზე,
როდესაც მთვარე
გუდის ყველივით ამოვა გვიან
შენაქოს ველზე.

გაფრთხილებთ

და ჩემი ფიქრები,
არა თუ ჰობია,
გაფრთხილებთ, იცოდეთ,
მასივში ბომბია,
ეს გულიც ბომბია...
არ მინდა
თბილისის
მახლობლად ბომბეი...
მე არ გთვლით
ახლობლად,
თქვენ უფრო მეტი ხართ,
განა ეს ჰობია?!
გაფრთხილებთ, იცოდეთ,
მასივში ბომბია,
ეს გულიც ბომბია...

შიში

ღამეა ბნელი და ღამეა უკუნი,
გულს ავსებს შიში და გულს გააქვს გუგუნი.
თუმც შავი ღრუბელი მთვარემ კი გაცრიცა,
ვაგლახ, რომ ამ მთაში ნისლი დგას ნაცრისა.
ცეცხლოვან თვალებით გამოჩნდა სატანა,
ვის ძალუძს, ვის ძალუძს ამ ხილვის ატანა.
სხივებზე მთვარისა გაკრთება ტაძარი,
წინ ღრმაა ხევი და უკან ტყე ნაძვნარი.
საფლავებს ღია აქვთ კუბოთა კარები,
ჩონჩხებზე დარჩენილ ხორცს ფლეთენ სვავები.
მიდამო მოიცვა ჭოტების კივილმა,
თვით გული დატოვა შიშისგან ტკივილმა.
აქვეა ნანგრევი სახლის და ოდების,
სულელები დაქრიან მოთქმით და გოდებით.
არ არის საშველი, სადმე რომ გაიქცე,
შიშს ჰყავხარ პყრობილი, ღამის არს წაიქცე.
ქარი ქრის, იმსხვრევა ხმელ ხეთა ტოტები,
დემონი ერთობა სიკვდილის ნოტებით.
სადღაა ლოცვები, ლოცვაა ამაო,
სიკვდილის შიშისგან ვერ გიხსნის მამაო.
თუმც სიკვდილს ნატრულობ, მაგრამ ის სად არის,
მის ნაცვლად გიცქერენ თვალები სატანის.
რაც უფრო შიშს ჰყავხარ უგონოდ ტყვექმნილი,
მით უფრო ეშმაკი ხელდება ხელქმნილი.
ქარს ერთვის ხმა ჭოტის, ხმა საზარ-მყივარი,
გინდა, რომ ეს იყოს, ეს იყოს სიზმარი.
და ხუჭავ შენ თვალებს, გსურს სადღაც გაიქცე,
იქაც კი, შიშისაგან, ღამის არს წაიქცე,
იქაც კი გიმზერენ დემონის თვალები
და იგრძენ, დაგეწვა შიგ რაღაც რვალებით.
შენ მიხვდი, არ არის ეს ხორცის ტკივილი,
თურმე, სულს აღმოხდა შიშისგან კივილი,

კივილი უხმო და კივილი საზარი
და შუქზე მთვარისა გაკრთა ქვის ტაძარი,
გაკრთა და გამოჩნდა მიდამო უქარო,
როდესაც მოგიხმე შიშითვე, უფალო.
უფალო, შემინდე შიშისგან გათელილის,
შემინდე, შემინდე, შემინდე, უფალო!

ცხვარიჭამია, ამაღლების მონასტერი.

მე რომ ბრმა ვიყო

მე რომ ბრმა ვიყო,
დამრჩებოდა ერთი იმედი
შენს სათუთ ხელზე
დაყრდნობილი
გავივლიდი ქუჩებს ამაყად,
მე რომ ბრმა ვიყო...

მე რომ ყრუ ვიყო,
არ მესმოდეს
ბგერათა რიტმი,
შენ უსათუოდ ისწავლიდი
მუნჯურ ლაპარაკს,
მე რომ ყრუ ვიყო...

და რომ დავმუნჯდე,
ველარ გითხრა
სიტყვა ვერც ერთი,
შენ უთქმელადაც
იგრძნობ, კარგო,
რისი თქმაც მსურდა,
მე რომ დავმუნჯდე...

მაგრამ ჯერ გხედავ...
მაგრამ ჯერ მესმის...
მაგრამ ჯერ გეტყვი...
მე რომ ბრმა ვიყო...

ელექტრა

ის ჰოლიდან საძინებელში შევიდა,
ხელში ფორთოხალი ეჭირა და
ღრმად ისუნთქავდა ციტრუსის სურნელს.
სარკმლიდან შემოჭრილი შუქით
იატაკიდან ლანდი კედელზე აცოცდა.
სარაფანს შიგნით
შიშველი სხეულის კონტურები
მზემ გამოკვეთა,
როდესაც სარკეს გვერდით ჩაუარა.
მონიტორზე შეყვარებულის ფოტოებმა
ზღვა მოაგონა... პირველი კოცნა...
სხეულში სითბო ჩაედვარა,
გული აუჩქარდა.
ჭიპს ქვემოთ ხელი დაუცურდა
და ოხვრა აღმოხდა.
ღიად დარჩენილი კარიდან
კედელზე დაკიდებული
მარიამ მაგდალელის ხატი მოჩანდა,
თან სამზარეულოში დედა ხორცს ხარშავდა.
უცებ ზიზღი იგრძნო, ხორცის თუ დედის,
აღარც კი ახსოვს,
თვალეები დახუჭა, წარმოდგენაში კი
მამის ხატება აესვეტა.
ორგაზმი ვერ განიცადა.
ელექტრა, - გაისმა სამზარეულოდან,
ტელეფონს უპასუხე.
ღიად დარჩენილი კარიდან
კედელზე დაკიდებული
მარიამ მაგდალელის ხატი მოჩანდა.
მან ათრთოლებული თითებით
სიგარეტს მოუკიდა.

ბევრი მახსოვს

ბევრი მახსოვს სხვა დიღები,
სხვა სალამო, სხვა შუადღე,
მაგრამ შენთან სადიღები
სულ სხვა იყო ნაშუადღევს.

საუბრები ქალთა სქესზე,
ანდა მარკოს ბორიალზე,
გადაღვრილი ღვინო ლექსზე
და ოხვრები როიალზე.

სიკვდილის სუნთქვა

მოუსმინე ჩემს მელოდიას,
ის არ ჰგავს ქარის ამოვარდნას,
არც ველურ გრიგალს,
არც სიოს ნავარდს,
დაისის ჟამს ფოთლებს რომ არხევს;
მოუსმინე ჩემს მელოდიას.
ზღვათა სიღრმიდან ამოხეთქილ ნამიერ გმინვას,
გმინვას გულისას, ყრუ ხმაურით სავსე ნიჟარას;
მოუსმინე ჩემს მელოდიას.

ოცნებების ნამსხვრევებზე
დასერილ ხელებს სიზმრებისას,
მიაპყარ მზერა,
სადაც ჩამქრალი ვარსკვლავები
გლოვობენ მთვარეს;
მოუსმინე ჩემს მელოდიას.

გზებს, წამწამებზე ამოსულებს ცრემლის კბოდეზე
გაყინული აქვთ სურვილები ჰორიზონტებთან,
სად თეთრ იალქნებს მიაქანებს მძიმე ფიქრები,
სად სტკივათ კლდეებს ჩაძირული გემების სევდა;
მოუსმინე ჩემს მელოდიას.

მიწის სიღრმეში ჩაკირული სისხლის ნვეთები
უამბობს ზღაპარს უდაბნოებს ბალახის ღერზე,
როცა აქლემებს შეანყდებათ ყელზე ზარები,
როცა გატყდება ყორნის ფრთასთან ქვიშის საათი;
მოუსმინე ჩემს მელოდიას.

მოუსმინე ჩემს მელოდიას, მზის დაბნელებას,
როცა ბალახი შეიძულეს ნამს სიცოცხლისას,
როცა ფრთებიდან დასცვივდებათ ჩიტებს ღმერთები;
მოუსმინე ჩემს მელოდიას.

მთების მწვერვალებს შეატყდება ვარსკვლავთა ტერფი
და საფლავები დაამთქნარებს ყრუ დახველებით,
ნახევრად კაცის შეშლილის და ნახევრად ღმერთის
შენ ნაიკითხავ ცივ თვალებში, რომ ყველა ზღაპარს
წერდა ტყუილი ეტრატებზე ჩვილის ხელებით,
რომ ზღვის ფოფინში გამქრალიყო შიში ცხოველთა.

ჩემი სასახლე ელოდება ღვთაებრივ სხეულს.
მოდით და როგორც ყრმა ჭაბუკი,
დამეუფლეთ პირველ ღამისას.
როცა შეგასმევ ღალის თასიდან უტკბეს გოლეულს,
მაშინ იმეფებ სურვილებზე ძღვევამოსილი
და აღთქმულ გვირგვინს დაიმკვიდრებ მპყრობელი ტახტის.
მე კი, მხევალი ავაჟღერებ ქნარს თხელ თითებით,
ქნარს, რომლის ხმებით სავსე არის მთელი სამყარო.
ჩემი სასახლე ელოდება ღვთაებრივ სხეულს.
მოდით და როგორც ყრმა ჭაბუკი,
დამეუფლეთ პირველ ღამისას.

შეაღე კარი მდუმარების, შეაღე კარი,
სადაც ფარვანებს უყვართ ალთან გიჟური როკვა,
სადაც ყვავილებს ეკარგებათ ცისარტყელები,
სადაც ბეჭდების ელვარებას ობობა ქსელავს -
მოუსმინე ჩემს მელოდიას, შეაღე კარი,
მდუმარების შეაღე კარი.

რა უნდა მექნა ნიკო ფიროსმანს.

საკუთარ თავს გიჟს ვეძახდი
და ხალხმა ბრძენი მიწოდა,
ჰოდა მეც ჩემს თავს
ბრძენი ვუნოდე და
ხალხმა გიჟი დამიძახა.
ჩემში დადუმდა ადამიანი...
ბრბო ახმაურდა
რა უნდა მექნა,
გიჟივით გავიცინე და
ბრძენივით ავტირდი.

ყოველთვის მერჩივნა, მაძღარს -
მშვიერი ვყოფილიყავი.
ყოველთვის მერჩივნა ლხინს - ქირი
და სიცილს - ტირილი,
როგორც ყოველთვის,
მზეზე ძლიერ მიყვარდა წვიმა
და ვარდზე ძლიერ - ველის ყაყაჩო.

ხმაურიან გზებს ვერიდებოდი და
მყუდრო ქუჩებზე ვხეტიალობდი,
რადგან დუმილს ვსწავლობდი და
სიმშვიდეს ვფლობდი.

გულისგატეხვის შემეშინდა და
მეგობრის ლალატს - უმეგობრობა ვარჩიე,
რადგან საფრთხის ჟამს
ცხოველივით მშფოთვარებს ადამიანი.
ასეც მართალი ვიყავი და მიზეზიც მქონდა,
როცა შევნიშნე ანარეკლი ბრბოში ნიღბების.
შემეშინდა გულისგატეხის.

ოქრო-ვერცხლით მოჭედილ ტაძარს
ყოველთვის მერჩივნა გუმბათმორღვეული ეკლესია,
სადაც ცა ლურჯი იყო და ღმერთი ახლო,

და ყველა ლოცვას - მეხრის ღიღინი,
და ყველა სანთელს - წისქვილიდან ქრაქის ნათება.
რა ვქნა, მერჩივნა.

რა ვქნა, ვერასოდეს ვამჯობინე დედას - ცოლი და
მამას - მოძღვარი, ან დას — ძმაბიჭი, ან შვილს - წმინდანი,
რა უნდა მექნა, სიყვარული და სისხლი თავისას მიხოვდნენ,
რა უნდა მექნა? რა ვქნა, მერჩივნა.

რა ვქნა, მერჩივნა დავით მეფის მლაშე ფსალმუნებს -
უბრალო მწყემსის სალამურით აგალობლება
და გლეხის სიბრძნით გამოთლილი კაკლის ფანდური
წუთისოფელს რომ სამი სიმით ეხმიანება,
სიყვარული, სიკვდილ-სიცოცხლე.
რა ვქნა, მერჩივნა.

ხმაურიან გზებს გვერდს ვუვლიდი და
მყუდრო ქუჩებზე ვეხეტებოდი,
მივეჩვიე სარდაფებს,
უფრო სწორად, სარდაფებში ღვინოს და არაყს
და აღსარებას ვაბარებდი მხოლოდ მეძავეებს,
რადგან ეშმაკი დაცემამდე ანგელოზი
იყო ოდესღაც.

რა ვქნა, მერჩივნა ოქრო-ვერცხლით მოჭედილ ტაძარს
გუმბათმორღვეული ეკლესია,
სადაც ცა ლურჯი იყო და ღმერთი ახლო.
და მზეზე ძლიერ მიყვარდა წვიმა
და ვარდზე ძლიერ - ველის ყაყაჩო.

რა უნდა მექნა, მე ასეთი ვიყავი ნრფელად,
საკუთარ თავს გიჟს ვეძახდი
და ხალხმა ბრძენი მიწოდა,
ჰოდა მეც ჩემს თავს
ბრძენი ვუნოდე და
ხალხმა გიჟი დამიძახა.
ბრბო ხმაურობდა...
ჩემში დუმდა ადამიანი...
რა უნდა მექნა,
გიჟივით გავიცინე და
ბრძენივით ავტირდი.

ქალაქი

ქუჩა სიცივისაგან გალურჯებული
ბავშვის ტუჩებით ნამნამებზე ამეკიდა და
ვერ მოვიცილე,
სახლამდე მდია მანანნალა ძალღივით და
ახლაც, ბუხართან, გათვალული სულ მთლად ვცახცახებ.
დამავინწყდა, რომ მეც მგზავრი ვარ;
დამავინწყდა, რომ ეს სახლი ჩემი არ არის;
დამავინწყდი, რომ შეგეძლო შენც გარდასახვა.
ქეციანი ძალღივით მიღრენენ მაგ თვალების
ნაკვერჩხლები და
გულიდან გადმომსკდარ ფიქრებს
შედედებული სისხლივით თხვლეპენ.
არ გაიხედო, მრუდე არის ეს ნაკვალევი;
არ გამომხედო, სოდომი ვარ ლირნში დანთქმული;
ნუ მიყურებ, ლელვს არ ესხა ერთი ფოთოლიც;
ნუ მიყურებ, მაშინებენ შუშის თვალები.
ნადი შენი გზით, ჩემი ცოდვის ლოდით მოხრილმა,
ყოველდღიურად შენი ტანჯვა გაიმეორე.
კუდი დაინვა ძალღის და კვამლით მენწვის თვალები,
ჩაბრუნებული ნამნამი კი ცეცხლზე შევეტრუსე,
ფუი ეშმაკს, გავაყოლე წყალს ეს სიზმარი.
ნუ გამაგიჟებ, ქარი არხევს ცაცხვის ხმელ ტოტებს,
ნუ გამაგიჟებ, ღამე გაეკრა სარკმელს ახლა
გალურჯებული ბავშვის ტუჩებით და
დამავინწყდა, რომ მეც მგზავრი ვარ და
დამავინწყდა, რომ ეს სახლი ჩემი არ არის.
იქნებ გათენდეს,
მაგრამ მამალი აქ არ იყივლებს.

ჩემი ლირიკა

რა თლილი იყო შენი ხელები,
რა მშვიდი იყო შენი თვალები
და დაღალები - შავი გველები
გულს მიშანთავდა, როგორც რვალები.

თეთრ ღამეებში, შენზე ფიქრებით,
ასე შეიქმნა ჩემი ლირიკა
და ვეტყვი სიკვდილს, ლილი, კვლავ გეტრფი,
როცა სამარის კართან მიმიყვანს.

მინიმა

ამდენი სიმდიდრის პატრონს
რა გაგიჭირდა ასეთი, იესო,
რომ გუმინ მეტროში პურის ფული მთხოვე,
უცნაური ხარ, ნაზარეველო.

გადაღლილობა

მე გეუბნები, რომ დიდი საშოა დედამინა
და ყოველ დილით მზეს მშობიარობს,
რომ მთვარეს გულის მანკი აქვს და კლიმაქსი.
შენ ამბობ: პირიქითაა ყველაფერი
რომ მზემ შვა მინა და მთვარე ყოველ ღამით ნვება მგოსნებთან.
მე გეუბნები: კაცმა შვა ღმერთი
და მთვარე მხოლოდ ერთხელ იყო მეფე პოეტთან.
მე გეუბნები, რომ სახლი მინდა ჭერით და პური მარილით,
თამბაქო ასანთით და კალამი ფურცლებით
იუდა იესოთი და სიცოცხლე სიკვდილით.
შენ ამბობ, რომ ძილი მიშველის,
რადგან ეს ყველაფერი მოჩვენებითია.
მე გეუბნები, რომ...

მდგომარეობა

ლამე, როგორც შავი კატა
მოიპარა ჩუმად
ჩემს ფანჯარასთან,
და სრულ სინყვდიადეში,
და სრულ მდუმარებაში
საზარლად დაიკნავლა:
- მიაუუუუუუ.
წამოდიდა ძარღვებში
შიში, მცოვა.
სად ხარ, ემანუელ?!
ჩაგეხუტები...

დაასხით ღვინო

დაასხით ღვინო,
შევეჩვიე მე მარტოობას,
დავიძმობილე შემოდგომის ცივი ქარები,
და მეგობრებო, თქვენ, რომლებმაც მაქციეთ ზურგი,
დავინწყებისთვის, მინდა გითხრათ, არ მენანებით.

დაასხით ღვინო,
შევეჩვიე მე ლურჯ ოცნებებს,
რომლებსაც ვუნყი, რომ ახდენა არ უნერიათ,
თუმცა მიყვარდით, ფერიებო, მე ისე ძლიერ,
რომ თქვენ გარეშე ჩემს გულს ნუთიც არ უძგერია.

დაასხით ღვინო,
ალარ მინდა, ვუცქირო სატროს,
თაფლისფერ თვალებს, ნეტარებას როცა მპირდება,
დასწყევლოს ღმერთმა, სიყვარული მე სულში მათოვს,
მათ შეინირეს გვირგვინები – მგოსნის დიდება.

დაასხით ღვინო,
მე მარტო ვარ საკუთარ თავთან,
სავსე ფიალა მსურს, დავცალო გამოსალმების,
სიყვარულზე და სიძულვილზე მე ვდგები მაღლა,
რადგან სიცოცხლე არრა არის, გარდა ნამების.

დაასხით ღვინო,
შევეჩვიე მე მარტოობას
დამიძმობილდა შემოდგომის ცივი ქარები,
რარიგ მიყვარდით, ფერიებო და ოცნებებო,
მაგრამ დღეიდან დასალუჰად არ მენანებით.

დაასხით ღვინო
და სუფრაზე უხმეთ სატანას,
ვინც მე შემასვა მწუხარება ტანჯვის თასებით,
ლხინი დამთავრდა, არვინ იცის, რაა გატანა,
გაბოროტებით, გაალმასებით.
დაასხით ღვინო, შევეჩვიე მე მარტოობას...

ვერ გაგიმართლე

ვერ გაგიმართლე,
ვერ ვივარგე
წუთისოფლისთვის,
დედავ კეთილო,
მხოლოდ ერთს
ვჯავრობ:

ამ ოხერ ლექსებს
ვინ გამიმარგლავს
გვალვით მკვდარ
პოეტს.

ვერ გავუძელი
ყანის ბოლოს
ქარების ხითხითს,
და მთების იქით
სიზმრებს გავყევი.

2007.

განვდილი ხელეზი

ვუძღვნი სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს,
უნმინდესსა და უნეტარესს
ილია მეორეს.

კეთილო მკითხველო, მე, როგორც შენებრ მოკვდამა,
სისუსტით ჩემით და მცირედი ღვანლით მოვიმუშაკე,
სიტყვათა თაიგული კაცობრიობის აზრთა მდელოდან
და გვედრი ნუ განმიკითხავთ თუ პოვებ,
მასში ალაგ-ალაგ შემქნარ ყვავილებს.

თქვენი მონა-მორჩილი მ. ლეჟავა

განვდილი ხელები

როგორ დავწერო, ან რა დავწერო,
არ ვიცი ახლა,
ან რის შესახებ დავიწყო წერა,
ისიც არ ვიცი,
რადგან არ ვიცი დასაწყისი და დასასრული
რაიც მე ახლა უნდა დავწერო,
თუ კი დავწერე.
თავში ფიქრები ირევიან,
ლამის გავგიჟდე,
ო, ეს ფიქრები,
ვით მდებლობე ფუტკრების გუნდი.
რომ ვინმემ მკითხოს
– რას წერო ახლა, – მე დავდუმდები,
რადგან არ ვიცი, რა ჰქვია ამ აზრს,
რომელიც ახლა სუფევს ჩემს გონში,
რადგან არ ვიცი, რა ჰქვია გრძნობას,
რომელიც ახლა სუფევს ჩემს გულში,
რადგან არ ვიცი რა, ჰქვია ძალას,
რომელიც ახლა ამოძრავებს თაბახზე თითებს.

მე ვიცი მხოლოდ
ვინ გაიგებს, რასაც ახლა ვწერ,
მხოლოდ ის,
რომლის გონებაში სუფევს ეს აზრი;
მხოლოდ ის,
რომლის გულში სუფევს ეს გრძნობა;
მხოლოდ ის,
რომლის თითებშიაც არის ეს ძალა.

რომელმა თქვა ცის ქვეშეთში
ჯერ არ უთქმელი,
ვინ მოისმინა ცის ქვეშეთში
ჯერ არსმენილი,

ვინ დაინახა ცის ქვეშეთში
ჯერ უხილავი.

არის სიტყვები დაწერილი,
რომელიც არ წაიკითხება;
არის გრძნობები დატვირთული
მწვავე განცდებით,
რომელიც არ გამოითქმება;
არის ჩვენება წამიერი,
რასაც ვერასდროს ვერ აღწერს ენა;
არის ფერები უფერული,
რის გამოსახვას
მხატვრის ფუნჯი ტყვილად ეცდება;
არის მუსიკა იდუმალი,
რასაც ვერასდროს ვერ სწვდება სმენა;
არის ტკივილი,
არის ტანჯვა, არის წამება,
რასაც განიცდი შეუცდომლად
და გრძნობ უდაოდ,
და არის ეჭვი
ყველაფერში რომ დაგაეჭვებს
ნუთუ რა არის ჭეშმარიტება?!
ბრძენნი იტყვიან – ჭეშმარიტება ძიებაშია —
ნუთუ ძიებით გავამართლოთ ჭეშმარიტება?!

ოდეს ყრმა ვიყავ,
მივადექი მღვრიე მდინარეს
და მე მენადა,
მომეხილა თევზი ოქროსი.
თვალით ვერ ვხედავ,
მღვრიე წყალში ძნელია ხედვა,
მაგრამ ხელები
გრძნობენ წყალში ქვებსა და თხემებს.
დავწვდი, შევეხე,
მოვიხელთე თევზი ოქროსი

და სიხარულით ნაპირისკენ გადმოვისროლე.
ნაადრევია სიხარული, ანაზღადა შევეკრთი,
სილაზე გველი გაცურდა და გაუჩინარდა.
ბრძენნი იტყვიან – ჭეშმარიტება ძიებაშია,
ნუთუ ძიებით გავამართლოთ ჭეშმარიტება?!

რა ლამაზია ირგვლივ ყოველი,
რასაც შევცქერით,
ცა, ვარსკვლავები, მზე, მთოვარე, მთები, მინდვრები,
ცისკრით ვარდებზე მოლიცლიცე კრთოლვა ნამების,
და მიმწუხრისას დაბინდული ტყეთა ჩრდილები.
ზღვაში ჩასული მოდაისე სისხლისფერი მზე,
კლდეზე დამსხვრეულ ჩანჩქერების ცისარტყელები,
მყინვარწვერები, უფსკრულები თვალუნვდენელნი,
ცაზე — მყვირალა არწივები, ტბაზე — გედები,
მინის წიაღში მოფუსფუსე ჭიანჭველები,
ფაფარაშლილი ლომები და მფრთხალი ნუკრები.
ო, გვიხაროდეს,
რომ დღეს ჩვენ გვაქვს ხილვის უფლება.
დავტკბეთ, ვუმზიროთ, გავიხაროთ ჩვენ ამ ყოველით,
ვიდრე შეწყდება გულის ფეთქვა ზღვარდადებული,
ვიდრე სინათლის ჩაგვიქრება ჩვენ თვალისჩინი.
ჩვენ მოკვდავნი ვართ, ბუნება კი უკვდავი არის,
ის - თავის თავში ცვალებადი, მარად ახალი,
მაშ, მოდი, დავტკბეთ მშვენიერის ცქერით ყოველი,
რადგან ჩვენთვის ხვალ შეიძლება სულ არ გათენდეს,
რადგან ხვალ იქნებ სამარეში დებდნენ ჩვენს კუბოს...
მაშ, მოდით, დავტკბეთ,
თვალს ახარებს ცქერა მშვენების,
უხვი ფერებით წარმტაცია ეს არემარე,
მაგრამ, ო, მაგრამ,
იქნებ, უფრო ლამაზი არის,
რასაც ვერ ვხედავთ,
რასაც ვერ ვგრძნობთ და ვერ ვეხებით.

იქნებ და მაგრამ,
აი ეჭვი, რაც ჩვენ გვაბრკოლებს,
იქნებ სჯობდა, რომ
არ გვეხილა სულაც ყოველი.
მაგრამ, ო, მაგრამ,
იქნებ, შემდეგ დედამინა კვლავაც ვიხილოთ,
აი, ახლა დაიბადა ჩემში იმედი,
იქნებ შემდგომ მოვევლინოთ კვლავაც სამყაროს,
მაგრამ, რა არის იმედი, თუ
რწმენა არ ახლავს,
ვით გაგვიჩიოს მზემ მზეობა,
თუ სხივები სითბოს არ აფრქვევს.
რაა სანთელი,
თუ გზა ბნელში არ გაგვინათა.
მაგრამ, ო, მაგრამ,
იქნებ, ო, იქნებ,
მოვევლინოთ შეიძლება ისევ სამყაროს,
საჭირო არის ღრმა საძირკველი,
რომ ზედ ააგო ცათამბჯენები.
ასევე, სიღრმე სჭირდება რწმენას
და თანაც მტკიცე,
რომ არ ვთქვათ შემდეგ:
“მაგრამ, ო, მაგრამ;”
რომ არ ვთქვათ შემდეგ:
“იქნებ, ო, იქნებ.”

რწმენას ეჭვები გამოსცდიან ტალღისებურნი,
ცათამბჯენებს კი მიწისძვრა
და ქარი გამოცდის,
თუ ვერ გაუძლო მიწის რყევას ცათამბჯენებმა,
ჩვენ საშინელი ნანგრევების მონმე გავხდებით,
და თუკი რწმენამ ვერ გაუძლო
საშინელ ეჭვებს,
ო, მაშინ
სული შთაინთქმება ცოდვის მორევში,

და მე თქვენი მშურს,
ბუმბერაზო, ტიტანო მთებო,
ასე ურყევად რომ დამდგარხართ
ჟამთა რონინში.
ფიქრის სიმძიმეს არ აქვს წონა,
რომელიც თან გვდევს,
თქვით, ვინ აწონოს აუნონელი,
თქვით, ვინ გაზომოს
მინის სიღრმე, ან სივრცის სიგრძე,
ან უსაზღვრობას
ვინ დაუდოს საზღვრით საზღვარი;
თქვით, სადაც დროს არ გააჩნია
დროის შეგრძნება,
მიტხრას, რა დროა,
როგორია სისწრაფე სხივის,
რა დროს დაიწყო
დედამინამ ლერძზე ტრიალი,
ან პლანეტები როდის შეწყვეტს
მზის ირგვლივ ბრუნვას...

თქვით, ყველაფერი, თქვით, მითხარით,
თქვით, გვედრებით,
და ამ ფიქრების ტყვეობისგან
მე თავს დავიხსნი.
მე დავსვი კითხვა
და რომელმაც უწყის პასუხი,
მარქვას სიმართლე, უცდომელი ჭეშმარიტება.

ყოველთვის ორი უნდა იყოს, რომ გავარჩიოთ,
რადგან ორს შორის
ზღვარი არის გარჩევისათვის,
ერთი ერთია,
მეორე კი არის მეორე,
თუმცა, ვინ უწყის, რაა ერთი, ან რა მეორე,
იქნებ, ორია ერთიანი,
ან ერთი ორი,

იქნებ, სანყისი სასრულია და ან პირიქით,
იქნებ სასრული
არის თვითონ სანყისი სრულის...

სინათლე მისთვის არის სინათლე,
რათა შევიცნოთ, რა არის ბნელი,
თუკი სიბნელეს ვერ გავარჩევთ სინათლისაგან,
მაშ, რა აზრი აქვს
ერთს ან მეორეს;
სინათლისა და სიბნელის მიღმა
ნეტავ, რა არის?!
აი, სურვილი, აი, ნდომა, ყოვლის ჩანვდომის,
ან კი, რომ მივწვდეთ მიუწვდომელს
იმ მიწვდომილით,
ვინ შეივსოს ცოდნის სანყაო...

ლომს ამოძრავებს
მხოლოდ ჟინი მსხვერპლის მოგდების,
თუგინდ მაძლარი
ინვეს იგი გაშლილ მდელოზე,
მისი სტომაქი
ვერ გაძლება უზღვავი მსხვერპლით.
ო, ვინ დაუცხროს
მტაცებელ მხეცს ჟინი მტაცებლის;
ო, ვინ დააცხროს მისწრაფება ადამიანის;
ჟინმორეული წვდომა ყოვლის მიუწვდომელის.
ბრძენნი იტყვიან – ჭეშმარიტება ძიებაშია,
ნუთუ ძიებით გავამართლოთ ჭეშმარიტება?!

მზერა ნათლისკენ ილტვის მუდამ,
ბნელი კი გვბორკავს,
რადგან სიბნელეს
შიში ახლავს გაურკვევლობის,
ხოლო ნათელი –
ნათელია თვისი სიცხადით;

თუმცა, ბნელიც ხომ
ცხადი არის თავის სიბნელით?!
თუკი ნათელი ნათელია
და ბნელი – ბნელი,
მაშინ კეთილი კეთილია
და მავნე – მავნე.
არა მგონია ბნელმა შთანთქას
ნათლის სინათლე,
არა მგონია, რომ ნათელმა
ბნელი დაჰფაროს,
რადგან სინათლე
ვერასოდეს ვერ შობს სიბნელეს,
რადგან კეთილი
კეთილია თვისი სიკეთით,
რადგან სიბნელე
ვერასოდეს ვერ მოგვცემს ნათელს,
რადგან ბოროტი
ბოროტებას იქმს ბოროტებით,
რადგან მაცვალი
ვერასოდეს მოისხამს ატამს,
არა მგონია, რომ
ყორანი ბულბული გახდეს.

ადამიანის მისწრაფების შედეგი არის,
რაც საოცრება დარჩენილა დედამიწაზე,
თუმცა, დრო მაინც
აღგვის ყოველს მიწის პირისგან,
ნაშთიც გაჰქრება
ამა ქვეყნის საოცრებების;
მაგრამ ეს მუსვრა მივანდოთ დროს,
ვინ იცის, კიდევ რამდენი წელი
დასჭირდება მათ იავარქმნას.

სასჯელი დიდი არ არსებობს
არცრა ამქვეყნად,

რასაც საკუთარ თავს მიუსჯის ადამიანი,
დაუცხრომელ შრომით რომ შექმნა
ნლების მანძილზე,
ბოლოს მოუღებს მას, ერთ წუთში, განრისხებული.
მე მოვუნოდე მსოფლიო ერებს,
შენწყვიტონ ომი,
რომ შემდეგ ნახოს შთამომავლობამ,
ვით შესწევს ძალა ხელოვნებას საოცრებების.
ნუ შევეხებით ხალხის შრომით
ნაღვან ქმნილებებს,
მას ხომ, ისედაც იავარჰყოფს ყოვლის მმუსვრელი,
და მაინც, ვფიქრობ, თუ სად არის ჭეშმარიტება,
ვით გავამრთელო შენების და ნგრევის მიზანი.

სასჯელი დიდი არ არსებობს
არცრა ამქვეყნად,
ვიდრე საკუთარ თავს მიუსჯის ადამიანი,
გილიოტინამ ხალხთა კვლისთვის
შექმნა მანქანა,
და ხალხმა თავი მას მოჰკვეთა გილიოტინით,
ვინც წვიმას თესავს,
ის მოიმკის სეტყვას უცილოდ,
ვინც მოყვასს ავნებს,
ის ივნება მოყვასის ხელით.
თუ ომის შემდგომ,
მშვიდობას აქვს ტახტი მეფობის,
მაშინ მშვიდობის
შემდგომ ომი გაბატონდება,
რადგან არ ახსოვს ისტორიას საუკუნენი,
სადაც მარტო ომს
ან მშვიდობას ჰქონდა სუფევა.
ხან სისხლის ღვრებით ირწყვებოდა
მთათა კალთები,
ხან მთის კალთებზე
ლხინი იყო გაჩაღებული,

ბრძოლის გარეშე
თუკი ვერ ძლებს ადამიანი,
უმჯობესია,
შეებრძოლოს მომხვედურ სტიქიას.
მაგრამ, ო, მაგრამ,
ისევ მაგრამ ამეკვიატა,
რადგან სურვილი
ხშირად რჩება ისევ სურვილად.

იგი ერთია და უცვლელი,
არის უცვლელი და მარადიული,
სთქვა მან არარსებულთან არსებული
და იქმნა ხილული,
იქმნა ხილული და მრავალფერი,
და მრავალფერმა შვა ერთფეროვნება.
სიკვდილ - სიცოცხლე
მომდინარეობს უშრეტ წყაროდან,
რაც უშრეტია,
იგი არის მარადიული.
დღისა და ღამის მონაცვლეობა
არის არსი მარადისობის,
ზეცა და მიწაც მარადიულია,
რადგან ის არარსებულიდან არსებულია,
და რაც არსებულია,
ის არარსებულის თანაარსია,
ხოლო, რაც თანაარსია არარსებულისა,
ის არსია არსებულისა.
რაც მიწაზე ხდება,
ის ცაზე აირეკლება,
რაც ცაზე ხდება,
ის მიწაზე აისახება.
ამიტომ ეშვება მიწაზე წვიმა,
ამიტომ ადის კვამლი ზეცისკენ,

ვინც უწოდა სახელი ყოველს,

იგი იყო თვითონ ყოველი;
ვინც შეიცნო ყოველი,
მან შეიცნო არარაობა;
ვინც შეიცნო არარაობა,
მან დაკარგა ჭეშმარიტება;
ვინც დაკარგა ჭეშმარიტება,
მან იპოვა მძიმე ტანჯვანი;
ქაოსში არის რაღაც ნესრიგი,
და ნესრიგში - უნესრიგობა;
ჟამთასვლა არის ცვალებადი,
მაგრამ უცვლელი რჩება მხოლოდ კაცობრიობა.
სიკეთეს და ბოროტებას
არა აქვს სახე,
მხოლოდ ჩვენ ვაძლევთ მათ სახეებს,
როდესაც ვიქმთ მათ.
მზე უცვლელია, მთვარეც უცვლელი,
მხოლოდ გულია ცვალებადი ადამიანის.
რომ განიცადო ბედნიერება,
უნდა უწყოდე უბედურება.
როცა დაგტოვებს სიხარული,
არ გაგიკვირდეს
მწუხარების კარზე კაკუნი.
ვინც მტკიცედ გაჰყვა მიზანს,
მან აისრულა გულისწადილი;
ვინც აისრულა გულისწადილი,
მან განიცადა სიხარული;
ვინც განიცადა სიხარული,
მანვე შეიგრძნო მწუხარებაც,
რადგან უწყოდეთ,
განცდა მოკლეა, როგორც სიზმარი.
ყველა წამლის თვისებაა –
ერთს ესალბუნოს, მეორეს ავნოს;
რაც კუჭ-ნაწლავს მოუხდება,
საზიანოა თირკმელებისთვის.
ხანგრძლივი სწავლა ზოგს გააგიჟებს,

ზოგს დააბრძენებს.
რაც უფლისათვის ნათელია,
ბნელია ჩვენთვის,
რაც ფარულია საიდუმლო ბეჭდით დასმული,
მას ვერასოდეს ახსნის ბეჭედს ადამიანი.

ამ ძიებებში დამავინყდა ჩემივე თავი,
ამ ძიებებში მე ვერ ვპოვე ბედნიერება,
რადგან სულს სევდა შეეთვისა,
როგორც ხეს ხავსი.
რადგან რაობა, მომავალში
გარდავიქცევი არარაობად,
და იმ მომავალს არარაობა
დარჩება ხსოვნად, შორ მოგონებად.
რომ შეიძლებოდეს
დროის უკუსვლა კოსმიურ ძალით,
ეს იქნებოდა სიკვდილის მარში სიცოცხლისაკენ,
მაშინ მოხუცი
ჩავხედავდი სიკვდილს თვალებში,
და უკუსვლებით ნავიდოდი სიჭაბუკისკენ,
სიჭაბუკიდან შევიდოდი სიყმანვილეში,
და მე, ყმანვილი ვაკოცებდი უცოდველ ყრმობას,
ყრმობის ხელები გადამცემდა სიჩვილის დღეებს,
და ის დღეები მიმიყვანდნენ იმ სანყისამდე,
სადაც ვიყავი მომწყვდეული პატარა გარსში,
სადაც ვიყავი მხოლოდ სუნთქვა სხვისი ნასუნთქით;
მაშინ უკუსვლით შთაინთქმებოდა
მშობლები, და თვით წინაპრების უწყვეტი ჯაჭვი,
და მივიდოდი იმ საზღვრამდე,
სადაც არ იყო არც სიტყვა,
და არც თვით ქაოსი,
და იმეფებდა იქ დუმილი უდიადესი,
რასაც ჰქვია არარაობა,
არარაობა და თვით სივრცის უსივრცოება,
არ იქნებოდა არც ვერტიკალი,

არც ჰორიზონტი,
 და დრო მსრბოლელი იქნებოდა თვით უდროობა,
 და ამ არაფერს ერქმეოდა უსახელობა.
 რომ შეიცვალოს დროის ბრუნვა კოსმიურ ძალით,
 ეს იქნებოდა სიკვდილის მარში სიცოცხლისაკენ,
 მაგრამ თვით ყოფას ვერ გავექეცი ადამიანი,
 რადგანაც ფეხი მიდგას ახლა დედამიწაზე,
 და დედამიწა ბრუნავს, ბრუნავს შეუჩერებლივ,
 და ამ ბრუნვაში მიდის ნამები,
 ნუთები და წელიწადები.
 საუკუნეებს მიჰყვებიან საუკუნენი,
 ნუთუ, არა აქვს დასასრული ამ დღეთა სრბოლას,
 რომ დავუბრუნდე კვლავ იმ სანყისს,
 რასაც ჰქვია არაფერი, უსახელობა.
 და ეს ნუთუა რომ მანამებს დღითა და ღამით,
 თუმც ამ წამებას შევეჩვიე ადამიანი.
 მე შევეჩვიე ყოველივეს, რაც ირგვლივ ხდება:
 ჭექა-ქუხილი, წვიმა, თოვლი, ქარიშხალი, მინისძვრა, სეტყვა;
 მე შევეგუე ყოველივეს, რაც ირგვლივ ხდება:
 მზეს – სხივთა მრფეველს, საამო დარს, ნარნარა სიოს;
 მე შევეჩვიე გაზაფხულს და მხურვალე ზაფხულს,
 მე შევეგუე შემოდგომას და პირქუშ ზამთარს,
 მე შევეგუე ყოველივეს, რაც ჩემში ხდება:
 სიხარულს, სევდას, მწუხარებას, ბედნიერებას,
 ცრემლსა და სიცილს,
 დარდს, ოცნებას, აღტაცებას, სასონარკვეთას,
 მარცხს, გამარჯვებას, ფიქრსა და ეჭვებს,
 სინაკლეს და კმაყოფილებას,
 ჩაწვდი, რა არის სილამაზე და სიმახინჯე,
 მე შევეგუე ყოველივეს: ტკივილს, სიამეს,
 მე განვიცადე სიყვარული და სიძულვილი,
 მე დავინახე სიკეთის წილ უმადურობა,
 ვიხილე ბრძენი, ვისაც თვლიდნენ გიჟად ამქვეყნად,
 და ფილოსოფოსს, ვით ეძახდნენ სულელ ბერიკაცს,
 ვნახე პოეტნი, ვინც გვირგვინის იყვნენ ღირსები,

თვითმარქვიებიც ბევრი ვნახე ყალბი დიდებით;
ვნახე მეძავნიც, უმღეროდნენ პატიოსნებას,
მღვდლებიც ვიხილე, ანგარებით რომ სულდგმულობდნენ;
და მე ვიხილე დაბადება, მოყვასთა კვდომა,
ომი, სისხლისღვრა, კაცთაჩეხვა, დღესასწაული,
დასაფლავება, ქორწინება, შური, გაცემა,
მე დავინახე მონყალების უხვად გამცემი,
მე დავინახე მტაცებლობა, ჩაგვრა ერების,
მე მიგემნია ნაყროვანება, თრობა, ღრეობა,
მე განმიცდია შიმშილი და უსამოსლობა;
ვიყავ მდიდარი, გამოვცადე თუმც სილატაკეც,
ვიყავი მეფე, ვიყავ მონა ბორკილგაყრილი,
მწამდა უფალი, გამოვცადე თვით უღმერთობა;
მე ავაშენე ქალაქები, ცათამბჯენები,
მე დავანგრეე ყოველივე მიწასა ზედა,
მე შევეგუე ყოველივეს, რაც ჩემში ხდება,
სიხარულს, სევდას, მწუხარებას, ბედნიერებას;
მე შევეჩვიე ყოველივეს, რაც ირგვლივ ხდება,
გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას და პირქუშ ზამთარს,
დედამინა კი კვლავაც ბრუნავს შეუჩერებლივ,
გადის წამები, წუთები და წელიწადები.
საუკუნეებს მიჰყვებიან საუკუნენი,
წუთუ, არა აქვს დასასრული ამ დღეთა სრბოლას,
რომ დავუბრუნდე კვლავ იმ სანყისს,
რასაც ჰქვია არაფერი, უსახელობა.

ოჰ, ამ ფიქრებში მიიწურნენ სიცოცხლის დღენი,
ვით ხეობებში ცისკრის ნისლეები.
ფვიქრობ ყოველი ამოსუნთქვა ბოლოა ჩემთვის,
რადგან არ ვუწყი, როდის გავალ ამა სოფლიდან.
წყლულები ცოდვის ჩემი გულის ქვაბში კვარჩხალებს,
სიკვდილი მოვა უკითხავად, და დრო არ მრჩება
სინანულისთვის,
რამეთუ უგნურს მიძინებია წუთისოფლის ამაო ძილით,
და ამივსია პირი ჩემი, სიტყვებით ბილწით,

ნაცვლად კი უნდა მეგალობა სადიდებელი, უფალო, შენი.
ხატი შენი ნავშალე ჩემი გულის უძირო ცაზე.
ეხ, რად მიკვირს ახლა, უიღბლობა ჩემი,
ეულობა ჩემი, სულის შეშლილობა ჩემი,
ოხ, დავემონე წუთისოფლის ამაოებას,
მივეცი ვნებებს სათარეშოდ გულში მინდვრები.
ჰოი, უფალო, სიყვარული მომწყურდა შენი,
მინდა ჩემს სულში გაიზარდოს ნერგი რწმენისა,
ჰოი, კვლავ მინდა შემოვიქცე შენსკენ, ნათელო,
შენი სინათლის სიკაშკაშით რომ დამაბრმავო,
რომ მოგეახლო შიშით, თრთოლვით,
შენს წინ დავემხო,
რომ ჩემი შუბლი
შენს ნატერფალს კრძალვით შეეხოს;
თუმც, არ ვარ ღირსი,
მაგრამ რადგან შენ ხარ მოწყალე,
შენი წყლობის
იმედით და რწმენით ვსასობ,
სერაფიმები გიგალობენ ტკბილხმოვანებით,
მე კი, თვით ლოცვა, ზეციერო, ვით შემოგაკადრო.
მაგრამ ყოველი სულიერი შენ გიმღერს ქვეყნად,
და ჩემს სულსაც სურს, გადიდებდეს, ყოვლის მხილველო,
აჰა, გაიხსნა ბჭენი შენი, ნამით აღვსილი,
და მადლად ციდან დაეღვარა ჩემს სულს, უდაბნოს,
საკვირველებავ, კვლავ აყვავდა გულში ფსალმუნნი,
და ყვავილებად მოეფინა არე-მიდამოს;
ცისკრის ლოცვები გაიშალნენ ვარდის კოკრებად,
მნუხრის ლოცვები დაემსგავსნენ ღელის შროშანებს,
ოჰ, სული ჩემი დაემსგავსა თვალწარმტაც ნალკოტს,
შიგ რომ ჩიტუნებს გაუმართავთ ტკბილი გალობა,
გულის ემბაზი ისევ წმინდა რომ იყოს ჩემი,
მე შენთა ფერხთა მტვერით მინდა, რომ განვიწმინდო,
მოვედ, უფალო, დაივანე კვლავაც ამ გულში,
რადგანაც იგი შენ გეკუთვნის სამარადყამოდ,
სადაც წარვიდე, წინ მიძლოდეს ნათელი შენი,

მისხენ ყოველთა ბოროტთაგან, ყოვლის შემძლეო,
და ჰა, მე მინდა სიხარულით ფერხთით დაგინყო
ჩემი ხელებით მოტანილი პალმის რტოები.
ლოცვებიც კი არ მცოდნებია ეგზომად საჰყარს,
და გთხოვ, ლოცვებად მიითვალე ჩემი ცრემლები,
ჩემი მამა ხარ, ჩემი დედა, ჩემი დობილი,
არვის ვუყვარვარ, როგორც შენ მე, სიკეთის წყაროვ,
ოდეს გზის პირას მოწყალებას ვთხოვდი გამვლელებს,
მამინ წყალობა უღონო ქმნილს არვინ არ მომცა,
გამოიარე, სიბრალულით აგვესო გული,
და სიხარულით ხელი ღატაკს გამოიმინოდე,
გამომინოდე, როგორც ძმამ ძმას,
როგორც მამამ შვილს,
და შეცივებულს მატყლის ქურქი
ტანზე მომარგე,
თაფლი მომეცი, უბინაოს ჭერი მომმადლე,
თუმც უმადურმა, ეგ სიკეთე კვლავ დაგივინყე,
რადგან არაფრად არ ჩავთვალე შენი წყალობა,
დილა გათენდა. გავეშურე კვლავ სამონყალოდ,
დამადლებული რომ ამელო ვაჭრის წყალობა,
ორ გროშს მაძლევდნენ და მდიდარი მეგონა თავი,
მე აბრეშუმად ვთვლიდი, ძონძებს რომ შემმოსავდნენ,
და მიხაროდა, ნასუფრალით რომ მმასპინძლობდნენ;
და ოდეს ერთ დღეს მე არავინ არ მიწყალობა,
კვლავაც შენს ჭერქვეშ ვითხოვე ბინა,
რა სიხარულით კვლავ მიმიღე, უფალთ უფალო,
ვითარ გადმოსცეს ბაგემ ჩემმა, ეგ სულგრძელობა,
ჩვენ ერთად ვრწყავდით მიმწუხრისას ბაღში ყვავილებს,
ოდეს მთებს მიღმა ჩადიოდა მზე მენამული,
რა სიხარულით შევცქეროდით გაფოთლილ ვაზებს,
უხვად მტევნები რომ მოესხათ წელდაზნექილებს,
როს მტრედისფერი შეღებავდა დაბინდულ ზეცას,
ბაღში ხალისით მივდიოდით ჩუმი ღიღინით;
ტყვიდან რომ შაშვი ბანს მისცემდა ცაზე ტოროლებს,
ზღვა სიხარულით ივსებოდა ჩვენი გულები,

მაშინ ვსუნთქავდით მიწის სურნელს, სუფთას და ამოს, ოდეს ნიავეთ შრიალებდა ყანა სიმინდის.

შენ მასწავლიდი, როგორ უნდა მეხმარა თოხი, სიმინდის ირგვლივ მიწა როგორ შემომეყარა, ასე ხალისით მუშაკობენ მხოლოდ ბავშვები, ასე ხალისით მიდიოდა დრო უზრუნველი.

როს შუბისტარზე მოკაშკაშე მზე დადგებოდა, იქვე წყაროსთან დავსხდებოდით შუბლდაოფლილნი, შენ მიყვებოდი იგავებს და მასმევედი სიბრძნეს, დაუშრეტელო, სიბრძნის წყაროვ, ჩემო მოძღვარო, რა სიხარულით მიდიოდა ლალი დღეები, რა სიხარულით ვაცილებდით ფერად დაისებს...
ერთხელ, სალამოს შეიყარა ცაზე ღრუბლები, შემოიგრაგნა და განერთხა კიდიდან კიდეც, დიდრონი მთები შეზანზარდნენ, მიწა შეიწყა, ქუხილის ხმები გადისროლა ხევიდან ხევმა, ხანჯლით გააპო თითქოს ელვამ ზეცა შუაზე, და ზეცის თაღმა ურჩხულივით დაიღრიალა.

შემდგომ დუმილი გაისუდარა სინყვდიადეში, რალაც ავბედის მოლოდინში დარჩა მიდამო, თუმც, უმაღ ქექამ გაარღვია დუმილის ბადე, და ციდან თქეში წამოვიდა თავგამეტებით, თითქოს კვლავ წარღვნა მოელოდა ცოდვილ სამყაროს, ჩვენ კი ბუნხართან ვისხედით და მასმევედი სიბრძნეს, დაუშრეტელო, სიბრძნის წყაროვ ჩემო მოძღვარო.

ანაზდად კართან ვილაც ხმოზდა, გავალე კარი, და სანთლის შუქზე აისვეტა ლანდი მოხუცის, ტანი ძონძებით დაეფარა, თმა განწნვოდა, დაღარულ შუბლზე ჩირქიანი ჰქონდა ხალები, სპეტაკ წვერზე კი წვეთწვეთობით წვიმა სდიოდა, და მქისე სუნით ლამის იყო, სუნთქვა შემეკრა, ჭერი მთხოვა და მე კი ზიზილით ვუთხარ: შემოდი, პურის ნატეხიც არ მივეცი გაძვალტყავებულს.

შენ კი, უფალო, რარიგ სდუმდი, ყოვლის მხილველი, გვიანი იყო, ჩაგვეძინა ყველას ღრმა ძილით.

და, ოდეს დილით გავიღვიძე – ვაი საბრალოს,
არც მოხუცი და არც შენ იყავ სახლში, უფალო,
ახლა სად გპოვო, სასურველო,
ჩემგან შორს მყოფო,
უხილავობის ძალთა მქონევ, ხილვათა მჩენო,
შემოსილი ხარ ღამეულის საბურველებით,
შენი სპეტაკი შესამოსლის ვარსკვლავები არ ელვარებენ,
აღარ ჩამესმის შენი ხმების ზართა წკრიალი,
დახშული არის შენი კარი ნების ბეჭედით,
შენი სიუხვის წყარო აღარ მოედინება,
გული უდაბნოს მწყურვალეებით
ინთქმება ცეცხლში.
სასიხარულოდ შროშანები აღარ ჰყვავიან,
სასიყვარულოდ არ იშლება ვარდის კოკრები,
მხოლოდ ეკლები იხლართება ურვით და გლოვით,
ახლა სად გპოვო, სანუკვარო, ჩემგან შორს მყოფო...
ჩემი ცხოვრების დახლართული გზები, უფალო,
კვლავ მოაქციე შენს სწორ გზაზე დაიმედებით,
მძიმე ცოდვების ტვირთი, შენი მსუბუქი ხელით,
უვარგის ბარგად ცხრამთას იქით გადაისროლე,
და კვლავ ნუგეშის სამოსელი მომარგე ტანზე,
რომ დაცემული, მტვრიან გზაზე კვლავაც წამოვდგე,
უხვი წყალობით კვლავ ამივსე კაბის კალთები,
გრიგალისაგან გათელილმა, ნელში მოხრილმა,
წვიმიან ღამით უფსკრულებზე ბილიკები გამოვიარე,
თვალში სინათლის სხივი ჩაქრა, ხელის ცეცებით
შენი სასახლის კარიბჭეებს ველარ მოვავენ.
ჭერსაც ნუ მომცემ,
არ ვარ ღირსი, შენს დარბაზებში
საგალობლები მოვისმინო, სმენა დავიტკუპო,
რაც მიწყალობე სიხარული, უკან წაიღე,
მხოლოდ სინანულს ნუ წამართმევ, დამრჩეს სახსოვრად,
შენდა სახსოვრად, რომ ნიადაგ ცრემლი დავლვარო,
ჭერსაც ნუ მომცემ, დახშენ შენი სასახლის ბჭენი,
ღირსეულს მადლით, არ ვარ ღირსი, რომ გემსახურო

მხოლოდ შენს ბალთან,
ზღუდის გარეთ დამაგდე საპყრად,
რომ შენი ცეცხლი მწვავდეს, მარად უზეშთაესო,
ჭეჭა - ქუხილის მბრძანებელი, ელვის მბყრობელი,
კვლავ მომეველინე საშინელი შენი სახებით,
და შენს შერისხვას, დამანგრეველ ცეცხლოვან ისრებს,
შენგან წყალობად მიითვლიან ჩემი წყლულები.
ასე გეძახი, ასე გიხმობ ჟამიდან ჟამად,
მაგრამ ჩემი ხმა იკარგება სამყაროს ხმებში,
შენი სახების ვერმხილველი ცრემლად ვიღვრები,
მაგრამ ცრემლები იკარგება ზღვის საუფლოში,
ასე გეძახი, ასე გიხმობ ჟამიდან ჟამად,
მაგრამ ჩემი ხმა იკარგება სამყაროს ხმებში.
ძილი გამიკრთა, მეკვეთება სასო ნიადაგ,
სახლში ლანდები მიმოდიან, ლამის მსტოვრები,
კარზე კაკუნი შემომესმა და ვთქვი: მოვიდა,
ჰა, ჩემი მხსნელი, მწყალობელი, ჩემი ნუგეში.
გავაღე კარი, მთვარის შუქზე ხეთა ტოტებში
ისმოდა, მხოლოდ მონავარდე სიოს სიცილი,
შენი ფეხის ხმა შემომესმა და, აღტაცებით,
გავაღე კარი, რომ ხალისით მოგგეგებოდი,
მაგრამ დახავსულ კრამიტებზე მონაცვლეობით
ხტოდნენ მაისის მოკისკასე წვიმის წვეთები.
კვლავ შემოიქეც, სინათლეო, მზეო, გაბრწყინდი,
სხივთა სიუხვით გალღვეს გულში ცოდვის ყინული,
ნუგემის ხეო, მომაფინე შენი ჩრდილები;
მირონცხებულო წყაროვ, მადლით ამონყაროვდი;
შავო ღრუბლებო, გადიყარეთ; მზეო გამოჩნდი;
მთებო, ნისლების დაიფერთხეთ ლურჯი კალთები;
ზღვაო, დამშვიდდი; ქარო, ჩადექ; ტბაო, დაგუბდი;
ლამევ, გათენდი; მზეო, ნათლად ამოკაშკაშდი;
მადლის ჭურჭელი, ქარზე სწრაფო, წყალზე მჭვირვალევე,
ყვავილზე ნაზო, ცეცხლზე მწველო, მთებზე ურყევო,
ზღვაზე უძიროვ, უფსკრულზე ღრმავ, სივრცეზე ვრცელო,
სიბრძნის სიბრძნეო, შენი მადლით ამოკაშკაშდი.

შენს მონყალებას ვერ დაიტევს მთელი სამყარო,
შენს სულგრძელობას ვერ აწონის ვერრა სასწორი,
შენს მოთმინებას ვინ გაზომავს, არ აქვს საზღვარი,
თუკი განრისხდი, შენი რისხვაც ჭეშმარიტია,
სიბრძნის სიბრძნეო, შენი სიბრძნით ამივსე გული,
კვლავ შემოიქეც, სინათლეო, მზეო, გაბრწყინდი.
სხივთა სიუხვით გალღვეს გული, ყინვით დამზრალი,
ნუგეშის ხეო, მომაფინე შენი ჩრდილები,
მრონცხებულო წყაროვ, მადლით ამონყაროვდი.
აჰა, გაიხსნა ბჭენი შენი ნამით აღვსილი,
და მადლი ციდან დაეღვარა ჩემს სულს, უდაბნოს,
საკვირველებავ, კვლავ აყვავდა გულში ფსალმუნნი,
და ყვავილებად მოეფინა არე-მიდამოს.
ცისკრის ლოცვები გაიშალნენ ვარდის კოკრებად,
მწუხრის ლოცვები დაემსგავსნენ ღელის შროშანებს,
ოჰ, სული ჩემი დაემსგავსა თვალწარმტაც წალკოტს,
შიგ რომ ჩიტუნებს გაუმართავთ ტკბილი გალობა.
ო, სულგრძელობა ვინ აღწეროს შენი, უფალო,
მე ნათელვილე ცოდვის შვილმა შენი წყალობით,
გული ნეტარებს მზის სხივებით, უხვად აღვსილით,
ახლა კი ვიცი, რა აზრი დევს ჩემს გონებაში,
ახლა კი ვიცი, რა გრძნობა დევს მგზნებარე გულში,
ახლა კი ვიცი, რა ძალაა რომ ამოძრავებს,
თაბახზე თითებს დაუღლელად შრომის წყურვილით.
მე ნათელ ვილე, ცოდვის შვილმა, შენი წყალობით,
ახლა კი მინდა შენი პირით ყველას ვახარო,
თუ რა კარგი ხარ, თუ რა სათნო, და რა სულგრძელი,
ვინც ითხოვს, უხვად მიმცემი ხარ მადლის სიუხვით,
ვინც წყალს მოითხოვს, დაარწყულებ, რომ არ სწყუროდეს,
ვინც პურს მოითხოვს, დაანაყრებ, რომ არ შიოდეს,
ვინც სამოსს ითხოვს, მიეცემა შესამოსელი,
ვინც ჭერს მოითხოვს, მიეცემა ჭერი უკლებლივ;
ვინც გზაში არის, დაბრუნდება შინ კვლავ მშვიდობით,
შენი წყალობით, მეუფეო, შენი წყალობით,
გული ნეტარებს, მზის სხივებით უხვად აღვსილი;

დაუშრეტელო, სიბრძნის წყაროვ, ჩემო მოძღვარო,
მე ნავალ გზებით მთიდან ბარში, და თან ნავილებ
გულით სიყვარულს, შენს სიყვარულს,
ჩემო უფალო.

* * *

საძირკველია უფალი, რომელზედაც
შენ ხარ დაშენებული სასახლედ, ადამიანო,
და თუ მიგატოვა ღმერთმა, ჭეშმარიტად გეტყვი,
დაინგრევი, როგორც ხუხულა.

* * *

მონიანიეთ, რათა შემდეგ
სინანულისთვის კვლავ არ ინანოთ.

* * *

ტაძარში მისვლა არასოდეს არ არის გვიან,
უფლის გული მუდამ ღიაა.

* * *

მოძღვარი უფლის ბილიკია,
ხოლო ტაძარი-სასუფევლის კარიბჭე.

* * *

თუკი რწმენა გაქვს,
საკვირველი სულაც არ არის,
რომ გესხას ფრთები.

მზეს სამუდამოდ ვერ დაფარავს შავი ღრუბელი,
ადრე თუ გვიან იგი გაქრება,
და კვლავ ზეცაზე მზე გაბრწყინდება,
ჩაგრულ სიმართლეს დაუდგება ასეთი წუთი.

ნუ მოინდომებთ ყველაფრის ცოდნას,
რადგან ვერასდროს ვერ დაითვლით
ცაზე ვარსკვლავებს.

ვისაც თვალები ცისკენ გაურბის,
იგი უფსკრულში ჩაიჩეხება.

ჭეშმარიტად უძლებია მოკვდავის თვალი,
რადგან, რასაც იხილავს, აღარ სურს რომ შეეღოს მას,
მაგალითად, მზეს, ამ მთას, ამ ზღვას...

ღმერთმა რომ სიმძიმე მიანიჭოს ცოდვებს
რასაც ადამიანი სიცოცხლის მნძილზე ჩადის
ჭეშმარიტად გეუბნებით, კაცობრიობაც
ვერ აზიდავს მათ.

ძალით სიყვარულს ვერ მოიყვან,
ველზე ყაყაჩო თავისით იზრდება.

სილამაზით ნუ დაიკვები,
ვარდები ჭკნება.

აღიარეთ თქვენი ნაკლი,
ვიდრე სხვა იტყვის.

მოშურნე ნაკლს არასოდეს გეტყვის,
პირიქით, მოგიწონებს.

კლდე არ ეტყვის ხავსს, დამეხსენიო,
არც ჭემმარიტი მეგობარი – გამეცალო.

თუკი მოხუცმა მოგთხოვათ წყალი,
ნუ დაზარდებით, თქვენც მოხუცდებით.

თუკი მოხუცის სიყვარული არ იცი კაცმა,
მაშინ მოხუცი შესძულდები შენს შვილიშვილებს.

მშობლების პატივისცემით
მომავალში შვილები დაგვდებენ პატივს.

სიცოცხლეში დააფასე მშობელი,
თორემ მკვდრებს უფალიც მიხედავს.
... თუმცა ცოცხლებსაც.

საბრალოა მშობელი, რომელსაც
შვილის აღზრდა გაზრდა ჰგონია.

როგორც ველურ ცხენს სჭირდება წვრთნა,
ასევე წვრთნა სჭირდება შვილს, რომ დაგიჯეროს.

გაუჯავრდი შვილს და ნუ უფრთხი, გული ეტკინებაო,
იცოდე, ბოლოს შენ გატკენს გულს.

ყმანვილობის ჟამს თუ არა გაქვს თვალზე ცრემლები,
მაშინ ცრემლები სიბერის ჟამს უხვად გერგება.

ნიგნებს ყდით ნუ შეაფასებთ,
ვის არ უნახავს ვაშლში ჭია?!

ჭეშმარიტი მწერალი სინდისს ჰგავს,
რომელიც მუდამ ამხელს საზოგადოების მანკიერებას.

თუ გსურს, ხელოვნებაში შექმნა
რაიმე ღირებული,
ამისთვის უნდა გაგაჩნდეს ნათელი გონება,
მგრძნობიარე გული და უსპეტაკესი სული.

პოეტს უსასყიდლოდ მისცა ღმერთმა
ლექსის წერის ნიჭი
და მას არ აქვს უფლება რითმებით ივაჭროს.

მავანნი და მავანნი ბევრს წერენ,
და უფასდებათ კიდევაც თავიანთი ნამოღვაწარი:
გაჩნდება თუ არა დახლზე მათი წიგნები,
თვალსა და ხელს შუა ქრება.
უცხო ხილვით ეტანება ხალხი მათ უგემოვნო
აზრებს და ამოუხსნელ სისულელეებს,
რადგან ჰგონიათ, რაც ამოუხსნელი და
მიუწვდომელია, ის უთუოდ,
ღრმა და ყოვლისმომცველი იქნებაო.

ბიბლიის უკუღმა წამკითხავმა
სახედარი გააღმერთა,
რომლითაც იესო იერუსალიმში შევიდა.

მარტოობა მორწმუნეს აძლიერებს,
ხოლო ურწმუნოს ასნეულებს.

მორწმუნეს ღმრთის შიში აქვს
ურწმუნოს სიკვდილის.

ირემს თუ მგელი არ დასდევს,
ჩლიქები უჩირქდება:
უმოქმედობა დედაა უბედურების.

თუ მოინდომებთ სიკეთის თესვას,
მინად ნოყიერი გული უნდა მოძებნოთ.

გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცის
სანუგეშოდ,
მარტო სიტყვები არ კმარა.

ბოროტ ადამიანს გაეცალეთ,
გველს არასოდეს გაუშინაურდეთ.

ბრძენი მაშინ ხარ კაცი,
როცა მტერს მოყვარედ აქცევ.

კეთილი მეზობლობა -
მშვიდობის სანინდარია.

კეთილი მუნჯი მირჩვენის,
პირმეტყველ ენამყრალსაო,
ბერნი გოგონა ჯობია,
შვილიან მეძავ ქალსაო.

ადამიანები პირობას დებენ,
რათა მომავალში დაარღვიონ.

საიდუმლო რომ განდონ,
დუმილი უნდა გიყვარდეს.

ვინც რწმენას იცვლის ისე, როგორც წინდებს,
მისთვის ადგილი ჯოჯოხეთშიც არა აქვს დემონს.

ვინც რწმენის წილ
სიცოცხლეს არაფრად აგდებს,
ის ღმერთების დარია.

ერი არ შერაცხავს გმირად მას,
ვინც სიცოცხლეს უაზროდ განირავს.
ერის სათაყვანებელი გმირი ის არის,
ვინც სიცოცხლე შეგნებულად აჩუქა მამულს.

ხალხის სიყვარული თუ გსურს დაიმსახურო,
თავად უნდა გიყვარდეს ხალხი.

ნუთისოფელათან გაყრა
უფრო ბედნიერებაა,
ვიდრე შეყრა.

ბრძენი გიჟია,
მაგრამ გიჟი არ არის ბრძენი.

ცხოვრება საათივით არ არის აწყობილი,
იგი ხან წინ უსწრებს დროს და
ხანაც უკან რჩება.

უაზრო გაცემა არ არის სათნოება.

შენს ქალაქში არასოდეს იქადაგო,
რადგან ადრე თუ გვიან დატოვება მოგიწევს მისი.

მოგზაურმა უცხო ქვეყნებში
კენჭები კი არ უნდა შეაგროვოს,
არამედ - სიბრძნე.

უბრალო კაცის სახელი
გაქრება, როგორც კვალი.
მაკედონელის ცხენსა კი
რქმევია ბუცეფალი.

კაცმა დედამინაზე იმდენი უნდა იარო,
ვიდრე ნაკვალევს არ დატოვებ,
ფეხისას კი არა, სულისას.

ამ მცირე ნაშრომს გადავხედე
და უცებ შევკრთი,
ხომ არ შეგცოდნე ისევ, უფალო,
არა, კვლავ შენი წყარო ჩემში მოედინება,

-რადა გაქვს ხედვა მიპყრობილი სივრცეებისკენ,
რად გინდა მისწვდე მიუწვდომელს, ან კი, რომ მისწვდე,
იმ მიწვდომილით, ვით შეივსო ცოდნის სანყაო,
მაგ ძიებებში დაგავინწყდა შენივე თავი,
მაგ ძიებებში დაგავინწყდა შენი მოყვასი,

მაგ ძიებებში დაგადგება თავზე სიკვდილი,
და არ დაგაცდის მიწვდომილის არსის შეცნობას.

მე გიხმობ წრფელი სიყვარულით, ადამიანო,
ვიდრე სიკვდილი გამოგინვდის თავის ცივ ხელებს;
შენა ხარ ჩემი კოსმოსი და მინდა ჩაეხედო
შენი სულის სიღრმეების ფარულ უფსკრულებს.
მინდა, რომ ვნახო შენი გულის სივრცეები უკიდევანო,
მხოლოდ ის ხომ არ არის ცხოვრება,
რომ ერთმანეთი დავასაფლავოთ,
თუმცა, შენს წინ რომ ჩაატარეს ახლა ცხედარი,
როგორ ათრთოლდი, ო, ვიცი, გეტკინა გული,
და ისიც ვიცი რაც გაიფიქრე,
მაგრამ, ძვირფასო, სასო ნუკი წარგეკვეთება,
სიკვდილამდე ხომ სიცოცხლე გვაქვს ჯერ გასავლელი.
მაშ, გიწვდი ხელებს სიყვარულით, ჩემო მოყვასო,
მოზიარე ვარ შენი ტანჯვის მსურს განუგეშო განუგეშო,
მარტო არასდროს არ იგრძნო თავი, მე შენს გვერდით ვარ,
თუმცადა ბევრჯერ მიგატოვებს განსაცდელში მარტოდ, სა-
ბრალოვ,
ვინ დაითვალოს, თუ რამდენჯერ უმადურებით გატკინეს გული,
რამდენჯერ გითქვამს ალტაცებით – გავახარებო,
მაგრამ რაა მერე – დაგიხურეს გულის კარები,
მაგრამ რაა მერე – გამოგართვეს ცივი ხელებით.
ვინ უწყის რამდენი თეთრი ღამე ახსოვს შენს თვალებს,
უღონო ქმნილი რომ იწეკი მარტოდ სანოლში,
და ნაქარგ ბალიშს ცხარე ცრემლთ რომ ასველებდი,
მაგრამ, ძვირფასო, რომ იცოდე, მეც ვღვარე ცრემლი,
გულში იმედის ყვავილებს რომ რწყავდი ნიადაგ,
დაურიდებლად გაგითელეს ტლანქი ფეხებით,
არც ეს გაკმარეს, ოცნებებსაც
დაუმსხვრიეს მსუბუქი ფრთები,
და უფრო მეტიც, შემდეგ სიცილით
ირონიულად გითხრეს – ბოდიში.
ჩემს იმედებს და ოცნებებსაც მოუღეს ბოლო,

გულს ნუ გაიტყებ, მე სიყვარულით გიხმობ ახლა, ჩემო მოყვასო.
 მცირედი ძღვენი მოგიტანეს, ვერცხლის ლანგრები,
 შენ კი მთავარი შეჭამადი უკანასკნელი,
 უმადურება შემოგწამეს, დიდი ყვედრებით,
 და ნაცვლად შენგან მოითხოვეს ოქროს თასები.
 ჭერი გთხოვეს და შეიფარე, გაუმასპინძლდი,
 ზრუნვის დღეებით ილეოდა დღეც და თვეები,
 ერთ დღეს კი გითხრეს, ეს ჭერი და ეზო ჩვენია,
 და შენ ულონომ, აიკრიფე გუდა-ნაბადი,
 მაგრამ, ძვირფასო, ნუ იძიებ შურს,
 მინდა იცოდე, მეც ცისქვეშ დავრჩი,
 გულს ნუ გაიტყებ, სიკეთის ხეს
 უმადურების ჩრდილი მუდამ თან ახლავს.
 მე გიხმობ წრფელი სიყვარულით, ჩემო მოყვასო,
 შენს გულის მინდვრებს სიყვარულის ცვარით დავწამავ,
 შენს სულის ჭურჭელს სხარულის წვიმით ავაგვებ,
 შენს გაყინულ გულს ნუგეშის მზის სხივით გავათბობ,
 მე გიხმობ წრფელი სიყვარულით, ადამიანო,
 თუმც, მე ვერ მოგცემ სრასასახლეს ოქროს ჭურჭელით,
 თუმც, მე ვერ მოგცემ ძონეულით შემკულ სამოსელს,
 ჰო, მე ვერ მოგცემ ზღვაზე გემებს იალქნებიანს,
 მაგრამ გპირდები, დავალამებ გათენებულ დღეს
 შენზე ფიქრებით, რით გაგახარო,
 მე გიხმობ წრფელი სიყვარულით, ადამიანო.
 ვინა სთქვა შენზე, რომ ნაკლი გაქვს,
 არ ხარ მაღალი,
 შენ უნაკლო ხარ, დამერწმუნე, ჩემო მოყვასო,
 შენი თვალები ყველა თვალებში გამოვარჩიე,
 რადგან სხვასავით დაბინდული არა გაქვს მზერა;
 შენი თმის ფერი ყველა თმაზე უმჯობესია,
 რადგანაც ინით არ იღებავ წარბს და წამწამებს;
 შენი კანი კი ყველა კანზე უნაზესია,
 რადგან სხვასავით ფერუმარილს არ ხარ ნაჩვევი
 ყველა ღიმილში შენი ღიმილი გამოვარჩიე,
 რადგან მის მიღმა ცბიერებას არ უდევს ბინა.

შენ უნაკლო ხარ, დამერწმუნე, ჩემო მოყვასო,
მე სიყვარულით გიწვდი ხელებს, ადამიანო,
და მოვუნოდებ მსოფლიო ერებს, შეწყვიტონ ომი,
ცხოვრება მხოლოდ ის ხომ არ არის,
რომ ერთმანეთი დავასაფლავოთ.

მაშ, მოდი, დავტკბეთ ამ ბუნების მშვენიერებით,
რა ლამაზია ყველაფერი, რასაც შევცქერით;
ცა, ვარსკვლავები, მზე და მთვარე, მთები, მინდვრები,
ცისკრით ვარდებზე მოლიცლიცე კრთოლვა ნამების,
და მიმწუხრისას, დაბინდული ტყეთა ჩრდილები,
ზღვაში ჩასული, მოდაისე სისხლისფერი მზე,
კლდეზე დამსხვრეულ ჩანჩქერების ცისარტყელები,
მყინვარწვერები, უფსკრულები, თვალუნვდენელი,
ცაზე მყვირალა არწივები, ტბაზე – გედები,
მინის წიაღში მოფუსფუსე ჭიანჭველები,
ფაფარაშლილი ლომები და მფრთხალი ნუკრები.
ოჰ, გვიხაროდეს, რომ ჩვენ დღეს გვაქვს ხილვის უფლება,
დავტკბეთ, ვუმზიროთ, გავიხაროთ ჩვენ ამ ყოველით,
ვიდრე შეწყდება გულისფეთქვა ზღვარდადებული,
ვიდრე სინათლის ჩაგვიქრება ჩვენ თვალისჩინი,
რადგან ბუნება უკვდავია, ჩვენ კი მოკვდავნი,
მოდით, მაშ, დავტკბეთ მშვენიერის ცქერით ყველანი
რადგან ჩვენთვის ხვალ შეიძლება, სულ არ გათენდეს,
რადგან ხვალ, იქნებ, სამარეში დებდნენ ჩვენს კუბოს,
რადა გვაქვს ხედვა მიპყრობილი სივრცეებისკენ,
რად გვინდა მივწვდეთ მიუწვდომელს,
ან, კი რომც მივწვდეთ,
იმ მიწვდომილით, ვინ შეივსოს ცოდნის სანყაო,
ამ ძიებებში გვავიწყდება ჩვენივე თავი,
ამ ძიებებში გვავიწყდება ჩვენი მოყვასი,
ამ ძიებებში დაგვადგება თავზე სიკვდილი,
და არ დაგვაცდის მიწვდომილის არსის შეცნობას.
ოჰ, ვინ შეივსოს ცოდნის სანყაო?!

მე გიხმობ ახლა სიყვარულით, ადამიანო,
მხოლოდ ამ ზრუნვით დავალამებ გათენებულ დღეს,
რით გაგახარო, მხოლოდ ამ ფიქრით, რით გაგახარო,
მე გინვდი ხელებს სიხარულით, ჩემო მოყვასო,
ჩვენ გავიხარებთ, სიყვარულის ბანგი დავგვათრობს,
და, როცა ძლიერ გვეყვარება ჩვენ ერთმანეთი,
აღარ ვიფიქრებთ, თუ რად არის კურო კირჩხიბთან,
ან რატომა აქვს მთვარეს ზურგზე მკრთალი ლაქები,
და, როცა ძლიერ გვეყვარება ჩვენ ერთმანეთი,
თვით სიყვარული აღარ მოგვცემს ფიქრის დროს მასზე,
თუ რატომ არ აქვს სპილოს ფრთები ან თავს ხორთუმი,
და როცა ძლიერ გვეყვარება ჩვენ ერთმანეთი,
აღარ ვიფიქრებთ არაფერზე გარდა ერთისა –
რით ვანუგეშოთ ერთმანეთი, რით გაგახაროთ.

მე გიხმობ წრფელი სიყვარულით, ჩემო მოყვასო,
და მოვუნოდოთ მსოფლიო ერებს, შეწყვიტონ ომი,
და თუკი ვერ ძლებს ადამიანი ბრძოლის გარეშე,
უმჯობესია, შეებრძოლოს მომხვდურ სტიქიას,
მე გინვდი ხელებს სიყვარულით, ჩემო მოყვასო!

2006

ალბათ

სამშობლოს

ეს ჩემი გული თეთრი თოვლია,
შეუნყვეტელი რომ ცვივა ციდან.
თურმე რამდენი დარდი მქონია,
მაგრამ დარდებიც - თოვლივით წმინდა.

კვლავ შენზე ვფიქრობ, ჩემო სამშობლოვ!
ზამთრის ღამეებს ფიქრში ვათენებ,
მე შენს მომავალს ისე შევცქერი,
როგორც ყმანვილი ცისფერ ფანტელებს.

ლექსი კარგია, - თოვლივით წმინდა, -
ამას ვჩურჩულებ, შენი კვნესამე,
მე შენს გაზაფხულს მოვესწრო მინდა,
ვიფეთქო, როგორც ვაჟას კესანემ.

რაა სიკვდილი, რაზე ვიგლოვო?
როცა შენ გიმღერ, გული ცოცხლდება,
ვარ ტიცვიანის ლერწამის ღერო,
ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება.

მე მიყვარს

ფოთლებს წაიღებს ნოემბრის ქარი,
ქარი წუნკალი და მოთარეშე.
ვფიქრობ: უკაცოდ რა არის ქალი?
აღბათ - ზამთარი თოვლის გარეშე.

მე მიყვარს, როცა ნოემბრის ბოლოს,
როს სუსხი ცრემლით თვალებს გისველებს,
ვიღაც რომ გეტყვის ქუჩაში სალამს,
იხსენებ, მაგრამ ვერ გაიხსენებ.

“ქართლის ცხოვრება”

კითხულობ “ქართლის ცხოვრებას”
და გრძნობ, რომ სული შენია,
თითქოს ეს ტანჯვა უზომო
შენს თავზე გადაგხდენია,

კითხულობ, სიბრძნე გაოცებს,
ყამთაღმწერელის გენია.
შენია, ლხინი რაც არის,
რაც არის ქირიც, შენია!

სამება

სამებით დაგვირგვინდა,
მეოცე საუკუნე,
არის თლილი ქვები
ხილვად მშვენიერი.
ულვთოდ ნაჯაფარი,
მაგრამ ან ამაყი
ტაძრის ცქერით ტკბება
ახლა ჩემი ერი.
ვგრძნობ რა დიადია
სული ქართველისა,
სვეტებს ამჩნევიათ
ხელი შემოქმედის,
გზნებით ნაჩუქურთმებს,
გუმბათს ყელმოღერილს,
ვაზის გაცოცხლება
შვენის მშვენიერი.
იგი ლოცვა არის
სულში ანაგზნები,
სანთლად ანთებული
ფარავს მნუხარებას,
წყვდიადს გადაანგრევს,
რომ იქ მომავალში
იდგეს მარადისად,
როგორც უკვდავება.

ძირს რომ მიხრი წამნამებს

ველზე თელავ სამყურებს,
ქარი გიჩენს საყურეს,
გადამიშლი საგულეს და
მზერა დამასალბუნებს.

მაგ ატმების ნარგითა,
რომ მიღიმი ბაგითა,
მე ვითრობი ბანგითა და
გული ტოკავს დაგვითა.

ასე უღვთოდ წანამებს,
ძირს რომ მიხრი წამნამებს,
ველარ ვუძლებ ამ წამებს და
კიდევ უფრო მანამებ.

მე გიმღერებ ფსალმუნებს,
გული არ დგას საგულეს,
ველზე თელავ სამყურებს და
ქარი გიჩენს საყურეს.

ველარ ვუძლებ ამ წამებს და
კიდევ უფრო მანამებ,
ასე უღვთოდ წანამებს,
ძირს რომ მიხრი წამნამებს.

თუ გული გულობს

თუ გული გულობს,
იჭმევა ქადა ორივე ხელით.
თუ ცრემლი ცრემლობს,
შეიბრაღე ილიას მკვლეელი.

მოდი და ძმაო,
მენდე როგორც საკუთარ აჩრდილს,
როგორც ძმას შენსას,
თეიმურაზს, კახაბერს, არჩილს.

თუ გული გულობს,
მოდი, დაო, მომხვიე ხელი,
თამუნა, ეკა, ანა, სოფო,
სალომე, ლელი.

თუ ეს მზე მზეობს
ბანი ბანს და დავჭექეთ ერთხმად,
თუ სისხლი სისხლობს,
ავაშენოდ სამშობლო ერთად!

თუ გული გულობს,
ქადა იჭმევა ორივე ხელით,
თუ სული სულობს,
ერთად განვლოთ სავალი გზები.

ციდან ცრიდა

ციდან ცრიდა, ცრიდა, ცრიდა,
ცრიდა, ცრიდა, ცრიდა,
გზაზე წვიმდა, წვიმდა, წვიმდა,
წვიმდა, წვიმდა, წვიმდა.
მთები ბურმა გადაბურა,
გადაბურა, გადაბინდა,
ციდან ცრიდა, ცრიდა.
თეთრი ციდა ღრუბლის ფრთიდან
ანგელოზი გამოფრინდა,
ავ მოლოდინს ამარიდა,
გამარიდა და გაფრინდა.
ციდან ცრიდა, ცრიდა.
ოცნებები ალიცლიცდა,
ასრულება მე მომინდა
მინდა, მინდა, მინდა.
თვალზე ცრემლი გადმომდინდა,
შენი ნახვა კვლავ მომინდა,
გზაზე წვიმდა, წვიმდა.
სულმა გული დაამშვიდა
მშვიდად, მშვიდად, მშვიდად,
სიყვარულისთვის ტანჯვაზე
სხვა არაა წმინდა,
ციდან ცრიდა, გზაზე წვიმდა,
წვიმდა, ცრიდა, ცრიდა.

თიბათვე

სამი ია ირხეოდა ქარში,
მზე ლაჟვარდში ჰყრიდა სხივთა გროშებს,
სამაია უცეკვიათ ქართლში
თამარ მეფის ოქროსირმულ ქოშებს.

სათიბები, როგორც ღელვა ზღვების,
ეხეთქება მთებს და უხმობს ცელებს.
მოლოდინი უკეთესი წლების
ველებს ესვრის მზერას აღმაცერებს.

დაიწვება მზე საკუთარ აღში,
როგორც გულში დრო დაანგრევს კოშკებს.
სამაია უცეკვიათ ქართლში
ოქროსირმულ თამარ მეფის ქოშებს.

სიმღერა თბილისზე

ამამღერა ჩემმა თბილის ქალაქმა,
მთანმინდიდან სიო შემეხმინა,
ნარიყალამ გადმომხედა, ამაყმა
და მეტეხმა გამილიმა, მზიანმა.

რუსთაველზე ჩავიარე ღიღინით,
გალაკტიონს სადაც ხშირად უვლია,
მასია, სალამოა, სიმშვიდე
და სიცოცხლე ეხლა საამურია.

გაიხსნება ზეცის ყველა სარკმელი,
თვალეზს ძილი მიატოვებს ამაღამ,
მეგობრებო, აბა რა გაქვთ სათქმელი,
ამამღერა ჩემმა თბილის ქალაქმა.

მუხრან, ერთი ლაზათურად გვითხარი
შენი ლექსის სიბრძნის წყარო მწყურია,
რაც დავკარგეთ, აბა, ვინ დავგიბრუნებს,
რაც გაგვაჩნდა, ისიც დაკარგულია!

ორთაჭალის ხეივნები მეძახის,
ქალებივით მორცხვად დგანან ვერხვები,
მეიდანზე დევის ტუჩებს დავკოცნი
და ბავშვივით მტკვარში გადავეშვები.

ქართლის დედავ, მომანოდე ფიალა,
გორგასალო, მომაშველე მიმინო,
სიყვარულმა გულში ცეცხლად იალა,
მინდა ლექსმაც ამ მტკვარივით იდინოს.

ამამღერა ჩემმა თბილის ქალაქმა,
მთანმინდიდან სიო შემეხმინა,
ნარიყალამ გადმომხედა, ამაყმა
და მეტეხმა გამილიმა, მზიანმა.

გაფრინდი ჩემო ჩიტუნავ

გაფრინდი, ჩემო მერცხალო,
გაშალე ლალად ფრთებიო,
გაფრინდი, ჩემო ჩიტუნავ
გადაიფრინე მთებიო.

იქ ცხოვრობს ჩემი მიჯნური
ცისფერთვალეზა ფერია,
სადაც მარადის წალკოტში
უჭკნობი ყვავილებია.

წაუღე ჩიტო, ჩემს სატრფოს
ცრემლით ნაწერი ბარათი,
უთხარ, რომ მიყვარს უგონოდ,
უთხარ, რომ მიყვარს მარადის.

თუ კი რამ დამრჩა ამ ქვეყნად,
ერთი პატარა გულია,
გულში რომ განძი ელვარებს,
ის სხვისთვის დაფარულია.

გულიც წაუღე, ჩიტუნავ,
ეს მისი ავგაროზია,
ოჰ, როგორ მიყვარს, ვინ იცის,
ლურჯთვალა ანგელოზია.

გაფრინდი, მალე გაფრინდი,
გაშალე ლალად ფრთებიო,
გაფრინდი, ჩემო მერცხალო,
გადაიფრინე მთებიო.

წაუღე, ჩიტო ჩემს სატრფოს
ცრემლით ნაწერი ბარათი,
უთხარ, რომ მიყვარს უგონოდ,
უთხარ, რომ მიყვარს მარადის.

მე შენ ხელებს

ეგ თვალები ისე ღრმაა,
როგორც საქართველოს ტბები,
და ტბის თვალებს ეფარება
თმები, როგორც ლურჯი მთები.

მინდა ბოლომდე შევიგრძნო
ეგ ღვთიური სილამაზე,
და გიცქერი ვით დილის მზეს
განდევილი ხვდება მთაზე.

ვდგავარ მთაზე, და ვლოცულობ,
და ვივსები ნეტარებით,
და გული ცემს გამალებით
მზესთან შენი შედარებით.

მძიმე ფიქრებს ნისლი ჰფარავს
სინანული როს კრთის ცრემლში,
მე ვვარდები, მე ვეცემი
შენი სულის ნაპრალებში.

ვგრძნობ და ვხედავ, ბუნებაში
ყველგან არის ღმერთის ხელი,
სილამაზეს მუდამ ახლავს
სიამაყე ქედუხრელი.

და მეც ლამაზს, და მეც ამაყს,
მუხლს მოგიხრი, როგორც ხატებს,
ლოცვებს გეტყვი ჯერ არუთქმელს,
ლექსს აგინთებ, როგორც სანთლებს.

მე შენს ხელებს ვიღებ ხელში,
ვით ფიალას, საესეს შხამით,
ეკოცნი გრძნობით, სანამ სიკვდილს
არ შევხვდები ამ ბნელ ღამით.

და როდესაც დილით მთიდან
მზე გადმოღვრის ოქროს კონებს,
მოვა ქარი და ტბის ცრემლით
მომიგონებს, მომიგონებს . . .

ისევ სამშობლოს

მინას ეცემა თოვლი,
თეთრად ირთვება არე,
თუმც უპირველეს ყოვლის
მიყვარს სამშობლო მხარე.

იქ ანანურის ლიბრებს,
მუხრანის ველზე ქრიჭინს
გაიგებს განა ვინმე,
გარდა ორპირელ ბიჭის?

არის ანთება გრძნობის,
თოვლში ვარდების ფენა
და უპირველეს ყოვლის
მიყვარს ქართული ენა.

ქარის ქორებულ ყივილს-
გალაკტიონის ქნარი;
ნარსულის მძიმე ტკივილს,
რასაც ჩურჩულებს მტკვარი-
სხვამ თუ გამოთქვას ენამ
ტატომ მოიკლას თავი.

დაესიზმრება ყინწვისს
ანგელოზების ბნედა.
ამას არ უნდა ფიცი
ვაჟკაცს რომ უყვარს დედა.

თუმცა საკუთარს, რასაც
გრძნობს ეს ნატკენი გული,
აატირებდა ზღვასაც,
ქარი, ტალღების წყლული.

უბრალო ფიქრთა ჭევრით
ცივდება ჯვარი, რკინა,
ვილაცას უნდა ჭერი,
ვილაცას უნდა ბინა.

მე კი ვდგევარ და თოვლით
თეთრად ირთვება არე,
მიყვარს თუმც პირველ ყოვლის,
მხარე, სამშობლო მხარე.

ერთ ზაფხულს

ცამ სილურჯე ასნია,
აცახცახნდა ივლისი,
ყველამ მთისკენ გასნია
დავრჩით მე და თბილისი.

გრძნობა ხორბლად მოზღვავდა,
ვდგავარ თავთან პირისპირ,
ყველამ ზღვას მიაშურა
დავრჩით მე და თბილისი.

აჭრიალდა ფიქრები,
როგორც ძველი ვილისი,
მტკვარიც დაშრა მზის კოცნით
დავრჩით მე და თბილისი.

ყვავილებიც თვრებიან,
თურმე მწუხრზე ძილის წინ,
ზაფხულს, ასე ვნებიანს,
შევრჩით მე და თბილისი.

ჰარე კრიშნა

მზეში ვხედავ მე შენს ნიშანს
განწმენდისთვის ცრემლი ვღვარე,
ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა!
ჰარე რამა, ჰარე ჰარე!

მე უგნური, შენ უფალო,
განგეშორე, განგეყარე
ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა!
ჰარე რამა, ჰარე ჰარე!

კრიშნავ გამინათე გზები,
გთხოვ, ჩემს გულში დაივანე.
ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა!
ჰარე რამა, ჰარე ჰარე!

სული სამოსს იცვლის ბევრგზის
არა ურვა, არ სამარე,
ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა!
ჰარე რამა, ჰარე ჰარე!

მინდა გემსახურო წრფელად,
ვით მდინარე ოკეანეს.
ჰარე კრიშნა, კრიშნა კრიშნა!
ჰარე რამა, ჰარე ჰარე!

შენი მონა ვიყო მარად,
რომ ამდებხანს ვერ გინამე,
ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა!
ჰარე რამა, ჰარე ჰარე!

ოჰ, განგებავ, არსთა ძალო,
შენ გესავ და დამიფარე,
ჰარე კრიშნა, კრიშნა კრიშნა!
ჰარე რამა, ჰარე ჰარე!

ვინც შენს სიბრძნის ზღვაში შევა,
სხვაფრივ გაუნათებს მთვარე,
ჰარე კრიშნა, კრიშნა, კრიშნა!
ჰარე რამა, ჰარე ჰარე!

მზე ლექსები და ლანდები

ცხოვრების გზაზე მივდივარ,
მზე, ლექსები და ლანდები,
მგონი ყველაზე დიდი ვარ,
მგონი სულ ვპატარავდები.

რაც კი შემომხვდა, დავკრიფე
ჟასმინები და ვარდები,
თუ ვერ გავუძელ სიხარულს,
ამ კლდიდან გადავარდები.

გემი და გაშნობა

შემოდგომის ზღვაზე ლურჯი გემებია
და მაგ შენს სველ თვალზე ცრემლის წვეთებია,
ნეტავ ვის აცილებ, ნეტავ ვის შორდები,
იქნებ შეგიყვარდი, იქნებ გაგონდები.

თითქოს ზღვა ერთდება ცასთან სიახლოვით,
ქარის გახლეება თეთრი აფრებია,
ხელში გაგიქვავდა ლურჯი ბარათები,
ო, ეგ მწუხარება სულის თანხვედრია.

თუ კი შენ გიყვარდი, როგორც სერაფიმი,
მაშ რად დაიმარხე გულში მწუხარება,
ოჰ, რა გვიანია, გემი ტალღებს აპობს,
ეხლა ჩვენს შორის დგას სივრცის მდუმარება.

ეხლა ზღვის ტალღები უფრო გაგანამებს,
თქვი, რომ სიამაყემ ფრთები დაგიღენა,
დარდი დაგიმძიმებს ცრემლით მაგ წამნამებს,
ჩემს თავს მოგანატრებს ზღვა და ლურჯი ზეცა.

მიწყევ ამაოა მკრთალი იმედები,
თვალთა მოლოდინში გული გახუნდება,
კრთიხარ? გვიანია, გრძნობით იფერფლები,
გემი შორს, შორს მიდის, აღარ დაბრუნდება.

სილას შეერია ვარდთა თაიგული,
ტალღამ გაიტაცა კვალთა მდუმარება,
გემი ტალღებს აპობს, აღარ დაბრუნდება
- აღარ დაბრუნდება! კვიის მწუხარება.

ჩუმი ფიქრით

ცხრა მთას იქით, ცხრა ზღვას იქით,
ჩუმი ფიქრით, სავსე ჭიქით,
ვადღეგრძელებ სატრფოს.
იქ მზე არის, აქ კი მათოვს,
ის ნეტარებს, მე კი ვდარდობ,
მაგრამ მაინც ლამაზ თვალებს,
შიგ ცეცხლი რომ უბრიალებს,
დავუკოცნი, დავუკოცნი, დავუკოცნი
ლამაზ ბაგეს.
წაფუკითხავ ახალ ლექსებს,
ახალ ზღაპრებს, ახალ ამბებს,
ის რომ ჩემთან იყოს . . .
მაგრამ იცით? ჩემი სატრფო
ჩემზე ზრუნავს, რომ შორს იყოს,
რომ მე გრძნობამ არ დამახრჩოს,
და ნაპირზე გამომრიყოს.
და ამიტომ, ჩუმი ფიქრით
სავსე ჭიქით, ცხრა მთას იქით,
ცხრა ზღვას იქით,
ვადღეგრძელებ სატრფოს.

საქართველოს გაზაფხული

გაზაფხულია, თმებს შლის მაისი,
ამწვანებულა მთელი ხმელეთი.
ქართლის ველებო, ოდეს თქვენ გიცქერთ
არ მსურს სიკვდილი მე სიბერეთი.

მცხეთის ლაყვარდო, როცა შენ გხედავ,
ფილტვები სუნთქავს სხვა სიცოცხლეთი,
აფეთქებულა ატმად გურია,
ვაზის ყლორტებით ღელავს კახეთი.

ამღერებული მოდის არაგვი,
მზეზე კალმახის ელავს წინწკლები,
რად მინდა გრძნობა ყალბი ქარაგმის,
თუ სიხარულით ცას ვერ მივსწვდები!

გაზაფხულია და ოროველას
ისმის ღიღინი იავნანური,
მე სიხარულის ცრემლები მცვივა,
რადგან უსაზღვროდ მიყვარს მამული.

ოდეს პუშკინი ჩამოვიდა საქართველოში

მოდის პუშკინი და ტალახში ეფლობა ფეხი,
მოდის და ფიქრობს,
ვაჰ, რა ძალა სჭირვებია ამ გზებს დაგრეხილს,
რა ვუთხრა იმ კაცს, ვისაც არ მოსწონს სამშობლო თვისი.
ვფიქრობ, რომ იგი არ ყოფილა სიცოცხლის ღირსი,
მაგრამ უნდა ვთქვა ლამაზია ეს საქართველოც,
ნეტავ რამდენი ვერსი დამრჩა მე გასავლელი,
ნეტავ მწუხრამდე ჩავიდოდე ქალაქ თბილისში.
ეხლა მივხვდი
რად უმღერენ
პოეტები თბილისს,
ეს ლეგენდა
თაობიდან
თაობებში ივლის,
ვარდები და ენძელეები
თავებს ხრიან მორცხვად,
მაყვლის ბუჩქი თმადამლილი
ეფარება მოცხარს,
მეიდანზე დევის ტუჩებს
ასდით ცხელი ორთქლი,
ავლაბრიდან თავადური
ეტლი სწრფად მოჰქრის,
ჩუქურთმიან აივნებზე
ქალწულები ლერწმის,
არღნის ხმაზე ამღერება
სამშობლოზე ძენის.
რალაც ძალა, რალაც ჯადო,
ცურავს მტკვარზე ტივად,
ლექსი არის აფრენილი
მეტეხზე მოტივად.

ეს ქედები მე მაგონებს
მერნის აშლილ ფაფარს,
კაცს თბილისი მოგაგონებს
უუძველეს ზღპარს.
მართლაც ლამაზი რამ ყოფილა ეს საქართველო,
მართალი უთქვამთ: თუ კი ერთხელ იგი ნახეო,
ტკბილ მოგონებად გაცვებო სამარადისოდ.
ავწევ ამ სასმისს, სადღეგრძელოს ვიტყვი ამაყად
ვნახე ქალაქი, ჰგავდა იგი რომელიც ზღაპარს,
სად დარბაზობა გაუმართავს ოდესღაც თამარს,
მუხამბაზივით მე გავყვები ქუჩებს ამაღამ.

* *

გარეთ დაქრის ქარი,
ქარი მარტის, სუსხი,
და არ მოდის ქალი,
რახანია უცდი.

არა, უკვე ნახვალ,
უკვე დაილაღე,
დრო მარტივით წავა,
მაღე, მაღე, მაღე.

ვერ გაუძღებ მძიმე
უიმედო ლოდინს,
მოგეჩვენა თითქოს,
აი, თითქოს მოდის.

გარეთ დაქრის ქარი,
ქარი მარტის, სუსხი,
აი, მოდის სულ სხვა,
ვისაც შენ არ უცდი.

ბუხრიდან მოგონება

ცეცხლი ისვრის ოცნებების გამებს,
ოცნებებით წარსულისკენ მივქრი,
და ბუხართან გათეული ღამე,
და ბუხართან ჩაფერფლილი ფიქრი.

მომაგონდა ბაბუა და ბებო,
ჩითის საბნის მზით გამთბარი სუნი,
მინდა ახლა ზეცას შევავედრო
მათი წმინდა, უანგარო სული.

მომაგონდა ალუბლების გემო,
საყურედ რომ გავუკეთე მაკას.
სად ხარ ახლა, სიყმანვილევ ჩემო,
მე სიბერის თეთრი ლანდი მახლავს.

და ბუხართან გათეული ღამე,
და ბუხართან ჩაფერფლილი ფიქრი,
ცეცხლი ისვრის ოცნებების გამებს,
და ვით კვამლი, ზეცისაკენ მივქრი.

მწუხარე მოტივი

მინიდან აშლილი ნისლები
ეს ჩემი მარადი ფიქრია,
მწუხარე მოტივით ვივსები,
დღეები რა სწრაფად მიქრიან.

ვიცი რომ დარეკავს ზარები,
როდესაც ატყდება ქარები,
პანაშვიდს დარჩება ფოთლები,
ღვარები, ცრემლები, ღვარები.
და ნისლებს, მინიდან აშლილებს,
ნაილებს ქარები, ქარები.

ის

რად დაიღალა ბავშვი პოეტი?!
რად უკლავს იმედს სასტიკი ქარი?!
ნუთუ მინაზე მოვიდა მისთვის,
რომ მარად ცისკენ ეჭიროს თვალი.

მძიმეა მინა, თავს ვერ გრძნობს კარგად,
თითქოს ეშვება ვერცხლის კუბოში,
თვალცრემლიანი ის დადის ბრბოში
და გულმოკლული საქართველოში.

* *

ეს იყო მაშინ,
დიდი ხნის წინათ,
ჩვენ შევხვდით ქარში
და ძლიერ წვიმდა.

შენ იყავ ნაზი,
ბავშვურად წმინდა,
ლამაზი ისე,
ვით ნიკორწმინდა.

ვიდექით გზაში,
უხმოდ და მშვიდად,
და მზერა უხმო
სიხარულს გვგვრიდა.

დავშორდით ქარში,
როს ძლიერ წვიმდა,
ეს იყო მაშინ,
დიდი ხნის წინათ.

ორი რამ

არის ბავშვობა უფასო განძი,
როცა სიბერე საფლავს მისწვდება,
რასაც ვერასდროს ვერ დაიბრუნებ,
რაც არასოდეს დაგავინცდება.

და კიდევ არის დედის თვალები,
შიგ რომ სიკვდილის ცრემლი გუბდება.
ვისაც ვერასდროს ვერ დაივინცებ,
ვინც არასოდეს დაგიბრუნდება.

ჩამოთოვილა მთებში

მოჩანს პირქუში მთები,
ნამქრიანია მდელი,
მახრჩობს მუქარის მტვერი,
თუმც მებრალები, მეტრო!

ყინვამ გაბროლა წყალი,
დასტყდათ ტოტები ვერხვებს,
ვერ გადვიხადე ვალი,
თუმც კი შემეძლო ერთხელ.

დაფიქრებულა ზენა,
იქნებ ადამზე ნანობს,
გთხოვთ, მაპატიეთ წყენა,
ჩემო დანო და ძმანო.

ჩამოთოვილა მთებში,
უნდა ველოდოთ ზვავებს,
დარჩათ საჯიჯგნად ლეში,
ყვავ-ყორნებსა და სვავებს.

ღმერთო! სულს, შენგან აღესილს,
დღეს შემომხედე, რა მაქვს?
ის ბედნიერი გული,
ეხლა უღონოდ დამაქვს.

აჭარელი ხულოს შვილო

აჭარელი, ხულოს შვილო,
წმინდა გიორგო,
ნისლო, მთაში წამოშლილო,
ცრემლად მდიოდო.

ვარსკვლავები, რტო გაშლილი
გულში ჩამეწნაო.
მზევ ხუჭუჭა უფლისწულო,
მთვარევ ჩემო დაო,

ბილიკებო ჩახლართულო,
წუთისოფლის გზაო,
ქარო, შენი თლილი ხელით,
ამიქორე თმაო.

ჩემი გული უძიროა,
ვით ეს შავი ზღვაო.
შენი მთები, შენი წყარო,
შენი ლურჯი ცაო.

ფერდზე მდგარო პალმის ხეო,
კურთხეულო ბზაო,
სიზმარია, სამოთხეა,
მინა უფლისაო.

თქეშო, კოკით გადმოღვრილო,
მირონს გამსგავსეო.
არსად ქვეყნად არ თენდება
ამნაირად დღეო.

მზევ ლანქერში გაცრეცილო,
მწუხრის ოცნებაო,
სიყვარული უძიროა,
ვით ეს შავი ზღვაო,

ნალკოტები მშვენიერი
იით მორთულაო,
ვარდმა ნამი დაიმშვენა
ნამში მოჩანს ცაო.

მთის კალთებზე შეფენილო
ოდავ გლეხისაო,
რომ გასცქერი მარადისად
რწმენით მერმისაო.

აღტაცება გულს აღელვებს,
ვით ეს შავი ზღვაო,
შენი მთები, შენი წყარო,
შენი ლურჯი ცაო!

აჭარაო უტურფესო,
ჯვარი გწერიაო,
ყველა ლექსი დაგენაცვლოს,
რაც მიმღერიაო!

ორი სახის ქართველი

ვერცხლით მოვჭედე ოთახი,
არ მომიხურავს დარაბა,
მეზობელს შური ეწვია,
ატეხა დავიდარაბა.

* *

ზღვას მოსწყენია ზღვობა
აღარ ლელდება ქარზე.
ძმას მოსწყენია ძმობა
და რაღა ითქმის დაზე.

ცოლს აღარ უნდა ქმარი,
ფიქრობს სხვა ცოლის ქმარზე.
მევალეს უნდა ვალი,
მაგრამ ვინ ფიქრობს ვალზე?

ზოგს აღარ ხიბლავს ზეცა,
ზოგს აღარ უნდა მიწა,
მომესურვება ერთ წამს
მწუხრში ნარინდი რინა.

შეუცნობელო ყოვლის
წუთისოფელო კრულო,
სულს უსულობა უნდა,
შენ რაღა გინდა, გულო?

რა საჭიროა ღმერთი,
ანდა გოდოლის რწმენა,
რჩება მარადის ენა
სხვადასხვაობის ნიშნად.

ზღვას თუ არ უნდა ზღვობა
და აღელვება ქარზე,
მე საქართველოს ტრფობა
და ამღერება ქნარზე.

ემიგრანტს

უძირო ცაა,
მაგრამ ეს ცა არ არის ჩემი,
უზღვრო სივრცეა,
მაგრამ სივრცე არ არის ჩემი,

უსრულო გზაა,
მაგრამ ეს გზა არ არის ჩემი,
ხალხი მიმოდის,
მაგრამ ხალხი არ არის ჩემი.

ირგვლივ თოვლია,
მაგრამ თოვლიც არ არის ჩემი,
მამ გეკითხები:
რა გაჩერებს ამ უცხოეთში?

სადაც ზეცა არ არის შენი,
სადაც სივრცე არ არის შენი,
სადაც გზები არ არის შენი,
სადაც ხალხი არ არის შენი.
სადაც თოვლიც არ არის შენი,
მამ გეუბნები
დაუბრუნდი ისევ სამშობლოს!

საღდიში ღამე

ტრიოლეტი

ჩვენი საღდიში ეს ღამეა ახლა, მარიჯან,
ვერცხლის სარეცელს მთვარე გვანვდის მზიურ მკლავებით,
მარადიული შეუღლებით შევსვამ დარიშხანს,
ჩვენი საღდიში ეს ღამეა ახლა, მარიჯან.

ყელზე ნითელ ზღვის საუცხოო ელავს მარჯანი,
ქარში ირხევა ყორნისფერი დაღალ-კავები,
ჩვენი საღდიში ეს ღამეა ახლა, მარიჯან,
და მთვარე გვანვდის მატყლის საბანს მზიურ მკლავებით.

რუსთაველზე

ეხლა მოვდივარ კვლავ რუსთაველზე,
თვალეbs ვაცეცებ, ვუყურებ ყველას
და იმ გოგონას სახეს დავეძებ,
ვინც მოფარფატეს ჰგავდა პეპელას.

მაგრამ ჩამესმის ხმა დამცინავი,
ყმანვილო, სახლში რად არ ბრუნდები?
როგორ იპოვი შენ იმ გოგონას,
აქ ხომ პეპლების ფრინავს გუნდები.

თბილისის აჩრდილებიდან

დაუკართ, აამღერეთ, ააკვნესეთ საზანდარი,
ცაზე მზეა ლალისდარი, თეძოსრული, პირმცინარი.
რძისფერ ტალღებს ათამაშებს აქორრილი, შმაგი მტკვარი
ცაზე მზეა ლალისდარი,
დაუკართ, აამღერეთ, ააკვნესეთ საზანდარი.
დაუყვები, სოლოლაკის ქვით მოკირწყლულ, ვინრო ქუჩებს,
სადაც მტკვართან მეიდანზე ორთქლი ასდით დევის ტუჩებს.
დგას დუქანთან ფიროსმანი, ცვარში ავლებს ოქროს ფუნჯებს
სველ ტილოდან იმზირება შვლის თვალები სევდიანი,
თითქოს ხედავს მტკვრის ნაპირზე ამწვანებულ ლორთქო ბუჩქებს.
ტყეში უნდა, ტყე მას უხმობს შამბნარიან-ველიანი,
სადაც კრძალვით თავებს ხრიან ენძელანი და იანი.
დაუკართ, აამღერეთ, ააკვნესეთ საზანდარი.
დაუყვები, სოლოლაკის ქვით მოკირწყლულ ვინრო ქუჩებს,
სადაც მტკვართან მეიდანზე ორთქლი ასდით დევის ტუჩებს.
ზემოთ ციხე ნარიყალა შუბლშეკრული, ნაომარი
დაღლილი ჩანს ფიცხელ ბრძოლით, აღარ უდგას მკლავში ძალი.
უხმობს ნარსულს, პატარა კახს: მომაშველე ღრუბელთ ჯარი,
არ მაჭამო სამარეში ძვლებგამოხრულს მტრების ჯავრი.
დაუკართ, ააკვნესეთ, აატირეთ საზანდარი.
შერჩენია არაბული ცხენის ფლოქვი თბილისს მკერდზე,
ღალღებენ ნარიყალას დასერილი რუხი ქვები.
ეს ბზარები, რაც გვატყვია, კვლები არის სპარსულ ხმლების,
თითქოს რაღაცას ჩურჩულებს ისნით მონაბერი ქარი,
საიათნოვას ჰანგებია, თუ მეტეხის რეკავს ზარი,
არა, ტალღებს ათამაშებს აქორრილი შმაგი მტკვარი.
ცაზე მზეა ლალისდარი, ძონისდარი, ვარდისდარი.
იეთიმ გურჯი ლექსებს ამბობს, თვალზე მოსჩქეფს ცრემლის
ღვარი:
რუსთაველი აღარა მყავს, ვის შევჩვილო სამართალი,
დაუკართ, ააკვნესეთ, აატირეთ საზანდარი.
ქართლის დედა თასს მიანვდის ღვინით სავსეს ვახტანგ მეფეს,
გორგასალიც ადღეგრძელებს საქართველოს ტანჯულ სევბედს,

მტკვარზე ტივი გაცურდება მონანავე, ლერწმის დარი,
ცამდე ავა ჩირაღდნების დაკლაკნილი ლურჯი ალი.
ავლაბრიდან ტანის რხევით მოდის ორბელიანთ ქალი,
ნარბ გიშერი, ღანვ ვარდ ღვარი, თვალი დამფრთხალ ნუკრის დარი,
ყორნისფერ თმებს უთამაშებს ცელქი სიო ალამდარი,
ვინ დაუდოს ამ სოფელში თვით სიყვარულს ცად საზღვარი.
სილამაზე მონებაა დაგატყვევებს, ვით მწვერვალი
და მეც, ხელი სიკვდილამდის, სიყვარულის ვარ ტრფიალი.
მაშ დაუკარ, აამლერეთ, ააკვნესეთ საზანდარი.
გული თბილისს, სული ზეცას, ამას ვიტყვი თუნდაც მკვდარი,
თქვენთვის მღერის, თქვენთვის ტირის, ჩემი სიმდანყვეტილ ქნარი.
ყარაჩოღლის მომენატრა ლოყის დამამშვენი ხალი,
ნარსულეები ვადღეგრძელოთ, ფიალების დავდგათ ჯარი,
ეთიმ გურჯი ლექსებს ამბობს, თვალზე მოსჩქეფს ცრემლის ღვარი,
სატრფომ თვალი ამარიდა, დამილენა გულის კარი,
ვაჰ, რუსთველი აღარა მყავს, ვის შევჩივლო სამართალი...
მოდით, ძმებო, მაშ დაგუკრათ, ავატიროთ საზანდარი.
ცაზე მზეა ლალისდარი, ძონისდარი, ვარდისდარი,
რძისფერ ტალღებს ათამაშებს აქოჩრილი შმაგი მტკვარი
დაუკარით აამლერეთ, ააკვნესეთ საზანდარი! დაუკარით!

გაზაფხული

ისევ აყვავდა შინდი და მოცვი,
აპრილო, ტრფობის ცეცხლში გამხვიე,
მოდი, დამსაჯე ათასჯერ კოცნით
და მკერდს პერანგი შემომახიე.

მოდი, დამსაჯე ათასჯერ კოცნით,
რომ ბაგეს ვარდთა სისხლი სდიოდეს,
ტანჯვა ვერ ვიგრძნო ამ წუთისოფლის,
ხოლო სული კი ვნებით კიოდეს.
ისე დამსაჯე ათასჯერ კოცნით,
რომ ბაგეს ვარდთა სისხლი სდიოდეს.

მოდი, რომ მოვკლა გულში წყურვილი,
მინდა დავაცხრე წყაროს ბაგეებს.
და თუკი ახდა ჩემი სურვილი,
მზეს გადანვავს და ზღვას ააღელვებს,
გთხოვ, ნუ ყოვნდები, იჩქარე, მოდი,
რომ დავენაფო წყაროს ბაგეებს.

ვიმ, როგორ ყვავის შინდი და მოცვი,
აპრილო, ცეცხლის ალში გამხვიე,
მოდი, დამსაჯე ათასჯერ კოცნით
და მკერდს პერანგი შემომახიე.

რომ შემეძლოს

შენ შეგადარეს დედოფლებს
და, მგონი, ჯოკონდას,
მაგრამ არა ხარ,
არც ერთი და,
და არც მეორე,
მე მოგიძებნე შედარება
უფრო ძლიერი
და მე ამ სიტყვებს
წლების შემდეგ კვლავ ვიმეორებ:
შენ ჰგავხარ ფრაზას,
ამოკვეთილს თაისის მკერდზე,
რადგან შენ ძალგიდს,
რომ ატარო ტვირთი დედობის,
რადგან შენ ძალგიდს, დაო,
ძმისთვის განირო თავი,
ასეთ ერთგულ ცოლს
დაგმშვენდება ჯილა დედოფლის.
და რომ შემეძლოს,
მოგართმევდი სამყაროს ლანგრით,
და რომ შემეძლოს,
მოგინყვეტდი ცაზე ვარსკვლავებს,
მწვანე ხავერდით შევმოსავდი,
შენს კენარ სხეულს,
და ვარსკვლავებით აგინებდი
დამლილ დაღალეებს.
მაგრამ, არა ვარ შემოქმედი
სამყაროს სრულის,
მაგრამ, არა ვარ დემონი,
რომ ვქმნა საოცარი,
და გთხოვ, მიიღე ეს ლექსები,
ვით ლოცვა სულის,
ვით აღსარება მომაკვდავის, გასაოცარი.

სანუთრო ბრუნავს

სანუთრო ბრუნავს, ბრუნავს და ბრუნავს
რამ შეაჩეროს ამ დღეთა სრბოლა,
თვალნინ დამიდგა ბავშვობა ჩემი,
ძლიერ მომინდა მშვილდ-ისრის სროლა.

ბურთის თამაში, ხილის მოპარვა,
მდინარის პირზე ქენება ცხენთა,
შიშველი ქალის ლანდი სარკმელთან
და ჩუმად ცქერა ბიჭებთან ერთად.

სანუთრო ბრუნავს, ბრუნავს და ბრუნავს
არ შეჩერდება დღელამის სრბოლა,
ვაჰ, თურმე ფიქრში ჩამძინებია
და საფერფლეში კანაფი ბოლავს.

მაგრამ ვერავინ

შენ ქარში ხედავ დაშლილ ბულულებს
ხედავ და უხმოზ ამაოდ მოცარტს,
მაგრამ ვერავინ ვერ დაგიბრუნებს
პირველ სიყვარულს და პირველ კოცნას.

არადა, ყმანვილს გიყვარდა მხოლოდ
პირველი თოვლი, პირველი ია,
ეხლა მოხუცი ჯოხით, ქალარით,
იგონებ დღეებს ნათელს და მზიანს.

მწარე სალალობო ლექსი

მე ასეთი ზამთარი
არასოდეს მინახავს,
ყველაფერს ვინ გაიგებ
რასაც გული ინახავს.

მზემ თუ გამოანათა,
რაა თოვლის დადნობა,
ოი, სად გაფრენილა
ჩემი ახალგაზრდობა.

ვისაც ველი, არა ჩანს,
მოლოდინი ძნელია,
მარტოობამ დამლალა
ო, რამდენი წელია.

ვიცი დამავიწყდება
მწუხარება, დარდები,
როცა ვინმეს ამ ქვეყნად
ძლიერ შეუყვარდები.

ვცდილობ, მაგრამ ამ ცდამი
არაფერი გამოდის,
გვირილების ფურცლებით
სიყვარული არ მოდის.

ეს ზამთარიც გრძელია,
როგორც მწუხრის ოცნება,
აღარ ველი სასწაულს,
არ მინდა საოცრება.

მზემაც გამოანათა,
იწყო თოვლმა დადნობა,
მაგრამ უკვე გაფრინდა
ჩემი ახალგაზრდობა.

მომნატრება

მომნატრებია ქართული სუფრა,
მომნატრებია ქართული ნანა,
ეხლა მანახა მცხეთის ცა სუფთა,
სადაც არაგვი მტკვარს ერთვის ღვარად.

მაინც სხვა არის ჩვენში ივლისი,
თაკარა მზის ქვეშ სხვა მზე ბრდღვიალა,
ეხლა მანახა ჩემი თბილისი
და მის ქუჩებში მახეტიალა.

ილიას ყვარელს

გიგონებთ ყვარლის მთებო!
როგორც მოწყენილ ქალწულს,
ნინ მიმავალო წლებო,
ნეტავ რას ეტყვიტ წარსულს.

მემახსოვრება შინდი
და გაღიმება ატმის,
რა რიგ გშვენოდათ ბინდი
ოცნებისა და ნატვრის.

მანდ სხვაგვარია ზეცა
ჩემი სამშობლო მხარის,
ნიაღვარები ფერთა
ტყიდან მოვარდნილ ქარის.

სადაც აღმართეს ჯვარცმა
დაფარულია იით,
და გამიღიმა კაცმა
შუბლში ნაჭედი ტყვიით.

მითხრა – ნუ სწუხხარ, ზეცამ
შეგინდო, შეიყვარე,
მიმოეფინა მაღლი
ალაზანსა და ყვარელს.

აყვავებულა მდელი,
აყვავებულა მთები,
მამულო, საყვარელო,
მაღე შენც აყვავდები.

პანო

ხელოვნებისთვის,
არ ვაჭარბებ,
სიკვდილი ხომ ღირს?!
მივდივარ გზაზე,
მზეს ოფლი სდის
გაღელილ მკერდზე,
ოქროს ბრჭყვიალით
ვიგრძენ ტვინში
ჩაქცევა სისხლის,
მზესუმზირები ამოსულან
ვან გოგის ხელზე.

სალაროს პოეზიისას

სალაროს პოეზიისას
ერთი განძი აქვს ხანია,
რომ ვერ დაადვეს საფასი
ეს ვეფხისტყაოსანია.

ზღვის ფსკერზე მარგალიტები
კრტიან რამდენი წელია,
ის ჰომეროსი, ის დანტე,
ეს კიდევ რუსთაველია.

ცაზე ბევრია ვარსკვლავი
მაგრამ მთვარე კი ერთია,
მგოსნები მოციქულობენ,
მგოსნებში შოთა ღმერთია.

* *

როგორ უხდება ზეცას
ცაში აჭრილი ჯვარი,
რა ლამაზია მცხეთა,
რა ლამაზია მტკვარი,

ისმის შრიალი ტყეთა
მესმის მუსიკა-ქარი,
მტკვარზე ძველია მცხეთა,
ქარზე ძველია ჯვარი.

დანაღვლდა გული

გზა სიარულმა დალია,
ცა ვერ დალია ცქერამა,
რა სასიამო დარია
ამ ჩემი გულის ძგერამა.

ვარდზე ჯდა ჭიამაია,
თვალი ვტაცე და მეამა,
გული ნაღველმა დარია,
შეპყრობა მისი მელამა.

ქარს მოაქვს ძველი არია,
სივრცე გაჰკვეთა ძერამა,
გაფრინდა ჭიამაია,
მათროთოლა გულის ძგერამა.

გზა სიარულმა დალია,
ცა ვერ დალია ცქერამა,
როდემდის უნდა მანამოს
ამ ჩემმა ბედისწერამა.

* *

ცხისძირი, ტახტისძირი,
შენ გგონია არის ძვირი?
იყიდება საქართველო
ქართლის ბედით,
ქართლის ჭირით.

და ვინ ჰყიდის,
და ვინ ჰყვირის,
ამას სომეხი გაჰკვივის:
ჰა, ნისიად საქართველო,
მერე მომეც ხურმის ჩირი!

შოთა ტირის, ვაჟა ტირის,
გასაყიდად ამზადებენ
რადგან თბილისს!

მწუხარება ნეფერტიტზე

ქალაქის ქუჩებში
ვეძებდი სახეს,
ჩემთვის ნაცნობს, გულის ახლობელს.
სადა ხარ, ლილი!
გეძებს შენი დაკარგული ნაწილი სულის,
თუმცა არ უწყი, რომ ის დაკარგე,
რადგან არ იცნობ.
სწუხს ჩემი სული,
აუხდენელ ოცნებაზე,
უთქმელ სიტყვებზე,
ყოველ ფიქრზე, ღამეს რომ ახლდა
და მტკივა გული,
ვერ მოგანვძინე ხმები ჩემი - ნაწერი ლექსად.
შენ შემომხედე მხოლოდ ერთხელ ნუკრის თვალებით
და მზერა იგი ჩემთვის იყო ყინულზე ცივი,
ეს იყო მაშინ,
ოდეს ერთად ჩავუარეთ ჩვენ მიცვალებულს,
ხშირად სიზმრებში ვხედავ სახეს ნეფერტიტისას,
ო, მარადიულ ტანჯვად იქცა პროფილი შენი,
დემონიური გამოხედვა უკანასკნელი.
შევძახებ ზეცას არასოდეს არ გინდა წვიმა,
რადგანაც იგი შენს თავს მახსენებს
და თუმცა მაინც ვდგევარ წვიმაში.
მე ვიგრძენი სიყვარულით თავბრუდახვევა,
გულის წასვლა, დაბნედა გონის, როდესაც წვიმდა.
წიგნებით ხელში, შენ ეზოში გაუჩინარდი,
სადაც ჩემი ბავშვობა თვლემდა.
მე ვსწუხვარ
აუხდენელ ოცნებებზე,
უთქმელ სიტყვებზე,
ყოველ ფიქრზე, ღამეს რომ ახლდა.
გიგონებ, ლილი,
ვიცი ეხლა, ვარდის ბაგე სხვა მზეს უღიმის,

გიგონებ, ლილი,
ვიცი ეხლა მარმარილოს თითები თლილი
ზრუნავენ სხვისთვის,
გიგონებ, ლილი
და მე მაინც მიხარია მწველ სინანულში,
რადგან ბავშვი გეძახის დედას.
სადა ხარ ლილი! მინდა გითხრა მადლობა წრფელი,
რადგანაც შენმა სიყვარულმა შემაყვარა მე პოეზია
და მტკივა გული,
ვერ მოგანვდინე ხმები ჩემი, - ნანერი ლექსად
სწუხს ჩემი სული,
როგორც სწუხდა ერთი პოეტი,
მწუხარებით რომ იგონებდა ნაზი ფრჩხილების გრძელ ზამბახებს
და თვლებს ბეჭდისას, ჯვრისწერაზე ქარში გაბნეულს,
სწუხს ჩემი სული
ბედისწერის უღვთო მოპყრობას,
რომელმაც გზები არ შჰყეყარა ბედნიერების
და მტკივა გული მძიმე სევდით თასივით სავსე
იმ ამაღლებულ სიყვარულით
რაც უკურნებულ სენად სჭირდა ნიკო ფიროსმანს.
მე, მარტოობის უფსკულებში გადაჩეხილი,
მეწყერმა გრძნობამ სამუდამოდ დამასამარა.
გიგონებ, ლილი,
გიგონებ და შიგნიდან თვალებს
ცრემლის ზვირთები ეხეთქება, წარღვნად მომსკდარი,
სწუხს ჩემი სული
აუხდენელ ოცნებაზე,
უთქმელ სიტყვაზე,
ყოველ ფიქრზე, ღამეს რომ ახლდა
და მტკივა გული,
ვერ მოგანვდინე ხმები ჩემი, - ნანერი ლექსად,
სადა ხარ, ლილი!
ერთხელ კიდევ შევკვივლებ ზეცას,
მე ისევ გელი.

აღმოსავლური მოტივით

დოქი აავსეთ ღვინითა,
ქარვით, ლალით და ინითა,
ღვინით ამივსეთ ფიალა,
გული რომ ამიფრიალა.

გვერდით დავისვი ლამაზი,
ალერსმა გადამიყოლა,
ასე დასრულდა ზღაპარი
იყო და არა იყო რა.

კახეთს

მე შევამჩნიე შენს ტყეში ერთხელ,
თმებჩამოშლილი ღვთაება დალი.
ვუმზერ კახეთის ღამეში მეხრეს
ვით მოჰყავს ურმით მას წინანდალი.

ხობებებისფერად აფეთქთა დილა,
თრთის მსხმოიარე მკერდი ატმების,
ციდან ალაზანს ეღვრება ლილა
ოდეს თავთუხში გნოლი გატყვრების.

დგას შემოდგომა, ოქროს ბულული,
სივრცეში შლილი ქარვის ვაზებით,
ჭავჭავაძიანთ ბაღში ბულბული
მოუხმობს მიჯნურს, სტვენს მინაზებით.

კავკასმა თოვლის მხრები ასწია,
აქ კი ბრდღვიალებს კორდი და კალო,
თელავი გურჯაანს მოუტაცია
მამ შენი ჯერი დგას, წინანდალო.

განწირული

მე გადავფურცლე ოცნებების ფოლიანტები
და ხელში შემრჩა წუთისოფლის შავი დღიური.
ქარს დაელენა მონანავე გემის ანძები,
ჩემთვის რომ იყო სანუკვარი და მშობლიური.

მზე ჩაესვენა სისხლისფერი ზღვის საუფლოში,
გულთან ტალღები გამორიყავს ეულ იარებს,
თვალს მოსწყდა ცრემლი მონყალების, ვით რკინის გროში,
რომ ჩემს გორებას მდუმარება არ იზიარებს.

ბნელმა მოიცვა არემარე, მეფობს წყვდიადი,
ბედი იცინის და იმედის არ ჩანს ლამპარი
წინ უტყვი ზღვა დგას, უკან მხოლოდ - ვრცელი უდაბნო,
მე კი, დერვიშმა სადღა, ვპოვო თავშესაფარი.

გაჩერებაზე

ციდან ელეგიურად წვიმდა,
განწყობას ქმნიდა
მეფიქრა პოეტებზე,
ბაირონზე, ჯონ კისტზე,
გალაკტიონზე,
შანდორ პეტეფიზე.
წვეთები თითქოს
ცეკვავენ წვიმის,
ცეკვავდა წვიმა
და ჩამესმოდა
ქარი ქროდა,
ქარი ქროდა,
ქარი ციური,
შოპენი, ვერდი,
შუმანი, ბახი,
ლისტი, მოცარტი...
სიკვდილზე ფიქრი
დღითი დღიური.
და იდგა ჩემს წინ
სველი ძალღი,
სველი თვალებით,
ნეტავ რას გრძნობდა...
ქუჩაში სწრაფად
მიდიოდნენ ქოლგით ქალები,
ზოგი გარბოდა.
გაჩერებაზე
უამრავი ხალხი მოგროვდა,
ჩემს გვერდით დადგა
ტანმაღალი ორი გოგონა
ლამაზი სახის? – აბა როგორ არ
“ხომ ლამაზია ძალზედ ტომ კრუზი?
– კი, მაგრამ, უფრო - რიკი მარტინი,
– უფ, ტესტში შემხვდა კითხვა მარტივი,

– სალი, ლოყაზე გიგანტური დაგაჯდა ბუზი,
– ფუ, ურჩხულია, მგონი, ნამდვილი!
– აი, მოვიდა ჩვენი ავტობუსი”
ციდან ელეგიურად ნვიმდა,
განწყობას ქმნიდა
მეფიქრა პოეტებზე,
ბაირონზე, ჯონ კისტზე,
გალაკტიონზე,
შანდორ პეტეფიზე.

თითქოს პერანგას მხარეს გავყურებ მუხრან მაჭავარიანს.

მეც შემიყვარდა შენი ლაშურა
არგვეთის ღამე, ცა მოღრუბლული,
მინდა გიმღერო, როგორც აშულმა,
რადგან არა ვარ ქალის ბულბული.

თითქოს პერანგას მხარეს გავყურებ
წვიმს და ფეხშველი ვრბივარ ეზოში,
ღობეს მოადგა მინადორა და
გითხრა: ვისია, მუხრან, ეს ბოვში.

თქემმა გადილო, მზე გაიბადრა,
თუმცა დაზვინულ ჩალას ქარი შლის
და კაკლის ხესთან ქვის მაგიდაზე
შენი მამიდა ლურჯ სუფრას გვიშლის.

აიღე დოქი, ჩამოასხი ციცქა ნაჟური,
წამით ჩაფიქრდი და თვალები ცრემლით აგვესო:
- ამით დიდება გელათს, ხახულს, ოშკს და ანანურს,
ბაგრატის ტაძარს, ნიკორწმინდას და ალავერდსო.

შესვი ყანწი და ალავერდი ჩემთან გადმოდი,
არც წინაპრების საფლავები დაგვინწყებია,
ლხინი დამთავრდა, თეთრ ტირიფზე მთვარე ჩამოდის
და აივანზე ორ ხის ტახტზე ორ გადაღლილ ლანდს
ბავშვურ ღიმილით უდარდელად ჩასძინებია.

“ გათენდა, ვხედავ თვალგახელილ საყვარელ არგვეთს,
შენს აივანზე მაჩიტელა ლურჯ თვალებს ახელს,
წისქვილი შენი, ღელე შენი, ვაშლები შენი,
ამ დროს მართლაც და, საყვარელნი არიან ერთობ,
პერანგას მხრიდან მზე მოარღვევს ღრუბლების ჯებირს,
მზე შეეფინა ღელის გაღმა აღმართულ ფერდობს.”

დღეს თრობა მინდა

თასი შეავსეთ, მწყურია
ღვინო უნითლეს ლალისა,
დღეს თრობა მინდა ბახუსთან,
“ხვალემ იზრუნოს ხვალისა.”

მიმონებს მონას მმონველი
დაშლილი თმები ქალისა,
დღეს მე ამ მზერით დავტკბები,
“ხვალემ იზრუნოს ხვალისა.”

დღეს მსიამოვნებს ტრამალზე
ღრიალი ქარიშხალისა,
ხვალ იქნებ სიომ დაჰბეროს,
“ხვალემ იზრუნოს ხვალისა.”

გლოვაა, დაე, ვიგლოვო,
დღეს მესმას ხმები ზარისა,
ბედია? დღეს მსურს, რომ მოვკვდე,
“ხვალემ იზრუნოს ხვალისა.”

ჩუ! არა, ქარი არ არის!

ჩუ!.. ვინ ხმაურობს სასაფლაოზე?!
ყური დაუგდე, ჩემო ფერიავ,
აღბათ ქარია მოთქვამს ტაროსზე,
რა ბურუსი და რა სიბნელეა.

ჩუ!.. არა, ქარი არ არის, არა!
ისმის ქვითინი მთის და მდელისი,
გული მიკვდება უთქმელად, წყნარად,
ეს ტირილია საქართველოსი!

სამაგიერო

ირგვლივ თოვლია და მახსენდება
შარშანწინდელი თოვლის ნამქერი,
როგორ დასცინეს ერთ დროს ქალებმა
გრძნობებს უწმინდესს, გულით გამხელილს.

მას შემდეგ წელი გავიდა სამი,
ის აღარა ვარ, სახე ვიცვალე,
ეხლა მოხვედით ჩემთან ლექსისთვის,
მაგრამ, ბოდიში, ვერ მოვიცალე.

ღამე

ჩასძინებია ჩემს ღამაზ თბილისს,
დუღუნა მტკვარსაც ჩასძინებია,
მაგრამ ვინ არის, ჩუმად რომ ტირის?
ვინ არის, რომ არ დასძინებია?

მიუსაფარი ვინმე ჩანს ერთობ,
ცხოვრება გულზე დამძიმებია,
ეგ მწუხარება აკმარე, ღმერთო,
მას გულის ფეთქვაც დამძიმებია.

უბედურს მზეც კი დაუბნელდება,
სხვას მთვარე სხივებს აყრის მძივებად,
ის მთელი ღამე იხეტიალებს
და დილით, დაღლილს, ჩაეძინება.

ვიდრე ცოცხალი ვარ

იქნებ სული დამიკრძალოთ,
იქნებ დამიტყვევოთ გული,
მაშ ჯერ უნდა ამიკრძალოთ
მე მამულის სიყვარული.

ნეტავ როგორ დამავინწყებთ
ამ ბრდღვიალა მთებს და ველებს,
რასაც სიყრმე თან შეზრდია
მას ვინ გადამისხვაფერებს.

სად წაიღებთ წინანდალის
ვრცელ სივრცეში ჩარგულ ვაზებს,
ვარძიის და ბეთანიის
გზებს - დაფენილ ფიანდაზებს.

ამ არაგვის მძლავრ დინებას
და ამ მტკვარის მყუდრო სადგომს,
ვინ დამინგრევს გორის ციხეს
გორელების ურყევ საყრდნობს.

ვინ გაბედავს, რომ სვანეთში
კოშკებს სეტყვა დაუშინოს,
ვინ მომიკლავს ლილეოს ჰანგს,
ვინ წაბილწავს “მზეს და ღვინოს”

ან ანანურს, უფლის მხევალს
ვინ შეუნთებს ცეცხლის ალებს,
ვინ დაუშლის ბატონობას
საირმეში ნიაქქარებს.

არა!.. ვიდრე ცოცხალი ვარ!
ვინ მომწყვიტოს გრძნეულ ბგერებს,
მნამს რომ ჩემი საუკუნე
მეც მხურვალედ ამამღერებს.

მაშ, მეტყველო სტრიქონებო,
გამიხურეთ ჭაბუკს გული,
რომ მე მერგოს საქართველოს
უანგარო სიყვარული.

* *

რა სიცივეა სახლში
მე უმზეობა მიჭირს,
ალექსანდროვის ბაღში
სხედან გოგო და ბიჭი.

ო, ეს ქუჩები მლაღავს
გამიწყდა ეხლა ქანცი,
და რუსთაველზე მიდის
მონყენილ სახით კაცი.

გული მტევენელი თმენის
წმინდაა ვიდრე თვალი,
შორს ჩანს სპეტაკი მთები
ახლოა მუქი ბარი.

პოეტს ფიქრები დაღლის,
ღრუბლიანია ზეცა
ისმის შრიალი ცაცხვის,
მიასვენებენ ცხედარს.

მესმის მუსიკა ნელი,
რეკავენ სადღაც ზარებს,
თვალთაგან მოსწყდათ ცრემლი
ძაძით შემოსილ ქალებს.

მაინც კარგია ყოფნა,
თუგინდ ეწამო მარად,
როცა სატრფოსგან ელი
გრძნობით დანერილ ბარათს.

ვიცი ყინვაა სახლში,
მე უმზეობა მიჭირს,
ალექსანდროვის ბაღში
სხედან გოგო და ბიჭი.

მახსოვს სოფლად

სოფლად მახსოვს პატარა ხე,
სულ პატარა კუნელი,
ერთი გოგოს სიყვარული,
გულით განუკურნელი.

კოპიტები თუ ჭადრები,
თუ ალვების რიგები,
ბებიები შავ ჩადრებით,
ბაბუები ბიჯგებით.

ძაღლის ყეფა და ნახირის
საძოვარზე გარეკვა,
ალიონზე მნათემ ზარი
საყდრიდან რომ დარეკა.

თონის თავზე შემოდგმული
ურმის ძველი ბორბალი,
წყალზე ნელა მოცურავე
დატვირთული ბორანი,

მახსოვს, პაპამ რუდუნებით
ვაზი როგორ გამორჩა,
მოგონებებს სურათები
ეჰ, რა ცოცხლად შემორჩა.

თუმცა გოგო აღარ მიყვარს
გულით განუკურნელით,
მაგრამ მახსოვს პატარა ხე,
სულ პატარა კუნელი.

მაგრამ გული

ქალი მიდის შარიშურით,
ჩაიარა, შარა, შარა,
ამიჩქარდა უცებ გული,
ჩქარა-ჩქარა, ჩქარა-ჩქარა.

აღარ ისმის ჩამი-ჩუმი,
გაიღურსა სოფლის შარა,
მაგრამ გული, ჩემი გული
ისევ ტოკავს ჩქარა-ჩქარა.

მისტიური ხე

მსხლის ხე დგას, როგორც მლოცველი დედა,
ანუ ღვთისმშობლის ნატანჯი სახე,
გოლგოთის მძიმე ფიქრი და სევდა
მე შევიგრძენი, მე დავინახე.

რტოებს, დახრილებს მწუხრის ნიაფში
ფითრმა შეახო ავბედი ბაგე,
მე დავინახე იუდას კოცნა
და გავიგონე: ჯვარს აცვით იგი!

უსათაურონი და უთარილონი

*

სად ხარ, იუდა, გამოდი შუქზე,
აღარ გახსენებს ხალხი კრულებით,
იმ ოცდაათ ვერცხლს გიბრუნებს უკან,
მილიონობით ოქროს ფულებით.

*

როდესაც ხალხის ბრბოს ეშმა ხედავს,
უხარია და უკრავს ბარაბანს,
რადგან იესოს ჯვარზე აცვამენ,
და შეუნდობენ თახსირ ბარაბას.

*

ვით დაუჯეროს პეტრეს,
ან როგორ ენდოს პავლეს,
რჩეული იყო ნოე
და, მაშ, უგონოდ დაღევს.

*

მკვდრეთიდან აღმდგარს ჰხედავს ლაზარეს,
მაგრამ უარყოფს, ვით პეტრე - უფალს,
არ მოარიდა თვალი დიანას,
და ვერ გადარჩა სული დაღუპვას.

ჩაფიქრებული და მეოცნებე

ხშირად ვყოფილვარ სარკმელთან მდგარი,
ჩაფიქრებული და მეოცნებე,
გარეთ კი ჰქროდა წვიმა და ქარი,
წვიმა და ქარი,
წვიმა და ქარი,
ოთახს ავსებდა მუსიკის ღვარი,
ვით სასიკვდილო ძარღვებში შხამი
ეპარებოდა ნამწამებს რული
და ასე დიდხანს სარკმელთან მდგარი
ჩაფიქრებული და მეოცნებე
ლაჟვარდი მხარის
ხილვებით მთვრალი,
ავმღერებულვარ: რამ-დარი-დარი,
გარეთ კი ჰქროდა
წვიმა და ქარი,
წვიმა და ქარი.

ალბათ

ქარები ქრიან, მიაქვთ ფოთლები,
ჩემი მამული მე აღარ მშობლობს,
დაცარიელდა ღვინით ბოთლები
რომ ეს გულია ჩემი სამშობლო.

ცას გადაეკრა ღრუბლის ბლონდები,
დგას მდუმარება სასაფლაოსი,
ალბათ ვიღაცას მოვაცონდები
როგორც პოეტი - ლექსის სალოსი.

ქარები ქრიან და გული მტკივა
ლიმილი დარჩა ჩემს ბავშვობაში,
ღმერთო დამიცავ, დამიცავ, მცივა,
რა სიცივეა მარტოობაში.

მცხეთის გზაზე

ატყდა თქეში მცხეთაში
როცა გზაში მე და შენ
მოვდიოდით მხარდამხარ,

– გადილო? – ჰა და ჰა!
– გადილებს? – ვინ იცის!
და გვლუმპავდა თბილი ცის
მცხეთის წვიმა გზადაგზა,

ჯვარი იდგა მტკვრის იქით,
აქეთ სვეტიცხოველი,
ირხეოდნენ გზის იქით,
ზამბახები სოველი.

მალე ჩავალთ თბილისში
იძახოდი გზადაგზა,
– თუ გადილო, ჰა და ჰა!
– გადილებს? – ვინ იცის...

სევდა

ვივლი ალბათ ნვალებით,
ვიდრე დავმინდებოდე,
მსურდა შენი თვალები
აქ რომ დამვიწყებოდნენ.

მე პოეტი გამიგებს,
ლექსის თქმა ვით ძნელია,
აგერ, ვერ დაგივიწყე,
უკვე ათი წელია.

მომიტანა წარსულმა
მოგონება, ლანდები,
თურმე რა დრო გასულა,
მაგრამ სად ვგვიანდები.

სული ტყვეობს დილეგში,
გულს არა აქვს ნუგეში,
როგორც სიყმანვილეში,
ისე სიჭაბუკეში.

გააფთრებით ქარები
სახლს გარშემო უვლიდნენ,
დღის შუქს დავემალეები,
ლამეს სად წავუვიდე?

ეს ზამთარი გრძელია,
როგორც მწუხრის ოცნება,
რწმენის რწმენა ძნელია
რომ მოხდეს საოცრება.

მე პატარა აღარ ვარ,
საოცრების არ მჯერა,
გამარინდა მაღალმა
შთაგონებამ ამჯერად,

თუ ტვინს ვერ ამუშავებ
მაშინ იგი მორგია,
განუყრელად თან დამაქვს
მცირე ანთოლოგია.

მეგობრები ბევრი მყავს,
ღმერთმა ზეცით ინება,
მესხიშვილმა მაჩუქა
ეს ძვირფასი ქმნილება.

ძმებო! ეგ სიყვარული
თქვენი მუდამ თან დამაქვს,
მაგრამ გამომჟღავნების
უნარი მე არა მაქვს.

აღბათ ჩემს არყოფნაში
მანდ ბევრი რამ იცვალა,
ვილაცამ იქორწინა,
ვილაც გარდაიცვალა.

რა ვქნათ, ნუთისოფელი
ასე წარმავალია,
სიცოცხლე და სიკვდილი
მალლა ღმერთის ვალია.

მანდ სამხრეთის მზე არის,
აქ კი მკაცრი ზამთარი,
ცივი და ულმობელი
ვით მშიერი აფთარი.

სევდა ისე ამტკივდა,
როგორც ნაიარევი,
მე მოსკოვის ქუჩებში
ლანდი დავიარევი.

სული ტყვეობს დილეგში,
გულს არა აქვს ნუგეში,
როგორც სიყმანვილიში,
ისე სიჭაბუკეში.

მაგრამ მაინც, ო, მაინც
თქმა ყველაფრის ძნელია,
კარგი ლექსის დანერას
ვცდილობ ათი წელია.

მადლობელი ვარ

ბევრჯერ მინახავს დღისით ქუჩებში
რისხვით აღვსილი ცივი თვალები,
დამბაჩები რომ ელავს გუგებში
დასალუბად რომ არ ენანები.

ო, სისასტიკე რა ძალით მეფობს,
ფოთლებმაც იგრძნეს ქარით ოტება,
მადლობელი ვარ, უფალო ღმერთო,
რომ არ მიგრძვნია გაბოროტება.

მახსოვს მთანმინდავ

მახსოვს მთანმინდავ, როგორ განვიმდა,
როგორ განვიმდა, მთაო მზისაო,
შენში ანათებს შუქი რამ წმინდა
ილიასი და აკაკისაო.

შენს ჭაღარა შუბლს ნისლის გვირგვინი
შემოხვევია, როგორც ზმანება,
და ვარსკვლავების კრთომა-ლივლივი
გულს გეპკურება ციურ ნამებად.

რტოებგაშლილი ნაზი ჭადარი
სიოს ჰანგებზე მღერის ნანაზე,
მამადავითო, შენი სადარი
სხვაგან სად ვპოვო ამ ქვეყანაზე...

გარინდებულხარ, ჩემო მოძღვარო,
პოეტთა გუნდის გულთა მპყრობელო,
მინდა სიცოცხლე შენ შემოგწირო,
სიკვდილის შემდეგ ჩემო მშობელო.

შმაგი მერანი ფაფარაშლილი,
ყორანს ბედისას შორით მიაფრენს,
კვლავ ამბობს თრთოლვით ბარათაშვილი,
ვეტრფი ლურჯსა ფერს, ვეტრფი ცისა ფერს...

ხვალ გაზაფხული იფეთქებს იით,
სიცოცხლის სითბო იგრძნო მთა-ველმა,
მწვანე რტოები და წყაროს წყალი
კვლავ მოითხოვა ვაჟამ-ფშაველმა.

გულში გრძნობები მოზღვავდა ცრემლად
და უერთდება მღელვარე რიონს,
მერის აჩრდილი ტირის საფლავთან
სარკმლიდან გასულ დიდ გალაკტიონს.

მე ეხლა ვდგავარ და გადავცქერი
ირგვლივ თბილისის დაბინდულ ხედებს,
ვდუმვარ, თან ვტირი, ვტირი და ვმღერი
და ეს სიმღერა მე მაიმედებს.

რტოებგაშლილი ნაზი ჭადარი
სიოს ჰანგებზე მღერის ნანაზე,
მამადავითო, შენი სადარი
სხვაგან სად ვპოვო ამ ქვეყანაზე.

უცებ ავტირდი

ეს იყო წინათ და იდგა მარტი,
მე მოვდიოდი ქუჩაში მარტო,
უცებ ავტირდი უცნაურ დარდით
არ ვიცი რისთვის, რისთვის და რატომ.

წვიმდა, ასფალტზე ეყარა ვარდი,
მკვდრის ყვავილები ფერავდა ტატნობს,
უცებ ავტირდი უმძიმეს დარდით
და მივხვდი რისთვის, რისთვის და რატომ.

ცხოვრება მიდის

მე ვესალმები ჩემს ნაცნობ ხეებს,
როგორ შეცვლილან ბაღში ვერხვები,
ცრემლით ვიხსენებ ბავშვობის დღეებს
გული მტკივა, რომ ველარ შევხვდებით.

ცხოვრება მიდის – მდინარე ნელი,
ვიცი ვერ გავალ ბედით მე ამ ფონს,
მინდა სალამი უკანასკნელი
ვუთხრა ზესტაფონს.

უსათაუროდ

ვუძღვნი მონყალების მთხოვნელ პატარა ვოვას.

მითრთის თითები, მცვივა, ო, მცვივა,
არა მაქვს ბინა ამ საწუთროში,
მე გაძღვეთ თვალებს, ამ ბავშვურ თვალებს,
ბავშვურ თვალებში მომეცით გროში.

მაჩვენეთ ზეცა, მზე დამანახეთ
შორს მიმოფანტეთ შავი ღრუბლები,
შიში, შიმშილი, უძილო ღამე–
მე ვიღუპები, მე ვიღუპები.

მუქარა თითის, სიტყვები გესლის,
მზერა ყინულის, გულგამყინავი
ფარისეველის ოხვრა – “საბრალო”!
გულზე კი ჯვარი, ოქრო მბრწყინავი.

ქუჩა, ნანწალი, თვალები ძაღლის,
კალათში ხილი ათასი ფერის,
დედილოს მოჰყავს ბავშვები სახლის
მე, ქუჩის ბავშვი, თვალთ ვჭამ ირისს.

მუდარა, თხოვნა, სანაცვლოდ – “წადი”!
სიცხილი ბედის ცრემლებს არ იგებს,
როცა არ უჭირს კაცს სხვისი დარდი
არ ააღელვებს ან რას გაიგებს.

ციურო, ყოვლის უთქმელად მჭვრეტო
საზრდო, იმედი, რაც მაქვს წამიერ,
მონყალე ხელებს გვედრი, უფალო,
კურთხეული ჰყავ მრავალყამიერ.

მოხვევის ლექსი

ქაბარჯნის კლდეზე გადმოდგა
ლანდი ახოვან კაცისა:
- ღილა ვარ ლუდუშაური,
შვილი ამ მიწის და ცისა.

გერგეთს ვილოცე ნუხელის,
გულს დავისახე ჯვარიო,
ღვთისმშობელს ვთხოვე, ძალ მომცეს,
არ ვსჭამო მტრისა ჯავრიო.

არ გამითელოს ურჯულომ
ჩემი კლდის ყვავილებია,
კლდე ძუძუ არის დედისა
ნისლი რძედ დამიღვია.

ხატო, ეგ მაღლი ღვთიური
ფარვიდეს ყაზბეგის ცასა,
მინდა ვუცქერდე სიკვდიმდის
არწივის მეფურ ფრენასა.

სალს კლდეებს არ დაელიოს
ჯიხვი ამაყი, რქიანი,
არაგვს უმრავლე კალმახი,
ტყე იყოს მუდამ შვლიანი.

გავცქერ შორს იალაღებზედ
ცხვრების დაუთვლელ ფარებსა,
მწყემსი აკვნესებს სალამურს
ლექსს ამბობს გასახარელსა.

აქ დავიბადე, აქ მოგკვდე
ვით ჩემი მამა-პაპანი,
მტერს მხნედ დავხვდები მოხვევე,
არა ვარ კაცი ჯაბანი.

ოჯახის შექმნა მამინდა
ერთი მყავ გულის სწორადა,
ცხენით გადავალ ხევსურეთს,
სწორფერს დავისვამ ცოლადა.

ქორწილს გადვიხდი ისეთსა
მტერს რომ დავუვსო თვალია,
ტყვიას არ ვაცდენ ნადირსა,
მზადა მაქვს მუდამ ფალია,

ძეთაც მაჩუქებს უფალი
როგორც ბუნების წესია,
ცხოვრების ჭაპნის წევაში
ერთხელ არ დამიკვნესია,

ჯიხვს ჯიხვზე დავცლი, დავთვრები,
დროც გავა ასე ტიალი,
ვინ რა გაიგო ამ სოფლის
წალმა-უკულმა ტრიალი.

მეც დავბერდები როგორც სხვა,
გამითეთრდება წვერია,
ვისთვის სიცოცხლე მოკლეა
ვისთვის კი ძალზე გრძელია.

გერგეთის ხატო ღვთიურო
ფარვიდე ყაზბეგის ცასა,
მინდა ვუცქერდე სიკვდიმდის
არწივის მეფურ ფრენასა.

საღს კლდეებს არ დაეღიოს
ჯიხვი ამაცი, რქიანი,
არაგვს უმრავლე კალმახი,
ტყე იყოს მუდამ შვლიანი.

აქ დავიბადე, აქ მოვკვდე
როგორც ბუნების წესია,
სიკვდილთანაც კი მოხვევს
ერთიც არ დამიკვნესია.

მაგრამ სალამოს

მოვა სალამო ჩემი ფიქრით, შენი ხელებით,
და დაბინდდება მწვერვალები, მინდორ-ველები,

ოდეს აიტანს მთვარე ღამეს და უმზეობას
ვიგრძნობ ქალწულურ დაღლილობას და უმნეობას.

მოგონებები გამოიწვევს დღეებს ბროლიანს,
თურმე ალექსებში დავინყებებს გადაჰყოლიან.

თავებს დახრიან ზამბახები, ვარდის კოკრები,
მწარე ცრემლებით გაივსება უპის კოკები.

ღამაში არის, მაგრამ მზეზე დნება მყინვარი,
ასეა თურმე სიყვარული, ქრება სიზმარი.

მაგრამ სალამოს სად წავუვალ, ჩნდება ლანდები,
ეს სიმყუდროვეც შენ მგონიხარ, შენ მეღანდები.

მიეთ-მოეთი

შევადე კარი – გაიცანით ჩვენი პოეტი,
მიეთ-მოეთი ჯერი დადგა ფინჯანი ყავის.
- გმადლობთ, არა ვსვამ,
მე ახლა მსურს ვიყო სოფელში
და ვგრძნობდე სურნელს
ტყემლებისას, მზეზე რომ ჰყვავის.

ზღვა და აფროდიტე

ზღვით გამოხვედი მოგაცილა ლურჯმა ტალღებმა
და ცხელ ქვიშაზე გაიშხვართე, ვნებით ყურდები.
მაგ მაცდურ თვალებს ვიცი, ძილი არ ეკარება,
გსურს, რომ სხეული დაგიკოცნო გრილი ტუჩებით.

აფროდიტე ხარ, მოჩვენება, მზის და ზღვის შვილი,
ან ხარ ავსული, ამორძალი მწველი ზმანება,
სველ სილას გაშრობს თეძოებზე ქარი ორსული,
შენი წყურვილი ტანში დამდის მზის მხურვალეზად.

მე მოვალ შენთან, აფროდიტე, ვით ხვადი ლომი,
ვერვინ შეგვამჩნევს, აი, ეხლა მზეც ხომ დაისობს
და სიყვარულში ჩაძირულებს ლურჯი ტალღები,
სილას მოგვაყრის, რომ დაგვმარხოს სამარადისოდ.

მატარებელში

“მთები აჭრელდა,
როგორც ჟირაფი,
მატარებელი მიჰქრის
ბინდებათ,
ეხლა იწყება
წიფის გვირაბი,
თქვენ ხომ არაფრის
შეგემინდებათ?”
ქალის მუხლები
ჯერ ხელუხლები
ათრთოლდა მაშინ,
ოდეს გვირაბში
ჩქარა შევიდა
მატარებელი,
კაცის ხელები
ავ გახელებით,
კანზე აბურცულ
გველის ვენებით
იცხრობდა ვნებებს,
და ჩუმი ოხვრა,
სიძულვილი,
ზიზღი, სიამე,
მიჰქონდა სწრაფად
ყრუ მატარებელს.

უიღბლობა

კლდეს მივაცქერდი,
ლოდი დამეცა,
კოკა გამიტყდა,
წყალი დამექცა,

ქალმა გამთვალა,
გველმა მიკბინა,
და უთვალავი
ვიგრძენ ტკივილი.

თვალთ დამიბნელდა,
დადგა წყვილიადი.
მზეო, სადა ხარ
გაგანთიადდი!

გზაზე

დავმონებივარ ფრთაგაშლილ ჰანგებს,
თუმცა კი ვიცი, რომ არის სენი,
ამ სიყვარულის მტკივნეულ ჭანგებს,
ბევრი ვეცადე, ვერ დავეხსენი.

ეხლა კი, როცა გაუსაძლისი
დგება წუთები, უამხანაგო,
დამენწყვილება თვით სუბსარქისი,
რომ სიყვარულზე ველაპარაკო.

ერთი წლის ინტეგრალი

იდგა ღამე მდუმარე
იყო ლანდთა წყებანი
იცინოდა ფაუსტი:
არა ქვს ვერტერს ვნებანი.

იმატებდა სიმძაფრე
ლოცვით ცრემლმონაღვრელი,
და ჭიმავდა თეთრ აფრებს
ქარი ლურჯ ზღვის ნალველი.

იყო ბედის დაცივნა,
და გრძნობების თარეში,
ქვენარმავლებს ეძინათ
სამოთხისდარ მხარეში....

ძერა სადღაც კიოდა..
და ნუგეში კვდებოდა,
ანთებული სანთლები
ხის ხატებს ადნებოდა.

გაბზარული ოცნება
იმსხვერეოდა ბროლებად
და იყო საოცრება
სულის ცაზე ბოლება.

არსად ჩანდა ნათელი
ზეცა მზეზე დარდობდა,
გადათელილ მდელოზე
ეკლის ბუჩქი ვარდობდა.

სისხლიანი ტბორები
ჯვრებს ფსკერისკენ ძირავდა,
არაამქვეყნიური
გული ცოდვით გმინავდა.

მთვარე გადალლილიყო
და ღრუბლები ემოსა,
მწუხარებამ ღიმილი
შავ მანტიით შემოსა.

იმედები ქცნებოდა
ვით აპრილის ენძელა,
ნისლებს განშორებები
ხეობებთან ეძნელათ.

ამზადებდნენ კუბოებს
გასაფრენად შორეთში,
კლავდნენ სპეტაკ არსებას
სანადელის მორევში.

სიძულვილი მეფობდა
სიყვარულის ბაღებში
და დემონი ჰკოცნიდა
ანგელოზებს ბაგებში.

რეკდნენ შორით ზარები,
აპოკალიფსურები,
იყო შემაზარები
შხამით სავსე სურები.

თენდებოდა ღამისფრად,
იდგა ნაცრის ქაოსი,
იცინოდნენ ვარდისფრად
ქვეები სასაფლაოსი.

არემარე კვლავ დუმდა,
იყო ლანდთა წყებანი
და ამბობდა ფაუსტი:
სად აქვს ვერტერს ვნებანი.

გაბზარული ოცნება
იმსხვრეოდა ბროლებად
და იყო საოცრება
სულის ცაზე ბოლება.

ქარიდან მოგონება

შეფერილი ქარვისფრად
ქრიან ქარში ფოთლები,
გულში სიმი გაირხა
სევდის, შენ მაგონდები.

წვიმის ხმაში მომესმა
ჰანგი მუსიკალური,
ვიგრძენ რალაც სინაზე,
ვიგრძენ რალაც ქალური.

ჩემს ოცნებას დაათოვს
დარდი, ფიქრის მხლებელი,
მიდის ეხლა სადღაც შორს
სწრაფად მატარებელი.

აირეკლა ჩემს გულში
ლოცვის მკრთალი კანკელი,
დაგედევნა – “მშვიდობით”
ვარდისფერი ფანტელი.

მზემ ღრუბლები გაცრიცა,
მიწას დასწვდნენ სხივები,
ნამწამებზე გაბრწყინდა
ცრემლი-ოქროს მძივები.

ქარში ქრიან ქარვისფრად
შეფერილი ფოთლები,
უსათუოდ, ძვირფასო,
ვიცი მოგაგონდები.

გურია

რა კარგია, რა წარმტაცი გურია,
აქ სევდაც კი რალაც საამურია,
შენს ქალებში, შენს ხევებში, მწყურია,
ვჩუხჩუხებდე როგორც წყარო ანკარა,

მზე იცინის, მზე დამნათის თაკარა,
თავი მორცხვად ალუბალმა დახარა,
სიომ ატმებს გაზაფხული ახარა,
გული ხარობს, გულს სიცოცხლე სწყურია.

მთა მეძახის, ტყე მეძახის, ბინდდება,
რომ ვუცქერი, ფირალობა მინდება.
სევდა მომკლავს, სული გამიფრინდება,
თუ გურულებს ვერ ვუთხარი დიდება.

შენი ცქერა აბა ვის მოსწყინდება,
ბახმაროზე ოდეს შებინდბუნდება,
გზაზე მგზავრი როცა აღილინდება:
“გურულების სტუმრობაო” თქმულია...

ყველაფერი მიცქერს ხალისიანად,
ტყე არის თუ, წყაროა თუ ხნულია,
მომემატა მე სიცოცხლის წყურვილი,
გურიაში სევდაც საამურია.

ჩემი დობილი ეხლა ლექსია

ეხლა ძვირფასო, მე შენგან შორს ვარ,
გზაზე მომყვება ფიქრების რიგი,
მოღრუბლული ცა ისეთი მოჩანს,
ცას თვალზე მოსდის ცრემლებად ფიფქი.

ვიცი ეს ბედი მე გამანამებს,
ბედი, მხლებელი კუბოს კარამდის,
გადაათეთრებს თოვლი წარაფებს,
თოვლი იმეფებს მთიდან ბარამდის.

ჩემი დობილი ეხლა ლექსია,
ლექსი ამ გულში გრძნობით ჩანწული,
მამადავითის ჩანს ეკლესია,
ვით მონყენილი უცხო ქალწული.

გაძარცვულ ხეებს ტანში აციებთ
დამგლოვიარდნენ ხეთა ტოტები,
მე იღუმალი ხვალე მაშინებს –
ხვალ ალბათ არვის მოვაგონდები.

ღმერთო, შემინდე ეს მწუხარება,
შემინდე, ღმერთო, ცოდვა ფარული,
მინიდან ცამდე დგას მდუმარება,
დგას მდუმარება რალაც ქალური.

ღვინით შევავსებ თიხის ფიალებს
და მე უგონოდ, ვიცი, დავთვრები,
ქუჩაზე დავწერ ინიციალებს
და რუსთაველის გამზირს გავყვები.

გავყვები ქუჩას ბარბაცბარბაცით,
შემომხედავენ უცხო ქალები,
იტყვიან ჩემზე ალბათ: ლოთია
და ვფიქრობ არვის შევებრალევი.

მაგრამ, ძვირფასო, ვერვინ გაიგებს,
რა ცეცხლი მწვავდა პოეტს ამ დილით,
მნამს ანგელოზი ჩემს სულს წაიღებს,
სულს მოცახცახეს - დედის მანდილით.

დავრჩები ლანდი ქრისტეს პერანგი,
ვერვინ შემამჩნევს ცოდვილ მინაზე,
დარჩება მხოლოდ ეს ჩემი ჩანგი,
მწყობრი ჰანგების მწველი სინაზე.

და ბედი მაშინ არ გამანამებს,
ბედი მხლებელი კუბოს კარამდის,
გადაათეთრებს თოვლი წარაფებს,
თოვლი იმეფებს მთიდან ბარამდის.

და როცა თოვლით დაზნექილ ხეებს
დაელენება ხმელი ტოტები,
მაშინ ზეცაში აღარ ვინაღვლებ
თუკი არავის მოვავგონდები.

მხოლოდ ერთს ვიტყვი: ეს ლექსებია
გულში რომ მქონდა გრძნობით ჩანწული,
მომაჩერდება მამადავითი
ვით მოწყენილი უცხო ქალწული.

სიყვარული

მაისია,
სალამოა
ბნელი,

ვხედავ
ზეცას
წვიმის
პირი
უჩანს,

ბიჭმა
გოგოს
გადახვია
ხელი

და
ჩურჩულით
გაიარეს
ქუჩა.

მწუხარება

მომთხოვე წვიმა მომეტანა შენთვის პეშევებით,
ჟუჟუნა წვიმა, წვიმა შხაპუნა, წვიმა შეშლილი.
სწრაფლ გამოვვარდი, ფართხალებდა გული უბეში
და მუხლმოყრილი ჩავიკეცე სახლის კუთხეში,
რადგანაც ციდან თმაგაშლილი მზე მიცინოდა.
ვევედრე უფალს, გული ხურდა მგზნებარე ლოცვით,
რომ წვიმა მსურდა, არა ჩემთვის, არამედ სხვისთვის,
მაგრამ მზე უფრო აცხუნებდა თმებჩამოშლილი
და მე ავტირდი უნუგეშოდ ცრემლთა ისხარით,
ცრემლთა ისხარმა დამისველა ლურჯი პერანგი.
ამევსო პეშვი ცხელი ცრემლით
და სიხარულით ოთახისკენ გამოვექანე.
საშინელების, ელდის წამო, წამო, ქვის წამო!
შენ გარდაცვლილი დამხვდი საწოლში
და მე გავხევედი...
სიომ სარკმელი გამოალო და ხის რაფაზე
წვიმის წვეთები აწკარუნდა როგორც ზარები,
ხოლო მზის სხივმა ოქროს გვირგვინით
მარმარილოს შუბლი შეამკო.

შენი ვარ მარად

რომ ვყოფილიყავ სოფლის დალაქი,
სად მექნებოდა შემოქმედება,
და ავირჩიე მე ეს ქალაქი
თბილისი გულზე ცეცხლად მედება.

დამწვი, დამბუგე, შენი ვარ მარად,
მტკვარის ანთებამ ასჯერ დამახრჩო,
მოკვდეს ვაჟკაცი, თუ ნარიყალას
არ დაუდგება თუნდაც ხარაჩოდ.

ექვსივე კარი გაგელო ღამით
როდესაც თვლემდნენ წყნეთის ვერხვები,
და როგორც ერთ დროს ყიზილბაშები,
შემოგესივნენ ჩემი ლექსები.

ეს ხანძარია თუ ვარდის ცეცხლი,
ერთხელ მნახველი ამას იგონებს:
მთანმიდის ლავა – შხეფები ვერცხლის
ჩემს გულში ლენავს მალალ სტრიქონებს.

ჯერ არ მომკვდარვარ და ერთხელ მაინც
მინდა ავწყვიტო ზარებს სიონი,
ბორკილებს გაგლეჯს აქ ამირანი
და დაიქუხებს კავკასიონი.

ლამის ვნებანი

ქრება სანთელი, იკლებს ნათელი
წყვდიადი დგება...
ნამით გავხევდი ძველი ნაღველით,
შემიპყრო ვნებამ.

გარეთ ქარია, ტყეს უხარია
რტოების რხევა.
სათნო მარიამ, შენი კრავი ვარ,
მიცან, ეს მე ვარ!

ცაზე იჭექა, გატყდა ჭიქა,
დაიქცა ღვინო,
ბუხრიდან ჭინკის თვალები ბრჭყვინავს
სისხლი ლივლივებს.

ზეციდან სეტყვამ მთები დასეტყვა,
ვსმენ შეშის შიშინს,
რალაც ავბედმა დღეს გამიმეტა,
მათრთოლებს შიში.

მესმის მუქარა, ნეტავ უნდა რა
ამ წყეულ ავსულს?
არ სჭრის მუდარა, გასწი სუდარა,
სუდარა არ მსურს.

უცებ ცისკარმა ისხივცისკარა
მორბედმა დილის;
ღმერთო მაკმარე, ცამ გადიკარა,
მომმადლე ძილი!
ბუხრიდან ჭინკის თვალები ბრჭყვინავს,
სისხლი ლივლივებს.

მესიზმრები

ხვალ არ ვიცი სად წამიყვანს ბედი,
დავიღალე ქარია და წვიმა,
მესიზმრები ყოველ ღამით, დედი,
მომენატრე, მოფერება მინდა.

ლურჯი ფიქრი შორ სივრცეებს ერთვის,
დილაა თუ მიმწუხრია ბინდად,
მესიზმრები ყოველღამით, დედი,
მენატრები, მოფერება მინდა.

აღბათ ველი გადამწვანდა ფეტვით,
გაიხარა იქნებ ჩემმა შინდმა,
მესიზმრები ყოველ ღამით, დედი,
მომენატრე, მოფერება მინდა.

გულამოსკვნით ტბაზე თუ მღერს გედი?
ჩემი გედი, თეთრი გედი ლინდა,
მესიზმრები ყოველ ღამით დედი
მენატრები, მოფერება მინდა.

სხვა არ მინდა სიცოცხლეში მეტი,
ნათელ დღეებს აცილებდე მშვიდად,
მესიზმრები ყოველ ღამით, დედი,
მომენატრე, მოფერება მინდა.

აღბათ ეხლა არ გამწირავს ღმერთი,
მარიამი დამიფარავს წმინდა,
მე ჩამოვალ ძალზე მალე, დედი,
მე ჩამოვალ, შენთან ყოფნა მინდა.

და თუ მტერმა გამიგმირა მკერდი,
ვიტყვი: აღბათ დაღლილს ჩამეთვლიმა,
საქართველოვ, შენ ხარ ჩემი ხვედრი
და საფლავიც შენს წიაღში მინდა!

მოლოდინი

მწუხრია, ნავარდობს სიო,
სარკმელთან შეირხა ფარდა,
ლოდინით დაღლილი გული
არა ჩანს, არ მოდის რადა!

იმედი მამხნევებს თუმცა,
ლარნაკში ყვავილი ჭკნება,
თასებში ღვინის ფსკერზე
სანთლების ჩრდილები წვება.

ვდგევარ და გავყურებ შორეთს,
იქნებ სვლა ბნელში უჭირს,
ჭიშკართან ვდგევარ და მზარავს
დუმილი დაღლილი ქუჩის.

მწუხრია, მომძლავრდა ქარი,
სარკმელთან შეირხა ფარადა,
თვალებზე ცრემლებს ღვარი
არა ჩანს, არ მოდის რადა...

იქნებ ზღაპრებმა სიყრმისამ

მასსოვს პატარა გოგონა,
ხალემა ნუკრის ქათიბი,
თვალეები - ჭიაკოკონა,
წამწამის ტვერი - სათიბი.

მასსოვს და რა დამავინწყებს
მის ფეფებს - ლერწმის ლეროებს,
შუბლით ცას ჰგავდა, წარბებით -
ცაზე გაფრენილ წეროებს.

არ ვიცი რამ გამახსენა
მე ის პატარა გოგონა,
ხალემა, ნუკრის ქათიბა,
თვალემა ჭიაკოკონა.

იქნებ ამ ზეცამ უღრუბლომ?
იქნებ სათიბმა მდელომა?
იქნება ნუკრმა დამფრთხალმა,
ან ცას შეხლილმა წერომა?

იქნებ პატარა სამშობლომ
იმ გოგოსავით კეთილმა?
იქნებ ზღაპრებმა სიყრმისამ,
ცხვრის ტყავზე ამოკვეთილმა?

ვგრძნობ, მაგრამ ენა ვერ ამბობს,
რამ მომაგონა გოგონა,
ხალემა, ნუკრის ქათიბა,
თვალემა ჭიაკოკონა.

იმ პოეტებს

იმ პოეტებს რა ვუთხარი ახლა
ორ ტაშზე რომ სცვლიან ნამუს, სინდისს,
თორემ იცის, თორემ იცის ხალხმა,
იმათი გზა უფსკრულისკენ მიდის.

არა, მაინც მიკვირდა და მიკვირს
უტიფარი გამოხედვა “თათრის”
თუმცა კაცი რომ დაკარგავს სინდისს,
მერე უფრო მედიდურად დადის.

სამყაროში

ამ სამყაროში ყველაფერს
აქვს ერთმანეთთან კავშირი
და უმიზეზოდ არ სცვივა
თუნდაც თავიდან თმა ხშირი.

ღმერთო გავგიჟდები

ღამე დაემვა, როგორც შავი ფარდა,
უცებ აცახცახდა ტანში ყველა ნერვი
და ახლა არ მინდა სიკვდილის გარდა
მე არაფერი.

ირგვლივ დუმილია, ლანდი დადგა კართან,
ლანდი არა ერთი, ლანდი მრავალფერი
და ახლა არ მინდა სიკვდილის გარდა
მე არაფერი.

ჰაერი დამძიმდა არა სუნით ვარდთა,
უფრო ჭაობების სუნით დანაფერი
და ახლა არ მინდა სიკვდილის გარდა
მე არაფერი.

სანთელი ავანთე, შუქი აცახცახდა,
საგნები როკავს საზარ აღმაფრენით
და ახლა არ მინდა სიკვდილის გარდა
მე არაფერი.

ღმერთო, გავგიჟდები, უფალო, სად ხარ?!
თუკი სიცხადეა ირგვლივ ყველაფერი,
მე ახლა არ მინდა სიკვდილის გარდა
სხვა არაფერი.

გულო დაცხერ

მზეო, ამოდი! ამოდი!
ნუ ეფარები გორას,
მთვარევ ჩამოდი! ჩამოდი!
გზა გაუნათე ბორანს.

გულო დაცხერ
და დანყნარდი,
არ აჰყვე ქორებს ქუჩის,
ღვინოვ, თუ გინდა, განყალდი,
დამდეგს რა ვუთხრა ტუჩის!

შენ რომ დამეკარგო

შენ რომ დამეკარგო,
ჩემო საოცნებოვ,
გული დამედაგოს,
თვალი ამეცრემლოს,
მაშინ სადღა ვპოვო
შვება, მოსვენება,
და თვით საქართველო
მექცეს მოჩვენებად.
ზეცა ჩამოიქცეს,
მინა გაიხლიჩოს,
ცეცხლმა ტყე გადაწვას,
ქარმა აიწყვიტოს.

როცა შენ ვერ გნახავ,
ჩემო საოცნებოვ
გული, დადაგული
ასეთ სიყვარულით,
ასეთ სიხარულით,
როგორ ვანეტარო?
როგორ ვაოცნებო?

თუ კი შენ ვერ გპოვებ,
ჩემო სასოებავ,
მაშინ სადღა ვპოვო
შვება, მოსვენება,
ჩემო სასურველო,
ჩემო სანატრელო,

შენ რომ დამეკარგო
სული გაყოფილი,
გული გაყოფილი,
როგორ გავამთელო?
როგორ ვაოცნებო?

აუტანელი წამი

მე ისე გიმზერ,
როგორც მთვარეს შესცქერის ხალხი,
მეგონა გცნობდი
ვით მჩხიბავი იცნობს ვარსკვლავებს.
სავსე დამბაჩას
საფეთქელზე უმაღ დავიხლი,
თუ არ მითხარი,
ეგ დუმილი რას მოასწავებს.

შეჩერდეს ჟამი

ყმანვილს მინდოდა დროის სწრაფი სვლა,
ეხლა კი მინდა შეჩერდეს ჟამი,
ისე შეჩერდეს, რომ არსაიდან,
არ მოისმოდეს ჩქამითი ჩქამი.

უნინ მინდოდა დავნაფებოდი
მხურვალე ბაგეს, ვარდებს, გვირილებს,
ეხლა მშვენება და სილამაზე
გულში აღვივებს მიმქრალ ტკივილებს.

დაბრკოლებათა ყოველგვარ საგნებს
ეურჩებოდა დუღილი სისხლის,
რაც აღანთებდა ოდესღაც ვაგნერს,
დღეს საბურველებს იფარებს ნისლის.

შეჩერდი, ცაო, დაბნელდი მთვარევ,
ოცნების ზვირთებს არა აქვთ ფონი,
უნინ ეს მხარე იყო ნარნარი,
ვაჰ დრონი, დრონი!

სულ არ ვდარდობ

გამითეთრდა თმები, როგორც თოვლით-მთები,
მაგრამ სულ არ ვდარდობ, ჩემო კარგო.
როგორც პატარძალი, ისე მოვირთვები
და გაზაფხულს ცოლად აპრილში გავყვები.

დაუბერავს ქარი თეთრი იალქნებით,
დაჭკნებიან ნლები, როგორც ყვავილები,
ხელს მიწვდიან გზები, მეძახიან ზღვები,
მაგრამ მე არ ვდარდობ, ჩემო კარგო.

გული რასაც ფიქრობს, შენ ვერ მიმიხვდები,
მაგრამ სულ არ ვდარდობ, ჩემო კარგო.
შენ მე დამამშვენებ, მე შენ მოგიხდები,
როცა ატმებივით მზეზე ავფეთდებით.

ლურჯი ფრინველივით აღარ მესიზმრები,
მაგრამ სულ არ ვდარდობ, ჩემო კარგო.
ცაზე მინდა ფრენა, ფრთები მინდა, ფრთები,
ხელს მიწვდიან გზები, მეძახიან ზღვები.

ქარით გაიქროლებს თეთრი იალქნები,
მე კი გამითეთრდა ამ თოვლივით თმები,
დაჭკნებიან ნლები, როგორც ყვავილები,
მაგრამ სულ არ ვდარდობ, ჩემო კარგო.

მუნჯების საუბარი

დღეს ქადაგებენ
სათნობას, ქველმოქმედებას,
ერთა ერთობას
განურჩევლად რჯულის და სქესის.
ერთად ლოცულობს
ბუდა, კრიშნა, პეტრე თუ პავლე,
მაგრამ წინ უსწრებს უოველივეს
მოდა და სექსი.
– დრო მოახლოვდა,
ეხლა მარსზე დავადგათ ფეხი,
იქნებ იქ არის
ტახტზე მჯდარი საბრალო ღმერთი?
იქნებ არ არის?
ბჭობენ ასე მეცნიერები:
– მე ძლიერებით შენ გჯობივარ.
– რაო, რას ამბობ!
არ უჯერებ რატომ არავის?
- ოჰ, თქვენ რა იცით
მიწისა თუ ცის...
– ვნახე ურჩხულთა საშინელი,
საზარი ომი,
თუ ორი ტომი
ვით ებრძოდა ერთურთს მარსისთვის.
კვდომა რასისთვის
აიტანეს მარსზე ატომი,
– რაო, რის ომი?
მოეშვი ზეცას,
დედამიწაზე მშვიდობაა გამეფებული,
თურმე ისრაელს შეურიგდა თვით პალესტინა.
– სანამდე მკვდრები არ გაცოცხლდნენ
მანამდე ქვეყნად არაფერი შენ არ გეტყვინა
– ჩვენ გვეუბნება კონსტიტუცია,
რომ თანაბარი უფლებებით ვსარგებლობთ ყველა.

– რა არის ბნელა? რა ტუტუცია,
ეგ შენ ვინ გითხრა?
– დიდმა ლენინმა
ხა ხა ხა ხა ხა ლენინი მოკვდა!
– მერე რა მოხდა ?
თუმცა ლენინი ვიცი მკვდარია
მაგრამ თვით სიტყვა არის უკვდავი.
– მაშ გაუმარჯოს პროლეტარიატს
დიდება შრომას, სახეშეცვლილ ნითელ კომუ-
ნიზმს,
ეს დედამინა ყველასია, ყველას გვეკუთვნის.
დღეს ქადაგებენ
სათნობას, ქველმოქმედებას,
ერთა ერთობას,
განურჩევლად რჯულის და სქესის,
ერთად ლოცულობს
ბუდა, კრიშნა, პეტრე და პავლე,
მაგრამ წინ უსწრებს ყოველივეს
მოდა და სექსი.

ხალხური სიბრძნე

ნათქვამია, ტლინკები
არ გენყინოთ ვირისო,
ვირმა მეტი რა იცის
დღე და ღამე ყვირისო.

მაგრამ ლექსიც ყოფილა
თურმე ტლინკი ვირისო,
ვინაც იგი იწვინია,
ვირზე მეტად ყვირისო.

ზღვას რომ ვხედავ

აღელვებულ ზღვას რომ ვხედავ
მაგონდება წარსული,
ბედის ასჯერ ასი დარტყმა,
წლები ფერგადასული.

შემანუხა მაგრამ მაინც
ვერ ველევი თამბაქოს,
თეთრმა ქალმა დამიტიროს,
შავმა ქალმა დამმარხოს.

* *

ბედნიერება იქნებოდა
ყოფა ისეთი
რომ ვერ შევვებო,
რომ ვერ ვიგრძნო,
რომ არ მესმოდეს,

მაგრამ ო, რა ვქნა?!

ჩემს ცოდვილ ხელებს,
ჩემს ცოდვილ გულს,
ჩემს ცოდვილ თვალებს,
შეუნდე, ღმერთო,
რაიც შეგცოდეს.

თავო ჩემო

“თავო ჩემო, ბედი არ გინერია”
სარაჯიშვილს ოდესღაც უმღერია.
შემომხედე, ფიქრები ამერია,
ჩემს ღიმილში მწუხარება ერია.

და მეც ვმღერი, ჩემო თავო, ეულო,
სევდავ, გულში ცრემლად გადახვეულო,
ოცნების გზავ შორო მიმომხვეულო,
რატომ მტანჯავ, სანუთოოო წყეულო!

ყვავილებო, გზებზე მიმობნეულო,
უნდა ზეცას ცრემლის ღვართ ვეურვო,
არ დამიჭკნეთ, ზამბახებო რხეულნო,
ცაო! ნვიმა მომივლინე, გრძნეულო.

ვერ ვიცანი, ეს რომელი მხარეა?
სამშობლოა? ირგვლივ მხოლოდ ღამეა...
შარბათსა ვსვამ, მაგრამ რარიგ მწარეა,
ქარი დაქრის, ცაცხვთა სიმწუხარეა.

მდინარეს ჰგავს ღანვზე ცრემლი მე რომ მდის,
მელირსება სიყვარული მე როდის?!
მუხლმოყრილი დღე და ღამე გელოდი,
მე ვკვდებოდი, შენ კი ალბათ მღეროდი.

“თავო ჩემო, ბედი არ გინერია”
სარაჯიშვილს ოდესღაც უმღერია.
შემოგხედე, ფიქრები ამერია,
ვინც შენ გიყვარს ო, რა ბედნიერია.

მე კი ვტირი, ჩემო თავო ეულო,
სევდავ, გულში ცრემლად გადარხეულო

ოცნების გზავ, შორო, მიმოხვეულო,
რად დამტანჯე, სანუთოოო წყეულო!

ვერ ვიცანი, ეს რომელი მხარეა?
სამშობლოა? ირგვლივ მხოლოდ ღამეა...
შარბათსა ვსვამ, მაგრამ რარიგ მწარეა,
ქარი დაქრის, ცაცხვთა სიმწუხარეა.

დასასრული

დავიღალე, დაღლილია სული,
თავს დამცქერის მდუმარებით მთვარე,
ტირის, ღმერთო უშენობით გული,
რა შორს მოჩანს ოცნებების მხარე...

თან მდევს სევდა, თვალში ელავს ცრემლი,
დუმილია და საათი ექვსის,
ზეცის გახსნას ალიონზე ველი,
ანგელოზთა გალობანი მესმის.

დარეკავენ ზარებს: ქრისტე მოდის!
და მზის სხივებს აირეკლავს ჯვარი,
თურმე ძლიერ დავუღლივარ ლოდინს,
ქარი დაქრის, თმებს მიწენავს ქარი.

სასაფლაო აჩრდილია სულის
და ზედ ჭკნება ყვავილები ველის,
ვინ მომბანოს დარდი გულზე წყლულის,
ნაღვლიანი დედა სახლში მელის.

მე კი ისევ ვდგევარ ქარში მარტო
გაცისკარდა ჩაიღვენთა მთვარე,
უშენობას გული აღარ დარდობს
აღარა ხარ შორს, ოცნების მხარევ.

აი, ზეცის გადაიხსნა თალი,
მე კი ვიცი დავასრულებ ლოდინს,
აღბათ ვილაც გულში ტყვიას მახლის
და ზარები კვლავ იტყვიან: მოდის!

გაცურდება კუბო, როგორც ნავი
სამიათას დაღლილ ხელთა ზღვაში,
ჩამორჩება გზაში ვილაც მგზავრი
და ცრემლები დასცვივდება ქარში.

სადიდებელი

ჩემი სული ველად გაიშალე,
ჩემი გული კერად დაიგულე,
ჩემი ცრემლით ხელი დაიბანე,
ჩემი ლოცვით გზები გაინათე.

ციხეგოჯი ვიყავ, ჟამით დავიშალე,
თრთოლვით მოგიტანე მაინც თაიგული,
რაც კი შემოგწირე, არროს დავინანებ,
შენ ხარ მშვენიერი ჩემთვის გელათივით.

სიკვდილის შემდეგ

სიკვდილის შემდეგ
მე ვეტყვი ყველას,
რომ ვარ ცოცხალი,
არა ისე,
როგორც თქვენ ფიქრობთ,
არამედ ისე,
როგორც მე მსურდა.

2002

ვდგავარ სიცოცხლის გაჩერებაზე

გვედრი მარია

შენ საქართველო დაიფარე, გვედრი, მარია!
შენს სადიდებლად მე აღვმართე სვეტიცხოველი,
მე ჩემი სული შენთვის მსხვერპლად მომიტანია,
არ მსურს სამოთხე, შეწყალებას მე არ მოველი,
მხოლოდ სამშობლო დაიფარე, გვედრი, მარია!

ჩემი სამშობლო გააბრწყინე, დედაო ღვთისა!
გთხოვ, მოყვასს ჩემსას დაუბრუნე ძველი იერი,
შენთვის ავაგე ნიკორწმინდა და ბეთანია,
ჩემი მამული, გთხოვ, გახადე კვლავ ბედნიერი,
ჩემი სამშობლო გააბრწყინე, დედაო ღვთისა!

შენ საქართველო დაიფარე, გვედრი, მარია!
გადააფარე შენი კალთა მადლით ღვთიურით.
მე ჩემს სიცოცხლეს შემოგწირავ ვით მეტანას,
მხოლოდ ჩემს მოყვასს გაუთენე დილა მზიური.
შენ საქართველო დაიფარე, გვედრი, მარია!

მე მიყვარს ლექსი

ლექსი მე მიყვარს უბრალო, სადა,
ისე ცინცხალი, როგორც დილის მზე,
რომელმაც მთები ააფერადა,
ვისაც შეჭხარის მთებში პირიმზე.

მე მიყვარს ლექსი ისე უბრალო,
როგორც ოცნება, გულში ფარული,
როგორც ღვთისმშობლის ნანატრი კალთა,
მომტანი შვეების და სიხარულის.

ლექსი მე მიყვარს უბრალო, სადა,
ვით ნაკადული გაზაფხულისა,
ნატიფი, როგორც პატარა ვაზა
ჟასმინით სავსე, მთრობი სუნისა.

მე მიყვარს ლექსი, ისე უბრალო,
როგორც სათუთი მინდვრის ყვავილი.
უბრალო, მაგრამ გულში ჩამწვდომი,
როგორც მთებიდან ირმის ბლავილი.

მიყვარს არწივი გულანაძგერი,
ისე, ვით მიყვარს სიო მდელოსი.
მე მიყვარს ლექსი - ცრემლით ნანერი,
მადიდებელი საქართველოსი.

ლექსი მე მიყვარს უბრალო, სადა,
როგორც ოცნება, გულში ფარული,
როგორც ღვთისმშობლის ნანატრი კალთა,
მომტანი შვეების და სიხარულის.

ყვითელი ბავშვი

მოვიდა ბავშვი, თეთრი სიკვდილით,
თვალეზწყლიანი...
შეხედა ატამს, მზისგან რომ ტირის,
არხევს ნიავი.
ვარდისფერ ფურცლებს გააყოლა ოცნება ლურჯი,
მზერა გვიანი...
და მის თვალეზში ჩაიღვარა სიკვდილის შუქი,
მშვიდ-სევდიანი...
შეირბა ტანი, ვით ქიმერა ედემის ბაღში,
ვაშლი და ევა...
კაენის მომავლით ჭრელი პერანგი გაფანტა ქარში
იდუმალ გველმა.
ბავშვი უმწეო ყველაფერთან, იდგა ფერმკრთალი,
ვით ანგელოსი.
ის იყო მგზავრი, ბედის მორჩილი უმანკო კრავი,
ცრემლი ტაროსის.
სისხლის წვეთებით შეიღება მზე, როგორც კვერცხი -
სიმბოლო ცდომის...
გრძელი ღიმილი აენტო თვალეზში, მარადი ცეცხლი -
მოლურჯო კვდომის...
წავიდა ბავშვი... დარჩა სიკვდილი -
თვალეზწყლიანი...
შეხედა ატამს — გაძარცვულ ტკივილს
არხევს ნიავი...

უფალო გვედრი

ფეხმძიმე ცაო, დაიფარე ღრუბლის საბანი.
მომეცი, დაო, ტრფობით დამწვარს, იასამანი.

უფალო, გვედრი, დაღლილია ლოცვით ხელები,
მზეო, შენ გეტრფი, შემიმშრალე თვალზე ცრემლები.

მღელვარე სულო, იკრიფება შენთვის ვარდები.
გზა უსასრულო, დაღლილია ჩემი დარდები.

ნისლია არე, დაბინდულან სამშობლოს მთები.
შორია მთვარე, თუ ოცნებას არა აქვს ფრთები.

რა არის ფიფქი, სიყვარულის ერთგვარი ლანდი,
მე ახლა მივხვდი, თუ რა არის „გემი დალანდი...“

ფიქრია გული, იმედები ლურჯი ალებით,
ყველგან უფსკრული იხედება ბნელი თვალებით.

მინდვრის ყვავილში არის ცრემლი და ნეტარება,
კუბოს მანდილში იბადება სხვა შეყვარება.

სიკვდილის ტბაზე თავგანწირვით თუ მღერის გედი,
ნაოჭი ღანვზე არის კვალი უმძიმეს სევდის.

დღეთა სრბოლებას მოაქვს ხშირი ტანჯვა-წამება,
ისმის გოდება, დუმილშია მხოლოდ სამება.

უფალო, გვედრი, დაღლილია ლოცვით ხელები,
მზეო, შენ გეტრფი, შემიმშრალე თვალზე ცრემლები.

აღელვდი, ზღვაო, გადალახე ბედის სამანი,
მომეცი, დაო, ტრფობით დამწვარს, იასამანი.

ამაო ცდა

ჩემი სული შეშლილია,
ვტირი მის შეშლილობას.
ღამის ისე მეშინია,
ვაპირებ თვითმკვლელობას.

დაკვივლების მესმის ხმები -
მწუხრზე რეკენ ზარები.
სულო! ვერ გაშალე ფრთები
და მეც არ მენანები.

დათოვლილა ლურჯი მთები,
გამიშემდა თვალები.
თუ პოეტად არ ვითვლები,
რად მწვავს ლექსის ალები?!

ჩემს სამშობლოს ვენაცვალე,
ცრემლში ვალბე ბნკარები,
ბევრჯერ მისთვის ცრემლი ვღვარე,
მის მზეს დავედარები,

მაგრამ მესმის, მესმის ხმები -
დაიკვივლებს ზარები.
სულო! ვერ გაშალე ფრთები
და მეც არ მენანები.

ირანული მოტივიდან

გული სევდით მედალება,
როცა დღეებს ვაცილებ,
ვაჰმე, როგორ მენანება,
რა ეშმაკი მაცინებს!?

ვიცი ასე, რომ ჩემს კუბოს
ერთხელ გააცილებენ.
ჩამიშვებენ ჩემს სახლს მყუდროს,
სადაც ბნელი იმეფებს.

ვინ მოთოკა დროის ცხენი,
არ ედება ლაგამი,
ბედს წინ მე ვერ აღვუდგები,
მაშ, ჩემს სიკვდილს სალამი!

მაგრამ ვიდრე ვცოცხლობ ქვეყნად,
ღვინოს დავლევ, დავთვრები.
განა ვიცი, როდის წავალ,
მინა როდის გავხდები...

ჩემო თბილისო

ჩემო თბილისო, შენს სამსხვერპლოზე
მე სიყვარულის ზვარაკს მოვიტან,
შენი ქუჩების უძირო ზღვაში
გადავვარდები და თავს მოვიკლავ.

მე თბილისური სურნელი მათრობს,
პოეტის სულში დაწყდნენ სიმები,
ეგ ცა და ეგ მზე მე ძილშიც მათბობს,
შენ, მთაო წმინდავ, შენ მესიზმრები.

შენ მეღანდები, მარად ქალწულო,
შენზე ოცნებით დღეს მე ვარ მთვრალი,
შენთან ალერსი ისე მომინდა,
შენა ხარ ჩემი ოცნების ქალი.

ჩემო თბილისო, შენს სამსხვერპლოზე
მე სიყვარულის ზვარაკს მოვიტან,
შენი ქუჩების უძირო ზღვაში
გადავვარდები და თავს მოვიკლავ.

გულში ფარული იელვებს ფიქრი,
თუ აფეთქდება ცაზე მირაჟი.
გადამხმარ დღეებს ტირილით ვითვლი
ჩამავალ მზესთან, ზღვაზე, სილაში.

ვით დავიბრუნო ჩემი წარსული?
დედაო უფლის, მომეც ნუგეში!
გული, დარდებით წრეგადასული,
ველარ ისვენებს შენს თბილ უბეში.

წავალ დაღლილი, ლურჯი ოცნებით,
თუ დამალონებს სულ სხვა ჰანგები,
სულო მბორგავო, ნუ გაოცდები.
ბოდლერის ბაღში მჭკნარი ვარდებით.

თუ სიყვარული არ ჩადგა გულში
და თუ სამშობლომ ჩარაზა კარი,
გადავევარდები სადღაც უფსკრულში,
მთვრალი ღვინით და ლექსებით მთვრალი.

და შემდეგ წყენით ვეტყვი ანგელოზს,
რომ ეკლიანი გზებით მატარა,
მკერდზე მოვიგლეჯ ძონის ავგაროზს,
ბედმა რომ ცრემლად გამომატანა.

განანამები დღეთა ქარცეცხლით,
სულს ვერ მივუჩინ ცისფერ სავანეს,
რომ მე ფარულად უკვე ჯვარს ვეცვი,
რომ მე ფარულად დავესამარე.

სამარადისოდ წამყვება ქარში
ლანდად ქცეული თეთრი აჩრდილი,

რომ მე ცხოვრება მინდოდა ხალხში,
მაგრამ ხალხისგან ვიყავ დაჭრილი.

რომ მე ვუმღერდი თავისუფლებას,
სულს გაეშალა უმანკო ფრთები.
უფალო, ჩემი ტანჯვა თუ გნებავს
დაე, დამტანჯე, ჰა, გევედრები.

თუ სიყვარული არ ჩადგა გულში
და თუ სამშობლომ ჩარაზა კარი,
გადავვარდები, სადღაც უფსკრულში
მთვრალი ღვინით და ლექსებით მთვრალი.

კაცობრიობის გამოძახილი

დავეძებ რაღაცას არ კი ვიცი, თუ რას დავეძებ,
მწყურია რაღაც და არ ვიცი, თუ რა მწყურია.
ასე მგონია, თითქოს, ვიყავი სულით საზღვართან,
თითქოს, მგონია, ჩემი გული სხვისი გულია.

ვიპოვე რაღაც და არ ვიცი, თუ რა ვიპოვე.
დავკარგე რაღაც, აღისფერი სევდის მანტია.
ვიგლოვე რაღაც, მრავალი გზის უკვე ნაგლოვი
და მქსელავს ბედი ვით ობობა ხაზთა ბადიას.

მიყვარდა ვილაც და არ ვიცი, თუ რად მიყვარდა.
ვცხოვრობდი უნინ და თითქოს, ვგრძნობ, არ მიცხოვრია.
სიმახინჯეში სილამაზის ნაკვთი მსიბლავდა,
სიბერის ველმა ყმანვილად რომ ამიყოლია.

მესიზმრა რაღაც გარდასული მომავლის სიზმრად,
მოკვდი და ვცოცხლობ, ვით აჩრდილი ჩონჩხის ლანდებად,
ვიმღერე, თითქოს, ხვალ რომ უნდა მემღერა რაღაც,
თითქოს იწყება უვრცესი გზა, თითქოს მთავრდება.

შეუდექ აღმართს და მეგონა თითქოს დაღმართი,
გავხედე სივრცეს, მომეჩვენა დიდში პატარა
და უკუსვლებით ბიბლიიდან გავხდი წარმართი,
ეტლმა ჟამისამ მზის სხივზედაც სწრაფად მატარა.

დაჰქროლე ქარო, ჯერ არ ქარო, მძლავრად ქარულად.
გაშლილ სცენაზე ნიღბები მსურს რომ გადავადგო,
ჭიდილის ყინით ვითამაშებ ღმერთთან მარულას,
რომ ეს თამაში არც მოვიგო და არც ნავაგო.

სამშობლო შოპენი

დიდი შოპენი მე მაგონებს ტანჯულ სამშობლოს,
სად ნარ-ეკალით დაფარულა მთები ზვიადი,
სადაც ქარიშხალს შეუცვლია ნარნარა სიო,
სადაც ნათელი გამქრალა და მეფობს წყვდიადი,
მაგრამ შორს იქ შორს,
ბრწყინავს სხივი, სხივი ელვარე,
ის ჩემი გულის ძგერას უხმობს ციურ ლაჟვარდში
და ვით ზღვის ტალღა აქოჩრილი, შმაგი, მღელვარე,
სულის სარკმელზე ეხეთქება ქარის ნავარდში.
აი იმედი, აი რწმენა, ჰანგთა სუფევა.
აი შოპენი, სამშობლო და თავისუფლება!

ტოტს მოსწყდა კვირტი

სიო ატოკდა და ქალის მკერდს ევნება ხელი,
ღამე დანებდა და შეიჭრა იქ გარიჟრაჟი.
გრძნობა შეცურდა მის სხეულში ალისებრ ნელი,
ნებდება ხორცი, წამი მარადის არის მირაჟი...

ხორცი უბინო, ბინიერი ეცემა მიწას,
ლორთქო ბალახი ითელება ცხელი სხეულით,
რასაც არ გრძნობდა, ყოველივე შეიგრძნო იმ წამს,
წამით მისია, მაგრამ წუთში არის ეული.

თავზე დააცხრა, აიტაცა წინილა ძერამ,
წუთის სიამით ფართხალებს გული.
გაირღვა ბადე და თევზებიც მიჰყვება ჩქერალს
და დგას ზვირთებში უშიშარი იქ მებადური.

და კვდება წუთი იმ ბალახზე, როს ჰქრება წამი
ეცლება სხეულს ნაბოძები ღვთიური ძალა.
ეს იყო თურმე სიზმარეთში სიცხადე წამის,
ტოტს მოსწყდა კვირტი და სურნელი წაიღო ქარმა.

ტკივილი სურვილში

ნეტავ, თუნდ წუთით დამიბრუნდეს ბავშვობის წლები,
რომ ყმანვილურად კვლავ აღვიქვა დედაბუნება.
მთა მეოცნებე, ყვავილებით მოფენილი ხასხასა ველი,
ხის ცხენზე ჯდომა, სიყრმის წლების ტკბილად ბრუნება.
შხაპუნა წვიმა, თევზაობა, ჯდომა ძველ ნავში,
დევებთან შებმა და ზღაპრები პატარა ჯუჯის,
ხილვა ვერტმფრენის, სიხარული განცდილი ცაში,
სილის გვირაბი და ფიფქების ფარფატი გუნდით.
ნაპოენი ბარტყი... გამიფრინდა ბავშვობის წლები,
ფრთა, მოტეხილი, შეუხორცდა, აფრინდა ზეცას.
ახალგაზრდობაც ითელეა ეკლიან გზებით,
მაგრამ მოხუცი ისევ ბავშვი ვიქნები, ეს მნამს.
თუმც, სიბერემდე კიდევ დამრჩა რამდენი წელი,
რომ გაფრენილი სიყრმის დღენი ისევ მოფრინდეს.
მე მაშინ სულით ვიქნები ჩვილი,
ხოლო სხეულით - ხრწნადი მენყერი
და ალბათ მორფი დამიამებს საზარ ტკივილებს.

გამოთხოვება გაზაფხულთან

შენ თეთრი კაბა გამშვენებდა ლურჯი იეებით,
იყავ ნარმტაცი, ვით თებერვლის შემოცისკრება,
შენი ღიმილი მომიტანეს დაბზარულ მარტად
თავისი ფრთებით თვალხატულა, ცელქმა ჩიტებმა.

აფეთქდა ნუში და ატმებსაც მოედო ალი,
ტყემლის სურნელით გაიჟღინთა ჰაერი ქვეყნად,
როგორც მარცვალმა, დაბნეულმა აპრილის ქარში,
შენ გაიღვიძე, ვით ამურმა მთა-ბარად ყველგან.

შენს ლამაზ მკერდზე მზე აფენდა დაოფლილ სხივებს,
კაბის შრიალით გრილი სიო აამაისე
და ისე თრთოდი სარეცელზე, ვით ქალიშვილი,
წყურვილის თასი ოდეს შენი ვნებით ავივსე.

და არ ცხრებოდა ჩემი ლტოლვა მჩქეფარე სისხლად,
მაგრამ ულონოდ სარეცელზე ვინექ დაღლილი.
ანაზდად ადექ, გაიხურე ზღვარის კარები...
და განშორება იყო შენთან ძალზე ხანგრძლივი.

მე შენს თვალეში დავინახე მზე ჩირალდნებად,
ამაცახცახა სევდამ ზღურბლთან დაულვრელ ცრემლზე.
შენ დაბრუნდები, როგორც კახა, ჟინით დამთვრალი,
მაგრამ მე იქნებ აღარ დაგვხვდე ნაზ სარეცელზე.

საყმანვილო

კაციტ ამაციობს ქალი
ქუჩაში მიდის როცა,
თუკი უბერავს ქარი,
მაშინ აღარ ღირს მოცდა.

ორი მთრთოლვარე სიტყვა,
ერთი ტყუილი ფიცის,
რომ სიკვდილამდე გიყვარს
სუნთქვა ზეცის და მიწის,

შემდეგ ეშვება ფარდა
ტახტთან სიბნელის მგვრელი,
მაშინ ოცნებაც ახდა -
კოცნა მძაფრი და მწველი.

თუკი ჩაგიკრეს თვალი,
მაშინ აღარ ღირს მოცდა.
კაციტ ამაციობს ქალი
ქუჩაში მიდის როცა.

სიზმარში დანერვილი ლექსი შემოდგომის ბაღში

შემოდგომის ბაღში
ფრთაფარფატა პეპლებს
გაიტაცებს ქარი,
ვით ჯადოსნურ ეტლებს,
გაიტაცებს ქარი,
ვით ჯადოსნურ ეტლებს,
შემოდგომის ბაღში
ფრთაფარფატა პეპლებს.
შემდეგ ფოთოლცვენა
დამავინყებს ლოდინს,
ჩამჩურჩულებს ჩუმად:
„სიყვარული მოდის!”
და მაშინვე ზეცას,
მივანათებ თვალებს,
გავიქარვებ სევდას,
ყვითელ თოვლის ფანტელს.
ბედნიერი მხატვრის
ფერს შემიცვლის ფუნჯი,
მერე მოვა ჩემთან
ჩემი სიყვარული.
ავფრინდებით ზეცას,
ვით ოცნება ლურჯი
და სინათლის ღმერთთან
მივალთ თაიგულით.
შემოდგომის ბაღში
ფრთაფარფატა პეპლებს
გაიტაცებს ქარი,
ვით ჯადოსნურ ეტლებს.
ვით ჯადოსნურ ეტლებს,
გაიტაცებს ქარი,
შემოდგომის ბაღში
ფრთაფარფატა პეპლებს.

ახლა ისევ მარტო ვარ,
 როგორც უნინ ვიყავი,
 მზემ მდინარე დააშრო,
 ნვიმას ელის ხის ნავი.
 ალბათ ყველას შევძულდი,
 როგორც გველი მგესლავი.
 სადღაც თოვლმა დათეთრა
 ოცნებების ველები,
 თქვენთვის თრთოლვით დამჭკნარა
 გამონვდილი ხელები.
 სად შთაინთქა, სად გაქრა
 მეგობრული ალერსი,
 განწირულის ვედრება
 დღეს არავის არ ესმის.
 სტრიქონები ეულის
 ქარს არ მიაქვს ტალღებად,
 ხვალ არ ვიცი იუდა
 რამდენ ვერცხლს დახარბდება.
 ახლა ისევ მარტო ვარ,
 როგორც უნინ ვიყავი,
 მკერდზე მხოლოდ ლურჯმა ზღვამ
 ჩამიხუტა მყვინთავი.
 ათასფერად შემოსა
 მარგალიტის მძივებით,
 მაგრამ აქაც მომეჭრნენ
 მზის ვერაგი სხივები.
 ქარმა ალვა შემოსა,
 შემდეგ ისევ გაძარცვა.
 სცივა უსამოსელოს,
 რით გავათბო, რალა ვქნა?!
 ახლა ისევ მარტო ვარ,
 როგორც უნინ ვიყავი,
 ყველას გადაავინყდა
 სათამაშო ხის ნავი.

ახლა ისევ მარტო ვარ,
წლები სადღაც გამქრალა,
ახლა ისევ მარტო ვარ,
მარტოობამ დამღალა.

მაპატიე

ქარი ქრის, წვიმის წვეთებიც ქრიან,
და როიალის კლავიშებზე თრთიან თითები.
მე ამას მივხვდი, საყვარელო, ამ ღამით გვიან,
წითელ დეკოლტეს რად იცვამენ მარტში ტიტები.

მე გამახსენდა ძველი ლექსი, ძველი სიმღერა,
და მოგონებით ამიძგერდა პატარა გული.
მიმქრალმა მთვარემ თეთრი ყელი გადმოიღერა,
მითხრა – “შორს არის ახლა შენგან შორს, სიყვარული!”

სისხლისფერია სიყვარული, ქარით მოსული,
წვიმის წვეთები ახლა ჩემი ცრემლის ფერია.
მდუმარებით ვარ მე ამ ღამეს გარემოცული
და ჩემი სევდა ამ ღამეზე უფრო გრძელია.

მშვენიერება ისე ჭკნება, როგორც ყვავილი,
ძალუძს სიცივეს, რომ დააჭკნოს ატმის კვირტები,
მე კი მეგონა მიჯნურობა უკვდავი იყო,
მაგრამ წარმავალს უმღერიან თურმე ჩიტები.

მარადიული მსურდა ქვეყნად მე სიყვარული,
მაგრამ ის ჭკნება თურმე, როგორც ხეთა კვირტები
და თუ მე შენ ვერ შეგიყვარე, ჩემო ძვირფასო,
ნუ გაკვირდები, სანუკვარო, ნუ გაკვირდები!

ქარი ქრის, წვიმის წვეთებიც ქრიან,
და როიალის კლავიშებზე თრთიან თითები.
მე ამას მივხვდი, საყვარელო, ამ ღამით გვიან,
წითელ დეკოლტეს რად იცვამენ მარტში ტიტები.

სურათი გრიგალში

გრიგალთან ბრძოლა არანაკლებ ღმერთთან ბრძოლაა, ოდეს მოკვდავი შეეჭიდე მარადისობას და ქარიშხალში თავდახრილი, შვების მძებნელი, სულს, იავარქმნილს, ანამებდი, როგორც სხვისობას.

სამშობლოს სევდით ნაოჭებით შემუსრე სახე. ყინვის ნერვებით შეაჩერე ცრემლები თვალში, უფსკრულთან მდგარმა განწირულად იყვირე: „გნახე!“ და გადაეშვი შენ საკუთარ ფიქრების ზღვაში.

ათას დაცინვას შეეგებე, როგორც გაზაფხულს. ფარულ სიამეს ატარებდი სხვისთვის-ხილულ დარდს. და უთქმელობით ანამებდი გულს, ჯვარზე გაკრულს, მაგრამ შენს ვარამს არ უმხელდი არცერთ მეგობარს.

ნაღველი ღრუბლად იშლებოდა ოცნების ცაზე, მზისკენ კუბოთი მიიწევდი ხელებგანვდილი, გიჟის გვირგვინით გაიარე ურთულეს გზაზე და გადაკვეთე ბრძენთა გზები მოკლე მანძილით.

სისხლის წვეთები დაიწურა შენი მელნიდან, რომ ღროის იქით ყოფილიყავ ბნელში სულმნათი. შენ ხომ ცხოვრება ჩამოხსენი ზეცის კედლიდან და გადააგდე მტვერში, როგორც ძველი სურათი.

თბილისი ჩემი პანაშვიდია

თბილისო, მიყვარს სურნელი შენი,
გაბრწყინებული მთაწმინდა მთვარით,
ქალწული სიოს მთრთოლვარე ფრთებით
მეტეხთან ფსალმუნს რომ ფურცლავს მტკვარი.
როცა ზარები ავსებენ ზეცას
სიონის გუმბათს მზე ავარაყებს,
ნისლი ეცლება შორს ქართლის დედას
და ნარიყალა ყვება არაკებს.
ფეხშიშველი მზე დაივლის ქუჩებს
რომ აამღეროს ვარდი ულევით,
ირგვლივ ქედებზე, მტრედისფერ ბუჩქებს
მე სიყვარულზე ვეჩურჩულები.
თიბათვის ფერი გმოსავს გრძნეულად
მაისის წვიმა გამკობს მძივებით,
ბარათაშვილის ხიდზე ეულად
ჩემი ოცნება დადის სიმღერით,
ფიქრის გორაზე შევნიშნე ია,
სული ამევსო ზღვა სასწაულით,
თბილისი ჩემი პანაშვიდია,
ჩემი სიკვდილის დღესასწაული.
იეთიმ გურჯივით დაგენაცვლები,
ლექსებს მოვყვები კარად და კარად,
თბილისო, შენი ტრფობით ვინვები,
გიმღერებ ისე, ვით საათნავა.
როცა ზარები ავსებენ ზეცას,
სიონის გუმბათს მზე ავარაყებს,
ნისლი ეცლება შორს ქართლის დედას
და ნარიყალა ყვება არაკებს.
ფეხშიშველი მზე დაივლის ქუჩებს,
რომ აამღეროს ვარდი ულევით,
თბილისის ქედებს, მტრედისფერ ბუჩქებს
მე სიყვარულზე ვეჩურჩულები.

* *

დღეს შეშლილი მზეა ცაზე,
მეც შეშლილი დავდივარ.
ეს რა წუთისოფელია,
ბნელ ტაძრიდან გავრბივარ.

გადატყორცნილ მთვარის სხივზე
სისხლით დანა ელვარებს,
და ხაზებად ქალის წვივზე
ლურჯი ნერვი მღელვარებს.

წამლის სუნით, სილურჯეში
კედელს ტვინი აკოცებს.
სახრჩობელას ეღიმება,
თოკზე სისხლი აოცებს.

და ნიჩაბი, მოღერილი,
მზიდან აბამს მთვარეს ძაფს
და სიცოცხლით გარდაცვლილი
ამსხვრევს ბედის სარკოფაგს;

და აპრილის იანვარი
კივის ცისკრის ნამებზე,
იფურჩქნება შავი ვარდი
ნაჭრილობევ ღანვებზე.

შვიდი თითი და ნახტომი,
ცხრა წამი და ცხრა ია,
ბნელ ვარსკვლავთა ელვარებით
თრთის უგრძნო სიმფონია,

სისხლის ჰანგებს ანთხევს ზარი
და დემონი არხევს ფრთას.

შიშის შიშით, ვჭვრეტ ლაზარეს
მკვდარი ითხრის თავად თვალს.

კვლავ ლანდი თრთის დანის პირზე,
ხორხი მღერის, ხრიალებს
და სიცოცხლით გარდაცვლილის
სისხლი მზეზე თქრიალებს.

დღეს შეშლილი ცაზე მზეა,
მეც შეშლილი დავდივარ.
ეს რა ნუთისოფელია,
არაფრისკენ გავრბივარ.

წყაროსთან

ნეტავ, ვინ არის ეს ქალი
წყალზე რომ მოდის კოკითა.
ვერ მოვაცილე შმაგთვალი,
ღანვზე ამბორი მომინდა.

რა სევდიანად იმზერის,
სატრფო ხომ არ ჰყავს შავეთში,
ვაჰ, გული როგორ მიძგერის,
რა ემხის ქსელში გავები.

შროშანს ჰგავს, ყელმოღერებულს,
ვარსკვლავს, ზეცაზე ბრწყინვალეს,
ტაძარს ჰგავს ღვთისგან შენებულს,
ხატს ოქროთ ნაჭედს, ბზინვარეს.

ნეტავი წყალად მაქცია
მის კოკას ჩავეღვრებოდი,
აღვას ჰგავს, სუროდ მაქცია
ლერწმის ტანს დავეხვეოდი.

რომ მქონდეს ჯადო თილისმა
სენს ავჰყრი სევდის კრულისას,
ვაამბობინებ ამბავსა
უცნობსა მის წარსულისას.

ნეტავ, ვინ არის ეს ქალი
წყალზე რომ მოდის კოკითა.
ვეღარ მოვწყვიტე ავთვალი
ღანვებზე კოცნა მომინდა.

სალამო სექტემბრის

ნაჯაფარ ხელებს დავიკრებ ნაზად,
თვალებს მივაპყრობ ზეცას დაღლილი.
გაივლის ქუჩას უცნობი მგზავრი,
სახლის სიშორეს იგრძნობს მანძილი.

ატყდება ქარი, წამოვა ნვიმა,
სურვილი ქუჩას გაეკიდება,
შვება ოთახში დახუჭავს თვალებს
და ცივ სარკმელზე ჩამობინდდება.

სული კი მაინც ვერ მოისვენებს,
ფიქრი ოცნებას მისწვდა ხელებით
და ჩუმად მოვა იდუმალ ძილი,
ტკბილი სიზმრით და საშინელებით.

შემიბრალე ქალაო

ვით ოცნება, ჩემს სულში
შემოიჭერ, ქალაო.

მაგ თვალებით ამ გულში
გამიყარე დანაო.

ღვინთ არა, მთვრალი ვარ,
შენით, აღვისტანაო,

გულს ჭრილობა გამეხსნა
ვკვდები თანდათანაო.

ღმერთი, რჯული, გაგინყრა
სილამაზით შენაო

რაც გიხილე მას შემდეგ
ვერ ვისვენებ მენაო.

ჩემთვის მზე აღარ მნათობს,
აღარ მესმის ნანაო,

შენთვის სიცოცხლეს დავთმობ,
მეტი რა გსურს, განაო?

ნულარ მტანჯავ უბედურს,
შემიბრალე, ქალაო,

ან მაჩუქე ღიმილი,
ან დამარტყი დანაო.

და მაშინ გეტყვი

მე შენი სახე მომაგონდება,
როცა სიკვდილის მივალ კარებთან
და მაშინ გეტყვი, როგორ მიყვარდი —
შენი მშვენიერება სულს მიაძებდა.

რამდენი ღამე შენზე ფიქრებში
შემომათენდა მიმქრალ მთვარესთან
და მე მუხლმოყრილს ღვთისმშობლის ხატთან
ცრემლი მდიოდა ნიაღვარებად.

როს ალიონზე ღონენართმეულს,
შენზე ოცნებით მეძინებოდა,
სიზმრად გვირილის გვირგვინს გინწავდი,
და შენ ბალღევით გელიმებოდა.

გაშლილ მდელოზე მჭვირვალი კაბით
პეპლებს დასდევდი, თვითონ პეპელა,
ტანზე ჩამოშლილს თმებს ჰაეროვანს
სიო გინწავდა კრძალვით ნელ-ნელა.

ყვავილთა კონას მაღლა ისროდი,
მზე სხივებს ტანზე უხვად გაფენდა.
შემომხედავდი, გაიქცეოდი,
გინდოდა ზეცად თითქოს აფრენა;

და მეც ღიმილით უკან მოგდევდი,
მსურდა მკლავებში შენი მომწყვდევა,
მაგრამ უეცრად მეღვიძებოდა
და ჩემს სიხარულს სევდა მოსდევდა.

ოჰ, როცა გეტყვი — “მიყვარხარ ძლიერ!
შენით ვიცოცხლე ამდენი წელი,
მე შენს ღიმილის ალზე ფარულად
როგორც ფარვანა, გარდავიცვლები...

მაგრამ თვალებზე თუ მე შეგნიშნე,
ცრემლთა ფარული აელვარება,
მაშინ ვინ იცის... ვინ იცის, მაშინ...
იქნებ სიკვდილი დამენანება.

სმენათა საუნჯე

სიტყვები ვატყვევე
უტყვი ბორკილებით,
გულის და გონისთვის
გავხდი მორკინალი.
ფერთა სავანე ვაიასამანე
ავაიასამანე ფერთა სავანე.
მეტრით ხაზები გადანახაზები,
გადანახაზები რიტმით ხაზები
რითმებს ვაუნჯე სმენათა საუნჯე,
სმენათა საუნჯე რითმებს ვაუნჯე.
ფიქრების ნამქერად ნიღბები ვანიავე,
ვაქციე დარდები ვარდების სანიავედ,
აზია მოჩანს ნასხურებ აიაზმად,
ზარების რკალებში მესამე აილანდა.
გრძნობები გრაგნილზე გადანაბმულები.
ზუზუნებს ეპოქის ხავსი - მავთულები.
წამები აგორდა წუთებით და წლებით,
წლები დაგორდა, და იქცა წამებად.
სიკვდილი სიზმარად ასილაჟვარდდება,
ასილაჟვარდდება სიცოცხლე ვარდებად.
ტალღად ადიდდება მარადი დიდება,
მარადი დიდება მარადში იფიტება.
ბრძოლაში სიკვდილი, უმღერი სიმღერა,
ალად აინთება წითელი ქიმერა.
სიტყვები ვატყვევე
უტყვი ბორკილებით,
გულის და გონისთვის
გავხდი მორკინალი.
ფერთა სავანე ვაიასამანე,
ვაიასამანე ფერთა სავანე.

ამაოება

უფალო, შენი ნაპირია უნაპირობა,
მე კი წარმავალ სოფელში ვარ სევდის მეუღლე,
ჟამი მენყერი მთლად წალეკავს თიხის გმირობას,
რომ მე მოკვდავი უკვდავებას ვერ შევეუღლე.

მე სხივს უნათლესს, გადმონაღვარს ჩემზე გვირგვინად
მარადისობის ცაზე ვთვლიდი წყალობის ელდად
და რამაც ჩემში ტიტანურად მეხებრ იგრგვინა,
ის აღტაცება წამი იყო და იქცა ფერფლად.

მე მორკინალის ჟინი მწვავდა - სისხლი მხეცური,
მსურდა, შემექმნა არარისგან თვალი გიშერი
და რომ მეგონა ზღვას იტევდა პატარა გული,
ცვარის წინაშე მოდრეკილი ვდგავარ შიშველი.

შორით ელვრე თვალთან ახლოს ვეღარ გამოკრთის,
გიგანტურ ძალას უძრაობის დაღენწავს გარსი
და ამ მშვენიერ ქანდაკებას, მზეზე გამოთლილს,
ქარი შემუსრავს ნკვარამ ღამის შმორიან ხავსით.

აღმოდებული ფიქრი მწველი, შმაგი, მღელვარე,
ჩემში რაც იძვრის ქაოსური და ბუმბერაზი,
დროთა სწრაფ სრბოლას რომ გაჰყვება ახლა ელვარე,
ვერ შეითვისებს სხვა ეპოქის უბრალო კაცი.

გრძელი ოცნება ზვიადური მოკვდა მეფურად
და მიმავალმა უდაბნოში დავკარგე გული,
ამაოებამ იმედები ჩაკლა შლეგურად
და სინანულის ხედ ქცეული ვარ განძარცული.

უფალო, შენი ნაპირია უნაპირობა,
მე კი წარმავალ სოფელში ვარ სევდის მეუღლე,
ჟამი მენყერი მთლად წალეკავს თიხის გმირობას,
რომ მე მოკვდავი უკვდავებას ვერ შევეუღლე.

როგორც პიკასო

მოვა სიჩუმე უნაზესი, როგორც ზამბახი
და მე მომიტანს მკვდარ სატრფოს თვალებს.
მე დავბრმავდები მზის ძარღვებზე, როგორც ზღაპარში,
სხვა ქვეყანაში მე შევალე ულურჯეს კარებს.

დაჭრილ ანგელოზს დამიამებს ტკივილებს ქარი,
დამშრალ ტბის ძირზე გაბრწყინდება ობოლი ცრემლი,
მკერდზე მიმიკრავს მჭკნარ თითებით ოდესღაც მკვდარი
და ჩემს კოშკებში გავბრუვდები ლანდების ცქერით.

ჩემს ქვეყანაში ანგელოზის დადის აჩრდილი,
ქრისტეს პერანგში გადაცმული იუდა ქრება,
უკარებაა, ვით ყვავილი, ღმერთის შექმნილი,
ცოცხალი თითები თუ შეეხო მაშინვე ჭკნება.

ცისფერ ძარღვებზე ჩემი ცრემლი უფრო მტკნარია;
ფილტვებს აყრიან მინის ნაცვლად გათხრილ სამარეს,
ჭლექით ანთება ჩამომჯდარა ყვითელ კუბოზე,
ხატავს სისხლისფრად უკვდავების ნათელ სავანეს.

გველის ჰანგები პირამიდის კედლებს ასკდება,
ვეზუვის ფერფლით ძაღლის ჩონჩხი დარაჯობს ქვესკნელს,
სატრფოს თვალები მწვანე ტბაზე მოჩანს ხაზებად
და ვით პიკასო საოცარი, მე ვხატავ ლექსებს.

შენ გეტყვის ეს ღამე

სალამო უშენოდ გავიდა წვიმაში,
ღრუბლების იქით გამოჩნდა მთვარე,
ღამეულ ფიქრების მხურვალე ქვიშაში
გული უდაბნო ინვის მწუხარედ.

სადა ხარ, არ ვიცი სევდა მომერია...
ვერ ვხედავ თაფლისფერ უძირო თვალებს.
ეხლა საათი, ნეტავ, რომელია?
რა სწრაფად მისდევენ წუთები წამებს.

ოცნება იფერფლება ღამის სინყნარეში,
ოჰ, ბედს თუ მოუნდა, რომ კიდევ გიხილო,
მე მოვალ, ფერმკრთალი მთვარიან ღამეში,
რომ შენთან ფარულად უცრემლიდ ვიტყვი.

დამღალა, დამღალა უსაზღვრო ლოდინმა...
სიყვარულს ტაძართან ფიქრებით მივყავარ
და როცა შეგხვდები შორეულ ზმანებას,
ჩაგიკრავ გულში და გეტყვი, რომ მიყვარხარ!

გეტყვი, რომ შენი ვარ მარად და მარადის
და ვიცი, მაშინაც რომ ძლიერ ინვიმებს.
მე ვარდებს მოვპარავ წვიმების მარგალიტს
და ყელზე შეგაბამ იმ წვეთებს ვით მძივებს.

და თუკი შენ მოხვალ და ველარ მიპოვი,
იცოდე, გელოდი დაღლილი დიღამდი.
შენ გეტყვის ეს ღამე მთვარიან წვიმებით,
თუ როგორ... ო როგორ... რა ძლიერ მიყვარდი...

სევდა და დარდები როგორ მომერია,
ვერ ვხედავ... ვერ ვხედავ თაფლისფერ თვალებს...
ნეტავ საათი ეხლა რომელია?
რა სწრაფად მისდევენ წუთები წამებს...

თბილისის დილა

თენდება დილა შეუცნობელი, ტანჯვის მომტანი
და მეეზოვეს ცოცხს მიჰყვება ფიქრების გროვა.
მეტროს ნაღვლიან სახეებში, ბორბლის ხმაურში
გაისმის ბავშვის მათხოვრული წკრიალა გლოვა.

ბაგეს ღიმილი შეხმობია, ვით ფურთხი ასფალტს,
დაძრწის ტრამვაი, სისხლიანი მიაქვს სიკვდილი;
და ირონიის ცრემლებს ნუსხავს მზარავი ბედი,
ისმის გამოწვდილ მჭკნარ თითების სიცილ-ტირილი.

სიმდიდრე დადის ბაზრის ბრბოში ყელმოღერებით
და სიღარიბე ამსხვრევს ფილტვებს ტუბერკულოზს,
ცარიელდება ჯიბე ტახტის ავთა სულეებით
და განწირული ხალხი უცქერს გიჟის კურიოზს.

ოჰ, ეს მზე ათბობს განურჩევლად ბოროტს და კეთილის,
მისი სხივები თამაშობენ სასახლის ბაღში,
ჰალსტუხიანი ბაყაყები ყიყინს იწყებენ,
სადღაც მზის სხივი ძუნნად შედის სნეულის სახლში.

ჯანსაღ ნაღების ტროტუარზე ბრწყინავს ბალთები
და სეირნობენ გამზირებზე ბენვის ქურქები,
დახეულ პერანგს, ძველმან ნაღებს კი იზიდავენ
მივიწყებული ვინრო, ძველი მყუდრო ქუჩები.

აყალმაყალში, მანქანის ღმუილში, ბუზებში, მტვერში
დგას დღეს მთანმინდა, მგლოვიარე, ღმერთების ნისლში
მეფობს სიკვდილი კაცისმკვლელებით
და თვითმკვლელებით,
ასე თენდება საამო დილა ლამაზ თბილისში.

ერთხელ აგონიაში

დავდივარ გონებანართმეული,
ქუჩაში მზერა დაბნეული,
მაოცებს ხალხთა შეშლილი სახეები,
ყოველ მოსახვევეში დამიგეს მახეები.
მაშინებს მოახლოება სასტიკი ბრძოლების
და ვფიქრობ, ეკლესიისგან წყევლა მომელის.

ქარი ქრის, სახეში ფოთლები მეყრება
და ვიცი შორ დღეში სენი შემეყრება.
დიოსკურია შორს დარჩა მგზნებარი,
მზის საყდრის იქით მიმელის მეგობარი,
ასოებს დაბნეულს ერთად ვერ ვაგროვებ,
წვიმა ღამეში ნაშლილ ფსალმუნებს მაგონებს.

ხელი მივიდე შუბლზე იქნებ ვარ სიცხიანი?
ვხედავ დაჩეხილ სხეულებს ტროტუარზე,
ხვალ მივდივარ და მიმაქვს გული გახლეჩილი,
გული სისხლიანი,
სევდა უდაბნოში ეკლის გვირგვინს მომიმზადებს...
დასხდებიან მუხის სავარძლებში
ჩემი სიტყვების განსაქიქებლად
და ვერ უპოვიან ჩემს ნათელ ფრაზებს მახინჯურ ზადებს.

დეკემბერს, გაჰყვა ჯვარცმა აპრილის, ლურჯი ფენიქსით,
ვხედავ ჯოჯოხეთში არის შუქი
და ვეკითხები მზეს გაგიჟებულს:
„მთვარეს რად აძლევ სხივებს?“ - მაგრამ ის ვერ მიხსნის.

ხელი მივიდე შუბლზე, იქნებ ვარ სიცხიანი?
არა, არ არის კოშმარი, უვნებოდ ვარ მე ცოცხალი,
მაგრამ წინ მიდევს მკვდარი და სულის ნაწილი.
ჩემში დარჩა მისი სიცოცხლე ვაზნარმზიანი.
ჩემს სხეულს სხვისი ხელებით მივიტან სამარემდე,
მე ხვალ მივდივარ და მიმაქვს გული გახლეჩილი,
გული სისხლიანი.

მეძავი

ოჰ, შენ ცხოვრება გარდასახე ექსტაზად, ვნებად
და სარეცელზე დაანვინე ჟინით მწყურვალი,
გსურდა ორგია მარადიულ ჟამთასვლის წლებად,
არ გამხმარიყო ალვაზე სურო, გნთქავდა სურვილი...

შენ მსხვერპლს სწირავდი ფიქრით ბომონს,
ატეხილ სისხლად,
ღამის წყვდიადში ოდეს თრთოდა შენი სხეული,
შეყვარებული საკუთარ თავზე, შენ შიშვლდებოდი
დიდი სარკის წინ ჩერდებოდი ვნებად ქცეული.

ანთებდი სანთლებს და სანოლში წვებოდი ისევ
და აღგაგზნებდა გაოფლილი თეთრი ზენარი,
შენივე ხელებით, საკუთარ მკერდს გულში იკრავდი
და ველურ კაცად გესახებოდა ნეტარი წამი;

როს თენდებოდა შენი ვნება კვლავ არ ცხრებოდა
და დღის სინათლეს კვლავ მოსდევდა ღამე ბურვილი.
ოჰ, შენ ცხოვრება გარდასახე ექსტაზად, ვნებად
და სარეცელზე დაანვინე ჟინით წყურვილი.

ქარი ქრის, სულშიც ქარია...
ბაღში სველდება ვარდები.
დღეს ზეცა რა მწუხარეა,
რად ამეშალნენ დარდები.

შენ მაგონდები, ასულო,
ამ ქარში, შუალამისას.
ხატად ჩემს გულში დასმულო,
სინათლე ჩემო თვალისავ.

უმანკო შენი მშვენება,
ციდან მოსული მიწაზე,
ნისლებს რად შეუბურია
ეგ ღვთაებრივი სინაზე.

ან ის ღიმილი სად გაქრა,
ბაგეს გაშლილი კესანედ.
შენი ბულბულის გალობა
ახლა რად მესმის მკვნესარედ,

რად შევერცხლილან დაღალნი,
ზღვას რომ ვადრიდი მღელვარეს,
ან ბროლის მკერდი რამ დაფშვნა
სხივზე ათასფრად ეღვარე,

ჰოი, რად ქრები მშვენებავ,
ციდან მოსულო მიწაზე,
ნისლებმა რატომ შებურა
შენი ღვთიური სინაზე?

მსურს მალე ქარი ჩადგება,
თუ ღმერთმა მალლით ინება
და ტურფავ, შენი მშვენება
ქვეყანას მოეფინება.

სულ შენზე ვფიქრობ, ასულო,
ამ ქარშიც შუალამისას,
ხატად ჩემს გულში დასმულო,
სინათლე ჩემო თვალისავ.

მაგრამ ჯერ ისევ ქარი ქრის,
ბაღში სველდება ვარდები
და ზეცაც კვლავ მწუხარეა
ამშლელი ჩემი დარდების.

შენახარ ჩემი სიზმარი

შენა ხარ ჩემი სიზმარი და ჩემი ოცნება;
შენა ხარ ჩემი გაელვება კრიალა ცაზე;
შენა ხარ ჩემი შემოდგომის ფოთოლთა ცვენა;
შენა ხარ ჩემი მშვიდი ფიქრი მღელვარე ზღვაზე.

მე კი ვარ შენთვის არარა და უსივრცოება,
მე კი ვარ შენთვის სისხლიანი გზა ნაეკლარი,
და ჩემზე ფიქრით არ იღლება შენი გონება
და მე ვარ შენთვის შორეული ტრამალის ქარი.

ოჰ, ჩვენი გზები დაყოფილი მდინარის ტოტად,
დაქსაქსულია ბედისწერის უცხო ხაზებით.
სიკვდილის ბოლოს, მე მელის ბნელი,
შენ კი უმანკო, ღვთის წინაშე ზეცას წარსდგები.

მაგრამ მე იქაც თან გამყვება შენზე ოცნება
კუბოში ვარდი, მჭკნარ თითებში ლურჯი რითმები.
და მანუგემებს მხოლოდ აზრი რომ ჯოჯოხეთის,
იმ მარადიულ ცეცხლის ალშიც დამესიზმრები.

საშინელი სიზმარი

ოთახში იდგა სუნი ჰაშიშის,
მეჩვენებოდა ხმლები ლეკური.
ეს ღამე იყო რალაც საშიში,
რალაც საშიში, დოსტოვესკური.

გარეთ ძლიერი დაქროდა ქარი,
სარკმელს ღრუბლები გადაატარა,
კედლის ხაზებში ჩნდებოდა მკვდარი,
ბუხარში თვლემდა თითქოს სატანა.

არ მასვენებდა ფიქრი მაცდური—
სიკვდილ-სიცოცხლის ორთა ბრძოლისა.
იყო იუდა ჩემში, გამცემი,
ჰეროინული მეტეორისა.

მიხმოზდა რალაც არამქვეყნური,
ეპოქის ლოდი რომ ამეზიდა.
მე უბედობით ვიყავ ბედკრული
მესმოდა მუდამ წყევლა ზეციდან.

გარეთ ძლიერი დაქროდა ქარი,
სარკმელს ღრუბლები გადაატარა.
კედლის ხაზებში თვით ვიყავ მკვდარი
და მე ვიყავი თვითონ სატანა.

გამომალვიდა ჰაშიშის სუნმა,
კვლავ მომეჩვენა ხმლები ლეკური,
სიზმარი იყო რალაც საშიში,
რალაც საშიში, დოსტოვესკური.

შენს ლამაზ ღიმილს
 მე ვაჩუქებ მთელ
 ჩემს სიცოცხლეს
 და ვარდისფერად მოელვარე
 მხურვალე ტუჩებს
 ვეამბორები, ოცნებებში რომ ჩავიფერფლო,
 რომ შენი ეშის სამსხვერპლოზე
 ცრემლად ვინვოდე.
 შენს ლამაზ ღიმილს
 მე ვაჩუქებ მთელ ჩემს სიცოცხლეს.
 გული შენთვის ძგერს,
 სული შენთვის სამოთხეს დათმობს,
 ხატვას დავინწყებ
 და შენს თვალებს დავხატავ ოდენ,
 ზეცას ცეცხლს მივცემ
 და ზეცაზე ჩავაქრობ მნათობს,
 რომ მხოლოდ შენ ერთს,
 შენ გიცქერდნენ ჩემი თვალები.
 ასეთ ტრფობისთვის
 როგორც წარმართს, ვიცი, დამგმობენ,
 მაგრამ არ ვნალვლობ,
 მხოლოდ შენს კერპს ვეთაყვანები.
 მოვიდეს წარღვნა,
 საშინელი ზათქით და ზვავით,
 უფსკრულს წალეკოს
 უნანებლად გული წამებით;
 ათ წმინდა მცნებას,
 სახარებას და აპოკალიფსს,
 მნამს, შეუცდომლად
 კვლავ დანერენ ეგ წამნამები.
 ხატვას დავინწყებ
 და შენს თვალებს დავხატავ ოდენ,
 რომ მხოლოდ შენ ერთს,
 შენ გიცქერდნენ ჩემი თვალები,

ვარდებისდარად
ანიტლებულ მხურვალე ტუჩებს
ვეამბორები,
რომ ოცნებამ მფერფლოს ალებით,
რომ შენი ეშხის სამსხვერპლოზე
ცრემლად ვინვოდე.
გული შენთვის ძგერს,
სული შენთვის სამოთხეს დათმობს,
რომ მხოლოდ შენ ერთს,
შენ გიცქერდნენ ჩემი თვალები,
შენს ლამაზ ღიმილს
მე ვაჩუქებ მთელ ჩემს სიცოცხლეს,
შენი ტუჩების წითელ ვარდებს ვეთაყვანები!

მეგრული ლამე

შენ, სამეგრელოს ცაო, უძირო,
მაგონებ დედის სევდიან თვალებს.
მეგრულ ოდაში მთვარეს უძილოდ
გაუთევია წუხელის ლამე.

„დიდოუ ნანას“ ქარი მღეროდა,
როცა ვარსკვლავი გაბრწყინდა ცაზე.
შორს, ბუმბერაზ მთებს თოვლი შვენოდათ
და შუქი კრთოდა ცაზე, მყინვარზე.

ათას ოცნებას მოვავლე თვალი
და სულში დარჩა მგზავრი გვიანი,
და ლანდშაფტების ნაცრისფერ რკალში
მომესმა ურმის კვნესა, ჭრიალი.

იდგა, ვით ლანდი, ლამე მდუმარე
და ჩემი გული აღარც კი ძგერდა.
მეგრულო ცაო, მეგრული ლამევ,
თქვენ დამიფარეთ უმწარეს დღეთგან.

შენ, სამეგრელოს ცაო, უძირო,
მაგონებ დედის სევდიან თვალებს.
მეგრულ ოდაში მთვარეს უძილოდ
გაუთევია წუხელის ლამე.

რად ქვითინებდა, ან რას გლოვობდა
არვინ იცოდა, მწუხარე მთვარე,
მხოლოდ შენ ხვდები, პატარა ოდავ,
მხოლოდ შენ იცი, მეგრულო ლამევ.

მგელი და ადამიანი

ერთხელ ბნელ უკუნ შუალამეს ვინრო ბილიკზე
ძუნძულით, ქმინვით, მოდიოდა ტყის რუხი მგელი
მისი ფიქრები მსხვერპლს უვლიდა, მგზნებარე სისხლით,
თან ტყეს ნაძვნარსა საბნად ჰქონდა ფოლადის ნისლი.
თვალამღვრეულმა უცებ რაღაც სუნი შეიგრძნო
და ბუჩქის უკან დაიმალა მშიერი მგელი.
„სანამდე მე და ცხვარი ერთად მოვძოვდეთ ბალახს,
მანამდე მგლები მუსრს გავავლებთ მწყემსების ფარას.
ნეტავ, ამ ბილიკზე მოდიოდეს თეთრი ბატკანი”

და ამ ბილიკზე მოდიოდა ადამიანი
ყველაფრის მომსწრე გულცივი და გულბოლმიანი.
მისმა სმენამაც გაიგონა ბუჩქში შრიალი
და სისხლისღვრისთვის მოემზადა ადამიანი.

ტყემ შეარხია იდუმალი გული შავბნელი,
ქარმა კი კომბლით გადარეკა ღრუბლების ფარა,
და ბუჩქთან ნისლი გაიცრიცა უმალ როდესაც
მთვარემ სამყაროს ვერცხლის შუქი გადმოაღვარა.

„ბუჩქში შრიალი გაიგონა ჩემმა ყურებმა
ჩემმა თვალებმა შეამჩნიეს რაღაც არსება,
შავბნელ ღამეს რომ ეხეტები, ჰეი, ვინა ხარ!
ღმერთის შექმნილო, გამოდი ბილიკზე მეჩვენე სახით”

ცხოველს განგებამ შთაუსახა გონება კაცის
და ამეტყველდა როგორც მოკვდავი.
თვალეებში ცეცხლი ჩაელველფა მხეცს დაუნდობელს
და ბუჩქებიდან გამოვიდა ფრთხილად ნელ-ნელა.

„ – რა გინდა ადამიანო, ნადი შენს შენსა გზაზედა
ჩემი საფარი არის ტყე, ცა რომ დაჰყურებს თავზედა.

მე ხორცი მინდა ყოველ წუთს
არ ვინდობ თვით ჩემს მოყმესა
ტანზე რომ სისხლი შევნიშნო
ნამსვე გამოვჭამ მას ყელსა.

გინდ იყოს ბებერი მგელი გინდაც უმნეო ლეკვია.
შარშან მე ვიყავ მშობელი, ტყეს მივეც ერთი შვილია,
ერთიც წყლის პირზე მოვკალი, სისხლი ვადინე თბილია.
მიტომ მოვკალი ის პირმშო, არ იყო მგლური ჯიშისა,
წყალი ალოკა სულსწრაფმა, მგელძალა იყო ნიშნითა.
ეს ჩვევა მარტო მე არ მაქვს, ოდიდგანვევე მგლურია,
ხან მთაში ვარ და ხან ბარში, მუდამ საკბილოს ძებნაში,
ღამეა ჩემთვის საფარი, რომ ჩამოვიდე ბარშია,
მწყემსებს ცხვარს თუ ვერ მოვპარავ, სადღაც იქვე ხომ ცხენია
გავკრავ-გამოვკრავ კბილებსა და სტომაქს ხორციით ავივსებ.
რა ვქნა, ღმერთს ასე უნდოდა, რომ გავეჩინე მგელადა,
შეხედე, ჩემსა ცხოვრებას, თუ რაოდენად ძნელია,
ასეა, ადამიანო, ჩემი მხეცური ცხოვრება,
სადაც ნავალ და ნამოვალ
ეს ფიქრი თან არ მშორდება.

მე მგელი ვარ და მგლურადვე სადღაც მოვკვდები მგელია,
არ მეყოლება პატრონი, არ დამიტირებს შველია.
გამიშვი, ადამიანო, ჩემსა მხეცურსა გზაზედა,
არ გერჩი მე შენ არაფერს, გაინი ცოტა განზედა”

„ – მოიცა მგელო, შეჩერდი მეც გეტყვი ერთ-ორ სიტყვასა,
ჩემი სათქმელი შენს ნათქვამს ბევრით ვერაფრით ჯობია,
მეც გეტყვი მხოლოდ სიმართლეს ჯერ არრა მომიჭორია.
უნინ პატარა რომ ვიყავ სოფლად ჩამონვა ზეავია,
დედ-მამა ზვავს შეენიონენ დავრჩი უმნეო კრავია,
სახლი, ცხვარ, ძროხა, ვენახი არ დამრჩა არაფერია,
უსახლკაროდ და ობლად კი ქვეყნად ცხოვრება ძნელია.
ბევრი ზაფხული, ზამთარი შიმშილში მე გავატარე,
ბედო, მუხთალი რამე ხარ რამდენჯერ შენ მე მანამე!
ჰაი, ეს წუთისოფელი არარაობა კრულია.
ვინა სთქვა რომ ეს ცხოვრება ტკბილი და საამურია.
ღრო ხომ ისეთი რამეა კაცს დაგავინყებს მწარე წარსულსა

და მომავალი თითქოს შენია, გაგახალისებს,
გგვრის სიხარულსა.
იმხანად მეც გავიზარდე ტოლებში დაჩაგრულია,
ცხვარ-ძროხა მოვაშენე და სახლ-კარიც კარგი გავმართე
ამ ყოფაში და შრომაში სიცოცხლეც გამიხალისდა,
მაგრამ შევატყვე ჩემს სახლ-კარს ხელი რომ აკლდა ქალისა.
უქალოდ კაცის ცხოვრება ფუჭი არის და ცუდია
და აქვე ახლოს სოფელში ვითხოვე ერთი ქალია,
ოჯახში რომ მოვიყვანე მტერსაც დაუფუსე თვალია.
მტერი ვახსენე, მე ობოლს არცა მყოლია მტერია,
მაგრამ ეს წუთისოფელი შეუცნობელი ჭრელია,
ახლოს მოყვრულად გიყურებს, შორიდან შენი მტერია.
ხელში რომ მოგცემს შაქარსა, გულში ნაცარი მტვერი აქვს
ღმერთმა ვაჟები მაჩუქა, მამულს ვუზრდიდი შვილადა,
მაგრამ ამ ტიალ სოფელში ლხინი იცვლება ჭირადა.
მტერი მოგვადგა საზღვრებზე, წავედი საბრძოლველადა,
ტომები ერთმანეთს ვხოცავდით, ეშმამ ჩათესა შხამია.
რაც იქ ვაშკაცი დაეცა საგლოვი და სანანია.
მტერი საზღვრიდან გავდევენეთ,
დავბრუნდით შინ მცირე ჯარია.
სიკვდილისისხლისღვრამ მე ბედშავს სულ გამიცივა გულია
განა მოკვდავის გულია მგელო არ არის მგლურია?
შინ რომ მივედი ოჯახში, დამიხვდა ჭირი შავია,
სიცოცხლეს გამოასალმა დედა და ორი ვაჟია
და დღეს კიდევ ვარ ცოცხალი ქვის არის ჩემი გულია
განა ეს ჩემი სიცოცხლე მგელო არ არის მგლურია?
და ახლა ჩვენთან სოფელში სუყველა დაფანტულია,
ზოგს სიმდიდრე აქვს იმდენი ვერ დაუთვლია ფულია,
ბევრნი არიან მშიერნი, რომ ენატრებათ პურია,
აბა ასეთი ცხოვრება განა არ არის მგლურია?
ევა ადამად იცვალა, დაკარგა თვისი წესები,
არც ხატი ახსოვს, არც რჯული და აღარც ადათ-წესები,
თითქოს ღმერთის სწამს სუყველას,
სანთლებს ანთებენ ტაძარში მკვდრეთით აღდგომას ახსენებ,
გიჟი ხარ ნამდვილი მათ თვალში.
უფალმა რომ შექმნა სამყარო

ჩვენც შეგვექმნა თავის ხატადა,
მაგრამ დღეს ჩვენი ქმედებით ღმერთი დავტოვედ სახტადა.
ჩემი გული და გონება მგელო გამხდარა მგლურია
ჩემს სხეულს აქვე დავტოვებ,
შენს ტყავში ცხოვრება მწყურია.
ჩვენი ცხოვრება დღეიდან განუყოფელი ძმურია.
წავიდეთ ერთად შევმუსროთ, რაც ქვეყნად საამურია.
და რაღაც ძალამ ინება, კაცი შეუშვა მგელშია.
ვაი, იმ ადამიანსა, ვინც ჩაუვარდებათ ყბებშია.
ასე დასრულდა ამბავი ლეგენდად ჩემგან თქმულია,
ადამიანის ცხოვრება მგელზედვე მეტი მგლურია.

ფსალმუნი

დავბრმავდი, დავბრმავდი, დავბრმავდი, დავბრმავდი,
რალაც შავ წინწკლებს ვხედავ შავ ფონზე.
მარადი სიბნელე და ზეცა ბინდებით,
თითქოს შავ ფიფქებად ჩემს თვალებს ათოვდეს.

წამები გადმექცა ან უკვე წამებად,
საზარი ფიქრების მე მიჭირს ატანა,
განვედი, განვედი, განვედი, განვედი,
განვედი, შორს ჩემგან, შავბნელო სატანავ.

ზეციდან მალვარე, უფალო, მირონი,
აღირსე ჩემს თვალებს კვლავ შენი სინათლე,
სნეული ჩავდგები, ჩავდგები რიონში,
ცოდვილი, ცოდვილი გამბანე იოანე!

ვგრძნობ, რომ დღეს სადღაც საამო დარია
და ანგელოზი დაფრინავს ზეცაზე,
შენ გვედრი, შენ გვედრი, შენ გვედრი, მარიამ!
შვილად ამიყვანე ხელებით ფრესკაზე.

მიმტევებელო, ცოდვილთა უფალო;
ცოდვილი, ცოდვილი, ცოდვილი განმბანე,
მაკმარე ტანჯვა და მაკმარე წამება,
მაღირსე სიმშვიდე, მამათა სავანე.

მალვარე უფალო, მირონი, მირონი,
მირონი, მირონი, მირონი, მირონი,
განმბანე იოანე, განმბანე, განმბანე,
განმბანე, განმბანე, მე ვდგავარ რიონში.

სიცოცხლე გადმექცა მე უკვე წამებად,
მანუხებს ცოდვები, სულს უჭირს ატანა,
განვედი, განვედი, განვედი, განვედი,
განვედი ჩემიდან მაცდურო სატანავ!

უსათაურო ტრიოლეტი

მთვარე ჩაესვენა ღრუბლების ბალდახინში.
ჩემი ოცნებების კარი ჩაირაზა,
დამრჩა ანათემა სისხლით გადაშლილი,
მთვარე ჩაესვენა ღრუბლების ბალდახინში.

უთქმელი განცდების დღეს მიპყრობს მე შიში,
მაგრამ ის წმინდაა, როგორც აიაზმა.
მთვარე ჩაესვენა ღრუბლების ბალდახინში,
ჩემი ოცნებების კარი ჩაირაზა.

სიამაყე

ვიცი, გინდოდა ჩემი კოცნა, მძაფრი და მწველი,
შენი სურვილი ამოვიცან მბრწყინავ თვალებში.
„შესდექ, დობილო,“ – ჩამჩურჩულა მე სიამაყემ,
თორემ მეც მსურდა შენი კოცნა, შენთან ალერსი.

ელოდი ჩემგან, რომ გეტყოდი – „მიყვარხარ ძლიერ“
და ამ ლოდინის შენ გტანჯავდა ფიქრი და დარდი,
„შესდექ, დობილო,“ – ჩამჩურჩულა მე სიამაყემ
და მე დავდუმდი, თორემ ძლიერ, ძლიერ მიყვარდი...

შენი ფიალა მოთმინების აივსო უმალ,
მითხარ – „გიყვარვარ?!“ ოჰ, დუმილი, დუმილი კმარა.
„შესდექ, დობილო,“ – ჩამჩურჩულა მე სიამაყემ
და მე „ჰოს“ ნაცვლად უცებ დამცდა: „არა და არა!”

როცა ყოველი არის ამაო

სული, სიმშვიდის არსით მპოვნელი,
იქნებ დააცხრო ლოცვით, მამაო,
რა ავირჩიო ქვეყნად, რომელი,
როცა ყოველი არის ამაო?!

კოლოვ, წყვდიადის პატარა ჩვილო,
სისხლით იზრდები, როგორც სიკვდილი.
შენ არ განუხებს, რომ დავიჩივლო,
შენ არ განუხებს სულის კივილი.

ვდგავარ წვიმიან დღის დასასრულში,
უიმედობა მიწამებს ფიქრებს.
დემონი ცეცხლით ჩასახლდა გულში,
ცა მაყრის მხრებზე სისხლიან ფიფქებს.

ოჰ, მარტოობის იდუმალება
ლამით მენვევა, როგორც სტუმარი,
სიკვდილის შემდეგ თუ იმალება,
ჩემი ბავშვობის ლურჯი სიზმარი.

თვით შუალამე ჩემთან მოსული
ყვითელ ფიქრებით მელამუნება
და ეს ხილვები შავბნელი სულის -
ოფლით სანოლში ტანჯვით ბრუნება.

სული სიმშვიდის არსით მპოვნელი,
იქნებ დააცხრო ლოცვით, მამაო,
რა ავირჩიო ქვეყნად, რომელი,
როცა ყოველი არის ამაო!

რამდენი ფიქრი დაბადა ლამემ
და ის სიხარულს ელის მწყურვალი,
ო, მომავალო, მითხარი რამე,
არწყულე შენი შვილი მწყურვალი.

ლექსის წერის დროს სული წყნარდება,
სტრიქონი გრძნობის არის საფარი.
ბევრჯერ განთიადს ვარჩიე ღამე,
ვერსად ვერ ვპოვე თავშესაფარი.

ალიონები ყინვით მაშინებს,
დღე ოცნებები მაცვია თბილი,
ჩემს გონებაში შევქმენ სამყარო-
მე, ლექსები და ღვთაება ლილი.

ასე ფიქრებით გაქრება წლები,
დღისით დამტანჯავს, ღამით ვევენები,
მსურს, შენში ვიყო, ლურჯო ნირვანავ,
უსისხლოდ დამრნენ ჩემი ვენები.

მსურს, რომ დავინვა თუთუნთან ერთად,
ბედო, გიხილო ჩემი წყევლის წინ,
დავეფერფლები სიყვითლეს თეთრად,
აღარ აღვდგები, როგორც ფენიქსი.

ვიცი, ყოველი წარმავალია,
თალხი ჩაიცვეს ჩემთვის ფერებმა,
ჩემი წამება ღმერთის ვალია,
მალე სიკვდილი მომეფერება.

სული, სიმშვიდის არსით მპოვნელი,
იქნებ, დააცხრო ლოცვით, მამაო,
რა ავირჩიო ქვეყნად, რომელი,
როცა ყოველი არის ამაო!..

დრო არის ღმერთო

ნეტავ მას, ვისაც მონყალე თვალით შეხედა ღმერთმა,
ნეტავ მას, ვისაც ღმერთმა გაუხსნა ცის კარი,
მინაზე ვერ ვპოვე სულის შვება მხოლოდ მე ერთმა,
ისიც ვიცი, რომ დახშულია ჩემთვის ხსნის კარი.
მე ვარ იუდა - რომ გავეცი ქრისტე ფარულად,
მე ვარ ვარსქენი - შუშანიკს რომ ტანჯვა ვანვნიე,
მე ვარ ატრევსი - საზარელი ცოდვის ჩამდენი,
მე ვარ მედიჩი - თვით ჩემივე შვილი მოვწამლე,
ელვირას მკვლელი, საზარელი, მე ვარ აგრიე,
მე ვარ კაენი - რომ დავღვარე აბელის სისხლი,
და ვერაგულად, წინამურთან მოვკალ ილია,
ღმერთო, შემრისხე, თორემ მოვსაპოზ მთელ დედამინას,
სისხლით მოთხვრილი შენი ხატი გვედრი, ვტირივარ.

ახლა აქ

ახლა აქ, ჩემთან, შემოდგომაა,
ქარმა შეცვალა ნიავი გრილი,
დამჭკნარ ფოთოლს ჰგავს ახლა ოცნება,
ვხვდები, თანდათან ვგიჟდები, ლილი.

ახლა სხვაგვარი გაჩნდა აზრები,
ახლა ცრემლები იბნევა ქარში.
ველარ ვგრძნობ, სად აქვს ფიქრებს სათავე
და რომელი გზით ჩავა ის ზღვაში.

ახლა აქ ჩემთან მეფობს დუმილი,
ხშირია სევდა, მტანჯველი ფიქრი.
ახლა აქ მალე მოვა ზამთარი,
იქნება ელვა, ნვიმა და ფიფქი.

ახლა ცხოვრება მიდის სხვა სახით,
ახლა სხვაგვარად ვუყურებ არეს,
ახლა მზეს ვხედავ სულ პატარა ხნით,
ახლა დიდი ხნით შევცქერი მთვარეს.

ჩემი ცრემლები სევდამ გაყინა.
მდინარე კუბოს ზღვაში წაიღებს.
ახლა საყდარში იწყება წირვა,
აპოკალიფსს კი ვერვინ გაიგებს.

ახლა სხვა სახით მოვა მესია,
ჯვარცმა იქნება ახლა სხვაგვარი,
ახლა იწყება სხვა პოეზია,
ირწევა სულ სხვა რკინის აკვანი.

ახლა ქუჩაში მომწყინდა ყოფნა,
შენთან ვარ ფიქრით დღე და ღამ ახლა
და მე სხვა სიტყვით დავინწყებ ლოცვას,
რომ შენ სხვა თვალთ სამზერი ჩანხარ.

წერილი დედას

დედა, მიყვარხარ, მიყვარხარ ძლიერ,
მიყვარხარ დედა, უტკბესო სულზე,
შენს ჭალარაში მე მუზეებს ვხედავ,
ლექსებს ვკითხულობ, შენს სპეტაკ გულზე.

რამდენი ტანჯვა გარგუნე ქვეყნად,
რამდენი ფიქრი, რამდენი დარდი.
შენ ნაადრევად დაბერდი ჩემთვის,
უნინ კი, დედა, ღვთისმშობელს ჰგავდი.

აღბათ ეს ჩემი ბრალი არ არის,
მშობელს მუდამ სდევს შვილებზე სევდა,
მაგრამ მე ჩემით რაც განწყენინე,
გთხოვ, მაპატიე, ჭალარა დედა!

როცა შენ ჩემზე ცრემლს აღარ დაღვრი,
ვოცნებობ მასზე, ამიხდეს ნეტავ?!
მე ხომ პოეტის ცხოვრებით ვცხოვრობ,
გთხოვ, რომ გამიგო, ნუ გიპყრობს სევდა.

დედავ, მიყვარხარ, სულზე უტკბესო,
და შენ მოგართმევ ლურჯთვალა იებს,
თუ გრძნობა ლექსით ვერ გამოვხატე,
იცოდე, გულით მიყვარხარ ძლიერ!

შენ ხარ სანყისი ქვეყნად ყოველის,
დღესაც გინახავ იმ დამჭკნარ იებს,
შენს სიტბოს დამწველს ახლაც ვგრძნობ, დედა,
დედა, მიყვარხარ, მიყვარხარ ძლიერ!

ლილი გელი

შენ მზესავით ამოხვედი მთიდან
და სხივებით მიმიზიდე წელზე.
ხმები მესმის შორეული ზღვიდან,
გრილი სიო როცა მკოცნის ყელზე.

დღესაც ვფიქრობ იმ გარდასულ წელზე,
პირველად რომ ბაღში მოგკარ თვალი,
მაშინ იყავ პანანინა გოგო,
ახლა კი ხარ ღვთაებრივი ქალი.

არვინ იცის, თუ ვინ იყო მერი,
რატომ იყო ის მტირალა ლირი,
არვინ იცის, მე დღეს ვისთვის ვმღერი,
ჩემს ლექსებში შენ რად გქვია ლილი.

ის დღე მიყვარს, როცა ძლიერ წვიმდა,
შენ რომ ქოლგით მიდიოდი სახლში,
კრძალვით ცრემლი დაედინა ღანვებს,
წვიმიდი, წვიმდა, ვსველდებოდი ბაღში.

მონატრება ვულკანივით ფეთქავს,
მზისკენ მიქრის პოეტური ცხენი.
სიზმრის ქავლში შენს ლერწმის ტანს ვხედავ
ამ ლექსებით მხოლოდ შენ გიმღერი.

სულ ერთია ჩემთვის ყველაფერი,
ცისარტყელა, ნამზერალი ველი,
მე ყველაფერს პოეტურად ვხედავ,
ლილი გელი, ლილი გელი, გელი...

შენ მზესავით ამოხვედი მთიდან
და სხივებით მიმიზიდე წელზე.
ხმები მესმის შორეული ზღვიდან,
გრილი სიო როცა მკოცნის ყელზე.

დაუდევარი ქმარი

დაუფარია ლურჯი ზეცა მტრედისფერ ღრუბლებს,
მზისებრ სინათლე ოცნებაა სულის მარადი,
მე ვულაღატე ღვინით მთვრალმა ძვირფას მეუღლეს,
დამღუპველია საყვარელი ქალის ღალატი.

მივდივარ სახლში, მსურს, დავმალო ცოდვები ჩემი,
და საალერსო სიტყვებს ვეძებ ელდანაცემი,
დანყევლოს ღმერთმა კახუა ქალის უცხო სუნამო,
რომელიც გახდა ავხორცობის ჩემის გამცემი.

ხელი ხმალს

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
ადექი, ნულარ გძინავს!
არ შეუშინდე მტრის რისხვას,
ჭეჯა-ქუხილს და წვიმას.

ომის წინ თამარ დაგლოცავს,
ომში დაგიცავს წინო,
მტრის სისხლით თასი აავსე
და შესვი, როგორც ღვინო.

თუკი შეგიპყრო ურჯულომ,
ხორცი არ დაინაო.
შესძახე: მარად შენი მზით
წმინდაო ქეთევანო!

ხელი ხმალს იკარ, ქართველო,
მტერს დახვდი, როგორც მტერი.
აბა შენ იცი, ვაჟკაცო,
არ დააღონო ერი.

ომში გმირულად დაეცი,
შესძახე ჰერი, ჰერი,
არ შეირცხვინო მარჯვენა,
ახარე წინაპრები.

ქართველო, ხელი ხმალს იკარ
ადექი, ნულარ გძინავს!
არ შეუშინდე მტრის რისხვას,
ჭეჯა-ქუხილს და წვიმას!

გიჟის სიყვარული

გამზირზე მიდის ქალი ამაყი,
ყელმოღერებით, დალალდაშლილი,
თითქოს, ქარია ფაფარაშლილი,
შემზარავია თანაც წარმტაცი.

როგორც დელფოსის ტაძრის იზიდას,
ამოუცნობი სიტყვა მალეღვებს,
რალაც უცნობი ძალა მამღერებს,
მისი მშვენება ისე მიზიდავს.

მიდის და, თითქოს, ცეკვავს ფლამინგოს,
მან დამატყვევა, როგორც დიანამ,
ოჰ, მისი მზერა თითქოს დანაა,
და ჩემი გული უნდა განგმიროს.

უნაზესია მისი თითები,
მაგრამ მაშინებს ვით, ვეფხვის ჭანგი,
ვით ჯოჯოხეთის გრძნეული ჰანგი,
სულს მოეტმასნა შავი ფიქრები.

მარად ჩემშია ის, როგორც ქარი,
რომელიც ჩემს სულს მუდამ თან ახლავს,
მე ისე მიყვარს, არ მსურს დანახვა,
დე, გაქრეს ეს დღე, მოკვდეს ეს ქალიც!

შემკრთალი პატიოსნება

შენ გაიარე მზის სარკის წინ,
როგორც ნარცისმა,
და შეგიყვარდა შენი ტანის
თეძოთა რხევა,
თითქოს მაცდურმა, იდუმალმა
გველმა დაგგესლა,
შეკრთი ანაზდად, ხის წინ მდგარი,
ვით ბალში ევა.
გითრთოდა მკერდი,
ყელს გდიოდა ოფლი ღვარული,
თეთრ ბარძაყებით
და სინაზით დაჩრდილვ გედი.
მოგანვა ჟინი,
რომ დაგეცხრო ვნება ქალური,
მაგრამ მოგენტო
სირცხვილისგან უცებ აღმური,
რომ დაინახე
იმ სარკეში თვით შემოქმედი.

ობოლი მარტოობა

დადგა ზამთარი... სულში ყინვამ დაიდო ბინა,
და მწარე სევდამ ჩემი გული დაიდობილა.

აყეფდა ძალლი, მიაჩერდა ვერცხლისფერ მთვარეს...
ცივი დღეების მარტოობამ დამამწუხარეს.

შევჩივლე ჩემს ბედს და იესოს ჯვარზე გაკრულსა,
მომეც ნუგეში, რომ სალბუნად დაედოს წყლულსა.

უცებ ვილაცამ მომაცახა საშინელ ხმითა:
„თვით აირჩიე ეგ ტანჯვის გზა, დამშვიდდე ვითა?“

ყური დავუგდე, მე ხმა იგი, მეუცნაურა,
თურმე ხმა გამცა თვით ჩემივე საბრალო გულმა;

მაშ, ვის შევჩივლო, დამნაშავემ, თუ ვსულვარ გულსა,
ახლა შენ გკითხავ, ყინვისაგან დაბზარულ სულსა.

“თვით აირჩიე გოლგოთის გზა, გზა ეკლიანი,
და მოემზადე სანამებლად, ნაიღე ჯვარი.

გვიან ვიცანი, პოეზიავ, შენი ღიმილი,
მაგრამ გვიანზე გვიანია ჩემი ტირილი.

და მეც, ბავშვივით, ახლა შევცქერ ვერცხლისფერ მთვარეს,
ვთხოვ, გამითხაროს სულ პატარა ვიწრო სამარე.

დაზამთრებულა... სულში... ყინვას დაუდევს ბინა,
და მწარე სწევდამ ჩემი გული დაიდობილა.

აყეფდა ძალლი, მიაჩერდა ვერცხლისფერ მთვარეს,
რომ მე ობოლი, მარტოობით დამასამარეს.

ია და იამა

ქროლა მაისის ლურჯმა ნიავმა,
ბალში სურნელი მიძღვნა იამა,
სიცოცხლით ტკბობა ვიგრძენ, მეამა,
მაგრამ წამერთვა უცებ სიამე,
შენ რომ გიხილე ბალში, იამა,
დამიწყევლია მე ეს სიამე,
იის სურნელი მოკლა ნიავმა.

***იამა** სიკვდილის ღმერთი ინდუისტურ პანთეონში.

სოდომელი ქალის სიყვარული

უყვარდა ერთი ქალი ლამაზი,
თვალეებში კრთოდა ლურჯი ოცნება,
ის იყო მისთვის კერპი არმაზის,
და შორეული ცის საოცრება.

იდგა მდუმარედ გული — ტაძარი,
მაცდურის ღიმილს განუდგა ბერი,
ის ქალი იყო ძალზე ლამაზი,
მაგრამ გარყვნილი, ვით სოდომელი.

ასეთ სიცოცხლეს ველარ გაუძლო,
ბედთან გაყრისთვის დარჩა ეული,
და ვით ხეოფსმა, თან ჩაიტანა,
ის სიყვარული, ვით განძეული.

პოეტი

ზამთარში ხატავს იგი გაზაფხულს,
შემოდგომაზე კი ხატავს ზაფხულს,
ახალ ბუნებას ის ქმნის ღმერთივით,
ლექსებად დაღვრის ნანახს, არნახულს.

ის სინამდვილეს ქმნის მოჩვენებად,
და მოჩვენებას ქმნის სინამდვილედ,
ის იტანჯება, როგორც იესო,
რომ სხვას ცხოვრება გაუადვილდეს.

ხან მოხუცია და ხანაც ბავშვი,
ხან იცინის და ხანდახან ტირის,
ის შეცურდება მღელვარე ზღვაში,
ქალაქებზე ნაწერ ლექსების ტივით.

ის ზღვის ნაპირზე აშენებს სილით
სასახლეებს და ცათამბჯენ კოშკებს,
და ბენვის ხიდზე გადასასვლელად,
ის იცვამს ფეხზე ხალიბურ ქოშებს.

უჩინმაჩინის ქუდს დაიხურავს,
ეხმაურება ლეგენდებს, მითებს,
რომ ქვას შთაბეროს სული ცხოველი,
არჩევს სიტყვისთვის ჯადოსნურ რითმებს.

ხან დაყრუვდება, ხან დამუნჯდება,
ხან დაბრმავდება, როგორც მილტონი,
ანგარებისთვის არ წერს ის ლექსებს,
არ არის სიტყვა მისი ლიტონი.

ის დაიბადა ხალხის გულისთვის,
რომ მათ ცხოვრება გაუადვილდეთ,
ებრძვის წარსულს და ებრძვის მომავალს,
და ებრძვის აწმყოს, ვეფხვს, სინამდვილეს.

ვდგავარ სიცოცხლის გაჩერებაზე
და ველოდები უცხო მეგობარს,
ფეხზე დგომით და გრძელი ლოდინით,
გამომეცალა მუხლებში ძალა.
დღეები მიქრის, როგორც მერანი,
მე კი ლოდინმა ძლიერ დამლალა.

ძრწიან ქარები, კივის ზარები,
ნელა ტრიალებს ძველი წისქვილი,
ვდგავარ სიცოცხლის გაჩერებაზე,
და აგვიანებს ბნელი სიკვდილი.
მინდა, რომ შევხვდე, როგორც მეგობარს,
არ მინდა მასთან დავა-ჭიდილი.
მინდა, რომ შევხვდე, ვით ჩემს ძმადნაფიცს,
გადავეხვიო მამაკაცურად,
არ მინდა, სადმე რომ შემეყაროს,
და თავს დამესხას მუხანათურად.
სადა ხარ, ჩემო ნაზო ზმანებავ,
რად არ მოდიხარ, რად მემალეები,
მინდა, რომ დავტკბე შენი ალერსით,
და დაგიკოცნო ცივი თვალები.

მტანჯავს ამაო ნუთისოფელი,
და გულს მესობა ეჭვის ნემსები,
ჩემი არყოფნა ნუ დაგალონებთ,
სიკვდილის შემდეგ მრჩება ლექსები.

არ გაგიკვირდეთ, რომ მსურს არყოფნა,
მინდა, დავტოვო სოფელი კრული,
მაგრამ მიჯნურის გრძელ მოლოდინში,
კვლავ ფეთქავს ჩემი დაღლილი გული.
მე ველოდები ქალიშვილ სიკვდილს,
რომ საქორწინო ზღვას მივცე ნავი,
ღმერთო, მომგვარე, ვით დედოფალი,
თუ გსურს, რომ შენთან მე დავდო ზავი.

დავშორდი მოშიში

ლოდები ლოდინის ზეციდან მაცვივა,
წყეული სხეულის მანუხებს წამება,
ფრთები ფაფუკი ზეციურთ დასცვივდათ,
დავშორდი მოშიში სიმძიმეს სამებას.

მივენდე დობილებს - ქართა ქიმერას,
ტალღათა ტოტებზე ფერთა სიფითრეს,
ძილში მესიზმრა სიყრმის სიმღერა,
ვიხილე ხილულად სიშორის სიმშვიდე.

დავშორდი მოშიში სიმძიმეს სამებას,
ცრემლების ცახცახით შაოსან სიშიშველეს,
წყეული სხეული დაადნო წამებმა,
ვეღირსე დაღლილი მშვენიერ სიმშვიდეს.

ვიცი ამაოდ გელი

გავიდა რამდენი წელი,
მას შემდეგ, რაც მე გნახე,
მე ისევ ისე გელი,
ცრემლები ალტობს სახეს.
სევდამ დაფლითა სული,
ვიხრჩობი ცრემლის დარდში,
გეძებს შეყრისთვის გული,
ზამთრის ვარდების ბაღში.
ვიცი, ამაოდ გელი,
ვერსად ვერ გპოვებ, ვიცი,
მაგრამ რა იყო დღე ის,
როცა მომეცი ფიცი,
რომ მოხვიდოდი ბაღში,
ერთ მივიწყებულ ხესთან.
მას შემდეგ ცრემლი თვალში,
არ შემშრობია დღესაც.
ვიცი, გაფრინდი სადღაც,
ათოვს ოცნების ვერსაღს,
მარად მტკივნეულ დარდად,
მრჩები, ვერ გპოვებ ვერსად.
ჩემი ოცნება მწველი,
დაეშვა ციდან მიწას,
ღმერთო, ერთ რამეს გვედრი:
ზამთრის ვარდების ბაღში,
ერთ მივიწყებულ ხესთან
წყნარად სიკვდილი მინდა.

ჰიმნი სამარეს

მე დავისვენებ, სამარეს რომ ჩავესვენები,
როდესაც შეწყვეტს ჩემი გული მგზნებარე ფეთქვას,
მდოვრე სისხლისგან რომ დალპება ჩემი ვენები
და ველარ ვიგრძნობ ელვას ცაზე, გრუხუნს და სეტყვას.

მზე გადმოაფრქვევს ნუთისოფელს ელვარე სხივებს,
აბიბინდება მწვანედ ველი ოქროცურვილი,
ობობას ქსელზე მთვარე დაწნავს ვერცხლისფერ მიძივებს,
მე კი არ დამლრღნის გაღვიძების შმაგი სურვილი.

არ შემანუხებს ფიქრი, სევდა, ოცნება, დარდი,
და ვერ შევხედავ ალიონზე ზღვას მოლივლივეს,
ეკალი ამოვა ჩემს საფლავზე, ან იქნებ ვარდი,
ჩემთვის არარად გადიქცევა ეს ყოველივე.

მე ვერ გავიგებ ჩემ საფლავზე მშობლების ქვითინს,
ოდეს ცრემლებით დასველდება მინა ფხვიერი,
ვერ გავიგონებ მე მიჯნურის გულსაკლავ ტირილს,
ვერ შემამინებს მტერი ჩემი, შმაგი, ცბიერი.

და წელიწადის ოთხი დროის მონაცვლეობით,
ისევ იბრუნებს ბედის ჩარხით დედა ბუნება,
მზეს წვიმა შეცვლის, წვიმას თოვლი,
თოვლს კი ისევ მზე,
მე კი ვერ ვიგრძნობ სამარეში ჟამთა ბრუნებას.

ვერ შემაცივებს თოვლი, ყინვა და ზამთრის სუსხი,
და არც ივნისში მომინდება ცაცხვების ჩრდილი,
თუ გინდ, სიკვდილიც რომ მომადგეს მეორედ უტყვი,
ჩემი სხეულის ველარ ვიგრძნობ საშინელ ტკივილს.

და არ დამწყდება განვლილ წლებზე გული ამოდ,
ვერ ვიგრძნობ შიმშილს, არც მარხვაში ვიქნები მთვრალი,

არც ზიარება, არც ცოდვების გამხელა მღვდელთან,
რადგანაც ჩემში სინანული იქნება მკვდარი.
და არ შემრცხვება, რომ დავფარო სიშიშვლე ჩემი,
არ დამჭირდება საცვლები და განბავა ნყალში,
სამარის იქით ვერსად წავა დახრული ძვლები,
მკვდრეთით მეორედ ვერ აღვდგები მიწაზე, ხალხში.

იქნებ სამოთხე არ არსებობს, არ არის ღმერთი,
და რელიგია მხოლოდ ბრბოსთვის არის შექმნილი?
სიკეთისთვის, თუ ავისათვის დღეს მიძგერს გული,
ეს სულერთია, ვარ სიკვდილის მაინც ტყვედქმნილი...

და მინის შვილი, ისევ მიწას დავუბრუნდები,
ოდეს სისხლისგან დაიცლება ლურჯი ვენები,
როდესაც შეწყვეტს ჩემი გული მგზნებარე ფეთქვას,
დასვენებული ბნელ სამარეს ჩავესვენები.

იანვრის იები

იდგა ზამთარი, მინას ეცვა თეთრი სამოსი,
თეთრი გვირგვინი თავზე ედგა ზამთრის დედოფალს,
ვერხვის ტოტებში წრწოდა ქარი გააფთრებული,
მომაკვდავი მზე სხივებს ჰფენდა ზანტად ბუნებას.
ყინვა ბრწყინავდა ვერცხლისფერად მთვლემარე მთებზე,
გაყინულიყვნენ მდინარეები, ქვად ჰქცეოდა სამყაროს სახე,
გარინდულიყო ყრუ სიკვდილი დაუნდობელი
ყინვით და სუსხით.

ტყე იყო მკვდარი, გარინდული და იგი ჰგავდა
ჩონჩხების გროვას...

ვილაცა მოდის ეულ ბილიკზე,
თავჩალუნული თრთის და ცახცახებს.
ცაცხვის ტოტებში წივის ქარი გაშმაგებული
როკავს და ბორგავს.

სადღაც შორიდან იმ ქარს მოაქვს მგლების ყმუილი,
ტყის თავზე ზეცა გაბზარულა, ვით ძველი სარკე.
გადაიფრინა ყორანმა და დასჩხავლა მწარედ,
ხეთა ტოტებში წივის ქარი, ქარი აფთარი.
გოგონა მოდის თავდახრილი და მთლად ცახცახებს.
ძონძებით არის შემოსილი საბრალო გოგო,
ჰოი, რას ვხედავ:

მშვენიერება შემოსილა სილარიბეთი
და სილამაზეს მწუხარება შეჰკედლებია.

უცებ შეჩერდა პატარა გოგო და დაიხარა ეკლიან ბუჩქთან.

– საიდან გაჩნდით ამ ზამთარში, მარქვით, იებო?
თქვენ მე მაგონებთ კაემანში გაშლილ სიხარულს,
თქვენც ჩემნაირად გჩაგრავთ ბედი მიუსაფარი...
რამ გაგახარათ ამ ზამთარში, ნაზო იებო?!

თქვა და გაუყვა გზას გოგონა ლურჯი იებით.
მომაკვდავი მზე სხივებს აფენს ზანტად თეთრ არეს,
ხეთა ტოტებში წივის ქარი გააფთრებული,
სადღაც შორიდან ისმის მგლების ავი ყმუილი,
გოგონა მიდის თავდახრილი და მთლად ცახცახებს.
–მალე სოფელიც გამოჩნდება და ჩემი ქოხიც,

თუმც ეულ სახლში კაციშვილი არ მიმელის
 მდუმარების და სამარისდარ სიცივის გარდა.
 თუმც მაინც ჩემი კერა არის, ჩემი ქოხმახი,
 მიცდის ბუხარი ჩანაცრული, ჩანავლებული,
 ქონის სანთელი მთლად დამდნარი ობოლ ცრემლებად,
 ცივი საწოლი, როგორც კუბო შიშისმომგვრელი,
 ჭერი გახსნილი, დაბზარული, და შეჭვარტლული,
 ოჰ, როგორც აკვანს, ისე არწევს მას მძლავრი ქარი.
 ძუნწო ცხოვრებავ! ჩემთვის ღიმილიც არ გემეტება,
 ნაზო იებო, თქვენ რა გინდათ იმ წყეულ ქოხში?
 იქ თქვენი ხილვა უფრო მომგვრის სულში კაემანს,
 მალე დაჭკნებით იმ ნესტიან მძიმე ჰაერში.
 არა, იქ ბინას ვერ დაგიდებთ იმ საზარ სახლში.
 ბრმაო ილბალო! ეჰ, რად მწირავ ასე უწყალოდ,
 სიყრმის კვირტებიც არ გამშლია და უკვე ვჭკნები.
 მე არ დავმტკბარვარ სიყვარულის ტკბილი ნექტარით,
 ბედნიერება გაზაფხულით ჯერ არ მწვევია,
 არც შემოდგომის მიკრეფია მე სიხარული,
 სიყრმის კვირტები არ გამშლია და უკვე ვჭკნები.
 მითხარ, უფალო, რა მაქვს ბარალი, რა დავამავე?!
 რად მომავლინე ამ ქვეყანას მწუხარებისთვის?
 სჯობს სხვას ვაჩუქებ ამ ნაზ იებს, სხვას გავახარებ,
 დაე, სხვა იყოს ბედნიერი ამ საწუთროში.
 აგერ სოფელიც, აქვე მოჩანს მყუდრო სოფელი,
 მომაკვდავი მზე სხივებს აფენს ბოსლებს და სახლებს,
 ხეთა ტოტებში წივის ქარი გააფთრებული,
 გოგონა მოდის თავდახრილი და მთლად ცახცახებს.
 –იანვრის ია, იანვრის ია, აი, იები!
 აჰა, იები, სხვას აჩუქეთ, სხვა გაახარეთ,
 ჰეი, ყმანვილო, გამომართვი, არ გსურს იები?!
 წაილე სახლში, დედას მიართვი, და გაახარე,
 ფული არ მინდა, ისე მოგცემ, ჰა, ნუ გრცხვენია.
 იანვრის ია, იანვრის ია, ნაზი იები...
 –არ მსურს, გოგონავ, მე რად მინდა ეგ ყვავილები,
 ვის მივუტანო, ვის ვაჩუქო, ვინ გავახარო?
 დედა არა მყავს, დედინაცვალს კი არ მივუტან,

მას ძუძუს ნაცვლად ჩემთვის შხამი უწოვებია,
 ან დას რად უნდა ეგ იები, ნაზი იები,
 რადგან სინაზე დაშრობია, ვით ნაკადული.
 განა კეკლუცებს ყვავილებით მოხიბლავს ვინმე?
 მათ არ უჩქროლებთ გულს ხალისით მინდვრის ყვავილი,
 თუ გსურს მათ თვალში რომ ბრწყინავდეს ბედნიერება,
 ან სიხარულით, აღტაცებით რომ გიცქეროდნენ,
 უნდა მიათვა სამკაული, ოქროს საყურე,
 ანდა ნამცხვრები გემრიელი, ტკბილი ნუგბარი,
 აი, რად არ მსურს მე, გოგონავ, შენი იები,
 ვის მივუტანო, ვის ვაჩუქო, ვინ გავახარო?
 არ მყავს მიჯნური, მე მარტო ვარ მიუსაფარი,
 ჩემს მწუხარებას ყვავილები ვერ ანუგეშებს.
 არა, არ მინდა, მე არ მინდა ნაზი იები -
 უთხრა და შარას თავდახრილი გაჰყვა ყმანვილი.
 მომაკვდავი მზე სხივებს აფენს ბოსლებს და სახლებს,
 ხეთა ტოტებში წივის ქარი გააფთრებული.
 გოგონა კი დგას სიცივეში და მთლად ცახცახებს,
 და გაიძახის – იანვრის იები, იანვრის იები, იანვრის იები!
 წაიღეთ იები, სხვას აჩუქეთ, სხვა გაახარეთ!
 ჰეი, თქვენ ძიავ, გამომართვით, არ გსურთ იები?!
 ფული არ მინდა, ისე მოგცემთ, უბრალოდ გჩუქნით,
 წაიღეთ სახლში, ცოლს მიაართვით, გაუხარდება.
 – რად მინდა ია, ჩემო კარგო, ან თუნდაც ვარდი,
 ოჰ, რომ იცოდე დღეს ჩემს გულში რა ქარ-ცეცხლია,
 ლუკმა პურისთვის დამიგდია ბეჩავს ოჯახი,
 შია ჩემს იმედს, ჩემს ძეს შია, ტირის საბრალო,
 მისი გულისთვის ამ ყინვაში დავეხეტები,
 რად მინდა ია, ჩემო კარგო, ანდა ვარდები,
 ვის მივუტანო, ვის ვაჩუქო, ვინ გავახარო?!
 ეგ ყვავილები ცოლს მივართვა? ქალს - ეშმას დობილს?
 მის გულს ხომ ნისლი სამუდამოდ შემოხვევია,
 ვერ ჩაიხედავ, ვერ გაიგებ მის ფარულ ფიქრებს,
 დღეს რა ახარებს, ხვალ რა უნდა და ზეგ რაზე სწუხს,
 ოცნება მისი სხვაგან დაქრის, სხვის ხილს შენატრის,
 თუ გაუჭირდა, მიზეზს ეძებს, რომ მიგატოვოს,

წამსვე გაგწირავს, გილალატებს, ცილსაც დაგწამებს
და სიყვარული მისთვის არის მხოლოდ ალერსი.
სახლის სინმინდეს მაშინ იცავს, როცა არ შია,
პატიოსანი მაშინ არის, როცა თვითონ სურს,
მისთვის სიმართლეს ჩირის ფასი არა აქვს, თუ კი
თავის ნებას და თავის სურვილს არ შეისრულებს.
ოჰ, რომ იცოდე დღეს ჩემს სულში რა ქარცეცხლია!
შია ჩემს იმედს, ჩემს ძეს შია, ტირის საბრალო,
რად მინდა ია, ჩემო კარგო, ან თუნდაც ვარდი,
ეგ ყვავილები ცოლს მივართვა? ქალს - ეშმას დობილს?!
მის გულს ხომ ნისლი სამუდამოდ შემოხვევია.
ვერ ჩაიხედავ, ვერ გაიგებ მის ფარულ ფიქრებს,
დღეს რა ახარებს, ხვალ რა უნდა და ზეგ რაზე სწუხს.
არ მინდა არა, ჩემო კარგო ია და ვარდი,
ეს თქვა კაცმა და უმაღ სადღაც გაუჩინარდა.

რა უსიცოცხლო, უსინათლო, დაღლილი მზეა,
ხეთა ტოტებში ქარი წივის, ქარი აფთარი.
გოგონა კი დგას სიცივეში და მთლად ცახცახებს,
კვლავ გაიძახის – იანვრის ია, იანვრის ია, იანვრის ია!
წაიღეთ ია, სხვას აჩუქეთ, სხვა გაახარეთ!
ფული არ მინდა, ისე მოგცემთ, უბრალოდ გჩუქნით.
ჰეი, გოგონავ, გამომართვი არ გსურს იები?
იანვრის ია, იანვრის ია, იანვრის ია,
ფული არ მინდა, ჰა, წაიღე, უბრალოდ გჩუქნი.
საქმროს წაუღე ლურჯი ია, გაუხარდება.
– არა მყავს საქმრო და არც მინდა, რომ მყავდეს იგი.
კაცმა არ იცის, რა ვარდი და ან რაა ია,
მისთვის ერთია ყველა ქალი, თუა ლამაზი,
სინდისის ქენჯნას კაცის გულში არააქვს ბინა,
სამ ქალს შეჰფიცავს სიყვარულს და არც კი შერცხვება,
კაცი ქალებზე მონადირე ავი მხეცია,
ან სიყვარული სადღა არის, ჩემო დაიკო?!
ადამიანის გულში იგი გარდაცვლილია,
ამაში ბრალი მგოსნებსა აქვთ, სულით შეშლილებს,
ლექსი ხომ ხანჯალს ემსგავსება პირბასრ მახვილებს,

მათ კი სიყვარულს ისე უმღერეს, ვიდრე არ მოჰკლეს,
ვიდრე ლექსებით არ განგმირეს ეს ნაზი გრძნობა.
არა, ძვირფასო, მე არ მინდა ლურჯი იები,
არ ვარ ტრფიალი ყვავილების, არ მინდა ია!"
ეს თქვა და სწრაფად გზას გაუყვა უცნობი გოგო.
– მინდოდა ვინმეს რომ წაეღო ეს ყვავილებით,
მაგრამ უიღბლოს უფრო ჩაგრავს წუთისოფელი,
ბედმა თუ ერთხელ დაგაჩოქა, ველარ ადგები,
ოჰ, ეს იები მე რად მინდა, რაში მარგია?!

უცებ გოგონამ მოისროლა შორს ყვავილები,
და გზას გაუყვა გულჩამწვარი ცივი ქოხისკენ.
მომაკვდავ მნათობს გადაეფარა ღრუბელთ სუდარა,
და ციდან თოვლი წამოვიდა ლურჯი, ირიბი,
ხეთა ტოტებში წივის ქარი, ქარი აფთარი,
და ფარფატებენ ქარში მთვრალის როკვით ფანტელნი,
უცებ, გამოჩნდა შარაგზაზე ეტლი რაშებით,
ნელ-ნელა მოდის, უჭირს ალბათ, სვლა გაბედულად,
ზედ ზის მოხუცი, წმინდა ბერი, თავჩაქინდრული,
ხანგამოშვებით მხნედ შესძახებს წინ, წინ, წინ გასწით,
ხეთა ტოტებში წივის ქარი გააფთრებული,
მზეც კი აღარ ჩანს, ის ღრუბლებს ჰყავთ დატყვევებული.

ანაზდად ბერმა შეაჩერა რაშები გზაზე,
დაიხარა და წამოკრიფა ლურჯი იები,
მან კვლავ შესძახა: წინ, წინ გასწით, წინ - გაბედულად!
ხეთა ტოტებში წივის ქარი, ქარი აფთარი,
და ფარფატებენ ქარში მთვრალის როკვით ფანტელნი,
მიქრიან რაშნი ჟინდამთვრალნი, ფაფარაშლილნი,
უკან კი კვალებს თოვლი ავსებს ქრება ნაკვალი.
ხეთა ტოტებში წივის ქარი, ქარი აფთარი,
და ფარფატებენ ქარში როკვით მთვრალი ფანტელნი.
აგერ, გამოჩნდა სასაფლაო, მკვდართა საუფლო
სად განურჩევლად განისვენებენ ცოდვილ-მართალნი,
აი, საყდარიც აგებული ღვთისმშობლის მიმართ
თითქოს აჭრილა ზეცისაკენ მხურვალე ლოცვით.
ბერმა რაშები დააკა, შეჩერდა ეტლი,

და ძირს ჩამოხტა წმინდა მამა იებით ხელში,
 საყდარ-საფლავზე ქარი დაჰქრის გააფთრებული,
 და ფარფატებენ ქარში მთვრალის როკვით ფანტელნი,
 სათნოდ პირჯვარი გარდისახა, ახედა ზეცას,
 და მოკრძალებით შეაბიჯა მან ღვთის ტაძარში.
 მუხლმოიყარა, ეთაყვანა, ჯვარცმას შეეხო
 ღვთის სადიდებლად გახსნა ბაგე დადუმებული.
 – დიდება შენდა, მეუფეო, მკვიდრო ზეცისა,
 დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა.
 უკეთურთაგან დამიფარე გლახაკი, მწირი,
 ნუ მისცემ ბოროტს სულსა ჩემსა დასატანჯველად,
 ნუ მიმცემ ეშმას ჯოჯოხეთის ცეცხლში რომ დამწვას.
 შეგთხოვ, უფალო, შეისმინე ვედრება ჩემი
 სასუფეველი დაუმკვიდრე ანგარდაცვლილთა,
 ცოდვილთ გონება გაუნათე და მოაქციე,
 რათა შეუდგნენ გზასა შენსა ჭეშმარიტების,
 მოგვეც მშვიდობა, მეუფეო, მიწასა ზედა,
 ჩემი სამშობლო კურთხეულ ჰყავ ან და მარადის,
 ან და მარადის უკუნითი უკუნისამდე.
 დაფარულია შენი სიბრძნე ჩემთვის, ძლიერო!
 და მე ვერ ვხვდები, რად ახარე ია ზამთარში,
 მაგრამ ეს ია მე მაგონებს ჩაგრულ სიმართლეს,
 ოდეს ჯვარს გაცვეს, მეუფეო, ოდეს ჯვარს გაცვეს!
 ზამთრის იები საკურთხეველზე დაანყო ბერმა,
 და შეჰლაღადა ხელაბყრობით მუხლმოდრეკილმა
 „– დიდება შენდა, მეუფეო მკვიდრო ზეცისა,
 დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა!“

იდუმალმა ანგელოზმა

ქარი ქროდა და ზეცაც ქარს ბანს აძლევდა მქუხარეს
და ფიალა ქართლის დედის სევდის შხამით აივსო,
იდუმალმა ანგელოზმა ჩამჩურჩულა მნუხარედ,
რომ თბილისმა თურმე ღამით მტკვარში თავი დაიხრჩო.

ახლა რა ვქნა, ობლად შთენილს, ვილა მითხრას ნუგეში?!
ვინ ჩამიკრავს ნაზად გულში, ვინ დამიწნავს მე გვირგვინს?
შენ შეშლილი სახით დარჩი ჩემი თვალის გუგებში
და შენს ვარდთა სურნელებას ველარა ვგრძნობ
ჩემ ირგვლივ.

ვინ გაიგებს, თუ რა სახით დღეს მეზმანე, თბილისო,
თითქოს იწვი მზის სხივებზე, ჩრდილში ყოფნა გწყურია,
შენ ჩემს გულში ამოზრდილო, პანანინა ტირიფო,
გეძებ, გეძებ ცრემლის ზღვაში, ჩემო დიოსკურიავ.

მეთუღუხჩე აღარ ყვირის,
მწვანილს ვინლა ატარებს,
მომენატრა ხმაც კი ვირის,
მანვნებს რომ დაატარებს.

ველარ ვხედავ მე ფიროსმანს
მტკვართან ფერად ფუნჯებით,
სადლა არის იაშვილის
მთები, როგორც თუჯები.

და შეითანბაზრის ახლოს
დილის საარს ვერ ვუსმენ,
თათრის ფოლორცს აღარ სტუმრობს
დღეს რუმბივით მედუქნე.

იეთიმ გურჯის სახლის კარზე
ლექის კვალი გამქრალა,
ან სად არის გრიშაშვილი?
გაიყოლა ამქარმა.

არც აშული აღარა ჩანს,
ერთ დროს ჰანგის ქარბუქი,
გოგლაურას დავინყნია
გზები ძველი ხარფუხის.

ნარიყალას ახლა სულ სხვა
ლექი ხავსად ედება,
ტიციანის წითელ მიხაკს
აღარ ეიმედება
იმ მგოსანის ერთხელ თქმული,
თქვენ თუ გახსოვთ, წამებო,
შფოთიანი ტფილისი -
პოეტების სამეფო.

იდუმალმა ანგელოზმა ჩამჩურჩულა მწუხარედ,
რომ თბილისმა, თურმე, ღამით მტკვარში თავი დაიხრჩო.
და ცრემლები ქარს მიჰყვება, ზეცაც ჭეჭავს მქუხარედ,
ველარ ვპოვე გულის სატრფო, სული სევდით აივსო.

ლილივით აწყდა

ლილივით აწყდა შენი ხსოვნა
ჩემ მრუდე წარსულს,
მკერდგაღელილი ახლა ქარში
ვმეგობრობ მარტთან,
თვალს ვერ ვუსწორებ სინანულით
მზეს, ზღვასთან ჩასულს,
სადა ხარ მარტა!

ცივია ეს დღე,
როგორც მკვდარი მეგობრის ხელი,
უკანასკნელად სხივმა ტუჩთან
გაბზარა სევდა,
ბალის კარებთან ვდგავარ
როგორც ვინმე თვითმკვლელი,
მიხსენი დედა!

რკინიგზის სადგურიდან მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავედი. გვირაბში ვაჭრებს დახლები დაედგათ და თამბაქოს ყიდდნენ. რამდენიმე ვაჭარი შეჯგუფებულიყო დახლთან, თან იცინოდნენ და თან ერთხმად ყაყანებდნენ „ჰე, მიდი, დაუკარიო“. მათ სიცილში დაცინვა და სიბრალოლი ერთმანეთში გადანულიყო. რაკი ცნობისმოყვარე გახლავარ, წამით შევეყოფი და მათ მივაცქერდი. ვაჭრების შუაში მოხუცი კაცი იდგა, მის თეთრ თმა-წვერს ყვითელი ფერი გადაჰკრავდა. წყლიანი სევდიანი თვალები კიდევე უფრო მეტად შესაბრალისა იერს სძენდა. ძალზე გახუნებული პიჯაკი და შარვალი ემოსა. ფეხზე დაგლეჯილი, დახეული ფეხსაცმელი ეცვა და ხელში ზურნა ეჭირა. თითქოს მის ქუჩყიანი თითებიდან წარსული სინატიფე მკვეთრად გამოკრთოდა. მოხუცმა არაყი გადაჰკრა და ზურნა ბაგესთან მიიტანა. მე რამდენიმე ნაბიჯი უკან გადავდგი, კედელთან ჩავიმუხლე და სმენად ვიქეცი. ეხლა შევეცდები გადმოვცე რა განვიცადე. (მომიტვეთ, ჩემო მკითხველნო, ლექსის დიდი პროლოგისათვის)

მეზურნე

რა დამავიწყებს იმ მეზურნის სევდიან თვალებს, ღანვზე ცრემლები უბრწყინავდა, ვით წამი დილის, ზურნის ჰანგები აღვიძებდა შორეულ დარდებს და წარმოსახვით აცოცხლებდა უძველეს თბილისს. მამა დავითის ზარების ხმა მოჰყვება სიოს და მას თან ერთვის ქაშუეთის ზართა ტირილი, თითქოს ბანს აძლევს მათ სიონის დედა ზარები და მეჩეთიდან ისმის მოლას გრძელი ყვირილი. დილის ჟუჟუნა წვიმა მოდის და ქუჩას ნამავს, ნისლი იშლება, მზე ზეცაზე ანათებს მკრთალად, შავმანდილიან მემანვნის ხმა თიხისას მოჰგავს, ხმა მენავთისა, ჩახლეჩილი, აყრუებს ქალაქს. ხის აივნებზე სპარსულ ხალიჩას კნეინა ბერტყავს, მოკირწყლულ ქუჩას მიუყვება ყარაჩოღელი და კინტოები ფეხმსუბუქად უკან მისდევენ. როს შეამჩნევენ ღია სარკმელში მდგარ ქალბატონს, დარბაისლურად ბოხობს იხდის უმაღ ყოველი.

დადლილ აქლემთა ქარავანი ზართა ჟღარუნით,
საპალნიანი ვირები და ცხენთა ამქარი.
მოინევს ტალღად ბაზრისაკენ დიდი ხმაურით,
მყიდველიცა და უსაქმურიც, ძუნნი ვაჭარიც,
ალებს დარაბას მჭედელი და დალაქი - ზანტად
და ღიპიანი მიკიტნები ხსნიან დარაბებს.
ყველა ოსტატი თავის შრომით არის გართული.
მოგაგონებენ ლამაზ სკასთან ზუზუნა ფუტკრებს,
და ჰა, მოაწყდა ხალხის ტალღა ქუჩიდან ბაზარს,
ატყდა ხმაური, ღრიანცელი, აყალმაყალი,
ვინ სიტყვას ასჯერ იმეორებს და კიდევ ასგზის
და დუღს სიცოცხლე, ვაჭრობა და არის ყაყანი.
ვინ გინდათ თქვენ, რომ არა ნახათ ამ დიდ ბაზარში,
რუსი, ფრანცუზი, ინგლისელი, ბერძენი, თურქი,
ქართველი, ოსი, ინდოელი, ჩეჩენი, სპარსი,
და არ აწუხებს აქ არავის სხვადასხვა რჯული,
მთავარი არის აქ ბაზრობის იაფი ფასი.
არა, არ წყდება, ხალხის ისევ მოინევს ტალღა,
უფრო გახშირდა ხმაური და მიეთ-მოეთი,
თან შეწყდა ნვიმა, მზე ზეცაზე აცურდა მაღლა
და ცეცხლის ალში გაეხვია მთელი ქალაქი.
თითქოს ვიგრძენი, რომ შედედდა ჰაერი წამით
და გაიჟღინთა ნივრის, ხაშის, ლავაშის სუნით.
„ქორფა მწვანილი, ჰა, ბოლოკი“ ჰყვირის ვაჭარი,
კაცს მოგინდება, რომ შეჭამო მაძღარსაც გულით,
ერთ დუქანთან კი წინ დაუდგამთ დიდი მაყალი,
შამფურზე შხივის კალმახი და თიკნის მწვადები,
ღვინო დოქებით შემოუდგამთ, გათრობს სურნელი,
მუხის ტაბლაზე გაუშლიათ სუფრა-ზალაპარი.
მოხუცის მუხლზე გულამოსკვნით არღანი ტირის
და მეზურნენი აკვნესებენ სევდიან ჰანგებს,
ფიალით ხელში სადღეგრძელოს ამბობს თამადა
„მოდი, ამ თასით გაუმარჯოს ჩვენ დედა თბილისს,
ვინ იცის, კიდევ გაჭირვებას გაუძლებს რამდენს...“
შესვა ფიალა იეთიმ გურჯმა, თავდახრით ტირის
და მეზურნენი აკვნესებენ სევდიან ჰანგებს.

ბაზარში ისევ ისმის ხალხის ხმაური დიდი
 ,,თქვენ ამ ხალიჩას, ამ აბრეშუმს, ამ ჩითს და ატლასს,
 ამ ვერცხლის ხანჯალს,
 ოქროს ყელსაბამს რამდენად ჰყიდით?“
 ბაზარში კი კვლავ ხმაურია აყალ-მაყალი,
 მთანმინდის ბერმა გადმოხედა ქალაქს და უცებ,
 უცებ შეჰყვირა: “ვხედავ ახლა ცეცხლის ალში
 გახვეულ თბილისს”
 ამ დროს ქალაქის გარეუბანში და ხეივანში
 გასაოცარი იყო სიგრილე,
 გულს ამშვიდებდა შადრევნები დაჩრდილულ ბაღში.
 და სეირნობდნენ ახალგაზრდა დარდიმანდები
 მჯდარნი ეტლებში, დიდ ხეივნებში,
 ხოლო თბილისი კი ინვოდა მზის ცეცხლის ალში,
 მტკვარს სიბერისგან აღარ შეეძლო, ზვირთთა გუგუნი
 მას ამძიმებდა წინაპრების სისხლი და ცრემლი,
 მტკვარი დაღლილი, გადაღლილი, ჩუმი დუღუნით
 მიდიოდა და თან მიჰქონდა ათასი წლები.
 წყლის დაღლილ მკერდზე ყარაჩოღლებს დაედგათ ტივი,
 იქაც ზურნა და საზანდარი მწარედ ტიროდა,
 სადღეგრძელოებს ბაიათებით კითხულობდნენ
 ყარაჩოღლები,
 ხელიდან ხელში ღვინო თასით გადადიოდა,
 და დრო დიოდა, დრო მიჰქროდა, დრო მიდიოდა,
 მზე გადაღლილი დასავლისკენ გადიხრებოდა
 და ფიროსმანი მდგარი მეტეხთან
 მშვიდად ხატავდა ქალაქის ხედებს.
 ძველი თბილისი გაეხვეოდა ვერცხლის საბანში
 და ნაზი სიო შეარხევდა თავდახრილ ვერხვებს.
 მეზურნე ისევ აკვნესებდა ზურნას საბრალოდ
 გულში ჩამწვდომი იღვრებოდა ჰანგები მწველი,
 ვინ იცის, იქნებ მისტიროდა უძველეს თბილისს,
 ვინ იცის, იქნებ სხვა წუხილით სდიოდა ცრემლი.
 რა დამავინყებს იმ მეზურნის სევდიან თვალებს,
 ღანვებზე ცრემლი უბრწყინავდა, ვით ნამი დილის,
 ზურნის ჰანგები აღვიძებდა შორეულ დარდებს
 და წარმოსახვით მე ვხედავდი უძველეს თბილისს.

მწუხარე თვალებს ტრიოლეტი

მწუხარე თვალებს, თვალებს უძილოს
უპეში ჩასდგომია ცრემლების მორევი.
სევდა სიყვარულის აღმწოთებს უძირო...
მწუხარე თვალებს, თვალებს უძიროს.

ციური სიცივე დარდს ყინავს უიღბლოს;
დარდს-ობოლს, ფარულად წამნამთა მოლებში.
მწუხარე თვალებს, თვალებს უძიროს
უპეში ჩასდგომია ცრემლების მორევი.

დედავ მიმლერე

მიმლერე, დედავ, ნანა,
მზე, ბალახი და ნამი.
ჩემი ბავშვობის ხანა...
უსპეტაკესი ნამი,

შველი, ია და ვარდი,
უმნიკვლოების ხანა.
დღეს ჩემს გულს, იავარქმნილს,
უმლერე ნანი-ნანა.

სისხლი, სიკვდილი, დანა,
ლურჯ პერგამენტებს შლიდა.
დედი, მიმლერე ნანა,
რომ დამეძინოს მშვიდად.

ძილში ბაგეზე ღიმილს
ჩემი ბავშვობა ეგრძნოს,
მიმლერე ნანი ნანა,
როგორც მიმლერდი ერთ დროს,

დედავ, მიმლერე ნანა,
მზე, ბალახი და ნამი,
ჩემი ბავშვობის ხანა...
ნანა, ნანინა, ნანი.

ისევ შენ მაგონდები

ლურჯი ცრემლის ბროლები
წამწამებზე მოება,
ისევ შენ მაგონდები,
როგორც ძველი პოემა.

მზეს ღრუბლები დასცილდა,
ამოვარდნენ ქარები,
რად მიცქერდნენ საშინლად
ეგ ლამაზი თვალები.

აგერ ხეზე ბუდეში
ჩიტთა ჟრიამულია,
გულს მოუნდა ნუგეში,
სულს ლაჟვარდი სწყურია.

მონატრება ამგვარი
ჯერ არასდროს მიგვრძენია,
რასაც არ აქვს საზღვარი,
იქ მარადის ნისლია...

ლურჯ ცრემლების ბროლები
წამწამებზე მოება,
ისევ შენ მაგონდები,
როგორც ძველი პოემა.

ფერშეცვლილი ქალაქი

მე ზესტაფონის ქუჩებში მისურს ვიხეტივლო,
ჩემი ქალაქის სიყვარულში დავლიო სული,
რომ ჩემი ყრმობა, მის ქუჩებში გატარებული
დღეს მოგონების სკივრში იყოს სულგანაბული.

ჩემი ჭადარი, ჩემი ცაცხვი, ჩემი ნაძვები –
ეს მოგონება ყვითელია, როგორც გვირილა.
მასსოვს ზაფხულის უდაბნოში ზამთრის ქალაქი,
ოდეს მე ანბანს მასწავლიდა შავი ყვირილა.

რა ხანია ფერი იცვალა ჩემმა ქალაქმა,
ცაცხვი გამხმარა
და ჭადარი ჭლექიანი ბოლმით ხრიალებს,
ზოგი მომკვდარა, ზოგიც აქვე უკვე სულს ღაფავს
და დედამინა ძველებურად ისევ ტრიალებს.

ყველა შეცვლილა, იმათ სახეს ნიღბები ფარავს,
ველარ გავიგე წისქვილის ქვა საით ტრიალებს,
ფერი იცვალა რა ხანია, ჩემმა ქალაქმა,
მე, ისევ ბავშვი მოგონებით, მის ქუჩებში
დავხეტივლო.

კავკასიონის არწივი

თითქოს შეგუბდდა ჰაერი და შედედდა შუქი,
წვიმას აპირებს, თუმცა ჯერ არ წვიმს,
კავკასიონის ნათელ მყინვარზე
ჩასძინებოდა შავფრთიან არწივს.

ეს იყო ძილი, არა, უფრო ეს გავდა თვლემას,
იყო ამ ძილში ღვთაებრივი იდუმალ კდემა,
უცებ შეინძრა, შეფრთხილდა დიდი ფრინველი,
გაშალა ფრთები და ზეცაში მოხაზა რკალი.

მის წინ განერთხა — უვრცესი ველი,
აქუხდნენ მთები და შესძახეს, - ჰა, მომავალი,
დაე, იცოდე, დღეს ყორნების ჟღერის დღე დგება,
იფრინე, მეფევე, შენ გეკუთვნის თავისუფლება!

მზეს ამოსვლა დაავინყდა,
როცა შენ დაგინახა,
ჩემზე ძლიერ რომ ანათებ,
შეგეკითხა — ვინა ხარ?

თუმცა შენ სიტყვა არ უთხარი,
მიანათე თვალები,
შენი ეშხით მზე დაინვა,
ღანვს ედინა ღვარები.

მზეზე ტურფავ, სულზე კარგო,
თმადანწულო ვაზითა,
მინდა, ზეცა მიმოვქარგო,
შენი სილამაზითა.

ფიროსმანის ნახატი ხარ,
ნუკრი, ყელმოღერილი,
ავთანდილის ბარათი ხარ,
სატრფოსთან მიწერილი.

რას გადარო ქვეყნად, სულთქმავ,
ხარ დემონის ასული,
ვით ამ ლექსის ამოსუნთქვა,
ვით წერტილი დასმული.

მზეს ამოსვლა დაავინყდა,
როცა შენ დაგინახა,
ჩემზე ძლიერ რომ ანათებ,
შეგეკითხა — ვინა ხარ?

თუმცა შენ სიტყვა არ უთხარი,
მიანათე თვალები,
შენი ეშხით მზე დაინვა,
შანთავს ტრფობის ალები.

ლურჯი დარაბა

თეთრი ფარდები ჩამოეშვა სულის სარკმელზე
და დაიხურა ოცნებების ლურჯი დარაბა,
მოულოდნელად მიატოვე ჩემი კოშკები,
ეს იყო ჩემთვის ტრაგედია, მუზის დაკარგვა.

უცებ დაიმსხვრა ჩემი გული აღმასის ყუთში,
დავრჩი მე სევდით შეპყრობილი, ლამის შეშლილი,
ოჰ, როგორ მინდა, დაგივინყო, მაგრამ ამაოდ...
ისევ გაბრწყინდი შენ ჩემს ლექსში, ძვირფასო ლილი.

ერთხელ ფარულად მოვიპარე შენი ღიმილი,
შირაზის ვარდის სურნელებად ჩემს სულს ვაღვარე,
ცეცხლმოდებული ჩავანვინე შროშნის კუბოში,
და დაფრულად ის ჩემს გულში დავასამარე.

თეთრმა დემონმა დამაფარა ბინდის სუდარა,
ჯვართან ბეჭედი ქარს მიქონდა ვარდით ფენილი,
ოჰ, მაპატიე, მე სიყვარული ვიცი უთქმელი,
და ვერასოდეს ვერ გითხარი — მიყვარხარ, ლილი...

თეთრი ფარდები ჩამოეშვა სულის სარკმელზე,
და დაიხურა ოცნებების ლურჯი დარაბა,
მზის საყდრის იქით ჩემს ქვეყანას მე მოვაშურე,
ვარდის სურნელი როცა ცაზე ალად ავარდა.

შემოდგომის ფრაგმენტი

საესე მკერდი ქალწულის, მოვიდა შემოდგომა,
მზემ ნაწნავში ჩანწული ვაზი შეაოქროვა.
დიონისეს ნაწური აქაფდა და ატოკდა,
ბროწეულებს სიცილი უნებურად წამოსკდათ.

ხილეული უტკბესი მომწიფდა და დაბრძენდა,
დღეს მოაკლდა ნათელი, ღამე ბნელით გაგრძელდა.
სექტემბრის სარეცელზე ტყე, ორსული, გაშიშვლდა,
და, ღვთისაგან ნაბოძი, ფერთა გამა დაცვივდა,

მდელომ ფერი იცვალა მონავარდე ქართა,
ყვავილების ფურცლები მერცხლებს გაჰყვა, გაფრინდა.
ზაფხულის სურნელება დაინწრა ნისლებად,
დაღლილი შემოდგომა ზამთრის ბილიკს მიჰყვება.

ასე ქრება ოცნებაც ჩემი შენსკენ მავალი,
როგორც შემოდგომის დღე მოკლე და სწრაფმავალი.
გაღვიძების ლოდინში ეს ბუნება იძინებს,
მაგრამ ჩემი ოცნება, ვიცი, არ გაიღვიძებს.
ვიცი, არ გაიღვიძებს, მოკვდა მარად ძილითა,
როგორც შემოდგომის მზე კვდება ზამთრის დილითა.

იისფერი სალამო

იისფერ სალამოს შევხვდი მწუხარებით,
ოცნება, ძონისფერი, წარსულს მაგონებდა,
დაკარგულ სიყვარულს ტიროდა ტბაზე გედი
და სულის მარტოობა ჩემს თვალებს აღონებდა.

იყავი შორეული ჩემი სიზმარივით,
კუბოთა ყვავილებს გაშლა არ უნდოდა,
თვალებში კრთოდა ბროლები ცისკარივით,
დაისი, ბავშვივით, დუმითან საუბრობდა.

მოვიდა ჩვენება უხილავ წამებით,
რომ გულში ალუბლის წვეთებით ეთოვა,
მოვიდა დემონი, მიხმობენ ზარებით,
ზარებით მიხმობენ, ის გამომეთხოვა.

დაეცა ცოდვეები სასთუმლის წინაშე,
დაკარგა ჟასმინმა სურნელის მაღამო,
სევდა აირეკლა დაბურულ მინაში,
შევხვდი მწუხარებით იისფერ სალამოს.

გათავდა, წავიდა, წავიდა მოწყენით...
დარდების ჩრდილები ლანდია მდუმარე,
მე მესმის მეძახის — მომყევი, მომყევი,
ქვითინი სხივების ცრემლებად მდულარე.

თვალებში მუდარა ივსება წამებით,
მომინდა, ამბორი რომ შენთვის მეთხოვა,
მოვიდა დემონი, მიხმობენ ზარები,
მიხმობენ ზარები, ის გამომეთხოვა.

იისფერ სალამოს შევხვდი მწუხარებით,
ოცნება, ძონისფერი, წარსულს მაგონებდა,
დაკარგულ სიყვარულს ტიროდა ტბაზე გედი
და სულის მარტოობა ჩემს თვალებს აღონებდა.

დაბრუნდი

გეძახი: მიყვარხარ, მიყვარხარ!
და ჩემი სიტყვები ქარს მიაქვს შორს,
იდუმალ ჩამესმის: - არ გიცნობ, ვინა ხარ!
და მწარედ ვქვითინებ, ცა მაყრის თოვლს.

რა გითხრა, ძვირფასო, ძვირფასო,
შენ ჩემში ოცნებას ფერს ართმევ ლურჯს,
ღანვებზე დაგორდა ცრემლები, ცრემლები,
რომ გული უთქმელად დაშორდა გულს.

მე სანთლებს ავანთებ ტაძარში ჯვარცმის წინ,
და შევთხოვ დაღლილი კვლავ შენზე მას,
რომ ძლიერ მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ,
და ველი, კარგო, შენს დაბრუნებას.

მაჩუქე თავიდან კოცნა ცეცხლოვანი,
რომ ისევ ვუმღერო იას და მზეს,
დაბრუნდი, ძვირფასო, დაბრუნდი, დაბრუნდი,
გული შენს გულს უცდის, ამადაც ძგერს.

მტკივა გული

გული მტკივა, ვლონდები,
რად არ ახდნენ ნატვრები,
ისევ შენ მაგონდები,
ისევ შენ მენატრები.

ალუბლების საყურით,
ღანვზე წვიმის ღვარებით,
გვირილების გვირგვინით,
და ყუყუნა თვალებით.

მთაში ხტოდნენ ირმები,
ბიბინებდნენ ველები,
მახსოვს კოცნა პირველი
და მთრთოლვარე ხელები.

ღამე, ტკბილი სიზმრები
და სურნელი ვარდთა დის
ფიცი – რწმენით ნათქვამი
„მეყვარები მარადის!“

მტკივა გული, ვლონდები,
რომ არ ახდნენ ნატვრები,
ნეტავ, თუ გაგონდები,
ნეტავ, თუ გენატრები.

ჩივილი ღმერთთან

რატომ გვასწავლე კითხვა,
რად წაგვაკითხე დანტე?!
ნუთუ ჩვენ უნდა გავქრეთ,
ნუთუ ჩვენ უნდა დავლპეთ?!
მინდა არ იყო, ღმერთო!..
მინდა, დემონო, მოკვდე!..
მინდა, ხარობდე, ვაზო,
მარად ფურჩქნიდე ყლორტებს!
გვინდა სიცოცხლე მარად,
ის კი ქარივით მიქრის,
უხსოვარ დღიდან გვტანჯავს
ამაოების ფიქრი...
მაშ, დაგვიბრუნე ის დრო,
როს არ ვიყავით ქვეყნად;
როცა არ გვყავდა მამა,
როცა არ გვყავდა დედა.
ოჰ, რად გვასწავლე კითხვა,
რად წაგვაკითხე დანტე?!
ნუთუ ჩვენ უნდა გავქრეთ
ნუთუ ჩვენ უნდა დავლპეთ?...

თქვენ გეტრფით

ვარ შენზე მზრუნველი მარადის, **სიცოცხლევ,**
ვით ჩვილი უმანკო, საოცრად **მიყვარხარ.**
ოჰ, რარიგ მიზიდავ, მე გეტრფი შენ **ძლიერ**
და შენთან ალერსი არ დამლღის, **იცოდე-**
იებს და შროშანებს, ვარდებს და **ზამბახებს**
მთრთოლვარე თითებით ერთ კონად **მოგართმევ,**
სიმბოლოდ ყვავილი გამშვენებს, **სიკვდილო,**
ამიტომ შენც გეტრფი, ქალწულო **ლამაზო,**
მიყვარხართ, მიყვარხართ, თქვენ გეტრფით, **წარმტაცნო!**

სევდის გვირგვინი

დამადგით თავზე სევდის გვირგვინი, დამადგით თავზე,
ტანჯვის ეკლებმა დე დამკანროს, მადინოს სისხლი,
მწუხრის მეფე ვარ, უტახტოდ და უსასახლეოდ,
მე იღუმალი მესია ვარ, მოსილი ნისლით.

მე ვარ ფიქრები, მე ვარ დარდი და მე ვარ ცრემლი.
ვარ ზეცისათვის ამბროზია, მინის კანაფი,
გამახსენდება უცხო ქალი და ჩემი ლექსი,
გზა გორისაკენ მიმავალი კუბოს კარამდის.

შეიმოსება ზეცა მწუხრზე ალუბლის ფერით,
და დაღამდება მრუმე ღრუბლებით საშკვლავის ფერად,
იდუმალება გამიტაცებს იმედის ფრთებით,
ვხვდები, არ მესმის არმინიერი მე გულის ძგერა.

წლები ჩემს სხეულს ეტმასნება კახპა ქალივით,
მაგრამ გონება კვლავ ბავშვური ფიქრებით ელავს,
ვით მათხოვარი ქუჩაზე მდგარი, გამვლელ-გამოვლელს,
გულში ჩამიკრან, შევთხოვ ყველას, ვით მშობელ დედას.

ძველ დედამინას დაეცემა ზამთრის სიცივე,
დამჭკნარ ფოთლებად დასცვივდება პოეტს რითმები,
გამახსენდება ჩემი ლექსით უცნობი ქალი,
და განშორებას მე ზაფხულთან მაშინ მივხვდები.

ოჰ, დავინწყებავ, რად ჩასახლდი ადამის სულში,
რატომ ავინწყებ ადამიანს მოყვასს თავისას?!
მხოლოდ, პოეტო, შენ არ ძალგიძს, რომ დაივინყო,
ერთხელ ხილული ის თვალები ლამაზ ქალისა.

მაგრამ ასეა, შენ კი ყველა გვივინყებს ქვეყნად,
რადგან დუმილის მესია ხარ, მოსილი ნისლით,
დაგადგამთ თავზე სევდის გვირგვინს, დაგადგამთ თავზე,
ტანჯვის ეკლებმა დე, დაგაკანროს, გადინოს სისხლი.

ხავერდის ფოთლები

ტრიოლეტი

ხავერდის ფოთლები შემოდგომის ბალის
ნაზად ეფინება სამარეს ეულს.
გაყრია გულზე ცხოვრებით დაღლილს
ხავერდის ფოთლები შემოდგომის ბალის.

აღარ აწუხებ ამ ქვეყნად არვის,
აღარც სულსა და გადაღლილ სხეულს,
ხავერდის ფოთლები შემოდგომის ბალის
ნაზად ეფინება სამარეს ეულს.

დრო

დრო მოკლავს სიხარულს,
დრო მოკლავს სიყვარულს,
დრო მოკლავს სილალეს
და სილამაზეს,
დრო მოკლავს წარსულს და
დრო მოკლავს მომავალს,
დროს შევადარებ წასულ ორთლქმავალს.
დროს ჩვენ მივყავართ შავ სიკვდილამდე,
დროს შეუძლია მოგვსპოს დილამდე.
დრო მოკლავს სიტურფეს,
დრო მოკლავს მჭკნარს,
დრო მოკლავს სალსა და
დრო მოკლავს სიდამპლეს.
დრო მოკლავს პატარას,
დრო მოკლავს სიდიდეს,
დრო მოკლავს ცარიელს,
დრო მოკლავს სიმდიდრეს.
დრო შთანთქავს სასახლეს,
დრო შთანთქავს ქოხს,
დრო მოკლავს ბულბულს და
დრო მოკლავს ქორს.
დრო მოკლავს სიცილს და
დრო მოკლავს სიმწუხრეს,
დრო შთანთქავს ოქროს და
დრო მოკლავს სიმუხთლეს.
დრო მოკლავს უბედოს,
დრო მოკლავს ბედიანს,
დრო მოკლავს ჯანმრთელს და
დრო მოკლავს ბნედიანს.
დრო შთანთქავს თვითონ ცხოვრების ჟამსა...
და ჟამი შთანგვთქავს ყოველსა კაცს.
დრო, დრო კი რა ცოტა გვექონია?!
დრო მოკლავს ყველაფერს,
რაც უკვდავი გვგონია.

რუბაი

მონყალე არისო, შენზე ამბობენ, კეთილო ღმერთო,
წყურვილი მკლავდეს, დოქი სავსე წყლით მე წინ მედოს
რა ვქნა, ცდუნებას ვერ გაუძულე ადამიანმა
და ამისათვის გთხოვ, შემინდე, ცოდვილთა ღმერთო.

*

გამიგონია, პაპას ჩონგურზე უმღერია ეს სიმღერითო,
„თუ ხარ ღარიბი, შენც ღარიბი უნდა შეირთო“
და თუ გგონია, მდიდარის შერთვით სიმდიდრეს ჰპოვებ,
ის რომ გახდება ბატონი შენი, ამას ძალზე გვიან შეიცნობ.

*

ოჰ, რა ვართ კაცნი, ვფიქრობთ, ღმერთი გაგვააზატებს,
ჩვენ აღარ გვახსოვს, ბორკილები ხელებს ჩვენი ნებით დავადეთ.
მოგვცა ედემი, სიკეთე და სიცოცხლე ლალი,
მცნება თიხაზე დანერილი უარყავით და გადავადეთ.

*

შენ დედამინა ჩვენთვის შექმენ და არა ზეცა,
ანგელოზთათვის კი შექმენი ფარული ზე ცა,
შენ, ანგელოზი აგიმხედრდა და ჩვენ რას გვერჩი,
რაა ამაში გასაკვირი, თუ კი ევა სულით დაეცა.

*

სულელია ფილოსოფოსი და გიჟი ბრძენი,
გული ხარბია, მამის ქონებით ვერ გაძღვებიან მრავალი ძენი,
თუ გინდა ბრბო რომ მოიზიდო, უნდა იცრუო,
საქმე იოლი სხვისთვის უნდა გახადო ძნელი.

*

თიხას მოხელენ ზოგს დოქებად, ზოგსაც რქისებრივ.
რაში გვარგია, თუ არ ავავსებთ ჩვენ მათ სითხეთი,
თუ არ გავეცი, მაშ რად მინდა მე ის ქონება,
მინაში ჩაფლული კაცს რას არგებს განძი ისეთი.

*

სიხარულსაც და მწუხარებას ერთი აქვს ფესვი,
ორივე თავბრუს დაგახვევს, თუ ღვინო არ შესვი.
ჩვენ ერთი რწმენით ვერ შევავსებთ ტვინის უჯრედებს,
გონებაში ხომ მრავლადა გვაქვს სხვადასხვა ფესვი.

*

ტანჯვის გარდა რა მოუტანა ჟამმა კაცის გულს,
უთევზო მდინარემ რა უნდა მისცეს საწყალ მებადურს,
როგორ არ სცოდო, როცა ვერაგი არის ბუნება.
უგნურებაა თუ უერთგულებ ქვეყნად შენ ორგულს.

*

ფარული მრუშობა ცოდვა არისო, არა გაქვს ნება,
სიცოცხლის ძაფი კაცმა არ იცი, როს გაგინყდება.
ოჯახი შექმენო, არ ჩაგეთვლება მრუშობა ცოდვად,
მაგრამ არ ვიცი როდის გადაწყვეტს მას ბედისწერა.

*

თუკი ამქვეყნად ყველაფერი ღმერთის შექმნილი არის,
ჰაერი, ცეცხლი, წყალი და ქარი.
მაშ, რად არ მიყვარდეს ჩემი სხეული?
ისიც ხომ ღვთისგან შექმნილი არის.

*

ამაო არის ყველა წმინდა წიგნის ბუნება,
მომწყინდა ქვეყნად ერთი აზრის ათად ბრუნება.
ამქვეყნად ერთი წიგნი არის მხოლოდ ამო,
ღმერთმა დაწერა და მას სახელად ჰქვია ბუნება.

*

წუთისოფელი მდინარეს ჰგავს, წამში მღვრივდება,
არ აქვს სათავე, ჩვენ ვერ ვხვდებით იგი თუ სად ჩაედინება.
სიცოცხლეც ასე ფარულია მოკვდავ თვალთათვის,
როდის ჩაქრება ჩვენ არ ვიცით, ანდა კიდევ როს აინთება.

*

თუ მერწმუნებით ეს ნათქვამი რომ არის ქალის
ეჭვს მოერიდე, იგი არის, ვით ავი ძალღი.
თუ დაგაეჭვა, სიმართლესაც ტყუილად ჩათვლი,
გონს დაღრღნის ისე, ვით ხეს ფიტავს პატარა მატლი.

*

საბრალო არის უიმედო კაცი ამქვეყნად,
მაგრამ საბრალოდ უფრო მეტად ის მიმაჩნია,
უიმედოს რომ იმედს მისცემს მეორე კაცი,
მაგრამ რომ იცის, სიტყვის გარდა
მას სხვა ძალა არ გააჩნია.

შეხსნილი საკინძე

შეგხსნია, გოგოვ, საკინძე,
მოგიჩანს ძუძუ ბროლისა,
ლამის მე გული გამისკდეს
მაგ შენი ეშხით პყრობილსა.

ვუცქერ სალ კლდეებს მდუმარეს
ცაში რომ თვლემენ ოცნებით,
ვუმზერ ძუძუზე წითელ ხალს
როგორც ყაყაჩოს მოცელილს,

ვუმზერ და გულიც ვერ ითმენს,
ნამი მწყურია მოლისა,
შეგხსნია, გოგოვ, საკინძე,
და გიჩანს ძუძუ ბროლისა.

მთვარე იყო თუ მზე იყო

მე მინდოდა, ერთ მოსმით რომ შემექმნა სახე,
სიზმარში რომ წამიერად წამთვრალევა ვნახე.

სახე იყო ფერგამკრთალი, ძალზე მიმზიდველი,
დემონური სილამაზე მიზიდავდა მწველი.

სურნელს მისას გადმონაფქვევს ვგრძნობდი არმინიერს,
მსურს, კვლავ ვნახო, თუგინდ შემდეგ წავყვე ალიგიერს.

ეს არ იყო არც სიცხადე, მგონი არც სიზმარი,
ალბათ ღმერთს არ შეუქმნია, ოჰ, ასეთი ქალი.

იმ დღის შემდეგ მძულს სიფხიზლე და არც მინდა ძილი,
რაც ის ვნახე, გავმიჯნურდი, დავეჩვიე ტირილს.

სიზმარეულს და ცხადს შორის ვგრძნობდი მოჩვენებას.
ჩემი სუსტი წერტილია, რომ ვერ ვთოკავ ვნებას.

გარინდული ვარ მას შემდეგ, აზრს ვერ ვუგებ სიტყვას,
დემონივით მომელანდა, მაგრამ მაინც მიყვარს.

ეს დღე თითქოს იღუმალად წარსულ ერთ დღესა ჰგავს
და მომავალს ვგრძნობ მე უგრძნოდ,
ვხედავ წელეთა ამქარს.

ფიქრთა ქაფი მდინარებას გაჰყვა ველურ ტახოს
და მე მინდა წამიერად კვლავ ის ქალი ვნახო.

იღუმალად მომეჩვენა, ვერ აღვიქვი სახე,
სიზმარში რომ წამთვრალებმა იმ ბნელ ღამით ვნახე,

ტანს ლერწმისას უფარავდა ვარდისფერი არე,
მთვარე იყო, თუ მზე იყო, მზე იყო თუ მთვარე.

ლალე

ლალე, ლალე, ლალეო,
დივლი დალალალეო.
შენს ძებნაში, საყვარელო,
ზღვა ცრემლები ვღვარეო.

ლალე, ლალე, ლალეო,
დივლი დალალალეო.
ეს ვარდობის ჭაბუკობა
ეკლად ჩამამნარეო.

ლალე, ლალე, ლალეო,
დივლი დალალალეო
ვერ ვიცანი მე სამშობლოს
უდაბური მხარეო.

ლალე, ლალე, ლალეო,
დივლი დალალალეო
მტერმა გულში დანა ჩამცა,
რომ ვერ შევიყვარეო.

ლალე, ლალე, ლალეო,
დივლი დალალალეო.
დედა, მიწის ნაცვლად, მე გთხოვ,
ცრემლი დამაყარეო.

შენს ძებნაში, საყვარელო,
ზღვა ცრემლები ვღვარეო.
ეს ვარდობის ჭაბუკობა
ეკლად ჩამამნარეო.

ლალე, ლალე, ლალეო,
დივლი დალალალეო.

გული

გულო, მეძავი ქალი ხარ,
შმაგ სურვილებს რომ ნებდები.
ხან საშინელი ქარი ხარ,
ხან ელვარე მზეს ედრები.

ხან ცრემლების ზღვა აგავსებს,
დაგროტუნავს ბნელი დარდები,
ხან ცის ნამივით ბრწყინდები,
გეშლება ველზე ვარდები.

ხან ღრუბლებს გავხარ მოქუფრულს,
ელვას ზეცაზე საშინელს,
ხან არად გიღირს სიკვდილი
და ხან სიცოცხლე გაშინებს.

გულო, მეძავი ქალი ხარ,
ათას სურვილს რომ ნებდები,
ყოველ წამს ახალგაზრდა ხარ,
მაგრამ ყოველ წუთს ბერდები.

აგვისტოს ყვავილები

აგვისტოს ყვავილებს, დაისზე მოცელილს,
სიკვდილი ელოდა გაშლილი ხელებით.
პატარა ანგელოზს, დაღლილს და მოწყენილს,
თვალებზე აღმასის სცვიოდა ცრემლები.

დნებოდა ოცნება, დაქნილი სანთელი,
ის იყო მარადის სატრფოზე მგლოველი,
ლოცვებს დავინწყებულს და ცოდვებს გამხელილს
სიონში ისმენდა დედა ღვთისმშობელი.

იყო სინანული, წამება ერთგვარი,
სად იყო გოდება მოსათიბ ველების,
სიკვდილთან საომრად სულს ეცვა ბექთარი
და რეკდნენ ზარები, - ველური ცხენები.

და იყო სიზმრები, და იყო ლანდები,
დღეები, რომელიც მან ველარ იხილა,
გულს კლავდა ფიქრების ნოტიო ნალველი,
არ სურდა გაფრენა მას დედამიწიდან.

ჩამქრალი თვალები უდაბნოს ქვიშაზე
ეყარა სამარეს, ვით შავი ბელტები.
აგვისტოს ყვავილი, ვით უცხო სინაზე
უხმობდა სიცოცხლეს, სიცოცხლეს ვედრებით.

და მაინც აგვისტოს ყვავილებს, მოცელილს,
სიკვდილი ელოდა გაშლილი ხელებით.
ანგელოზს დაღლილს და ანგელოზს მოწყენილს
თვალთაგან ღვართქაფით ცვიოდა ცრემლები.

ვინ გაიგებს სონეტი

ყველას ჰგონია თითქოს, ღვინო გიყვარდეს ძლიერ,
თიხის სასმისთან შენი სახე თითქოს ბრწყინდება.
ოჰ, ვინ გაიგებს, თუ რისთვის სვამ დემონის ცრემლებს
და რატომ ყოველივეს გადავინწყებას.

ეჰ, ვინ რა იცის, დღეს შენს სულში რა ქარცეცხლია,
მაისის გულში ენძელები თუ რატომ ჭკნება,
ფიქრი, წამება, ეშმა ჯვარზე და პოეზია,
შეშლამდე გტანჯავს, ოცნებები ნისლში რომ ქრება.

რატომ განუხებს შეუცნობი ქრისტეს ოსანა,
სულ სხვა ფიალით და სხვა ღვინით რად ხარ დამთვრალი,
ან რატომ გაკრთობს მშობლიური ის იავნანა

ანდა რად გათრობს საქართველოს ეგ მთა და ბარი...
ოჰ, ვინ გაიგებს, რისთვის თვრები თავდავინწყებით
და შენ სულის ყანწს რად აღავსებს მზის ნიაღვარი.

გამოთხოვნა

მივდივარ შორს, უშორეს ცაში,
რომ დაივინყო ჩემი წყრომები.
ნუ დამიტირებ საბრალოს ქარში,
სამარადისოდ გემშვიდობები!

მივდივარ, მიმაქვს თვალებით ცრემლი,
უკანასკნელი მზის ანდერძები,
მიხმობს სამშობლო ოდესღაც დევნილს,
აღისფერ ვაზის ლორთქო ლერწებით.

მივდივარ, მიმაქვს ლურჯი ოცნება,
რომ მიმოვფანტო ქარში ვარდები,
ჩემი ლოცვებიც აღარ მოგწვდება,
არ დაგალონებს ჩემი დარდებიც.

მივდივარ შორით, ვხედავ სასთუმალს,
მორთული არის სხვა ჟასმინებით.
იქ მიცდის უხმო იღუმალება,
აისისფერი ცივი მინებით.

მივდივარ შორით ულურჯეს ცაში,
რომ დაივინყო ჩემი წყრომები.
ნუ დამიტირებ უბედურს ქარში,
სამარადისოდ გემშვიდობები!

მიმაქვს სამსხვერპლოდ დღეთა ალები
უზიარებელ განსვენებისთვის.
მივდივარ, მართლა არდანანებით,
იმ წუთისა და იმ წამებისთვის.

მივდივარ, მიმაქვს უგრძნობი კოცნა,
სხვა სიყვარულის გამოთხოვებით,
ჩემებრ ნაღველი უგრძვნია მოცარტს,
რასაც ვერ გრძნობდა თვით ბეთჰოვენი.

პოეტთა შორის მთელ სანუთროში
მე ვარ პოეტი უღარიბესი.
დღეს ჩემი ლექსი არა ღირს გროში,
არც მინდა, ღირდეს გროში ეს ლექსი.

მივდივარ იქეთ თან არრა მიმაქვს,
მივდივარ ისე, როგორც მოვედი,
შეხედე ლურჯ ცას, ვერცხლისფერ წვიმას -
იქ მიმოდაქრის სული პოეტის.

მივდივარ შორს, ულურჯეს ცაში,
რომ დაივინყო ჩემი წყრომები.
ნუ დამიტირებ საბრალოს ქარში,
სამარადისოდ გემშვიდობები!..

მიხმობს ზეცა

სულს ხიბლავდა ღამით მთვარე,
გული მზეზე იწვოდა.
თვისი ხელი სიმწუხარემ
თრთოლვით გამომიწოდა.

დამაობლა სიყვარულმა,
აღარ მინდა სიცოცხლე.
მსურს, შეწყვიტოს ფეთქვა გულმა,
მაღლით ზეცა მიხმობდეს.

გაქრნენ წლები სიყმანვილის,
დაჭკნენ, როგორც ვარდები,
თან წაიღეს ოცნებებიც,
დამრჩა მხოლოდ დარდები.

მწვანე მდელო გადაყვითლდა,
ხმება ხეთა ლაშქარი,
სადღაც გაქრა გაზაფხული,
მოდის ცივი ზამთარი.

შორს, შორს დარჩა ლურჯი მთები -
აპრილს დახატულები,
ივერცხლება ახლა თმები,
შრება ნაკადულები.

მიხმობს, მიხმობს მდუმარება
მარტოობის უბეში,
მიხმობს ახლა მაღლით ზეცა -
ერთადერთი ნუგეში.

მოვალ, მოვალ, შენთან მოვალ,
იდუმალო სამყაროვ,
რომ მარადის შენთან ვიყო,
რომ ვერა რამ გაგვყაროს.

თუმცა გაქრა სიყმანვილე,
ცრემლები დგას უპეში,
მაგრამ მიხმობს მაღლით ზეცა -
ერთადერთი ნუგეში.

ქებათა ქება	5
თუ	7
მინიატურები	8
ალბათ	9
მომენატრა	10
ნარიყალაზე	11
სალომეა	12
ჯვარს რომ უყურებს	13
ისე უსაყვარლესო	14
21 საუკუნის	15
მთანმინდის მთვარე	15
დიდუბის პანთეონი	16
ტრიოლეტი	16
შემოდგომის კახეთი	17
მინიმა	18
2	18
მამა	19
თეთრი ცხელება	21
სოფლის ღამე	22
დილა ნათელი	23
მრავალჟამიერ	25
ქუჩა	26
სახედარი	27
დარდიმანდული	28
გული აინია	29
გამგზავრების წინ	30
კუბი	31
სანამ მეტყვით	32
შესაქმე	33
ვინახარ შენ	36
დედა	37
ფრაგმენტი აივნიდან	39
ოდა	40
ლაზარეს 13 ფსალმუნიდან	40

იქნებ	42
საგაზაფხულო	43
ჯერ საკეს გადავკრავ	44
მწუხრი გრანელის სავენეში	45
ღამე მეტეხთან	46
მიყვარხარ	48
თვლემდა ღამე	49
ძახილი	50
მინიმები	51
საყვარელო ჩემო	52
ბათუმში მაინც	53
სოფლის გზებზე	55
დედა	56
საქართველოს	57
ბოლნისში ჩაქოლილი მწერლის პიჯაკში აღმოჩენილი ლექსი	58
თეჯნისი	60
1937	61
მინიატურები	64
ჰეი შენ	65
ასე იტყოდა ზარატუსტრა	65
მზე კამკამებდა	66
დამალობანა	68
მარლბორო	69
წინამურისთვის	70
მეტროს სიზმარი	71
კაპრიჩოები	73
სტუდენტი და ბუკინისტი	74
ბოროტების ნანინა	75
ვით თავის თავი	76
გაიხედე გარეთ	77
ზღაპარდ თქმული	78
თავდავინწყება	80
პოეტებს ჯილდო რად გვინდა	81

შავი და წითელი	83
იღრინება სტამბოლი	84
კადრი სოფლიდან	85
ბარათი ზეცას	86
ხილვა შორეული	87
დღეს	88
მოგონება თებერვალი	89
უსათაურო	90
ნუ ეჭვიანობ	91
კბილთა ღრჭენა	92
რა გულუხვი ხარ	93
მედეას მხევალს	94
ვუძღვნი დადიანის ასულს	94
ჰეტერას ენით	95
ქობი გლესს და	96
გუშინ მესიზმრა	97
მარის (მეუღლეს)	97
წინათგრძნობა	98
ვაზის ლოცვა	99
გაჭალარავდა გული	100
სერენადა	101
უღელტეხილი	103
გემოვნებაზე	105
შეგონება საკუთარ თავს	106
და არა მარტო...	106
იუმორესკა	107
ძველი ალბომი	108
მინიმა	109
რარიგ შეცვლილხარ	110
იმერული სუფრული	111
უაზრო მსხვერპლი	112
საქართველო ისევ დგას	113
დევის ტუჩები	115

და რომ სხვასთან ვარ	116
მტკვარი არაგვს ელოდება	118
როცა მოგეძალება	119
აკროსტიქი	120
მოგონება	121
ჩიტო ჩიტუნიავ	122
შენი და ჩემი	123
ზიზლი	125
ლამე და ცრემლი	126
ციკლიდან	127
აჭარის გზაზე	127
კადრი	131
ზაფხულის წვიმიდან	131
დედა	132
მინდვრის ყვავილო	133
უჭკუო მამობილის ლექსი	135
იუმორესკა	135
თოვს	136
თბილისის ლალები	137
ჯონი ჯეიმსის დღიურიდან	138
იესოს სასძლო	140
ქალი უცნაური	141
ანარეკლის სიღრმე	142
მუნასიბი	143
მაისის ბოლოს	144
ო როგორ მომინდა	145
შელამებისას	146
თუშეთი ინტეგრალი	147
გაფრთხილებთ	148
შიში	149
მე რომ ბრმა ვიყო	151
ელექტრა	152
ბევრი მახსოვს	153

სიკვდილის სუნთქვა	154
	155
რა უნდა მექნა	156
ქალაქი	159
ჩემი ლირიკა	160
მინიმა	161
გადაღლილობა	162
მდგომარეობა	163
დაასხით ღვინო	164
ვერ გაგიმართლე	166
განვდილი ხელები	170
სამშობლოს	204
მე მიყვარს	205
ქართლის ცხოვრება	206
სამება	207
ძირს რომ მიხრი წამნამებს	208
თუ გული გულობს	209
ციდან ცრიდა	210
თიბათვე	211
სიმღერა თბილისზე	212
გაფრინდი ჩემო ჩიტუნავ	213
მე შენ ხელებს	214
ისევ სამშობლოს	216
ერთ ზაფხულს	218
ჰარე კრიშნა	219
მზე ლექსები და ლანდები	221
გემი და გაშნორება	222
ჩუმი ფიქრით	223
საქართველოს გაზაფხული	224
ოდეს პუშკინი ჩამოვიდა საქართველოში	225
* *	227
ბუხრიდან მოგონება	228
მწუხარე მოტივი	229

ის	230
* *	231
ორი რამ	232
ჩამოთოვილა მთებში	233
აჭარელი ხულოს შვილო	234
ორი სახის	236
ქართველი	236
* *	237
ემიგრანტს	238
საღდიში ღამე	239
რუსთაველზე	240
თბილისის აჩრდილებიდან	241
გაზაფხული	243
რომ შემეძლოს	244
სანუთრო ბრუნავს	245
მაგრამ ვერავინ	246
მწარე სალალობო ლექსი	247
მომნატრება	248
ილიას ყვარელს	249
პანო	250
სალაროს პოეზიისას	251
* *	252
დანაღვლდა გული	253
* *	254
მწუხარება ნეფერტიტზე	255
აღმოსავლური მოტივით	257
კახეთს	258
განწირული	259
გაჩერებაზე	260
თითქოს პერანგას მხარეს გავყურებ	262
მუხრან მაჭავარიანს.	262
დღეს თრობა მინდა	263
ჩუ არა ქარი არ არის!	264

სამაგიერო	265
ლამე	266
ვიდრე ცოცხალი ვარ	267
* *	269
მახსოვს სოფლად	270
მარგამ გული	271
მისტიკა	272
უსათაურონი და უთარილონი	273
ჩაფიქრებული და მეოცნებე	274
ალბათ	275
მცხეთის გზაზე	276
სევდა	277
მადლობელი ვარ	280
მახსოვს მთანმინდავ	281
უცებ ავტირდი	283
ცხოვრება მიდის	284
უსათაუროდ	285
მოხევის ლექსი	286
მაგრამ სალამოს	289
მიეთ – მოეთი	290
ზღვა და აფროდიტე	291
მატარებელში	292
უიღბლობა	293
გზაზე	294
ერთი წლის ინტეგრალი	295
ქარიდან მოგონება	298
გურია	299
ჩემი დობილი ეხლა ლექსია	300
სიყვარული	302
მწუხარება	303
შენი ვარ მარად	304
ლამის ვნებანი	305
მესიზმრები	306

მოლოდინი	307
იქნებ ზღაპრებმა სიყრმისამ	308
იმ პოეტებს	309
სამყაროში	310
ღმერთო გავგიჟდები	311
გულო დაცხერ	312
შენ რომ დამეკარგო	313
აუტანელი წამი	314
შეჩერდეს ჟამი	315
სულ არ ვდარდობ	316
მუნჯების საუბარი	317
ხალხური სიბრძნე	319
ზღვას რომ ვხედავ	320
* *	321
თავო ჩემო	322
დასასრული	324
სადიდებელი	325
სიკვდილის შემდეგ	326
გვედრი მარიამ	329
მე მიყვარს ლექსი	330
ყვითელი ბავშვი	331
უფალო გვედრი	332
ამაო ცდა	333
ირანული მოტივიდან	334
ჩემო თბილისო	335
* *	336
კაცობრიობის გამოძახილი	338
სამშობლო შოპენი	339
ტოტს მოსწყდა კვირტი	340
ტკივილი სურვილში	341
გამოთხოვება გაზაფხულთან	342
საყმანვილო	343
სიზმარში დანერილი ლექსი	344

შემოდგომის ბაღში	344
* *	345
მაპატიე	347
სურათი გრიგალში	348
თბილისი ჩემი პანაშვიდია	349
* *	350
წყაროსთან	352
სალამო სექტემბრის	353
შემიბრალე ქალაო	354
და მაშინ გეტყვი	355
სმენათა საუნჯე	357
ამაოება	358
როგორც პიკასო	359
შენ გეტყვის ეს ღამე	360
თბილისის დილა	361
ერთხელ აგონიაში	362
მეძავი	363
* *	364
შენახარ ჩემი სიზმარი	366
საშინელი სიზმარი	367
* *	368
მეგრული ღამე	370
მგელი და ადამიანი	371
ფსალმუნი	375
უსათაურო	376
სიამაყე	377
როცა ყოველი არის ამაო	378
დრო არის ღმერთო	380
ახლა აქ	381
წერილი დედას	382
ლილი გელი	383
დაუდევარი ქმარი	384
ხელი ხმალს	385

გიჟის სიყვარული	386
შემკრთალი პატიოსნება	387
ობოლი მარტოობა	388
ია და იამა	389
სოდომელი ქალის სიყვარული	390
პოეტი	391
* *	392
დავმორდი მოშიში	393
ვიცი ამაოდ გელი	394
ჰიმნი სამარეს	395
იანვრის იები	397
იდუმალმა ანგელოზმა	403
ლილივით აწყდა	405
მეზურნე	406
მწუხარე თვალებს	409
დედავ მიმღერე	410
ისევ შენ მაგონდები	411
ფერშეცვლილი ქალაქი	412
კავკასიონის არწივი	413
* *	414
ლურჯი დარაბა	415
შემოდგომის ფრაგმენტი	416
იისფერი სალამო	417
დაბრუნდი	418
მტკივა გული	419
ჩივილი ღმერთთან	420
თქვენ გეტრფით	421
სევდის გვირგვინი	422
ბარხატი ფოთლები	423
დრო	424
რუბაი	425
შეხსნილი საკინძე	428
მთვარე იყო თუ მზე იყო	429

ლალე	430
გული	431
აგვისტოს ყვავილები	432
ვინ გაიგებს	433
გამოთხოვება	434
მიხმობს ზეცა	436

გადაეცა ასანყობად 18. 08. 2012 . ხელმონერილია დასაბეჭდად
21. 11. 2012. ქალაქის ზომა (A5) ოფსეტური №1 ტირაჟი 100.
ფასი სახელშეკრულებო

